

**SOFT POWER**

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი პოლიტიკია  
საქართველოსთან მიმართებაში



# **Soft Power**

**რუსეთის საგარეო პოლიტიკის  
ახალი კონცეფცია  
საქართველოსთან მიმართებაში**

2008 წლის აგვისტოს ომისშემდგომი პერიოდი

**რედაქტორი თენგიზ ფხალაძე**

წინამდებარე წიგნში განხილულია რუსული Soft Power-ის კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში 2008 წლის აგვისტოს ომისშემდგომ პერიოდში.

წიგნის ავტორები მადლიერებას გამოხატავენ კონრად ადენაუერის ფონდის მიმართ ფინანსური მხარდაჭერისათვის.

წიგნის ავტორები მადლობას უხდიან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს დასპორტის საკითხებში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

## თიგნზე გუგაობდენ:

**კვლევის ავტორები:** თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიძე,  
გიორგი ვოლსკი, თემურაშ ქარუხნიშვილი,  
მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი გვიმრაძე,  
ნატო ბაჩიაშვილი, ნანა დევდარიანი.

**რედაქტორი:** თენგიზ ფხალაძე

**სარედაქციო კოლეგია:** გიორგი ვოლსკი, ნატო ბაჩიაშვილი,  
ნინო სოლოლაშვილი

**გამომცემლები:** გეოპოლიტიკური კვლევების  
საერთაშორისო ცენტრი  
კონრად ადენაუერის ფონდი

წიგნი დაბეჭდილია: გამომცემლობა “მთაწმინდელი” 2010 წელი.

# სარჩევი

<b>ნინასიტყვაობა .....</b>	<b>7</b>
კატია კრისტინა პლატე, კონრად ადენაუერის ფონდი რეგიონალური პროგრამა – სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური დიალოგის ხელმძღვანელი	
<b>რედაქტორისაგან .....</b>	<b>8</b>
თენგიზ ფხალაძე გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე	
<b>რუსეთის კავკასიურიპოლიტიკისძირითადივექტორები .....</b>	<b>13</b>
თენგიზ ფხალაძე, გიორგი ვოლსკი	
<b>რუსული „რბილი ძალის“ არსი და ძირითადი ამოცანები საქართველოში .....</b>	<b>18</b>
თენგიზ ფხალაძე	
<b>თავი I.</b>	
<b>რუსეთის ფილიალის დიალოგიათიშვილი აქთივობა</b>	
<b>საქართველოსტან მიმართებაში .....</b>	<b>25</b>
<b>ოუპირებულიტერიტორიები .....</b>	<b>26</b>
თენგიზ ფხალაძე	
<b>რუსეთის პოლიტიკაეუთოში .....</b>	<b>31</b>
თორნიკე შარაშენიძე	
<b>გაეროსსამეთვალყურეომისის საქმიანობის შეწყვეტა .....</b>	<b>37</b>
გიორგი ვოლსკი	
<b>რუსეთისპოლიტიკაევროსაბჭოს საპარლამენტოასამბლეაში .....</b>	<b>51</b>
თორნიკე შარაშენიძე	
<b>რუსეთის უნივერსიტეტებეში .....</b>	<b>62</b>
თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიძე	
<b>რუსეთის პოლიტიკაევროკავშირში .....</b>	<b>67</b>
თორნიკე შარაშენიძე	
<b>თავი II</b>	
<b>რუსეთის ფილიალის „თანამემამულეთა დაცვის“</b>	
<b>პოლიტიკა და საკონსულო პოლიტიკა საქართველოსტან</b>	
<b>მიმართებაში .....</b>	<b>71</b>

<b>რუსეთის ფედერაციის „თანამემამულეთა დაცვის“ პოლიტიკა</b>	
<b>საქართველოსთან მიმართებაში.....</b>	<b>72</b>
თენციზ ფხალაძე	
<b>ქართველებირუსეთში.....</b>	<b>88</b>
თეიმურაზ ქარუბნიშვილი, თენციზ ფხალაძე	
<b>საკონსულო საქმიანობა, როგორც რუსეთის „რბილი ძალის“</b>	
<b>პოლიტიკისგანხორციელებისინსტრუმენტი.....</b>	<b>91</b>
თენციზ ფხალაძე	
<b>თავი III.</b>	
<b>რუსეთის მედია და საქართველო .....</b>	<b>95</b>
მარიამ ცაცანაშვილი	
<b>თავი IV.</b>	
<b>2008-2009 წლების პიგეროვი საქართველოში.....</b>	<b>107</b>
მარიამ ცაცანაშვილი	
<b>თავი V.</b>	
<b>რელიგიის ფაქტორის გამოყენება რუსეთის მიერ</b>	
<b>„რბილი ძალის“ კონტექსტში.....</b>	<b>125</b>
თენციზ ფხალაძე, გიორგი გვიმრაძე	
<b>თავი VI.</b>	
<b>პულტურა, განათლება, მეცნიერება და საზოგადოებასთან ურთიერთობა როგორც რუსეთის "SOFT POWER"-ის გაცემრციელების ინსტრუმენტი .....</b>	<b>147</b>
კულტურარუსეთის „რბილიძალის“ კონტექსტში.....	148
ნატო ბაზიაშვილი	
<b>კულტმასობრივი იდეოლოგიური ღონისძიებები და "Soft Power"-ის სხვა გამოვლინებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე .....</b>	<b>159</b>
ნატო ბაზიაშვილი	
<b>განათლება და მეცნიერება, როგორც</b>	
<b>„რუსეთის რბილი ძალის“ ინსტრუმენტი .....</b>	<b>167</b>
თენციზ ფხალაძე, ნატო ბაზიაშვილი	
<b>„საზოგადოებასთან დიალოგი“ და რუსეთის „რბილი ძალა“.....</b>	<b>194</b>
თენციზ ფხალაძე, ნანა დევდარიანი	
<b>დასკვნები და რეპოვენდაციები.....</b>	<b>201</b>

# ნინასიტყვაობა

კონრად ადენაუერის გერმანული ფონდი ატარებს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პირველი კანცლერის, კონრად ადენაუერის სახელს. ისევე როგორც კონრად ადენაუერი, ჩვენ ქრისტიან დამოურატიული პრინციპების ერთფულები ვართ. ფონდი 1955 წელს დაარსდა გერმანიაში. მას შემდეგ ჩვენ ვიღწვით მშვიდობის, თავისუფლების, კანონის უზნაესობის, დემოკრატიის, ევროპული იდეასა და სოციალური საბაზო ეკონომიკის იდეის დამკვიდრებისათვის. ყოველდღიური აქტიური მუშაობით ჩვენ ხელს ვუწყობთ ამ მიზნების განხორციელებას გერმანიასა და მსოფლიოს 120 ქვეყანაში. საქართველოში ამას ვაკეთებთ სკოლებში სამოქალაქო განათლების ხელშეწყობით, დემოკრატიული პარტიების განვითარების მხარდაჭერით, უურნალისტების ტრეინინგით, სტუდენტებისათვის სტიპენდიების მინიჭებით, საზოგადოებისათვის საინტერესო სხვადასხვა საკითხებზე დაალოგების დადებატების ინიცირებითა და მრავალი სხვა სახის საქმიანობით.

ჩვენ სიამოვნებით დაფუჭირეთ მხარი გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის ინიციატივას განეხორციელებინა რუსეთის ფედერაციის „რბილი ძალის“ კონცეფციის და სამხრეთ კავკასიიზე მისი ზეგავლენისა ანალიტიკური კვლევა. ჩემი ღრმა რწმენით, ძალზე ღირებულია ამ კონცეფციის, ისევე როგორც რუსეთის ფედერაციის განზრახვათა ანალიზის გამოცემა. ეს გამოცემა უნდა ემსახურებოდეს სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული კონფლიქტების საკითხებში ჩართულ მხარეთა შორის მიმდინარე ესოდენ საჭირო დისჯუსიების დამატებითი მოსახრებით უზრუნველყოფის მიზანს.

თუ გექნებათ სურვილი გამოხმაუროთ რომელიმე სტატიას, გთხოვთ თქვენი მოსამარებები გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართში: [info.georgien@kas.de](mailto:info.georgien@kas.de). ჩვენ სიამოვნებით მივაწვდით ავტორებს თქვენს შენიშვნებს.

## კატია კრისტინა პლატე

კონრად ადენაუერის ფონდი  
რეგიონალური პროგრამა –  
სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური დაალოგის ხელმძღვანელი

# რედაქტორისაგან

„თუ მოწინააღმდეგე შენზე ძლიერია, შენი მოქმედება უნდა გასცდეს მისი აზროვნების ფარგლებს“

ბერნარდ ვერბერი

„რბილი ძალა“ (Soft Power), როგორც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ახალი მიმართულება, მეოცე საუკუნის მიწურულს გამოჩნდა. მის შემოქმედად მიჩნეულია ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯოზეფ ნაი (Joseph Nye). თავის წიგნებში „ლიდერობისათვის განიშნული: ამერიკული ძლიერების ცვალებად ბუნება“ (Bound to Lead: The Changing Nature of American Power. New York: Basic Books, 1990) და „რბილი ძალა: წარმატების არსი მსოფლიო პოლიტიკაში“ (Soft Power: The Means to Success in World Politics. Public Affairs, 2004) ნაიმ სრულად წარმოადგინა აღნიშნული კონცეფცია.

„უხეში ძალის“ თეორიისაგან განსხვავებით, რომელიც იძულებისა და ზეწოლის ბერკეტებს იყენებს, „რბილი ძალა“ სასურველი მიზნის მისაღწევად თანამშრომლობისა და მიმზიდველობის მექანიზმებს ეფუძნება და ინტელექტუალურ რესურსებს ანიჭებს უპირატესობას. კლასიკური Soft Power სამი კომპონენტისაგან შედგება: ლირებულებები, კულტურა და დიპლომატია.

ჯოზეფ ნაის იდეებმა უმაღვე მოიპოვა პოპულარობა და მაღვევე დაინერგა აშშ-სა და დასავლეთის სხვა წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში. მნიშვნელოვან წილად სწორედ კლასიკურმა „რბილმა ძალამ“ განაპირობა დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების პოპულარიზაცია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში და მოახდინა ძირეული გარდატეხა პოსტკომუნისტური ქვეყნების საზოგადოებებში.

მაშინ, როდესაც დასავლეთი ფასეულობების პოპულარიზაციით იყო დაკავებული, რუსეთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად საპატიოთა კავშირის დაშლა გამოაცხადა და საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად მეზობელ სახელმწიფოებზე მოსკოვის ზეგავლენის გაძლიერება დაასახელა. ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში ყოფნის პირველივე წლებში შეიქმნა „ლიბერალური იმპერიის“ დოქტრინა, რომელიც „ენერგეტიკული იარაღის“ გამოყენებით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე ზეგავლენის მოპოვებას ჯულისხმობდა. ოდნავ მოგვიანებით, 2004 წელს, პრეზიდენტმა პუტინმა საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება დაავალა: „არ დაგვავიწყდეს პოზიციების შენარჩუნება და განვითარება იქ, სადაც ადრე ჩადებულ იქნა უამრავი რესურსი... იქ ჩვენ ვახსოვართ და გვიცნობენ“<sup>1</sup>!

აქედან გამომდინარე, რუს პოლიტიკოსებს ახალი საზრუნოვი გაუჩინდათ – შექმნან საკუთარი ქვეყნის ახალი, დასავლეთისათვის მისაღები იმიჯი და იმავდროულად გააძლიერონ მეზობლებზე ზეგავლენის მექანიზმები. აღნიშნულის მისაღწევად კრემლმა საკუთარ პოლიტიკურ არსენალში ცვლილებები შეიტანა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება „რბილი ძალის“ (Soft Power) დანერგვას რუსულ საგარეო პოლიტიკაში. ამ იარაღს კონკრეტული „სამიზნე“ აქვს: როგორც ეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშშია აღნიშნული, შსოფლიში კულტურული ზეგავლენის მოპოვებისათვის ბრძოლის გაძლიერება საჭიროებს „რუსეთის საგარეო კულტურული პოლიტიკის“ რეალიზაციაში ჩართული ყველა სხვა სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის რესურსების მობილიზებას<sup>2</sup>, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ „ბრძოლაში“ მოსკოვის წარმატებას და მსოფლიოში რუსეთის საიფორმაციო-კულტურული ზეგავლენის გაძლიერებას.

1 [http://archive.kremlin.ru/appears/2004/07/12/0000\\_type63374type63378\\_74399.shtml](http://archive.kremlin.ru/appears/2004/07/12/0000_type63374type63378_74399.shtml)

2 რუსეთის ფედერაციის საგარეო, პოლიტიკური და დიპლომატიკური საქმიანობა 2008 წელს, გვ.147 [http://www.mid.ru/brp\\_4.nsf/itogi/B286E140E4B7E48AC325752E002DEF65](http://www.mid.ru/brp_4.nsf/itogi/B286E140E4B7E48AC325752E002DEF65)

2007 წელს რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაში პირველად გამოჩნდა „საგარეო პოლიტიკის ჰუმანიტარული მიმართულება“ . რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ დოკუმენტში არა-ორაზროვნადა მითითებული, რომ კულტურა, განათლება და მეცნიერება, საზღვარგარეთ თანამემამულეთა ინტერესების დაცვა, საკონსულო საქმიანობა და რუსული მედია წარმოადგენს რუსეთის საგარეო პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტებს.

ამ საშუალებებს მოსკოვი მუდმივად იყენებს მეზობელ ქვეყნებზე საკუთარი ზეგავლენის გასაძლიერებლად. მაგალითისათვის, „თანამემამულეთა დაცვა“ - სწორედ ის მოტივია, რითაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი შეირადებული ძალები შემოიყვანა. სწორედ „თანამემამულებზე ზრუნვის“ საბაბით განხორციელდა აფხაზეთისა და სამხრეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის უკანონო პასპორტისაცია, მოსახლეობის სტრუქტურის ხელივნური შეცვლა და საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია და ანექსია.

საგარეო პოლიტიკის „ჰუმანიტარული მიმართულების“ მიზნებისათვის გამოიყენება როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები, ასევე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიუჯეტი. „რბილი ძალის“ განხორციელებაში ჩართულია რუსული მედიაც და ისეთი ერთი შეხედვით საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორიცაა ფონდი „რუსეთი მირ“. ეს ორგანიზაციები ფინანსდება ფედერალური ბიუჯეტიდან და, შესაბამისად, დაკვეთასაც სახელმწიფოსაგან იღებს. მათი საქმიანობის მიზნები და ამოცანები ასახულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირეულ დოკუმენტებში, როგორებიცაა საგარეო პოლიტიკის მიმართულებები, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიური ანგარიში, თანამემამულეთა დაცვის სახელმწიფო პროგრამა და სხვ.

ერთ-ერთ სტატიაში ვლადიმერ მუკომელი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტის სექტორის გამგე და ეთნოპოლიტიკური და რეგიონალური კვლევების ცენტრის დირექტორი, აღნიშნავს: იმი-გრანტები მათი წარმოშობის ქვეყნებზე საგარეო პოლიტიკური ზენტრის მნიშვნელოვანი რესურსია. სავიზო რეჟიმის შემოღება (ან შემოღების

მუქარა), არალიარებული სახელმწიფოების მოქალაქეთა ნატურალიზაცია, რეადმისიაზე მოლაპარაკებების ინიციირება, სხვა ქვეყნის მოქალაქეების ყრილობების ჩატარება მათ სახელმწიფოებში არჩევნების წინ, მოსახლეობრე ქვეყნების მკვიდრი მოსახლეობის დევნა რუსეთის ტერიტორიაზე (საკუთარი მოქალაქეების ჩათვლით) გადაიქცა პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყოველდღიურ ინსტრუმენტად.<sup>3</sup>

„Soft Power“-ის მექანიზმი კარგადაა დამუშავებული რუსეთის სამეცნიერო-კულტურით ცენტრებში. უფრო მეტიც, როგორც საბჭოთა კავშირის ღირსეული სამართალმემკვიდრე, პუტინისეული რუსეთი სრულად იყენებს ყოფილი საბჭოური პროპაგანდისტული მანქანის მიღწევებს და ამ გამოცდილებით გამდიდრებული „რბილის ძალის“ მთელი არსენალის რეალიზაციას ახდენს მეზობელ სახელმწიფოებში (მაგალითად ბალტიის ქვეყნები, მოლდოვა, უკრაინა და სხვ). ბოლო წლებში სულ უფრო აქტიურად ხდება მისი გამოყენება საქართველოსთან მიმართებაშიც.

2008 წლის 25 სექტემბერს (რამდენიმე კვირაში საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ) პრემიერმა პუტინმა „მწვანე შექი“ აუნთო რბილ ძალას საქართველოსთან მიმართებაში. „საჭიროა განვავითაროთ ძმური ურთიერთობები საქართველოს ქალაქებთან, იმიტომ, რომ საქართველოს გასაგლევად გადაცემა ნაციონალისტებისა და უპასუხისმგებლო ადამიანებისათვის იქნებოდა არასწორი.“<sup>4</sup> ომის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტს, პრემიერსა და სხვა მაღალინობების არაერთხელ გამოუხატავთ საჯუთარი „ნაში ვრძნობები“ ქართველ, აფხაზ თუ ას ხალხებთან მიმართებაში, მაგრამ კრემლის პოლიტიკის ფუტობრივი შედეგების გათვალისწინებით, ეს „სენტიმენტულიზმი“ რადგივალურად განსხვავდება სამომავლო თანამშრომლობის ჭეშმარიტი სურვილისაგან.

რას წარმოადგენს კრემლისეული „რბილი ძალა“? რით განსხვავდება Soft Power -ის რუსულ ინტერპრეტაცია ტრადიციულისაგან? როგორ იყენებს მას ოფიციალური მოსკოვი საჯუთარი ინტერესებისათვის და არის თუ არა ეს „ფასულობათა ექსპორტი“?

3 [http://www.globalaffairs.ru/number/n\\_10942](http://www.globalaffairs.ru/number/n_10942)

4 <http://premier.gov.ru/visits/ru/6068/events/1975/>

წინამდებარე წიგნი სწორედ „რბილი ძალის“ კრემლისეულ ინტერპრეტაციას ეძღვნება. ჩვენ განვიხილავთ რუსული "Soft Power"-ის ყველა მიმართულებას, რომელიც გამოიყენება საქართველოსთან მიმართებაში. აღვწერთ მათი მოქმედების მექანიზმებს, ზემოქმედების შედეგებსა და სამო-მავლო საფრთხეებს.

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე ნაშრომის ავტორთა ჯგუფი წინააღმდეგია ქსენოფონის ნებისმიერი გამოვლინების და პატივს სცემს ყველა ერსა და ეროვნებას. მით უმეტეს, ნაშრომი არ არის მიმართული რომელიმე ხალხის ან ხალხების წინააღმდეგ. ჩვენი მიზანია, განვასხვაოთ ღირებულებები საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებისაგან, გამოვავლინოთ ის საფრთხეები, რომელიც შესაძლოა საგულდაგულოდ იყოს „შეფუთული“ და პერსპექტივაში სერიო-ზულ საშიშროებას წარმოადგენდეს როგორც საქართველოში მცხოვრები ხალხებისათვის, მათ შორის აფხაზებისა და ოსებისათვის, ასევე ზოგადად საქართველოს, როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ კონრად ადენაუერის ფონდს, რომელმაც აღნიშნული კვლევის განხორციელებაში უდიდესი დახმარება გაგვიწია. სწორედ მისი უშუალო თანდგომითა და მხარდაჭერით გამოიცა წინამდებარე ნაშრომი.

## **თენგიზ ფხალაძე**

გეოპოლიტიკური კვლევების  
საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე

# რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ძირითადი ვექტორები

თენიშვილი ფასაძე, გიორგი ვოლაძე

„არის რეგიონები, სადაც რუსეთს აქვს პრივილეგირებული ინტერესები. ამ რეგიონებში არის ქვეყნები, რომელთანაც ჩვენ ტრადიციულად გვაერთიანებს მეგობრული და კეთილმეზობლური ინტერესები, ისტორიულად განსაკუთრებული ურთიერთობები. ჩვენ ყურადღებით ვიმუშავებთ ამ რეგიონებში და განვავითარებთ ასეთ მეგობრულ ურთიერთობებს ამ ქვეყნებთან, ჩვენს ახლო მეზობლებთან“.<sup>5</sup> ეს გახდავთ ამონარიდი დიმიტრი მედვედევის 2008 წლის 31 აგვისტოს ინტერვიუდან. ამ „პრივილეგირებული ინტერესების“ ზონების ჩამონათვალში სამხრეთ კავკასია და, შესაბამისად, საქართველო უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. ამ რეგიონზე კონცრილის დამყარება ოფიციალური მოსკოვისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. კრემლს ჯერაც ვერ „მოუშუშებია“ ბალტიის ქვეყნების „იოლად დაკარგვა“ და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ არ დაუშვას მსგავსი პრეცენდენტის განმეორება, მით უმტკეს, საქართველოსთან მიმართებაში, რომელიც საკუთარი გეოსტრატეგიული მდებარეობით „კავკასიის გასაღებს“ წარმოადგენს. ამიტომაც, ამ მიმართულებით ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც რუსეთის „პრივილეგირებული ინტერესების“ ჩარჩოებს სცდება, აღიმება პირდაპირ მუქარად რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისათვის.

„ჩვენ სწორედ ასეთი პასუხი უნდა გაგვეცა. ნინააღმდეგ შემთხვევაში, შევწყვეტდით საკუთარი თავის პატივისცემას, დავკარგავდით კავკასიას და, საბოლოო ჯამში, დავკარგავდით მთლიანად რუსეთს. ვფიქრობ, არ მჭირდება თქვენთვის უბრალო ჭეშმარიტების დამტკიცება: რუსეთს შეუძლია იყოს ძლიერი და დიდი, ან ის არ იქნება საერთოდ. ეს ძალიან ტკბილი ლუკმაა,

5 <http://news.kremlin.ru/news/1276>

ჩვენი ტერიტორია, ბუნებრივი რესურსები, მთელი ჩვენი შესაძლებლობები ყოველთვის იზიდავდა და იზიდავს მრავალი შურანის მზერას. მსოფლიოში ცხოვრება არ გაიოლებულა, მაგრამ გამოჩენდა კიდევ ერთი ძალა (რუსეთის სახით) რომელსაც შეუძლია დაიცვას წესრიგი მსოფლიოში. და, ალბათ, ეს არის კავკასიის ომის მთავარი გაყვეთილი<sup>6</sup>. დიმიტრი მედვედევის ეს სიტყვები სრულად წარმოადგენინ საქართველოსა და კავკასიის რეგიონში რუსეთის „ექსკლუზიური ინტერესების“ ჭეშმარიტ შინაარსს.

სამწუხაროა, მაგრამ რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ნათლად მოწმობს: საჯუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოსკოვისათვის, უპირველეს ყოვლისა, მისი საზღვრების ახლო მდებარე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გაელენის დამკვიდრებაში გამოიხატება.

საბჭოთა კავშირის რღვევის საწყის პერიოდში ნათელი იყო, რომ რუსეთი მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით დაუპირისპირდებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ინფრასტრუქტურის აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების მცდელობას და მოუწევდა დასავლეთთან, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-თან ბრძოლა კავკასიის რეგიონისათვის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში აშკარა იყო მოსკოვის მისწრაფება კავკასიიდან გამოედევნა ე.წ. „არარეგიონალური მოთამაშები“. მართალია, ამისათვის რუსეთს არ ჰყოფნიდა „პოზიტიური“ ბერკეტები, როგორც იდეოლოგიური ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ გააჩნდა თავისი „ნეგატიური“ უპირატესობა – დაპირისპირებების პროვოცირება. სწორედ ამ ფაქტორის გამოყენებამ განაპირობა სამხრეთ კავკასიისა და კერძოდ საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტები წარმოშობა.

იმის გამო, რომ საქართველო არ ჩამოყალიბდა რუსეთის მტკიცე მოკავშირედ, რუსეთმა პრიბლების შექმნას შეუწყო ხელი ცხინვალის (1991) და აფხაზეთის (1992-1993) რეგიონებში. ეთნიკური ომების შემდეგ აქ ჯერ სამშვიდობო ძალების მეშვეობით დამკვიდრდა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მოახდინა დასახელებული რეგიონების ოკუპაცია.

---

6 <http://news.kremlin.ru/transcripts/1564>

დღეს რუსეთი კავკასიაში კონტროლს სწორედ ამ მექანიზმების ექსპლუატაციით ინარჩუნებს. როგორც ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, აგვისტოს ომი პშ-სა და რუსეთის კონკურენციის ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავს.

სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორების გარდა, რუსეთის პოლიტიკა აქცენტირებულია ენერგორესურსების წყაროებისა და სატრანზიტო გზების კონტროლის თემაზე. რუსეთის ეკონომიკა ძირითადად დამოკიდებულია ენერგონედლეულის რეალიზაციაზე, მაგრამ ენერგორესურსები მოსკოვი-სათვის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ეკონომიკის ელემენტი. ამ ფაქტორს რუსეთის დანარჩენ მსოფლიოსთან ხელსაყრელი პოლიტიკური ურთიერთობებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. როგორც მოსალოდნელი იყო, ენერგორესურსების საკითხისადმი ასეთი მნიშვნელობის მინიჭებამ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ რუსეთს სერიოზული პრობლემები აქვს თავის სამხრეთ ნაწილში (ჩრდილოეთ კავკასია). 90-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, აქ პრაქტიკულად არ შეწყვეტილა საომარი მოქმედებები ფედერალურ ძალებსა და აჯანყებულთა შორის. რუსეთი-სადმი მეტ-ნაცენტრად პოზიციური განწყობა მხოლოდ ჩრდილო ისეთის ავტონომიურ რესპუბლიკაშია. მიუხედავად სასტიკი ძალადობისა, განსაკუთრებით ჩეჩენითის რესპუბლიკაში, დასავლეთის ქვეყნები არ არიან ლოიალურები ჩრდილოკავკასიელ მებრძოლთა მიმართ, რადგან აშეარად იკვეთება მათი ორგანიზაციების კავშირი რადიკალურ ისლამისტურ მოძრაობებთან და ბრძოლაში აქტიურად იყენებენ ტერორისტულ მეთოდებს. რუსეთმა შეძლო კავკასიის რესპუბლიკებში მარიონეტული რეჟიმების ჩამოყალიბება, მათ შორის ჩეჩენითში (რ.კადიროვი).

ამდენად, რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში მოტივირებულია არა მარტო მოწინააღმდეგე სამხედრო პოლიტიკური ბლოკის საზღვრებთან მიახლოების პრევენციის ან ენერგორესურსების ტრანზიტის ალტერნატიულ დერეფანზე კონტროლის ინტერესით. მისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს თავის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მოქმედებების არეალის (ჩრდილო კავკასიის) ზურგის კონტროლს.

სწორედ ამ მიზტით დაიწყო საქართველოში რუსეთის აქტიური შემოსვლა XIX საუკუნის პირველი ნლებიდან. მან საქართველო ჯერ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშიგაერთიანა (1801), ხოლომცარებურობიდისადამოუკიდებლობის შემდეგ კი (1918-1921), ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი, საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერ იქნა ოუბირებული და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში (სსრკ) გაერთიანებული. ამავე პერიოდიდან გამოიკვეთა ენერგორესურსებით მდიდარი კასპიის ზღვის რეგიონისა და სატრანზიტო გზების კონტროლის ინტერესი.

ფაქტიურად, საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, ტერიტორიების ფაქტიური ანექსით რუსეთმა მოახდინა თავისი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ცალკეული ამოცანების ძალისმიერი რეალიზაცია: პრობლემა შეუქმნა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში განვითარიანებისა და ენერგორესურსების გადაზიდვის გლობალურ სისტემებში საქართველოს სტაბილურ პარტნიორად ჩამოყალიბების პერსპექტივას.

რუსეთს ეფექტური ბერკეტები აქვს აგრეთვე სომხეთსა და აზერბაიჯანზე გავლენისათვის. სომხეთი მთიანი ყარაბაღისა და მიმდებარე რაიონების ოკუპაციის გამო გარე სამყაროსაგან იზოლირებულია აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ, მოწყვეტილია ყველა რეგიონულ ენერგოპროექტს და აზერბაიჯანისაგან მუდმივი რევანშის მოლოდინშია; ტვირთების მიღების ერთადერთი გზა საქართველოს გავლით რჩება. რუსული გაზის მიღებასაც საქართველოზე გამავალი ტრანზიტული მილით ახდენს. მისი ბოუკეტის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ მყოფი შეძლებული თანამემამულეების დახმარებით იქსება, თუმცა მათი აქტიური ლობირების მიუხედავად, სომხეთი ვერ წყვეტს უსაფრთხეების პრობლემას. ირანთან მისი ურთიერთობები განუვითარებელი და ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოა. ამდენად, ერევანი მთლიანადაა დამოკიდებული მოსკოვზე. სომხეთი კოლეგიური უსაფრთხეობის ხელშეკრულების წევრიცაა, სადაც მასთან ერთად გაერთიანებულია რუსეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ბელორუსი. ეს სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება მოსკოვის მიერაა ინიცირებული და ისევე, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი (დს), ყოფილი სსრკ-ს სივრცეში გავლენის კიდევ ერთ მექანიზმს წარმოადგენს.

პოლიტიკური ვითარებისა და ენერგეტიკაზე დამოკიდებული ეკონომიკის გათვალისწინებით რუსეთთან ლოიალურ ურთიერთობას უფრთხილდება შეერბაოჯანი. რუსული კომპანიები ჩართულები არიან შეერბაოჯანში მოქმედ საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციებში. ამასთანავე, რუსეთი წარმოადგენს აზერბაიჯანული ენერგორესურსების სატრანზიტო პარტნიორს. რაც მთავარია, ამერიკასთან და საფრანგეთთან ერთად რუსეთი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისათვის შექმნილი მინსკის ჯგუფის გავლენიანი წევრია. რუსეთი სომხეთის სამხედრო „მფარველიცაა“ (გიუმრის სამხედრო ბაზა), რაც აზერბაიჯანისათვის მოსკოვთან ურთიერთობების დაბალანსების კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია. საქართველოში მოსკოვის ზეგავლენის გაძლიერების შემთხვევაში უკვე აზერბაიჯანი აღმოჩნდება რუსული იმპლაციის მძევლის როლში, რასაც უცილობლად მოჰყვება კასპიის აუზისა და ცენტრალური აზიის რეგიონების რეალური გადაქცევა რუსეთის „პრივილეგირებული ინტერესების“ არა თეორიულ, არამედ ფაქტობრივ ზონად.

# რუსული „რბილი ძალის“ არსი და ძირითადი ამოცანები საქართველოში

თენის ფერები

ერთ-ერთ სტატიაში მოსკოვის კარნევის ცენტრის ხელმძღვანელი დიმიტრი ტრენინი აღნიშნავს, რომ სანქციების პოლიტიკამ საქართველოსთან მიმართებაში ვერ გაამართლა და შედეგად მოიტანა საქართველოს კიდევ უფრო მეტად დაშორება რუსეთისაგან, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ კულტურულადაც. ის გათვლა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ქართველები „გონს მოვლენ“ და უკრაინელების მსგავსად აირჩივენ იმ ხელისუფლებას, რომელიც წავა მოსკოვთან დათმობებზე, შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ამიტომაც, დადგა დრო, შეიცვალოს მიდგომა ქართული პრობლემის მიმართ. „იმის მაგივრად, რომ ქართველი ხალხი ვაქციოთ რუსეთის ხელმძღვანელობის სააკაშვილთან ურთიერთობის მქევლად, საჭიროა გაეზარდოთ რუსეთის მიმზიდველობა საქართველოს საზოგადოებრიობის თვალში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, „უხეში ძალა“ უნდა შეიცვალოს „რბილი ძალით“.<sup>7</sup>

საქართველოს მიმართ კეთილგანწყობის იმიჯის შექმნას არა მხოლოდ რუსი ექსპრტები, არამედ კრემლის მსვეურებიც ცდილობენ. 2009 წლის 16 ნოემბერს რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა ევგენი პრიმაკოვს დაბადების დღე მიულოცა და ცველასთვის მოულოდნელად საქართველოს გამთლიანება დააგალა. გადაუქრელი საკითხები ჩვენთვის არ არსებობს – აღნიშნა პუტინმა – საქართველოს გამთლიანების საკითხი გადაჭრადია! ეს განცხადება რუსეთის პრემიერმა საჯაროდ გააკეთა და დასინა, რომ დარწმუნებულია და იმე-დოვნებს, რომ მისი სიტყვები დარბმზის კედლებს აუცილებლად გასცდება.<sup>8</sup>

7 <http://www.carnegie.ru/publications/?fa=41353>

8 <http://www.gazeta.ru/column/rynska/3287611.shtml>

მნიშვნელოვანი ის გარემოც, სადაც ეს სიტყვები წარმოითქვა. წვეულებას მოსკოვში მოღვაწე ბევრი ცნობილი ქართველი ესწრებოდა და პუტინის გამოსვლის შემდეგ დარბაზში რევზზ ლალიძის „თბილისო“ -მაც კი გაუჟღვრა! თუმცა, ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ასეთი განცხადებები „შემთხვევით“ არ კეთდება. მით უმეტეს, ევგენი პრიმაკოვი ის პიროვნებაა, რომელიც დავალებებს მხოლოდ „პიარისა“ და რეკლამისათვის არ იღებს, თანაც საჯუ-თარ დაბადების დღის აღსანიშნავად მოწყობილ საჩეიმო წვეულებაზე!

პუტინის ზემოხსენებული განცხადება „საქართველოს გამთლიანების“ შესახებ „Soft Power“-ის „რუსული ინტერპრეტაციის“ აშეარა მაგალითია. ერთი მხრივ, რუსეთის პრემიერი ყველას, და მათ შორის დასავლეთის, გასაგონად აღნიშნავს, რომ „კონსტუქციულადა“ განწყობილი საქართ-ველოს მიმართ და მზადაა დიალოგისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ხაზს უსვამს საკუთარ „ძლევამოსილებას“ – „ჩვენთვის გადაუქრელი საკითხები არ არსებობს“ და როცა მოგვინდება მაშინ წაგართმევთ ან დაგიბრუნებთ ტერიტორიებსო!

2008 წლის აგვისტოს შემდეგ რუსეთის ოფიციოზი ხშირად საუბრობს საქართველოსთან „ახალ ურთიერთობებზე“. მოსკოვი ცდილობს შექმნას კონსტრუქციული პარტნიორის იმიჯი და დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოება საკუთარ ჰემანურობასა და კეთილმებობლური ურთიერთობების სურვილში. ბუნებრივია, აღნიშნულს შორს მიმავალი მიზნები აქვს. რუსეთის ფედერაციამ უკვე არაერთხელ განაცხადა ღიად საკუთარი ამბიციის შესახებ, გახდეს ევროპული უსაფრთხოების ახალი სისტემის მთავარი შემოქმედი და არქიტექტორი. 2009 წელს პრეზიდენტმა მედვედევმა უკვე წარადგინა საკუთარი კონცეფცია აღნიშნულთან დაკავშირებით. მაგრამ ამ ინიციატივამ სასურველი რეზონანსი ჯერაც ვერ მოიპოვა. დასავლეთი ვერ აღიარებს უსაფრთხოების ახალი სისტემის არქიტექტორად ქვეყანას, რომელსაც მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორია აქვს ანექსირებული.

ამდენად, იმიჯის შეცვლა საქართველოსთან მიმართებაში კრემლისათვის მნიშნელოვან ტაქტიკურ ამოცანას წარმოადგენს, რომელიც მას საკუთარი სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში დაეხმარება.

როგორია ამჟამად და როგორი შეიძლება იყოს უახლოეს მომავალში კრემლის „რბილი ძალის“ რეალიზაციის მექანიზმები საქართველოსთან მიმართებაში? რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო საგარეო პოლიტიკის ჰუმანიტარული მიმართულების რამდენიმე ინსტრუმენტს გამოყოფს:<sup>9</sup>

- საზღვარგარეთ თანამემამულებითა ინტერესების დაცვა;
- საკონსულო საქმიანობა;
- უფლებადაცვითი პრობლემატიკა;
- თანამშრომლობა კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში.

აღნიშნულს ემატება საინფორმაციო უზრუნველყოფა და ყოველივე ეს მოსკოვის საგარეო პოლიტიკის დიპლომატიურ არსენალში ერთიანდება. შესაბამისად, დასახული ამოცანების განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულები როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო, ასევე „როსსოფრუდ-ნიჩესკო“ (დამოუკიდებლ სახელმწიფოთა თანამემამულების, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობის ფედერალური სააგენტო), განათლების მეცნიერებისა და კულტურის სახელმწიფო დაწესებულებები, კვლევითი ცენტრები, კრემლის მიერ კონტროლირებადი საზოგადოებრივი ორგანიზაციები (მაგალითად ფონდი „რუსსკი მირ“ ("Русский Мир"), მოსკოვის თანამემამულის სახლი „Московский Дом Соотечественника“ და სხვ.) და მედია საშუალებები.

საინტერესოა იდეოლოგიური პლატფორმა, რომლითაც რუსეთი ცდილობს ახალი იმიჯის წარმოჩენას. უპირველეს ყოვლისა, ეს არის „რუსული სამყაროს“ იდეა. პირველად ამ ფორმულირებამ 2007 წელს, პრეზიდენტ ჰუტინის რუსეთის ფედერალური კრების მიმართ გამოავნილ ყოველწლიურ მიმართვაში გაიჟდერა: „მიმდინარე წელს, რომელიც გამოცხადებულია

---

9 [http://www.mid.ru/Brp\\_4.nsf/arith5837BBE2727D8C3DC32576E9003AD888?OpenDocument](http://www.mid.ru/Brp_4.nsf/arith5837BBE2727D8C3DC32576E9003AD888?OpenDocument)

რუსული ენის წლად, გვაქვს მიზეზი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ რუსული ენა – ესაა ხალხთა ისტორიული ძმობისა და მართლაც რომ საერთაშორისო ურთიერთობების ენა. იგი არა მხოლოდ ჭეშმარიტად მსოფლიო მიღწევების შემნახველ პლასტს წარმოადგენს, არამედ არის მრავალმილიონიანი „რუსული სამყაროს“ ცოცხალი სივრცე, რომელიც, რა თქმა უნდა, გაცილებით ფართოა, ვიდრე თავად რუსეთი<sup>10</sup>.<sup>10</sup> სწორედ ამ განცხადებიდან ორი თვის თავზე, 2007 წლის 21 ივნისს, ვლადიმერ პუტინის ბრძანებულებით შეიქმნა ფონდი „რუსეთი მირ“, რომლის ოფიციალური დამფუძნებლებიც არიან რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროები. ორგანიზაციის ძირითად ამოცანებად კი „რუსეთისათვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის შექმნა“ და ზოგადად „რბილი ძალის“ პოპულარიზაცია განისაზღვრა.<sup>11</sup>

„რუსული სამყაროს“ არსის გამოსარცვევად და შესასწავლად რუსეთში რამდენიმე თეორეტიკული სკოლა აღმოცენდა. ფონდ „რუსეთი მირის“ აღმასრულებელი დირექტორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვიაჩე-სლავ ნიკონოვი სამ ასეთ მიმართულებას გამოყოფს:<sup>12</sup>

- გეოპოლიტიკური, რომელსაც წარმოადგენს ალექსანდრე დუგინი და ვადიმ ციმბურსკი. მათ მიერ იქნა შემუშავებული კონცეფცია „კუნძული რუსეთი“ («Остров Россия»). აღნიშნული გულისხმობს ერთგვარი იზოლირებული, ჩაეტილი სამყაროს შექმნას პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ალიანსის შექმნის საშუალებით. ამ შემთხვევაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა უნდა მოახდინონ რუსეთის უსაფრთხოებისა და ევრაზიის კონტინენტზე სუვერენულობის უზრუნველყოფა. კონცეფციაში აქცენტი კეთდება რუსეთის ცივილიზებულ თვითმყოფადობაზე, რომელიც უპირისპირდება პეტრე I-ის მიერ დასავლურ სამყაროსთან შერწყმის პოლიტიკას.

10 [http://archive.kremlin.ru/appears/2007/04/26/1156\\_type63372type63374type82634\\_125339.shtml](http://archive.kremlin.ru/appears/2007/04/26/1156_type63372type63374type82634_125339.shtml)

11 <http://www.russkiymir.ru/russkiymir/ru/fund/about>

12 <http://www.russkiymir.ru/russkiymir/ru/analytics/article/news0013.html>

- გეოეკონომიკური – წარმოადგენენ პიოტრ შჩედროვიცები და ალექსანდრე ნეკლესსა. ამ სკოლის წარმომადგენლები საუბრობენ „რუსულ გეოეკონომიკურ სამყაროზე“, რომელიც იქმნება დიდი რაოდენობის რუსული დიასპორებისაგან, მათ შორის მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწეებისაგან. ამ დიასპორობების დაყრდნობით რუსეთი ერთვება დასავლეთის ტექნოლოგიურ და ფინანსურ რესურსებში, ხდება მისი შეღწევა დასავლეური ცივილიზაციის პოლიტიკურ და კულტურულ ბირთვში, რითაც რუსეთი გაიმაგრებს საკუთარ პოზიციებს გლობალურ ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ამ მიმართულების იდეოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს ფორმულა: ილაპარაკე რუსულად = იზიროვნე რუსულად = მოქეცი რუსულად.
- მესამე სკოლა – გეოულტურული პარადიგმა, რომელიც წარმოდგენილია სერგეი გრადიროვსკისა და მორის მეუკევს ნაშრომებით. ამ მიმართულების თანახმად, რუსული სამყაროს ამოცანაა რუსეთის ინტეგრაცია მიგრაციული ნაკადების „სათავე ქვეყნებთან“, რომლებიც ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეში მდებარეობენ. ამ შემთხვევაში რუსეთმა უნდა შექმნას საზოგადოებრი ბრიტანული ერთა თანამეგობრობის ან იბერიულ-ამერიკული სახელმწიფოების გაერთიანების, ან ფრანკოფონური ერების თანამეგობრობის პრინციპით.

როგორც ვიაჩესლავ ნიკონოვი აღნიშნავს, ფონდი „რუსსკი მირ“ საკუთარ საქმიანობაში იყენებს ყველა ამ თეორიული სკოლის ცალკეულ დებულებებს და თან „რუსული სამყაროს“ საკუთარ ხედვას აყალიბებს. ამ კონცეფციის თანხმად, თუ სახელმწიფოს შიგნით „რუსი“ ეთნოკულტურული იდენტურობის აღმნიშვნელია, ქვეყნის საზღვრებს გარეთ ეს ცნება ზეეთნიკურობის, სუპერეთნიკურობისა და გარკვეულ წილად ცივილიზაციურობის განმსაზღვრელი ხდება. რუსული სამყარო კი არის „რუსეთი პლიუს რუსული საზღვარგარეთი“. ეს „არის ცივილიზაცია და როგორც ცივილიზაცია,

გაცილებით ფართოა, ვიდრე ეთნოსები და ერები, ტერიტორიები, რელიგიები, პოლიტიკური სისტემები და იდეოლოგიური მიდრეკილებები“.<sup>13</sup>

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ეს კონცეფციები კრემლის მიერ სტრატეგიულ დოკუმენტებში განსაზღვრული ამოცანების, კერძოდ კი პოსტსაბჭოთა სივრცეზე საკუთარი ძლიერების გაზრდისაკენ მიმართული დოქტრინები უფროა, ვიდრე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ფასეულობების მატარებელი თეორიები. ისინი შექმნილია მოსკოვის „რეალური პოლიტიკის“ განხორციელებისათვის. იმისათვის რომ, როგორც სერგეი კარაგანოვი აღნიშნავს, რუსეთი „თავზიანდ იღიმებოდეს და არა დამცინავად“<sup>14</sup> და მოკლებულია სწორედ იმ მთავარ ღირებულებების სისტემას, რომელითაც გამოირჩევა ჯოზეფ ნაის მიერ შექმნილი “Soft Power”-ის კონცეფცია. თავად ნიკონოვი გულისტყვივილით აღნიშნავს, რომ რუსეთს არ გააჩნია იდეოლოგია, რომელსაც შესთავაზებდა მსოფლიოს.<sup>15</sup>

ამდენად, რუსული „რბილი ძალა“ ოფიციალური მოსკოვის მიერ განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც არა ზოგადად ფასეულობების გავრცელებას, არამედ კრემლისა და რუსეთის მმართველი ელიტის ინტერესებს ემსახურება. ისევ ვლადიმერ პუტინს დავესესხებით: „ლიდერობა მუდმივად უნდა გავამყაროთ ეფექტური საქმეებით, ეფექტური პოლიტიკით. პირველხარისხოვან ამოცანად კვლავაც რჩება ბალტიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში ჩვენი თანამემამულეების, ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესებისა და უფლებების დაცვა. მოვიდა დრო, ხელი მოვკიდოთ თანამეგობრობის ქვეყნებში მსხვილი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების შექმნას ჩვენს თანამემამულეებთან სამუშაოდ.“<sup>16</sup>

13 <http://www.russkiymir.ru/russkiymir/ru/analytics/article/news0013.html>

14 [http://www.svop.ru/live/news.asp?n\\_id=24659](http://www.svop.ru/live/news.asp?n_id=24659)

15 <http://www.russ.ru/Mirovaya-povestka/Komponentov-myagkoj-sily-u-Rossii-nemnogo>

16 [http://archive.kremlin.ru/appears/2004/07/12/0000\\_type63374type63378\\_74399.shtml](http://archive.kremlin.ru/appears/2004/07/12/0000_type63374type63378_74399.shtml)

ამდენად, რუსეთის ახალი იმიჯის, რუსული „რბილი ძალისა“ და მისი ცალკეული კომპონენტების შესახებ საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ძირითადი მიზნები, რომელთა რეალიზაციისკენაც მიისწრაფებან ამ იდეოლოგიების მთავარი შემოქმედები.

თავი 1.

რუსეთის ფედერაციის  
დიპლომატიური  
აქტივობები  
საქართველოსთან  
მიმართებაში

# ოკუპირებული ტერიტორიები

თენაგიზ ფხალაძე

2008 წლის აგვისტოს შემდგომ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა მის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესის აუცილებლობის დასაბუთება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთარი ქმედებების ლეგალიზაცია, ამ ტერიტორიების „ათვისება“, საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში და საქართველოს, როგორც არასტაბილური და აფრესორი ქვეყნის იმიჯის დამკვიდრება საერთაშორისო თანამეგობრობაში.

ოკუპირებული ტერიტორიების „ათვისება“ მოსკოვმა, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი ბაზის, „შექმნით“ დაიწყო. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რითაც უხეშად დაარღვია მანამდე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის აღიარების ფაქტამდე ორი კვირით ადრე (2008 წლის 12 აგვისტოს) მის მიერვე ხელმოწერილი სააკაშვილი-სარკოზი-მედვედევის ექვსპუნქტიანი შეთანხმება. 2008 წლის 9 სექტემბერს, ნოტების გაცვლის გზით, მოსკოვმა „დიპლომატიური ურთიერთობები“ დაამყარა სოხუმისა და ცხინვალთან, ხოლო უკვე 2008 წლის 17 სექტემბერს მათთან „მეგობრობისა და თანამშრომლობის“ ხელშეკრულებები გააფორმა. შემდგომ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო საზოგრაფის დაცვისა და სამხედრო თანამშრომლობის სფეროებში, რომლებიც ოფიციალური მოსკოვის ღრმა რწმენით „მოწოდებულია არა მხოლოდ ამ რესპუბლიკების, არამედ მთლიანად რეგიონის უსაფრთხოების გასაძლიერებლად“. მთლიანობაში 2008-2010 წ.წ. მოსკოვმა ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან“ დაახლოებით 30-30 „სახელმწიფოთშორისი, მთავრობათშორისი

და „უწყებათშორისი დოკუმენტი“ გააფორმა.<sup>17</sup> ამ ე.წ. „სამართლებრივი ბაზის“ არსს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის და ანექსიის ფაქტის გამართლება და ამ ტერიტორიების შემდგომი კოლონიზაციის ლეგალიზაცია წარმოადგენს.

რუსეთმა და ოუგირებული ტერიტორიების დე ფაქტო მმართველებმა „დიპლომატიური წარმომადგენლობებიც“ გაცვალეს. 2009 წლის 1 მაისს გაიხსნა რუსეთის ფედერაციის „საელჩო“ აფხაზეთში,<sup>18</sup> ხოლო 2010 წლის 17 მაისს – აფხაზეთის „საელჩო“ მოსკოვში.<sup>19</sup> მოსკოვში ასევე ფუნქციონირებს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საელჩოც“.<sup>20</sup> რაც შეეხება რუსეთის „დიპლომატიურ წარმომადგენლობას“ ცხინვალში, იგი ასევე მოქმედებს,<sup>21</sup> მაგრამ უკეთესი სამუშაო პირობების შესაქმნელად, ვლადიმერ პუტინის პირადი მითითებით, ქ. ცხინვალში მიმდინარეობს „საელჩოს“ წარმომადგენლობითი კომპლექსის მშენებლობა, რაც ითვალისწინებს სამსართულიან საოფისე და ექვსსართულიან საცხოვრებელ ნაგებობებს. კომპლექსის მშენებლობის დასრულება გათვალისწინებულია 2012 წელს.<sup>22</sup>

იმავდროულად, დიდი ინტენსივობით ვითარდება „ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები“. ედუარდ კოკოითისა და სერგეი ბალაფშის ვიზიტებმა მოსკოვში ფაქტიურად რეგულარული ხასიათი მიიღო. ძირითადი შეხვედრები იმართება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მინისტრთა კაბინეტსა და რუსეთის მთავრობის სხვა სტრუქტურებში, ასევე მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში, რუსეთის საპატრიარქოში, უფრო იშვიათად კი დიმიტრი

---

17 [http://www.mid.ru/Brp\\_4.nsf/arth/5837BBE2727D8C3DC32576E9003AD888?OpenDocument](http://www.mid.ru/Brp_4.nsf/arth/5837BBE2727D8C3DC32576E9003AD888?OpenDocument)

18 <http://www.interfax.ru/society/news.asp?id=77530>

19 <http://www.newsru.com/russia/17may2010/abhazposol.html>

20 <http://osembassy.ru/ru/>

21 <http://www.rfsosetia.mid.ru/>

22 <http://cominf.org/node/1166484231>

მედვედევთან და ვლადიმერ პუტინთან.<sup>23</sup> აღარაფერს ვამბობთ ოკუპირებული რეგიონების „მთავრობების“ სხვა წევრების მიმოსვლაზე რუსეთის ფედერაციაში. თუკი ამ „ვიზიტებს“ კარგად ჩაფიქრობავდებით, რაც ცალკე კვლევის საგანია, ნათლად დავინახავთ, რომ მათი შინაარსი და ხასიათი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში რეგიონული დონის პარტიული ჩინოვიკების სტუმრობას უფრო შეესაბამება, ვიდრე დამოუკიდებელი ქვეყნების დიპლომატიურ ურთიერთობებს.

სოხუმსა და ცხინვალს ასევე ხშირად სტუმრობენ რუსეთის ფედერაციის მაღალი და უმაღლესი რანგის სახელმწიფო დელეგაციები. მაგალითისათვის, დიმიტრი მედვედევის ვიზიტები აფხაზეთსა (8 აგვისტო 2010 წ.)<sup>24</sup> და სამხრეთ ოსეთში (13 ივლისი 2009 წ.),<sup>25</sup> ასევე ვლადიმერ პუტინის ვიზიტი აფხაზეთში (12 აგვისტო 2009 წ.).<sup>26</sup> ხაზგასასმელია რუსეთის საპატრიოქოს აქტივობაც. ეფუარდ კოკოითს მონაწილეობა აქვს მიღებული რუსეთის საპატრიოქოს მიერ ორგანიზებულ არაერთ ლონისძიებაში და რამდენიმე შეხვედრაც ჰქონდა რუსეთის ეკლესიის მაღალინოსნებთან.<sup>27</sup> რაც შეეხება სერგეი ბალაფშეს, იგი პირადად მიიღო მოსკოვისა და სარელიიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა. როგორც ჩანს, რუსული ეკლესია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება აფხაზეთს, რჩედაც მოსკოვის საპატრიოქოს საიტზე არსებული ინფორმაციაც მეტყველებს.<sup>28</sup>

- 
- 23 უფრო დაწერილებით ვიზიტების ქრონოლოგიების შესახებ იხ: <http://www.mfaabkhazia.net/ru/russia>; <http://www.mid.ru/ns-reuro.nsf/strana?OpenView&Start=1&Count=30&Expand=1#1> და <http://presidentrso.ru/>
- 24 <http://news.kremlin.ru/news/8598>
- 25 <http://news.kremlin.ru/news/4778>
- 26 <http://premier.gov.ru/visits/world/6125/events/4729/>
- 27 <http://www.patriarchia.ru/search/?text=%D0%BA%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%B9%D1%82&x=0&y=0>
- 28 <http://www.patriarchia.ru/search/?text=%D0%B1%D0%B0%D0%B3%D0%B0%D0%BF%D1%88&x=0&y=0>

რუსეთის სხვა ოფიციალური პირების, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სტუმრობა იყეპირებულ ტერიტორიებზე უკვე ყოველდღიურობად გადაიქცა და მათი რაოდენობა ფაქტობრივად სტატისტიკურ მონაცემებში გადაიზარდა.

აღსანიშნავია მოსკოვის ძალისხმევა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ საერთაშორისო აღიარების მისაღწევად. საერთაშორისო საზოგადოებამ იმთავითვე დაიგვა საკმაოდ პრინციპული პოზიცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით და არაერთხელ მიმართა მოსკოვს საქართველოს ტერიტორიის დეოუპაციის მოწოდებით. დასავლეთის ქვეყნების გარდა ამ პოზიციაზე მტკიცედ დგანან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნებიც. ზენოლისა და შანტაჟის მიუხედავად, მოსკოვმა ამ სივრცეში ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახლმწიფოებად ცნობას ვერ მიაღწია. სამაგიეროდ, კრემლმა „გრანდიოზული დიპლომატიურ გამარჯვება“ მოიპოვა ნიკარაგუას, ვენესუელისა და ნაურუს მეშვეობით. ნიკარაგუამ, პირველმა რუსეთის შემდეგ, 2008 წლის 3 სექტემბერს აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“.<sup>29</sup> ერთი წლის შემდეგ, 2009 წლის 10 სექტემბერს, მას ვენესუელაც შეუერთდა.<sup>30</sup>

რაც შეეხება ნაურუს რეპუბლიკას, მან ოკუპირებული ტერიტორიების „დამოუკიდებლობა“ 2009 წლის დეკემბერში სცნო. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ მოვლენას წინ უსწრებდა ნაურუს მთავრობის მიმართვა მოსკოვისადმი, რომლითაც იგი 50 მილიონიან კრედიტს ითხოვდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „აღიარების“ სანაცვლოდ. რამდენიმე თვის განსჯის შემდეგ, კრემლმა რეალურ საფასურად მიიჩინა მოთხოვნილი თანხა და ნაურუსთან გარიგებაზე დათანხმდა.<sup>31</sup>

29 <http://www.regnum.ru/news/1050253.html>

30 <http://www.newsru.com/russia/10sep2009/chavez.html>

31 <http://www.runewsweek.ru/country/31746/>

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითები ნათლად წარმოაჩენს რუსული დიპლომატიისა და კრემლის პოლიტიკის რეალურ მიზნებს საქართველოს-თან მიმართებაში. მოსკოვისათვის მისაღებია მხოლოდ იმ ხასიათის საერთაშორისო ურთიერთობები, რომელიც არ შეენინალმდეგება მის იმპერიულ ზრახვებს და ხელს არ შეუშლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების „ათვისებაში“. ასეთ ვითარებაში კრემლისათვის მხოლოდ დისკომფორტის შემქმნელი იყო ის საერთაშორისო მისიები, რომლებსაც ამ ტერიტორიებზე შესვლისა და საქმიანობის მანდატი ჰქონდათ. ამიტომაც, მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართა ეუთოსა და გაეროს მისიების საქმიანობის შესაჩერებლად.

## რუსეთის პოლიტიკა ეუთოში

თორნიავ შარაშენიძე

ეუთოს დამკვირვებელთა მისია საქართველოში 1992 წლიდან მუშაობდა და მის უმთავრეს ამოცანას ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობა წარმოადგენდა. 2008 წლის ომის შემდეგ განვითარებული მოვლენების, კერძოდ კი რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ ცნობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ კრემლს არ სჭირდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციათა ყოფნა მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მით უმეტეს, რომ ომის შემდეგ, დასავლეთს სრული საფუძველი ჰქონდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მისიის გაძლიერებისათვის (ომამდე კონფლიქტურ ზონაში სულ ეუთოს ცხრა დამკვირვებელი იმყოფებოდა და მათ ვერაფრით შეუშალეს ხელი კონფლიქტის დაწყებას). საერთაშორისო ორგანიზაციების ყოფნას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთი მხოლოდ მაშინ შეეგუებოდა, თუკი ეს ორგანიზაციები ამა თუ იმ ფორმით მაინც სცნობდნენ „ახალ რეალობებს“ – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ეს მიდგომა ძალიან კარგად გამოიხატა იმ პოლიტიკაში, რომელიც რუსეთმა საქართველოში ეუთოს მისიის მიმართ გაატარა და რომლის შედეგადაც მისიის დახურვას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ რუსეთს უკვე ჰქონდა მსგავსი გამოცდილება. 2005 წელს მან დაბლოკა საქართველოში ეუთოს საზღვრის დამკვირვებელთა მისიის გაგრძელება, რომელმაც აშკარად დადგიოთი როლი შესარულა საქართველოსა და რუსეთს შორის იმ დაბაბულობის განმუხტვაში, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების მასობრივად გადმოდინებისას, ჩეჩენეთში რუსეთის მეორე სამხედრო კამპანიის მსვლელობის დროს. რუსეთმა საქართველოს პანკისის ხეობაში არა მხოლოდ მშვიდობიანი ლტოლვილების, არამედ შეიარაღებული ჩეჩენი მებრძოლების შეფარებაში დასდო ბრალი. რუსეთსა და ეუთოს შორის კონფლიქტი 2007 წლის დეკემბრის საპარლამენტო და

2008 წლის აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქვეყნიდან ODIHR-ის (ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფიციალური გაქცევებით გაგრძელდა. გაქცევების კულმინაციად პუტინის გამოსვლა იქცა, როცა მან ეუთოელებს ურჩია „საკუთარი ცოლებისათვის შჩის ხარშვა“ ესწავლებინათ.<sup>32</sup> რუსეთის უკმაყოფილება და გაღიმიანება ეუთოს მიმართ ჯერ კიდევ 1999 წელს დაიწყო, როცა სტამბულის სამიზნე რუსეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე, რომელიც მას საქართველოდან და მოლდოვადან სამხედრო ბაზების გაყვანას ავალდებულებდა. აქედან მოყოლებული, რუსეთმა საქართველოდან ბაზები პრაქტიკულად გაიყვანა, თუკი არ ჩავთვლით გუდაუთის (აფხაზეთი) ბაზას, რომელიც საერთაშორისო დამკირვებლებს სრულფასოვანი დაშვება არასოდეს ჰქონიათ. ცხადია, „ახალი რეალობების“ შექმნის შემდეგ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დამკირვებელთა დაშვება კიდევ უფრო მეტად შეუსრულებელ მისიად იქცა.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეუთოს მისიის დაბლოკვის პროცესი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა მოსკოვმა კონფლიქტის დროს იქაურობას გამორიდებულ დამკირვებლებს უბრალოდ იქ დაბრუნების უფლება აღარ მისცა. სამაგიეროდ, რუსეთმა საქართველოში მუშაობის უფლება დართო დამატებით ოც დამკირვებელს, ოღონდ, ისევ და ისევ, ეს დამკირვებლებიც სამხრეთ ოსეთის გარეთ რჩებოდნენ, რათა ქართული მხარე გაეკონტროლებინათ (რუსეთი პერიოდულად ყველა საერთაშორისო ფორუმზე გამოხატავდა შეშფოთებას, რომ საქართველო „ისევ იარაღდებოდა“).

საქართველოში ეუთოს მისიას 2009 წლის 1 იანვარს ეწურებოდა ვადა და რუსეთმა ამ თარიღსათვის მისიის გაგრძელების საკუთარი ვარიანტი მოამზადა, რომელიც წინასწარვე ცხადი იყო, რომ საქართველოსათვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა.

რუსული ვარიანტის მიხედვით, საქართველოში მისიის პარალელურად უნდა გახსნილოყო მისია სამხრეთ ოსეთში – „ცხინვალში ეუთოს მისია საცდელი (სამუშაო) მანდატით.“ მოსკოვს სურდა, რომ ეუთოს ახალი მისიის დანიშვნისას „ოფიციალურად გაეთვალისწინებინა 2008 წლის

---

32 <http://www.zavtra.com.ua/news/mir/62644/>

აგვისტოს შემდეგ რეგიონში მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები.“ ამ მისის გაგრძელება-შეწყვეტა არ უნდა ყოფილიყო თბილისის პრეროგატივა და საერთოდ იგი არანაირ კავშირში არ უნდა ყოფილიყო საქართველოში ეუთოს მისიასთან.

რუსულ ვარიანტში სამხრეთ ოსეთი მოხსენიებული იყო „მასპინძელ ქვეყნად.“ ასევე, ამ ვარიანტში ნახსენები იყო „საზღვარი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის.“ მანდატის მიხედვით მისიას მოეთხოვებოდა „ყველა საქმიანობა შეეთანხმებინა მასპინძელ ქვეყანასთან“ და ასევე „შეენარჩუნებინა კონტაქტები რუსულ სამხედრო კონტინენტთან.“ ეს უკანასკნელი, განხორციელების შემთხვევაში, უკვე ეუთოს მხრიდან ლეგიტიმაციას აძლევდა სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ბაზების ყოფნასაც. ასევე ჩაფიქრებული იყო სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ლეგიტიმაციაც: მისია ამ ხელისუფლებას უნდა დახმარებოდა ეთნიკურ ურთიერთობათა საკითხების მოგვარებაში. გარდა ამისა, სწორედ ამ ხელისუფლებას (და არა ეუთოს) უნდა შეერჩია მისის წევრები (ისევ ცხრა ადამიანი ხელმძღვანელის ჩათვლით) და ამ ხელისუფლებას უნდა ჰქონოდა კონტროლი მისის დამხმარე პერსონალზე. რაც ყველაზე მთავარია, მისის ორგანიზაციული საკითხები უნდა ჩამოყალიბებულიყო ცალკე შეთანხმებაში, რომელიც ეუთოს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან უნდა გაეფორმებინა. მისია ყოველ ექვს თვეში უნდა გაგრძელებულიყო „მასპინძელი ქვეყნის“ თანხმობით. შედეგად რუსეთი ეუთოში თავისი ვეტოს უფლების გარდა ამ ორგანიზაციაზე ზემოქმედების კიდევ ერთ ბერებულს იძნდა სამხრეთ ოსეთის მარიონეტული მთავრობის სახით.

ამ შემოთავაზების დროს რუსეთმა კოსოვოსა და მაკედონიის მაგალითი მოიშველია. ეუთოში რუსეთის წარმომადგენელმა ანვარ აზიმოვმა აღნიშნა, რომ ეს არ იქნებოდა პირველი შემთხვევა, როცა ორგანიზაცია თავის მისის გახსნიდა ისეთ ქვეყნებში (სამხრეთ ოსეთის გარდა რუსეთი აფხაზეთშიც მოითხოვდა მისის გამზავნას), რომელთაც ყველა სახელმწიფო არ სცნობდა.<sup>33</sup>

---

33 <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav122208a.shtml>

აღსანიშნავია, რომ რუსეთი „კეთილი ნების“ უქსტის გათამაშებასაც აპირებდა, აკისრებდა რა მისიას „ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის ხელის შეწყობას.“ თუმცა, ცხადი იყო რომ ამგვარი დაბრუნება არანაირად არ განხორციელდებოდა ეთნიკური ქართული სოფლების განადგურების შემდეგ. გარდა ამისა, რუსეთი „იძულებით გადაადგილებულ პირთა „ნაცვლად ტერმინ „ლტოლვილებს“ იყრენებდა, რითაც კიდევ ერთხელ აფიქსირებდა „ახალ რეალობას“ – ახალი სახელმწიფოს შექმნას, რომელშიც ლტოლვილები სხვა სახელმწიფოდან (საქართველოდან) უნდა დაბრუნებულიყვნენ.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს ვარიანტი მიუღებელი აღმოჩნდა, ეუთომ ნეიტრალური სტატუსის მისიის შექმნაზე დაიწყო მუშაობა. იქამდე კი (2009 წლის 30 ივნისამდე) რუსეთი დათანხმდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ოცკაციანი მისიის დატოვებაზე. საბოლოოდ, ეუთოს თავმჯდომარე ქვეყნამ, საბერძნეთმა შეიმუშავა კიდეც ნეიტრალური სტატუსის მისიის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ქართული მხრიდან ოცდაორი, ხოლო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კი რვა დამკირვებელი უნდა განლაგებულიყო, რომელთაც ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის უფლება ექნებოდათ. მაგრამ რუსეთმა ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ გადაადგილებაზე „მასპინძელი ქვეყნის“ თანხმობა უნდა ყოფილიყო საჭირო. საერთოდაც, ბერძნული ვარიანტი ისევ და ისევ „ახალ რეალობებს“ არ ითვალისწინებდა. აზიმოვმა საბერძნეთს მოუწოდა, თავისი პროექტის შემუშევებისას უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან და დაიმუქრა, რომ თუკი ყველაფერი „30 ივნისამდე არ გადაწყდებოდა და თუკი რუსეთის მოსამართებები გათვალისწინებული არ იქნებოდა“,<sup>34</sup> მაშინ რუსეთი საერთოდ ბოლოს მოუღებდა ეუთოს მისიას საქართველოში, რაც საბოლოოდ ასეც მოხდა. თუმცა, ამას არ შეუშლია რუსეთისათვის ხელი ეუთოს მისიის განყვეტაში საქართველო და მისი დასავლელი პარტნიორები დაედანაშაულებინა.

პარალელურად კი რუსეთი ისევ აკრიტიკებდა დასავლეთს საქართველოს შეიარაღებაში და „ქართული სამხედრო რეჟიმის“ ხელახლი გაძლიერების

გამო განგაშს ტეხდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარასინმა კი იმ პერიოდში აღნიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე ოპოზიციის მიტინგები „საქართველოს ამჟამინდელ სახელმწიფო მანქანში არსებულ სისტემურ დარღვევებზე“<sup>35</sup> მიანიშნებდა. ამგვარად, რუსეთმა არაორაზროვნად აგრძნობინა დასავლეთს, რომ არ ღირდა რუსეთთან დაპირისპირება და საერთოდ თავის შეწუხება საქართველოს გამო, რომლის ხელისუფლებაც ხალხის „მხარდაჭერას აღარ იმსახურებდა.“

გარდა ამისა, რუსეთი შეეცადა საქართველოსთან ომი გამოეყენებინა ეუთოს შემდგომი დისკრედიტაციისათვის და საერთოდ „ცივი ომის“ შემდგომი სტატუს კვოს გადახედვისათვის. რუსეთის ოფიციალური პირები დაუფარავად აკრიტიკებდნენ ეუთოს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო „საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთზე განხორციელებული აგრესიის“ თავიდან აცილება. ლავროვმა ეუთოს მინისტერიალზე ორგანიზაცია გააკრიტიკა ასევე 1999 წელს იუგოსლავის დაბომბვის გამოც (რომელიც ეუთომ ასევე ვერ აიცილა თავიდან). ლავროვმა ასევე გააკრიტიკა ეუთოს<sup>36</sup> დემოკრატიულ ინსტიტუტთა და ადამიანის უფლებათა ბიურო (ODIHR) ეუთოს წევრების „პირველი და მეორე ხარისხის“ სახელმწიფოებად დაყოფის გამო, რაც ქვეყნებს შორის უთანასწორობას უსვამს ხაზს.<sup>37</sup> ლავროვმა იქვე გაუსვა ხაზი, რომ რუსეთს ნამდვილად არ უნდა ეუთოს დასუსტება და მაგალითებად მოიყვანა რუსეთის მიერ ორგანიზებული შეხვედრა ჩერპაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებს შორის, როგორც ყარაბაღის კონფილიქტის მოგვარების გზაზე გადადგმული ნაბიჯი.

ეუთოს კრიტიკის მიუხედავად, რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა ეს ორგანიზაცია შეძლებისდაგვარად გამოეყენებინა საქართველოს წინააღმდეგ. კერძოდ, 2009 წლის იანვარში მოსკოვმა 1999 წელს ხელმოწერილი ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომებზე მოლაპარაკების შესახებ ხელმოწერილი ვენის დოკუმენტის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებული

35 <http://www.eurasianet.org/departments/insightb/articles/eav022309a.shtml>

36 [www.osce.org/item/40834.html](http://www.osce.org/item/40834.html)

37 [http://www.mid.ru;brp\\_4.nsf/2fee282eb6df40e643256999005e6e8c/09e3fadbb7882a2bc32573a2006b45f8?OpenDocument](http://www.mid.ru;brp_4.nsf/2fee282eb6df40e643256999005e6e8c/09e3fadbb7882a2bc32573a2006b45f8?OpenDocument)

ძალების ობიექტების შემოწმება მოითხოვა. პასუხად თბილისმა ფორს მაჟორის უფლება გამოიყენა იმ მიზნით, რომ რუსეთი სარკომი-მედვედევის შეთანხმებას არ ასრულებდა და რუსეთი თავის ობიექტებზე არ დაუშვა.

დაბოლოს, სწორედ ეუთოს უკავშირდებოდა 2008 წლის ომის შემდგომი რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვნი და რადგაცური ინიციატივა, რომლის მიზანიცაა ევროპის ახალი უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნა. ამ პროექტის მიხედვით, დაუშვებელია ძალის გამოყენება სახელმწიფოებს შორის. გარდა ამისა, დაუშვებელია ერთის უსაფრთხოების გაზრდა სხვების ხარჯზე (რაც კარგად შეიძლება იქნას გამოყენებული ნატოს გაფართოების დასაბლოკად). არც ერთ სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოთა ჯგუფს არ უნდა გააჩნდეს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების გარანტირების ექსპლუზიური უფლება (ისევ და ისევ ნატოს შეზღუდვა). გარდა ამისა, პროექტში საუბარია ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა ტრანსნაციონალური დანამატლისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და კონფლიქტების პრევენცია. რუსეთის ეს ინიციატივა შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- რუსეთმა დანარჩენ მსოფლიოს განუცხადა, რომ იგი „დაკამაყოფილდა“ 2008 წლის ტერიტორიული შენაძენით და ახლა ყველას მშვიდობას სთავაზობს;
- რუსეთს მიაჩნია, რომ მას შემდეგ რაც მან მოიგო ომი საქართველოსთან და ამგვარად დაბლოკა ნატოს გაფართოება, უნდა გადაიხედოს ცივი ომის შემდგომი სტატუს კვო, უნდა გადაიხედოს და შეიზღუდოს ნატოს როლი;
- რუსეთი გამოდის ევროპის ახალი მშვიდობისმყოფელის როლში და ამგვარად აქვს ამბიცია ევროპაში ლიდერობაზე.

# გაეროს სამეთვალყურეო მისიის საქმიანობის შეწყვეტა

გიორგი ვოლესკი

რუსეთი არჩევნობდა საქართველოში გაეროს სამეთვალყურეო მისიის მანდატის შეწყვეტას. 2008 წლის 8 სექტემბერს, საფრანგეთის პრეზიდენტის შუმდგომ-ლობით, რუსეთსა და საქართველოს შორის შეთანხმდა ვითარების მოგვარების შესახებ 12 ავისატოს მიღებული გეგმის რეალიზაციის ზოგიერთი დებულება.

ამასთანავე, რუსეთი დათანხმდა აფხაზეთში გაეროს მისიის მანდატის შენარჩუნებას პერსონალის იმავე რაოდენობით და 7 აგვისტომდე არსებული განლაგების სქემით. უფრო მეტიც, შორს მიმავალი მოსაზრებით, დათანხმდა გაეროს უშიშროების საბჭოს ისეთი რეზოლუციის მიღებას (09.10.08 № 1839),<sup>38</sup> რომელიც ყერდნობოდა გაეროს ადრე მიღებულ ყველა შესაბამის რეზოლუციას და კერძოდ 2008 წლის 15 აპრილის 1808 რეზოლუციას,<sup>39</sup> რომელშიც ხაზგასმული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო მხარდაჭერა. ამზღვის 1839-ე რეზოლუციით გაეროს სამეთვალყურეო მისიის მანდატი 2009 წლის 15 თებერვლამდე იქნა გაგრძელებული.<sup>40</sup>

იმ პერიოდში, აფხაზეთში სამეთვალყურეო მისიის გაგრძელების საკითხზე მსჯელობისას რუსეთმა შეგებულად არ გამოიყენა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის „ვეტოს“ უფლება, რადგნაც ოფიციალური

38 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/544/25/PDF/N0854425.pdf?OpenElement>

39 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/306/29/PDF/N0830629.pdf?OpenElement>

40 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/544/25/PDF/N0854425.pdf?OpenElement>

მოსკოვის პოლიტიკური პროპაგანდა ითვალისწინებდა მოლაპარაკებებში არაკონსტიტუქციულ მხარედ საქართველოს წარმოჩენას. გარდა ამისა, დეკომინისტი ინურქბოდა საქართველოში ეუთოს მისის მანდატი. აგვისტოს საომარი მოქმედების ძირითად ასპარეზზე, ანუ ოკუპირებული ცხინვალის რევიონში სრული კონტროლის დამყარება რუსეთის პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა. შესაბამისად, რუსეთისათვის აუცილებელი იყო მიმდინარე პროცესებიდან ეუთოს გაყვანა. ამისათვის, მას უკვე წლის ბოლოს მოუწევდა „ვეტოს“ უფლების გარდაუალი გამოყენება და არ სურდა საერთაშორისო თანამებობრობასთან მრავალმხრივ დაპირისპირებაში ჩაბათ.

რუსეთი დაელოდა დსთ-ს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის მიმართვებზე დსთ-ს შემადგენლობიდან გასვლისა<sup>41</sup> და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის შესახებ,<sup>42</sup> რომელთანაც პირდაპირ იყო დაკავშირებული აფხაზეთში გაეროს სამეთვალყურეო მისის მანდატის მოქმედება. დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტა თავისთავად განაპირობებდა გაეროს მისის მანდატის არსებული სახით შეწყვეტას და მისი შეცვლის საკითხის განხილვის აუცილებლობას.

2008 წლის 15 ოქტომბერს ძალაში შევიდა დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრების ბილეკის (ყირგზეთი) სხდომის გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტის თაობაზე.<sup>43</sup>

მიუხედავად ამისა, გაეროს მისია აქტიურ რეჟიმში აგრძელებდა მუშაობას, მათ შორის პატრულირებას კოდორის ხეობაში, თუმცა სახეზე იყო სამშვიდობო პროცესის საბოლოო შეწყვეტის ფაქტი.

რუსეთის მორიგი პოლიტიკური გადაწყვეტილება ასევე დაკავშირებული იყო საერთაშორისო დონეზე ავტორიტეტის შენარჩუნების ამოცანასთან. იგი

41 <http://www.cis.minsk.by/webnpa/text.aspx?RN=N90900553>

42 <http://www.cis.minsk.by/webnpa/text.aspx?RN=N90800581>

43 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/306/29/PDF/N0830629.pdf?OpenElement>

უპრობლემოდ დათანხმდა წინადადებას ჩართულიყო უენევის მოლაპარა-კებებში. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაეროს გენერალური მდი-ვნის საგანგებო წარმომადგენლის, აგრეთვე ევროკავშირისა და ეუთოს თანათავმჯდომარეობით 2008 წლის 15 ოქტომბერს გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს, რუსეთის და აშშ-ს დელეგაციები, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები.<sup>44</sup>

2008 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა (მ.სააკაშვილი) ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს აფხაზეთისა და სამხ-რეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებად, ხოლო რუსეთის ფედერაციის სამხედრო ოკუპანტად გამოცხადების თაობაზე. კანონმა განსაზღვრა ამ ტერიტორიებისადმი დამოკიდებულების საგანგებო რეჟიმი. ამ დროისა-თვის რუსეთი უკვე წარმოადგენდა უენევის მოლაპარაკებათა ფორმატის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტს.

სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლთა საერთაშორისო მოლაპარა-კებებში ჩართვის ამოცანის ნაწილობრივ შესრულებასთან ერთად, რუსეთმა განახორციელა პირველი ეტაპის გეგმა: მისი „ვეტოს“ გამო 2008 წლის 22 დეკემბერს, ეუთოს წევრი ქვეყნების მიერ ვერ იქნა მიღებული გადა-წყვეტილება საქართველოში ეუთოს მისისი მანდატის გაგრძელების თაო-ბაზე. ეუთოს მოქმედითავმჯდომარის წინადადება გულისხმობდა საგანგებო წარმომადგენლის ინსტიტუტის შექმნას შტაბ-ბინით ვენაში, რომელსაც ორი განყოფილება ექნებოდა თბილისსა და ცხინვალში. როგორც მოსა-ლოდნელი იყო, არ იქნა მიღებული არც რუსეთის წინადადება ცხინვალსა და თბილისში ეუთოს ორი განსხვავებული მისისი შექმნის თაობაზე.

ამასობაში, აფხაზეთის ტერიტორიაზე დსთ-ს სამშვიდობო ძალების პოზიციები რუსეთის რეგულარული არმიის ქვედანაყოფებმა დაიკავეს. ფაქტიურად გაუქმდა ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება და, შესაბამისად, შეიცვალა გაეროს სამეთვალყურეო მისის მდგომარეობაც. გაეროს გენერა-

---

44 [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=59&info\\_id=8249](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=59&info_id=8249)

ლურმა მდივანმა წამოაყენა წინადადება (S/2009/69, მუხლები 67, 68)<sup>45</sup> ყოვლისმომცველი მექანიზმის შექმნამდე, გაეროს სამეთვალყურეო მისიას დაყისრებოდა გარკვეული ფუნქციები ადრე მოქმედ „კონფლიქტის ზონის“ ფარგლებში. ეს ფუნქციები გულისხმობდა დაპირისპირებულ მხარეთა შორისი ინციდენტების და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დარღვევების პრევენციის, აგრეთვე ჰუმანიტარული ვითარების გაუმჯობესების ხელშეწყობისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას.

საჯულისხმოა, რომ ამავე მოხსენებაში გენერალურმა მდივანმა წამოაყენა წინადადებები უსაფრთხოების რეჟიმის შექმნის შესახებ, რომელიც ეფუძნებოდა საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებათა ელემენტებს (მუხლი 66).<sup>46</sup> შემოთავაზებული რეჟიმი ითვალისწინებდა: ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მუცრ დაცვას, უსაფრთხოების ზონის შექმნას მდ. ენგურის ორივე სანაპიროს გასწვრივ, ამ ზონაში მძიმე სამხედრო ტექნიკის აკრძალვას, სამართალდამცავი ორგანოების ქვედანაყოფების ლიმიტირებას, საფრენი საშუალებების გამოყენების აკრძალვას, სამხედრო ძალების ნებისმიერ გადაადგილებიზე საგანგებო შეტყობინების აუცილებლობას და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების დანშვნას.

გაეროს გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოსაგან მოითხოვა მტკიცე მხარდაჭერა შესაბამისი მექანიზმების შექმნისა და მხარეთა შორის ამ საკითხზე შეთანხმების უზრუნველსაყოფად.

რუსეთი არც ამ ეტაპზე დაუპირისპირდა უშიშროების საბჭოს დანარჩენ წევრთა პოზიციას. იგი 2009 წლის 13 თებერვალს მიღებული № 1866 რეზოლუციის<sup>47</sup> თანავატორიც გახდა და მხარი დაუჭირა გაეროს მისის მანდატის გაგრძელებას 2009 წლის 15 ივნისამდე. რუსეთმა მხარი დაუჭირა,

---

45 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/223/52/PDF/N0922352.pdf?OpenElement>

46 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/223/52/PDF/N0922352.pdf?OpenElement>

47 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/238/26/PDF/N0923826.pdf?OpenElement>

აგრეთვე, გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებულ უსაფრთხოების დროებით რეზიტის; ამ მიზნით, მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების 2(ა) მუხლის შენარჩუნებას და დათანხმდა ფორმულირებას უენევის მოლაპარაკებების მნიშვნელობის შესახებ. მისივე თანხმობით რეზოლუციაში დარჩა მინიშნება 2008 წლის 15 აპრილის № 1808 რეზოლუციაში,<sup>48</sup> სადაც, დადგენილებით ნაწილში ფიგურირებდა ფორმულირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ. სამაგიეროდ, ისარგებლა რა ვეტოს უფლების მქონე მხარის გავლენით, პირველად საკითხის განხილვის ისტორიის მანძილზე, არ დაუშვა ანალოგიური ფორმულირების რეზოლუციის დადგენილებით ნაწილში კიდევ ერთხელ გამოყენება.

საბჭოს შემდგომი სხდომა დაიგეგმა 2009 წლის 15 ივნისს, რომელსაც გაეროს გენერალურ მდივნის წინადადებების საფუძველზე უნდა განესაზღვრა რეგიონში სამეთვალყურეო მისიის საქმიანობის ასპექტები. გენერალურ მდივანს ეთხოვა შესაბამისი წინადადებების 15 მაისისათვის წარმოდგენა.

ამასთან ერთად, აფხაზეთში უსაფრთხოების საიმედო რეჟიმის შექმნისა და გაეროს მისიის მომავალი საქმიანობის შესახებ გაიმართა გაეროს მოლაპარაკებები რუსულ (მოსკოვი, 26-27 მარტი 2009) და ქართულ (ნიუ-იორკი, 16 აპრილი 2009) მხარეებთან, გამოითქვა ასეთი რეჟიმის შექმნის მხარდაჭერისათვის მზადყოფნა.

უენევის მიღწეული შეთანხმების თანახმად, ცხინვალის რეგიონში 2009 წლის 23 აპრილიდან ამოქმედდა ინციდენტების ალევეთისა და რეაგირების მექანიზმი. პირველ შეხვედრაში ქართულ და ოსურ მხარეებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, ეუთოსა და ევროკავშირის წარმომადგენლუბმა.

განვიხილოთ, თუ როგორი იყო აფხაზეთში გაეროს მისიის ყოფნის შემოთავისებული ფორმატის შესაბამისობა საქართველოს და რუსეთის ინტერესებთან.

---

48 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/306/29/PDF/N0830629.pdf?OpenElement>

უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები, რომ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენების (18.05.09) მომზადება და პროცესებში მონაწილე მხარეებთან კონსულტაციები მიმდინარეობდა რუსეთთან საქართველოს უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებისა და რეგიონის ფაქტური იუსტიციის ფონზე.

თავი იჩინა ხსენებულ, 1866-ე რეზოლუციაში დაშვებულმა პრეცედენტმა: გენერალური მდივნის მოხსენების როგორც სათაურში, ასევე ტექსტში აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი ალარ იყო მოხსენიებული როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი (აფხაზეთი, საქართველო; სამხრეთ ოსეთი/საქართველო), თუმცა სათაურში კვლავ ფიგურირებდა მინიშნება 2008 წლის 15 აპრილის 1808-ე რეზოლუციაზე. ამასთანავე, გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებული იყო მისის ნეიტრალური დასახელება – გაეროს მისია სტაბილიზაციისათვის.

როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რუსეთი გამიშნულად დაელოდა მოხსენებაში გამოყენებულ „დაბალანსებულ“ ფორმულირებებზე საქართველოს მხარის რეაქციას, მაშინ, როდესაც აფხაზეთში საერთაშორისო მეთვალყურე ორგანიზაციის, თუნდაც ნეიტრალური დასახელებით შენარჩუნება თავად რუსეთისათვის არ შეიძლება ყოფილიყო მისაღები. რუსეთის ინტერესებში შედიოდა მხოლოდ უენევის მოლაპარაკების ფორმატის არსებობა, აფხაზური და ოსური დელეგაციებისათვის საერთაშორისო ტრიბუნის უზრუნველყოფა და განსახილველი საყითხების შეზღუდვა ლოკალური უსაფრთხოების, სოციალური და სხვა დეპოლიტიზირებული თემებით. მისის ნეიტრალური დასახელების დამკვიდრება რუსეთს არ შეეძლო ჩაეთვალა პოლიტიკურ გამარჯვებად. ეს საყითხების მხოლოდ ფორმალურ მხარეს წარმოადგენდა. ქვეყნები, თუნდაც უშიშროების საბჭოს დანარჩინი შემადგენლობა, ისევე როგორც ნებისმიერი საერთაშორისო ფორუმი, უპრობლემოდ დაადასტურებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.

რუსეთისათვის რეალურ პრობლემას წარმოადგენდა ისეთი საერთაშორისო ფორმატის არსებობა, რომელიც კონტროლს დააწესებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტისათვის ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის

შუამდგომლობით მიღწეული შეთანხმებების შესრულებაზე. ამასთანავე, გაგრძელდებოდა საკითხის შესაბამისი კუთხით განხილვები, მათ შორის – უშიშროების საპქოს ფორმატში. გაეროს გენერალური მდიგნის წინადადებები კი, სწორედ შუამდგომლობის მექანიზმის დაარსებას გულისხმობდა. მოხსენების 67-ე მუხლის ფორმულირება ასეთი იყო:

- გაეროს მისია ითანამშრომლებს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისეთებთან, როგორიცაა ევროკავშირისა და ეუთოს სადამკვირვებლო მისიები;
- გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობის მეშვეობით, მისია ხელს შეუწყობს ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს ერთობლივ საშუალებელო ძალისხმევას 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების და 8 სექტემბერის დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების შესასრულებლად.

რუსეთისათვის მისადები არც გალის რაიონში მათი ერთპიროვნული გავლენის დაბალანსების და ქართველი მოსახლეობის უფლებების დაცვაზე კონტროლის რეჟიმი იყო მისაღები. ამ ამოცანის რეალიზაციისათვის გენერალური მდივანი სამეთვალყურეო მისიისათვის შემდეგ უფლება-მოსილებებს (მანდატს) მოითხოვდა:

- უსაფრთხოების რეჟიმის დაცვაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- ორივე მხარესთან და სხვა მოქმედ მხარეებთან მუდმივ კონტაქტში ყოფნა, დაძაბულობის წარმოქმნის დაუშვებლობისა და ასეთი შემთხვევების მოგვარების მიზნით;
- მხარეთა თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათ შორის ინციდენტების აღვეთისა და რეაგირების შეთანხმებული მექანიზმის ფარგლებში;
- ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გადაკვეთისას, მათ შორის გადაკვეთის პუნქტებზე მეთვალყურეობის დაწესებით;

- მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარების, დევნილთა დაბრუნების და ძირითადი უფლებების დაცვა, მათ შორის გაეროს ფონდებისა და სპეციალზებული დაწესებულებების საქმიანობის ხელშეწყობით;
- გაეროს ისეთი ორგანოებისა და საქმიანობის გაძლიერება, რომლებიც დაკავშირებულია სამოქალაქო პოლიციისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებთან, აგრეთვე ადგილობრივი და დაბრუნებული მოსახლეობის უფლებების დაცვასთან, განსაკუთრებით კონფლიქტის ზონაში;
- ორ მხარეს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა პრაქტიკულ საკითხებზე თანამშრომლობის, ურთიერთნდობის ამაღლებისა და დიალოგის წარმართვისათვის.

რეგიონში რუსეთის საუკუპაციო რეჟიმის განმტკიცების გეგმასთან შეუსაბამო იყო აგრეთვე გენერალური მდივნის მიერ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემოთავაზებული ელემენტები. ამ მიმართებით გენერალური მდივნის წინადადებები გულისხმობდა უსაფრთხოებისა და შეიარაების შეტანილების ზონების აღდგენას ხმელეთსა და ზღვაზე; შეიარაღების სახეობების, აგრეთვე შეიარაღებული ძალების მკაფიო შეზღუდვას, ხოლო 12 კილომეტრიან ზონაში მათ საერთოდ აღკვეთას, გარდა მსუბუქად შეიარაღებული ქართული და აფხაზური მხარეების სამართალდამცავების ყოფნისა, ცეცხლის შეწყვეტის ორივე მხარეს (მდ. ენგურის გასწვრივ); გათვალისწინებული იყო ამ ზონებში პირადი შემადგენლობისა და სამხედრო ტექნიკის გადაადგილებაზე კონტროლის სისტემის დაწესება, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული მდგომარების მონიტორინგი, გაეროს მისიის გადაადგილების სრული თავისუფლება და დარღვევებზე გამოძიების ჩატარება და საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება მათ შედეგებზე.

წინააღმდეგობის ნაცვლად, ოფიციალურმა რუსეთმა კმაყოფილება გამოხატა მოხსენების მიმართ: მოსკოვი მიერალმა გაეროს მიდგომებს.

გაეროსთან რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა (ვ.ჩურკინი) თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ მოხსენება „სამხრეთ კავკასიაში ახალ პოლიტიკურ რეალობას ასახავს“. აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა (ს.ბალაფში) მოხსენებას „აფხაზი ხალხის გამარჯვება“ უწოდა. აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა (ს.შამბა) განაცხადა, რომ იგი კმაყოფილია მოხსენებით და შესაძლოა აფხაზურმა მხარემ უენევის კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღოს (რუსული საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტი“, 19.05.09).

ქართულმა მხარემ იმოქმედა პრინციპით: რაც კარგია რუსეთისათვის, ის ცუდია საქართველოსათვის. გაეროსთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა (ა.ლომაია) თავდაპირველად განაცხადა, რომ „მოხსენების ტექსტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ეჭვეჭვეშ არ არის დაყენებული და არც შეიძლება იყოს“, რუსეთის მხარის განცხადებებს კი იმის თაობაზე, რომ მოხსენებაში აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიის ნაწილად არ არის მოხსენიებული, მან რუსეთის ოფიციალური პროპაგანდის ნაწილი უწოდა (საქართველოს ტელეკომპანია „რუსთავი-2“, 19.05.09).

მოგვიანებით, უშიშროების საბჭოში გამართული კონსულტაციების შემდეგ (27.05.09), გაეროში ჩატარებულ პრეს-კონფერეციიზე ა. ლომაიამ მოულოდნელად განაცხადა, რომ გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებული უსაფრთხოების ახალი ზონების შექმნა, ხელს არ შეუწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების დაცვას. უფრო მეტიც, ხაზი გაუსვა, რომ გენერალური მდივნის პან-გა მუნის მოხსენების რამოდენიმე დღის დაგვიანებით გამოქვეყნება ქმნის ეჭვის საფუძველს, რომ მოხსენების კორექტირება რუსეთის შანტაჟის ქვეშ მოხდა, ამასთანავე მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა რუსეთის მხრიდან შანტაჟი დაუშვა.

გაეროს გენერალური მდივანი იძულებული გახდა ოფიციალური განცხადებით კატეგორიულად უარესო ქართული მხარის ბრალდება „რუსული შანტაჟის“ შესახებ.

საქართველოში გაეროს მისის ახალ მანდატსა და უსაფრთხოების რეჟიმზე უშიშროების საბჭოს წევრთა კონსულტაციები დაიწყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაეროს გენერალური მდგრადი შესაბამისი მოხსენების მწვავე კრიტიკის ფონზე. ამ გარემოებას უდავოდ ხელი შეუწყო მოხსენების მიმართ მოსკოვის საპირისპირო დამოკიდებულების გამოხატვამ.

რუსეთის რეალური პოზიცია – ნეგატიური დამოკიდებულება გენერალური მდგრადის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილებების მიმართ – მოგვიანებით, უშიშროების საბჭოს დახურული კონსულტაციების პროცესში გამოვლინდა. აღნიშნულზე გაეროს უშიშროების საბჭოს 2009 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი მეტყველებს. როგორც ცალკეული ქვეყნების წარმომადგენელთა განცხადებებისა მითითებული, კონსულტაციების პროცესში რუსეთი დაუინგბით მოითხოვდა რეზოლუციაში ისეთი ტერმინიების გამოყენებას, როგორიცაა „აფხაზეთის რესპულიკა“, „აფხაზეთის რესპუბლიკის საზღვრები“ და სხვა. უშიშროების საბჭოს პრაქტიკაში ფაქტიურად არასოდეს მომხდარა გენერალური მდგრადის მოხსენებაში გამოყენებული ფორმულირებების ძირები შეცვლა და ამდენად, არც რუსეთის წინა-დადებები ყოფილა მიღებული. მიუხედავად ამისა, როგორც გაეროსთან საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის (რიპერი) გამოსვლაშია აღნიშნული, დელეგაციები „ახლოს მივიღნენ შეთანხმების მიღწევასთან“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს სხდომაზე განსახილველად იყო წარმომადგენილი არა სრულმასშტაბიანი რეზოლუციის პროექტი გაეროს სამეთვალყურეო მისის მომავალი მანდატის და უსაფრთხოების რეჟიმის შესახებ, არამედ ორმუხლინი რეზოლუციის პროექტი გაეროს მისის (ძველი დასახელებით) მანდატის 30 ივნისამდე „ტექნიკური“ გაგრძელების თაობაზე, ანუ იმ ვადით, რაც „შეთანხმების მიღწევასთან“ ახლოს მისული კონსულტაციების დასამთავრებლად იყო საჭირო.

სწორედ, ამ „ტექნიკური“ რეზოლუციის პროექტის შეთანხმებისას (13, 14 ივნისი) გახმოვანდა რუსეთის პოზიცია, რომ იგი მხარს არ უჭერდა მის შესავალ ნაწილში უშიშროების საბჭოს ცნობილ 1808-ე, 1839-ე და 1866-ე რეზოლუციებზე მინიშნებას. ამ შემთხვევაშიც რუსეთი დაელოდა რეაქციას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რომელმაც არ დაყოვნა

რუსეთის პოზიციის მწვავედ გაყრიტივება და დაუშვებლად მიიჩნია ისეთი, თუნდაც ტექნიკური შინაარსის დოკუმენტის მიღება, სადაც ზემოაღნიშნული რქიმოლუციები არ იქნებოდა მინიშნებული. საქართველოს ხელისუფლების მიდგომის შესაბამისი იყო უშიშროების საბჭოს წევრი პარტნიორი ქვეყნების პოზიციაც 15 ივნისს, საკითხის უშიშროების საბჭოს ოფიციალურ სხდომიზე განხილვისას.

რქიმოლუციაზე კენჭისყრისა და „ვეტოს“ დადების შემდეგ რუსეთის წარმომადგენელმა (ჩურუკინი) განაცხადა, რომ მიუხედავად გაეროს მისის მომავალი მანდატის ცალკეული ფორმულირებების მიმართ მათი უთანხმოებისა, რუსეთის მხარე არ იყო წინააღმდეგი დამატებითი კონსულტაციებისათვის კიდევ ორი კვირით გაეგრძელებინა მისის ქველი მანდატი. ამასთანავე, მან წარმოადგინა რქიმულუციის „ნეიტრალური“ პროექტი, რომლის მიღებას იგი დაზურული კონსულტაციებისას სთავაზობდა უშიშროების საბჭოს წევრებს. ამ პროექტში, ნაცვლად დასახელუბულ სამ რქიმოლუციაზე მინიშნებისა, გამოყენებული იყო ფორმულირება „ეყრდნობა რა უშიშროების საბჭოს ყველა შესაბამის რქიმოლუციას და გაეროს გენერალური მდივნის 2009 წლის მოხსენებას...“ და შემდეგ შემოთავაზებული ტექტის მიხედვით:

1. ადგენს, გაგრძელდეს გაეროს მისის მანდატი ახალი პერიოდით, რომელიც იწურება 2009 წლის 30 ივნისს;
2. ადგენს, აქტიურად გაგრძელდეს ამ საკითხზე მუშაობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. რუსეთმა დაგეგმა და გეგმაზომიერად განახორციელა სტრატეგიული ამოცანის რეალიზება – საქართველოს ტერიტორიიდან უკითხოსა და გაეროს მისიების გაყვანა;
2. ომის შემდგომ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში (18.05.09) ჩამოყალიბებული წინააღმდეგები იყო რეგიონში საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის შენარჩუნების ერთადერთი რეალისტური შესაძლებლობა;

3. განსხვავებით ეუთოს მისიის საქმიანობის გაფრქველებაზე „ვეტოს“ დადებისა, რუსეთს არ გამოუყენებია „ვეტოს“ უფლება აფხაზეთში გაეროს მისიის ახალი მანდატის მიღებასთან დაკავშირებით. აქამდე საქმე არც მისულა;
4. დასაშვებია, რომ გაეროს სამეთვალყურეო მისიის ახალი მანდატის შესახებ ვრცელი რეზოლუციის პროექტის განხილვების გაგრძელების შემთხვევაში რუსეთი გაეროს გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებული წინადადებების წინააღმდეგი წავიდოდა. იგი არ დაუჭერდა მხარს შემოთავაზებულ უსაფრთხების ახალ რეჟიმს, აგრეთვე 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებების მონიტორინგის სისტემას, მაგრამ ამის შესახებ მას წინასწარი საჯარო განცხადებები არ გაუკეთებია. უფრო მეტიც, როგორც რუსეთმა, ასევე აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ მხარი დაუჭირეს გაეროს გენერალური მდივნის შესაბამის მოხსენებას და დამატებითი კონსულტაციებისათვის გაეროს მისიის არსებული მანდატის ორი კვირით გაგრძელებას;
5. დასაშვებია ისიც, რომ დამატებითი კონსულტაციებისას, რუსეთი ვერ შეძლებდა (თავს აარიდებდა) საერთაშორისო თანამეგობრობასთან ღია დაპირისპირებას და დათანხმდებოდა გაეროს მისიის მანდატის წეიტრალური დასახელებით გაგრძელებას. ასეთი შესაძლებლობის სასარგებლოდ უშიშროების საბჭოს სხდომაზე (15.06.09) გაეროსთან დიდი ბრიტანეთის მუდმივი წარმომადგენლის (პარმი) მოხსენებაში მოყვანილი შემდეგი გარემოებაც მეტყველებს: „აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება დაინტერესებული იყო მისიის შენარჩუნებით, რაც რუსეთს კონფლიქტის იმ ერთადერთ მხარედ წარმოადგენს, რომელიც ესწრაფვოდა საქართველოში გაეროს როლის დასრულებას“;
6. გაეროს მისიის საქმიანობის შეწყვეტა, შემდგომში მისი ახალი მანდატით გაგრძელების და მასთან ერთად რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლის უპერსპექტივობა განაპირობა გაეროს გენერალური მდივნის მოხსენების და მისიის

„ტექნიკური“ გაგრძელების შესახებ რესეტის მიერ წარმოდგენილი „ნეიტრალური“ ხასიათის რეზოლუციის ფორმულირებებისადმი საქართველოს ხელისუფლების უკიდურესად წევატოურმა დამოკიდებულებამ, რითაც მოხერხებულად ისარგებლა რესეტმა. საქართველოს მხარემ აქარად არაკონსტრუქციულ პოზიციაში ჩაიყენა თავი, როდესაც ამ მოხსენებისათვის გაეროს გენერალური მდივანი „რესეტის შანტაჟის“ ქვეშ მოქცევაში დაადანაშაულა;

7. საქართველოს ხელისუფლებამ გადაჭარბებულად შეაფასა ევროკავშირის სამეთაბლურეო მისიის ავტორიტეტი, გაეროს ნაცვლად სეპარატისტულ რეგიონებში მისი შესვლის შესაბამისად, ქართულმა დიპლომატიამ უგულვებელყო, პარტნიორ ქვეყნებთან შეთანხმებით, გონივრულ კომპრომისებზე წასვლის შესაძლებლობა;
8. როგორც უშიშროების საბჭოს სხდომზე (15.06.09) გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოხსენებაშია აღნიშნული: „საქართველოში გაეროს სამეთაბლურეო მისიის მანდატის მოქმედების შესყვეტის მთავარი შედეგი იქნება მიუკერძოებელი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობების შემცირება როგორც უსაფრთხოების მდგრადირეობის თვალსაზრისით, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევებზე. მისიის ლიკვიდაცია ასევე ნიშნავს, რომ ამიერიდან გართულდება რეგიონში რესეტის სამხედრო ყოფილი ზრდასა, ჯარების გადაადგილებაზე მეთვალყურეობა ან მათი დოკუმენტურად დაფიქსირება“;
9. საქართველოს ხელისუფლების პოზიციის მართებულობის ერთობის შენიშვნელოვნად შეფასება როგორია. ცალკეული, გამონაკლისი ეპიზოდების გარდა, საქართველოს სახელისუფლო, პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში აღნიშნული თემა არ გამხდარა დეტალური მსჯელობის საგანი. ამის მიზნით მნიშვნელოვანი და გარემოება იყო, რომ საქართველოში მწვავედ, ქუჩის ფართომასშტაბიანი აქციების ფონზე მიმდინარეობდა შიდა პოლიტიკური დაპირისპირება; ხელისუფლება თავად აპელირებდა

გაეროს დოკუმენტებში საქართველოს სუვერენული უფლებების და სახელმწიფო ინტერესების შეღაზვის თვალსაჩინოებაზე, რათა წაგებული ომის ფონზე ეს თემა ოპოზიციას მის წინააღმდეგ არ გამოიყენებინა; მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ძნელად გასაგებ, რთულ დიპლომატიურ-პოლიტიკური ასპექტებზე საჯარო კამათს ყველაზ აარიდა თავი;

10. საერთაშორისო დონეზე რუსეთის ყველა შემდგომი ნაბიჯი დიპლომატიურ თუ ეკონომიკურ სფეროში, აგრეთვე პოლიტიკური გადაწყვეტილებები სრულად ან მნიშვნელოვანნილად უკავშირდება ომის შედეგად მიღწეული „ნარმატების“ გამაფრებას. ასეთი სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ რუსეთის თვალსაჩინო კონსტრუქციებითი ნატოსთან, აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან და ევროკავშირთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში. შექმნილ რეალიებს ეხმიანება აგრეთვე რუსეთის ახალი უსაფრთხოების სტრატეგიაც.
11. საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის აქტივობების ფონზე, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მისი ახალი პოლიტიკის ხასიათი საქართველოსთან მიმართებაში, რომლის ძირითადი კონტურები ახლა იწყებს გამოკვეთას.

# რუსეთის პოლიტიკა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში

თორნიავ შარაშენია

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებისგანხილვის ერთ-ერთმნიშვნელოვანფორუმადიქცა. თავისთავად ევროსაბჭოს ფორმატი ერთობ გახსნილ სივრცეს წარმოადგენს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი აერთიანებს პარლამენტარებს. ეს უკანასკნელი კი წაკლებად არიან შეზღუდულები ჩინოვნიკური პროტოკოლებითა და საკუთარ თავს მეტ თავისუფლებას აძლევენ. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეზე რუსეთის ქმედებების მისამართით ყველაზე მწვავე კრიტიკა გაისმოდა და მიღებულ რეზოლუციებშიც რუსეთის მიმართ არაერთი მოთხოვნა იქნა წაყენებული. ცხადია, რუსეთი თავიდანვე ცდილობდა აქტიურად დაეცვა თავისი პოზიციები, მოქმედინა ქართული მხარის დისკრედიტაცია და, შესაბამისად, აერიდებინა თავიდან კრიტიკა და მისთვის მოუღებელი რეზოლუციები. ამის მისაღწევად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიების დროს რუსული დელეგაცია რამდენიმე მიმართულებით მუშაობდა, რომელთაგან ზოგი-ერთი წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ნორმებზე აპელირებას, ზოგიერთიც კი ეყრდნობოდა ისტორიისა თუ თანამედროვე რეალობის რუსეთისეულ ინტერპრეტაციას. ეს მიმართულებები და არგუმენტები შემდეგი იყო:

- „**სამხრეთ ოსეთზე საქართველოს არანაირი (მათ შორის არც ისტორიული) უფლება არ გააჩნია.**“ ამ არგუმენტის მიხედვით, სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანა „ქართველმა“ სტალინმა, ისე კი ეს მხარე საქართველოს არასოდეს ეკუთვნოდა. ისი ხალხი ყოველთვის განიცდიდა შევიწროებას ქართული სახელმწიფოს მხრიდან და საამისოდ არსებობს ბევრი

მაგალითი. შესაბამისად, რუსეთი წარმოადგენს ოსი ხალხის – ამ პატარა და ჩაგრული ერის – ერთადერთ დამცველსა და მთარელს. ოსებს არ სურდათ ცხოვრება ქართულ სახელმწიფოში და საბჭოთა კავშირის დაშლისათანავე გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. ოს ხალხს არ სურს საქართველოს შემადგენლობაში ცხოვრება და თუკი ვინმე მოინდომებს მათ ეს აძლელოს, კიდევ დაიღვრება სისხლი და დაიხოცება კიდევ უფრო მეტი ოსი.

- „**რუსეთი პატარა ერების დამცველია**“. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთს არანაირად არ შეეძლო მიეტოვებინა ოსი ხალხი მაშინ, როცა მას თავს დაესხა სააკაშვილის რეჟიმი. რუსეთმა დაიცვა უმცირესობა, რომელსაც უმრავლესობა ჩავრავდა. რუსეთის სამხედრო ყოფნა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განპირობებულია მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ნებით. „რუსეთის მზადყოფნა დაიცვას ეროვნული უმცირესობის თავის სამშობლოში არ უნდა იქნას ალექსანდრუსეთის იმპერიის მცდელობად დაიბრუნოს თავისი პოზიციები,“ – განაცხადა საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე რუსეთის ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩინგმა.<sup>49</sup> ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთში ახლა სიმშვიდეა, სწორედ რუსეთის დამსახურებაა. საინტერესოა ასევე, რომ რუსეთის პატარა ერების დამცველად გამოყვანის კონტექსტში რუსული დელეგაციის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი სერგეი მარკოვი ფრანგული დელეგაციის ერთ-ერთ წევრსაც (რუსეთისადმი კრიტიკულად განწყობილს) კი დაუპირისისამდე, რომელსაც ყოფილი კოლონიური სახელმწიფოს წარმომადგენელი უწოდა.<sup>50</sup>
- „**რუსეთს არ დაურღვევია საერთაშორისო სამართლის ნორმები**.“ მართალია, არსებობს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, მაგრამ ასევე არსებობს ერთა

---

49 <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/Records/2008/E/0809291500E.htm>

50 <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/223/52/PDF/N0922352.pdf?OpenElement>

თვითგამორკვევის პრინციპიც, რომელსაც დაეყრდნო რუსეთი. რუსული დელეგაცია ცდილობდა ასამბლეის რეზოლუციის ტექსტებში დაფიქსირებინა სწორედ თვითგამორკვევის საკითხის მნიშვნელობა, თუმცა ეს მცდელობები წარუმატებლად დასრულდა.

- **„რუსეთი დაეყრდნო კოსოვოს პრეცედენტს.“** თვითგამორკვევის პრინციპის თეორიულად არსებობის გარდა უკვე არსებობდა კოსოვოს პრაქტიკული მაგალითი, რომელმაც სათავე დაუდო ახალ რეალობას. რუსეთმა უბრალოდ გააგრძელა ახალი რეალობის შექმნა და დროა მას ამ საქმეში მთელი ევროპა აჰყვეს. თუკი ამ წინადადებას გაითვალისწინებს, „ევროსაბჭოს შეძლებს ახალი მსოფლიო წესრიგს შექმნას“.<sup>51</sup> მონოდება „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნისაკენ გარკვეულად ეხმიანებოდა რუსეთის ფედერაციის ინიციატივას ახალი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის თაობაზე, რომლის იდეაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ძველმა სისტემამ საკუთარი თავი ამოწურა და საკუთარი უუნარობა დაადასტურა.
- **„რუსეთი შექმნილ ვითარებაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს და პასუხისმგებლობა არ ეკისრება“.** რუსულმა დელეგაციამ რამდენჯერმე განაცხადა, რომ შეიარაღებულ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონდა რუსეთსა და საქართველოს შორის. კონფლიქტი დაიწყო საქართველომ, როცა იგი თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს. აქედან გამომდინარე, ეს იყო ომი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის, რომელშიც რუსეთი მოგვიანებით ჩაება. სამხრეთ ოსეთი წარმოადგენდა კონფლიქტის მხარესაც და დამოუკიდებელ მოთამაშესაც. ამ მოთამაშეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნაც უნდა დათმობოდათ, რათა ასამბლეას უკეთ გაუცნობიერებინა შექმნილი ვითონება. გამომდინარე იქნდან, რომ საპარლამენტო ასამბლეა თავიდანვე არასწორად მიუდგა 2008 წლის ომს – შეაფასა რა იგი რუსეთ-საქართველოს ომად – იგი არასწორი გზით წავიდა თავის მსჯელობაში და, შესაბამისად, რუსეთი ასეთ

---

51 <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/Records/2008/E/0809301000E.htm>

მსჯელობაზე დაყრდნობით გაკეთებულ დასკვნებს ვერ დაეთანხმება. რუსული დელეგაციის ამ ლოგიკიდან გამომდინარე ადგილი ჰქონდა წარუმატებელ მცდელობებს ამოელოთ რუსეთი რეზოლუციის ტექსტების იმ პასაუკებიდან, სადაც სუბარი იყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პასუხისმგებლობებზე, იმ მოტივით რომ თითქოს რუსეთი „არ აკონტროლებდა“ არც სამხრეთ ოსეთსა და არც აფხაზეთს, რადგანაც მათ საკუთარი მთავრობები გააჩნდათ.

- **„ყველაფრის მოუხედავად რუსეთში ქართველი ხალხი უყვართ“.** ეს ტრადიციული მოტივი ხშირად გაისმოდა ასამბლეის სესიებზე. რუსი პარლამენტარები გმოთქვამდნენ წუხილს იმის გამო, რომ ამ სიყვარულისა და თბილი დამოკიდებულების მოუხედავად, ქართველმა ხალხმა ზურგი აქცია რუსეთს და სამხედრო დახმარებას ამერიკისგან იღებდა. რუსეთი მშვიდობისმყოფელის სტატუსით იმყოფებოდა საქართველოში, მაგრამ ეს არ დაუფასდა.
- **„საკაშვილმა ომი ნამოიწყო შიდა პრობლემების გადასაფარად“.** საქართველოში არ არის დემოკრატია და მოსახლეობის უმრავლესობა ხელისუფლებით უკმაყოფილოა. ამიტომაც საქართველოს 2008 წლის „აგრძელის“ ერთ-ერთი მიზანი იყო უკმაყოფილო მოსახლეობის ყურადღების გადატანა სხვა საკითხებზე.
- **„საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას ძალის არგამოყენების შესახებ“.** როგორც ცნობილია, რუსული დიპლომატია ჯერ კიდევ 2008 წლის ომამდე აპელირებდა ამ თემით და, ბუნებრივია, ომის შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გააძლიერა. რუსულმა დელეგაციამ ერთ-ერთ სესიაზე უშედეგოდ სცადა რეზოლუციის ტექსტში შეეტანა ეს საკითხი.<sup>52</sup> ბუნებრივია, ქართულმა მხარემ საწინააღმდევოდ წამოაყენა არგუმენტი, რომ სწორედ ასეთ შეთანხმებას წარმოადგენდა მედვედივ-სარკოზის შეთამხმება, რომელიც დაარღვია მოსკოვმა.

---

52 <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/Records/2009/E/0901281500E.htm>

საბოლოო ჯამში ყველა ეს ე.წ. „არგუმენტი“ გაბათილებულ იქნა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ყველა შესაბამის რეზოლუციაში დაფიქსირდა არაერთი მოთხოვნა რუსეთის მისამართით. მათ შორის:

- რუსეთს უნდა გაეუქმებინა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახელმწიფოებად აღიარება;
- რუსეთს უნდა დაეშვა ევროკავშირისა და ეუთოს მონიტორები ორივე ტერიტორიაზე;
- რუსეთს (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მმართველებთან ერთად) ყველანაირად უნდა შეეწყო ხელი ამ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების გადაადგელებისათვის. რეზოლუცია მცაცრად გმობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იძულებას აეღოთ რუსული პასპორტები;
- ასამბლეა გმობდა რუსეთის პოზიციას აფხაზეთში გაეროსა და სამხრეთ ოსეთში ეუთოს მისიერებთან დაკავშირებით (როგორც ცნობილია, მოსკოვმა ორივე მისიის გაუქმებას მიაღწია);
- ასამბლეა ასევე გმობდა რუსეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის გაგრძელებასა და ამ საკითხის არგამოძიებას და ყოველივე ამის გამო პასუხისმგებლობას აკისრებდა რუსეთს.
- აღსანიშნავია კიდევ ერთი საკითხი: ასამბლეა რეზოლუციებში გაცვირვებას გამოთქამდა იმის გამო, რომ რუსეთი არ ასრულებდა ისეთ მოთხოვნებსაც კი, რომლებიც არანაირ კავშირში არ იყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსთან.

როგორც ცნობილია, რუსეთმა არც ერთი მოთხოვნა არ შეასრულა. მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების დროს, რუსეთი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს გადასცდა და შემდგა კი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად

აღიარა, რეზოლუციების შესრულება ამ ქმედებათა შეცდომებად აღიარებას ნიშნავდა. ამიტომაც, მოსკოვის პოლიტიკა საპირისპირო მიმართულებით წარიმართა: სეპარატისტულ ზონებში ექსკლუზიური კონტროლის დამყარებისა და დანარჩენი მსოფლიოსათვის „ახალი რეალობების“ თავის მოხვევის მცდელობის გზით. ასეთი პოლიტიკის პირობებში, რუსეთს არანაირად არ სჭირდებოდა საერთაშორისო დამკვირვებლები სეპარატისტულ ტერიტორიაზე, რადგან ეს ნიშნავდა ექსკლუზიური კონტროლის დაკარგვას და ომის დროს ჩადენილი ეთნონებების ფაქტების უფრო მეტად გამოაშკარავებას. გარდა ამისა, რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა ბოლო მოელო საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლებისათვის, რასაც ყველაზე უფრო მეტად ხელს შეუწყობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის ახალი აღიარების მოპოვება სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან. ისევ და ისევ, ასეთი პოლიტიკის პირობებში რეზოლუციების მოთხოვნების შესრულებაზე საუბარიც კი ვერ იქნებოდა.

2010 წლის 29 აპრილს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას სიტყვით მიმართა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. გამოსვლის შემდეგ დასმულ შეკითხვაზე, კიდევ რამდენ ხანს აპირებდა რუსეთი რეზოლუციებში წაყვინებული მოთხოვნების შეუსრულებლობას, მინისტრმა უპასუხა, რომ რუსეთი მათ შესულებას საერთოდ არ აპირებს, რადგან რეზოლუციები „იყო პოლიტიზებული“ და „არ ითვალისწინებდა ახალ რეალობებს.“ გარდა ამისა, ლავროვმა იქვე ისიც განაცხადა, რომ რუსეთი 2008 წლის ომის შემდეგაც არ აპირებდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახელმწიფოებად აღიარებას და ამის გაეთხბა მას პრაქტიკულად საქართველომ აიძულა, რადგან იმის დასრულების შემდეგ საქართველოს მხრიდან დაფიქსირებულმა პოზიციამ აშკარა გახადა, რომ „საქართველო ისევ ფიქრობდა ომზე.“<sup>53</sup> შესაბამისად, აღიარება შემდგომი სისლოისლორის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება იყო. ამ წათქვამს ასამბლეის რუსული დელეგაციის ტაში მოჰყვა და აპლოდისმენტებს ბევრი არარუსი პარლამენტარიც აყვა — ლავროვმა თავისი გამოსვლით შექმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება ფაქტობრივად საქართველომ მოახვია თავზე.

53 <http://www.inosmi.ru/caucasus/20100430/159656153.html>

თუმცა, ლავროვის გამოსვლა აღსანიშნავი უფრო სხვა ფაქტორების გამო იყო. მინისტრმა ძირითადად ისაუბრა „დიდ სამამულო ომში“ გმარჯვების 65-ზე წლისთავსა და იმ დიდ წლილზე, რომელიც რუსეთმა ფაშისტის დამარცხებით შეიტანა ევროპული დემოკრატიული წესრიგის ჩამოყალიბებაში.<sup>54</sup> ლავროვმა ხაზი გაუსვა ევროპისა და რუსეთის თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას, ასევე პრეზიდენტ მედვედევის ახალ კურსს, რომელიც მიმართულია ქვეყნის მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციისაკენ. ყოველივე ამით გაყეთდა მინიშნება, რომ რუსეთი ერთობ მნიშვნელოვანი იყო დასავლეთისათვის, და რომ საქართველოს გამო მასთან ურთიერთობის გაფუჭება არ ღირდა. მინისტრს საერთოდ არ უხსენებია 2008 წლის კონფლიქტი და აღიარების თემას მხოლოდ მაშინ შეეხო, როცა ამ საკითხზე ქართული დელეგაციის წევრომა დასვა შეკითხვა. აშვარა იყო, რომ 2010 წლის აპრილში, როცა რუსეთმა უკვე რამდენჯერმე განაცხადა უარი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში მის მიმართ დაყენებული მოთხოვნების შესრულების, მოსკოვში ჩათვალეს, რომ საქართველოსთან კონფლიქტის საკითხი პრაქტიკულად ამონურული იყო და ამიტომაც, ლავროვს იგი საერთოდ არ უნდა ეხსენებინა. ან, თუ ამონურული არ იყო, ლავროვს თავისი დუმილით უნდა ეგრძნობინებინა დასავლეთისათვის, რომ რუსეთს ეს საკითხი ამონურულად მიაჩნდა და მასზე მიბრუნებას არ აპირებდა, საქართველო-რუსეთის ომი უკვე განვლილი ეტაპი იყო და ახლა რუსეთსა და ევროპას ისევ უნდა გამოენახათ მშვიდობიანი და მომგებიანი თანაარსებობის გზები, მით უფრო, რომ ომის შემდეგ, რუსეთმა ახალი თანაარსებობის იდეა წამოაყენა – მედევნედევის ინიციატივა ახალი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შესახებ, რომელსაც ლავროვი ასევე საგანგებოდ შეეხო თავის გამოსვლაში.

ჯერ კიდევ ლავროვის ამ საეტაპო გამოსვლამდე, დიდი ხნით ადრე ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დათმობდა 2008 წლის ომით მოპოვებულს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მხრიდან კრიტიკის შიშით. ერთადერთი, რაც მოსკოვს სერიოზულად აშფოთებდა, იყო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ხმის უფლების შესაძლო ჩამორთმევა. რუსეთისნაირი დიდი სახელმწიფოსათვის ეს პრესტიუს სერი-

54 [http://www.mid.ru/bpr\\_4.nsf/0/CDE548B7DAD336BEC3257714004D7D1E](http://www.mid.ru/bpr_4.nsf/0/CDE548B7DAD336BEC3257714004D7D1E)

ოზული შელახვა იქნებოდა. ამ საფრთხის პრევენციისათვის ჯერ კიდევ 2008 წლის სექტემბრიდან მოყოლებული რუსეთის მხრიდან გაისმოდა მუქარები, რომ საპასუხოდ რუსეთი საერთოდ გავიდოდა ევროსაბჭოდან. ამის შესახებ განაცხადა კოსაჩოვმა, მას შემდეგ რაც ასამბლეის წევრების ნაწილი (საქართველოს გარდა ძირითადად ბალტიის ქვეყნების, პოლონეთისა და უკრაინის დელეგაციათა წევრები) რუსეთისათვის ხმის უფლების ჩამორთმევის ინიციატივით გამოვიდა. კოსაჩოვმა განაცხადა, რომ თუკი ეს საკითხი დადგებითად გადაწყდებოდა, მაშინ იგი თავად ურჩევდა რუსეთის მთავრობას ევროსაბჭოდან გასვლას.<sup>55</sup>

რუსეთის გასვლის პერსპექტივა ნიშნავდა არა მხოლოდ ევროსაბჭოს ბიუ-ჯეტში სერიოზული დეფიციტის გაწენას (ცხადია, რუსეთი ავტომატურად შეწყვეტდა თავისი წილის გადახდას), არამედ დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა შემდგომ გართულებას. რუსეთის ოფიციალურ პირთა მხრიდან გამაფრთხილებელ განცხადებებს დაემატა მთელი რიგი ევროპელი ანალიტიკოსების შეშფოთება რუსეთთან ურთიერთობების მოსალოდნელი გამწვავების გამო. მაგალითად, გერმანიის საგარეო პოლიტიკის საბჭოს ექსპერტი ალექსანდრ რარი აცხადებდა, რომ თუკი რუსეთს ხმის უფლებას ჩამოართმევდნენ „მიუხედავად იმისა, რომ ავრესია სააკაშვილმა განახორციელა“, მაშინ ეჭვის ქვეშ დადგებოდა რუსეთის ცივილიზაციური არჩევანი და რუსეთი დაშორდებოდა დასავლეთს. ეს გაართულებდა ტერორიზმის წინააღმდეგ მომს წარმოებას და და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას. ტერორიზმთან ბრძოლა, კერძოდ კი ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ბედი, ეჭვეშ დააყენეს რუსმა ექსპერტებმაც. გარდა ამისა, რუსული დელეგაცია ასამბლეაში ქართული დელეგაციის წინააღმდეგ ანალოგური ზომების მიღებით დაიმუქრა. თანადათანობით ცხადი ხდებოდა, რომ ხმის უფლების ჩამორთმევის მცდელობიდან არაფერი გამოვიდოდა.

ასამბლეის სხდომებზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო „ტალიავინის კომისიის“ დასკანასაც. რუსულმა დელეგაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყურადღება გაამახვილა დასკვნის ტექსტის სწორედ იმ პასაუებზე,

55 <http://www.rg.ru/2008/09/16/pase.html>

სადაც ნათქვამია, რომ კონფლიქტი დაიწყო მაშინ, როცა ქართულმა შეი-არალებულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს ცხინვალს. ცხადია, იგნორირებულ იქნა ის პასაუები, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეს მომენტი იქცა კულმინაციად და რომ ამას წინ უძღვდა ორმხრივი სროლები. რუსული დელეგაცია მით უმეტეს გაურბოდა კომისიის დასკვნაში საკმაოდ დაწვრილებით აღწერილ კონფლიქტის ისტორიას მოყოლებული 90-იანი წლებიდან და 2008 წლის ომის შემდგომ ვითარებას, სადაც რუსეთის როლი ერთობ უარყოფითად იყო შეფასებული. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა რუსეთისათვის საკმარისი აღმოჩნდა, რათა ომის გამარჯვებლად ქართული მხარე გამოეცადებინა, რომელმაც (რუსული მხარის თქმით) დაარღვია საერთაშორისო ნორმები და საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებები კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესახებ. ამ „ლოგიკით“, რუსეთის პასუხი საქართველოს ქმედებებზე იძულებითი იყო. ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ ომის შემდეგ შეიქმნა „ორი ახალი სახელმწიფო“, „რუსეთი არანაირად არ არღვევდა საკონტი-მედვედევის შეთანხმების მიხედვით საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს – მან ჯარები გაიყვანა, მაგრამ იძულებული გახდა დაეტოვებინა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე, რადგან ამას „ადგილობრივი მთავრობები და მოსახლეობა ითხოვდნენ“. ამ არგუმენტის გასაძლიერებლად რუსული დელეგაცია საკმაოდ ხშირად სცემდა განგაშის ზარს იმის გამო, რომ „საქართველო ისევ იარაღდებოდა“, „ატარებდა სამხედრო მანევრებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან“, „მიმართავდა პროვოკაციებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან“. რუსული დელეგაცია ასევე მძაფრად აკრიტიკებდა იმ ქვეყნებს, რომლებიც ოდესალაც საქართველოს აიარაღდდნენ და ამგვარად კონფლიქტის გამო ბრალს ნაწილობრივ დასავლეთსაც დებდნენ.

საერთოდ, რუსულ დელეგაციას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ისეთ ორგანოში, როგორიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაა, საჭირო იყო სიფრთხილე და იმპერიული ამბიციების დამალვა. აქ არ შეიძლებოდა საუბარი იმზე, რომ რუსეთს მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე საქართველოს, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ უფრო დიდი სახელმწიფოა. ამით აიხსნებოდა ზემოთ მოყვანილი გამოსვლები იმის თაობაზე, რომ კონფლიქტს ადგილი ჰქონდა არა საქართველოსა და რუსეთს შორის, არამედ საქართველოსა და „ორ ახალ სახელმწიფოს“ შორის. საკითხის განხილვა

პატარა საქართველოსა და დიდ რუსეთს შორის კონფლიქტის ჭრილში იმთავითვე წამგებიან ვითარებაში აყენებდა მოსკოვს. ცხადია, გაცილებით უკეთესი იყო საკითხის განხილვა თბილისა და ცხინვალს შორის კონფლიქტის ჭრილში თუ არა, თბილის, ცხინვალსა და მოსკოვს შორის მაინც. სწორედ აქედან გამომდინარე რუსული დელეგაცია არ იწონებდა უნგრელი პარლამენტარის, მათიას იორშის მოხსენებებს და ყველანაირად უჭერდა მხარს მეორე მომხსენებელს, ბრიტანელ ჯერ უილშერს, რომელიც კონფლიქტის მხარედ ცხინვალსაც მოიხსენიებდა. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებით რუსეთმა ერთგვარი „პარალელური სამართლებრივი სივრცე“ და ალტერნატიული რეალობა შექმნა, რომლის თავს მოხვევასაც დანარჩენ მსოფლიოზე ცდილობდა. რადგანაც თავიდანვე ცხადი იყო, რომ ევროსაბჭოს წევრებთან ეს არ მოხერხდებოდა, რუსეთმა დააფიქსირა, რომ მისთვის ეს რეალობა საბოლოო იყო და გადახედვას არ ექვემდებარებოდა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის პოლიტიკა შემდეგნაირად შეიძლება შევაფასოთ:

- რუსეთს არ შეიძლებოდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მის პოზიციას გაიზიარებდა და შეეგუებოდა საქართველოს ტერიტორიების ოუპაციას. ჰქონდა რა გაცნობიერებული ეს გარემოება, რუსეთი ერთის შერივ აფიქსირებდა, რომ მისთვის 2008 წლის ომის შედეგები გადახედვას არ ექვემდებარებოდა და რომ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ასამბლეის რეზოლუციები, რუსეთი მათ არ შეასრულებდა, თუკი ეს მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. გარდა ამისა, ასამბლეას ადრე თუ გვიან უნდა მოხერხებოდა რეზოლუციებში რუსეთისათვის ვალდებულებების შექსენება. ამიტომაც, რუსეთს უბრალოდ უნდა მოეთმონა.

ამავე დროს, რუსეთი ცდილობდა აეცილებინა დარტყმა და კრიტიკა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ 2008 წლის აგვისტოში იგი იძულებით აღმოჩნდა ჩათრეული ოშმი (რომელიც „დაიწყო საქართველომ“), ხოლო 2008 წლის შემდეგ მასთან პრეტეზიები მით უმეტეს არავის უნდა ჰქონოდა, რადგან საქმე არა რუსეთსა და საქართველოს ეხებოდა, არამედ

ეხებოდა საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. რაც შეეხებოდა ამ ორი უკანასკნელის აღიარებას, რუსეთს ამის „სრული უფლება გააჩინდა“ კოსოვოს პრეცედენტის შემდეგ.

ცხადი იყო რა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში დიპლომა-ტიური ომი წაგებული იქნებოდა, რუსეთი ცდილობდა რეზოლუციებში როგორმე საქართველოს ბრალეულობაც წამოენია, ან დაეფიქსირებინდა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი როგორც ახალი მოთამაშეები.

რუსეთი ცდილობდა მოქადინა ზოგადად საქართველოს დისკრედიტაცია, როგორც აგრესორისა და მჩავრელის, რომელიც მომავალშიც აპირებდა აგრესის განხორციელებას არ აწერდა რა ხელს შეთანხმებას ცეცხლის განუახლებლობის შესახებ.

პარალელურად მიდიოდა გამაფრთხილებელი კამპანია, რათა რუსეთისა-თვის არ შეეჩერებინათ ასამბლეაში ხმის უფლება. კამპანია აგორდა პრესაში და, ამავე დროს, სავარაუდოდ, შესაბამისი ბრძოლები მიდიოდა ასამბლეის კულუარებშიც.

# რუსეთი უენევის მოლაპარაკებებზე

თენის ფესტივალი, თორნიკი შარაშენიძე

2008 წლის 15 ოქტომბერს ქ. უენევაში დაიწყო საერთაშორისო მოლაპარაკებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/საქართველო, <sup>56</sup> უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ზომებთან დაკავშირებით, 2008 წლის 12 აგვისტოს „ცეცხლის შენკვეტის შესახებ“ შეთანხმების მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიაც ნათქვამია: „საერთაშორისო საზოგადოების, განსაკუთრებით კი ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს ერთობლივი ძალისხმევით პირველად შეიქმნა ისეთი საერთაშორისო ფორმატი, რომლის ფარგლებშიც რუსეთს აღარ გააჩნია მის მიერ ადრე მითვისებული მონოპოლია სამშვიდობო პროცესზე. სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის ნარმომადგენლები დასაწყისიდანვე შეუდგნენ მოლაპარაკების შეფერხებას რუსული საოცუპაციო ჯარების მეშვეობით შექმნილი რეჟიმების ნარმომადგენლების მოლაპარაკებაში ოფიციალურ შხარებად, სუვერენული სახელმწიფოების შესაბამის დონეზე ჩართვის მოთხოვნით, და, ამავე დროს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის/საქართველო, ლეგიტიმური ხელისუფლების ნარმომადგენლების მოლაპარაკებებში მონაწილეობისათვის წინააღმდეგობის გობის გაწევით.“<sup>57</sup>

- 
- 56 ასეთი ფორმულირება, ისევე როგორც „აფხაზეთი/საქართველო“ და „სამხრეთ ოსეთი/საქართველო“ გამოიყენება საერთაშორისო დოკუმენტებში. ფორმულირების წინააღმდეგვა რუსეთის ფედერაცია, რომელიც ცდილობს „სამხრეთ ოსეთი“ და „აფხაზეთი“ მოხსენიერების საქართველოსთან კავშირის გარეშე, როგორც დამოუკიდებელი ერთულები.
- 57 [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=59&info\\_id=8249](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=59&info_id=8249)

უენევის მოლაპარაკებების პლენარული სხდომის ფორმატი ითვალისწინებს საქართველოს, რუსეთისა და აშშ-ს, როგორც ოფიციალური მონაწილეების, და ეკრანგვშირის, უუთოსა და გურიის, როგორც შუამავალი მხარეების, წარმომადგენლების მონაწილეობას. მოსკოვის მცდელობას, მონაწილე მხარეებად წარმოეჩინა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, წარმატება არ მოჰყოლია. ამიტომაც, რუსეთის ფედერაციამ არ მიიღო მონაწილეობა პლენარულ სესიაში.

პლენარული სესიის გარდა არსებობს მეორე, არაოფიციალური ფორმატიც. რომელსაც მონაწილენი ესწრებან ინდივიდუალური ფორმით და არა როგორც რომელიმე ქვეყნის დელეგაციის წევრები. ასეთ არაოფიციალურ ფორმატში უენევის მოლაპარაკებებს ესწრებან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფუქტო ხელისუფლების წარმომადგენლები. უენევის პირველივე შეხვედრის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი აცხადებდა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ფორმატში მონაწილეობა „თანასწორუფლებიანი პარტნიორების“ სტატუსით უნდა მოეღოთ.<sup>58</sup> გაცნობიერებული ჰქონდათ რა, რომ ამ საკითხში რუსეთი საქართველოსა და მისი პარტნიორების კატეგორიულ წინააღმდეგობას წააწყებოდა, მოსკოვში აღმატებულოდ სურდათ, რომ ამ საკითხზე მიღებული უარის სამაგიეროდ, თავადაც ეთებული უარი საპირისპირო მხარის მოთხოვებსა და შემოთავზებებზე. თუმცა, ცხადია სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლებისათვის მუშაობა მაინც გაფრქველდებოდა.

2008 წლის 15 ოქტომბრიდან 2010 წლის ივლისამდე მოლაპარაკებათა 12 რუსენდი გაიმართა. პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. მოლაპარაკებათა სხვადასხვა ეტაპებზე რუსეთმა წამოაყნა ტრადიციული არგუმენტები საქართველოს ხელასალი შეიარაღების თაობის და გააკრიტიკა დასავლეთის სახელმწიფოები თბილისისათვის იარალის მიწოდების გამო. თუმცა, უენევის მოლაპარაკებებზე რუსული დიპლომატიის მთავარ მიმართულებად სულ სხვა საკითხი იქცა – საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. მოსკოვი პრაქტიკულად ყველა შეხვედრაზე აყენებდა ამ საკითხს და ბუნებრივია, წინააღმდეგობას აწყდებოდა თბილისის მხრიდან, რომლისთვისაც ამგვარ შეთანხმებზე ხელის მოწერა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისაკენ გადადგმული ნაბიჯის

58 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19963&search=Jenev>

ტოლფასია. საქართველო აცხადებდა და აცხადებს, რომ ცეცხლის განუახლებ-ლობის თაობაზე უკვე არსებობს დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოწერა 2008 წლის აგვისტოში სარკმიზის, მედვედევისა და საკამარელის მიერ და რომელსაც საქართველო, რუსეთისაგან განსხვავებით, ზედმინევნით ასრულებს. საქართველოს ამ პოზიციას უწევის მოლაპარაკებებზე მხარს უჭერს აშშ-ც. ცხადია, რუსეთის წარმომადგენლებს კარგად აქვთ გამზრებული, რომ საქართველო მსგავს შეთანხმებებს ხელს არ მოაწერს, მაგრამ ამ საკითხის მუდმივად დღის წესრიგში დაყენებით რუსეთი ცდილობს შეიქმნას გასამართლებელი არგუმენტი კონტრნინადადებებსა და შეთავაზებებზე უარის სათქმელად. საქართველოს მხარემ რამდენჯერმე შესთავისარუსეთის ფედერაციას „ძალის არგამოყენების თაობაზე“ ახალი შეთანხმების გაფორმება თბილისა და მოსკოვს შორის. ამ წინადადებას რუსეთის მხარე „პროვოკაციულს“ უწოდებს და აცხადებს რომ ასეთ დოკუმენტის ხელს არ მოაწერს, რადგან თავად კონფლიქტის მხარე არ არის. ასევე „პროვოკაციული“ უწოდა უწევის მოლაპარაკებებზე რუსეთის წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილურ გრიგორი კარასინმა თბილისის წინადადებას კონფლიქტურ ზონებში საერთაშორისო სამშვიდობი კონტინგენტის შეყვანის თაობაზე. 2008 წლის 12 აგვისტოს „სარკმიზი-სააკაშვილი-მედვედევის“ დოკუმენტის თაობაზე საუბრისას კი რუსეთი ისევ, „ახალ რეალობებს“ იშველიერდა და აცხადებდა, რომ ამ რეალობების გათვალისწინებით, მან ყველანაირად შეასრულა შეთანხმების პირობები – გაიყვანა რა ჯარები „საქართველოს ტერიტორიიდან“. ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიზე რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნა „ამ სახელმწიფოებთან“ გაფორმებულ შეთანხმებებს ეფუძნებოდა.

უწევის ფორმატი დაბლომატიურ იარაღად ყველაზე ეფექტურად გამოყენებულ იქნა 2009 წლის მაისში, როცა გაეროს გენერალურ მდივანს უნდა წარედგინა მოხსენება აფხაზეთში შექმნილი ვითარების თაობაზე. იქამდე, ყველა ასეთი დოკუმენტის სათაურში ფიგურირებდა „აფხაზეთი, საქართველო“, რაც ხაზს უსვამდა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. ელოდნენ რა ახალ მოხსენებაში იგივე ფორმულირებას, უწევაში აფხაზეთის წარმომადგენლებმა დემარში მოაწყეს. აფხაზეთის დეფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ სოხუმს სურდა, რომ მოხსენება უწევის მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდის დაწყებამდე გამოქვეყნებულყო, რადგანაც დოკუმენტის ფორ-

მულირება განსაზღვრავდა აფხაზური მხარის პოზიციას უენევის განხილვებში მის მონაწილეობაზე. სოხუმი წინააღმდეგი იყო ფორმულირების „აფხაზეთი, საქართველო“, და მისი გნოკადებით გურიას აღარ უნდა გამოუყენებინა ამგვარი ფორმულირება, რადგან ორმა მისმა წევრმა სახელმწიფომ – რუსეთმა და ნიკარაგუამ – ალიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ რუსეთმა გადაწყვიტა „აელო პატია“ და ასევე შეეწყვიტა უენევის მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდში მონაწილეობა მანამდე, სანამ გაირკვეოდა აფხაზეთის პოზიცია შეხვედრაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, იგივე პოზიცია დაიკავეს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმაც.

სოხუმისა და რუსეთის დემარშს უენევის მოლაპარაკებებში წარმოდგენილმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. ერთობლივ განცხადებაში, რომელიც რუსული დელეგაციის მიერ მოლაპარაკებების დატოვების შემდეგ გამოქვეყნდა, გაეროს, ეუთოს და ევროკავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „თანათავმჯდომარები მუშაობენ, რათა განახლდეს მოლაპარაკები სვალ დილიდან, 19 მაისიდან, როგორც დაგეგმილი იყო და მოვუწოდებთ ყველა მონაწილეს დაესწროს“. ასევე, „თანათავმჯდომარები ძლიერ წუხილს გამოთქვამენ რუსეთის წარმომადგენლების მიერ უენევის განხილვების მეხუთე რაუნდის დატოვების გამო მას შემდეგ, რაც აფხაზეთის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს არ დასწრებოდნენ შეხვედრას და მას შემდეგ, რაც განხილვები სამხრეთ ოსეთის მონაწილეებმაც დატოვეს.“<sup>59</sup>

როგორც ცნობილია, შედეგად ანგარიშის სათაურში წეიტრალური ფორმულირება გაჩნდა: „გვერალური მდიგნის მოხსენება წარმოდგენილი უშიშროების საბჭოს 1808-ე, 1839-ე და 1866-ე რეზოლუციების შესაბამისად.“<sup>60</sup> ამ წარმატების შემდეგ კარასინი აღნიშნავდა, რომ გავიდა ის დრო, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები უენევის მოლაპარაკებებზე მეორეხარისხოვან როლში იყვნენ და ახლა მათ მიერ წამოყენებულ წინადადებებსა და პროექტებს უკვე „იგივე პოლიტიკური წონა აქვს,“ რაც სხვა წარმომადგენლების (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების) წამოყენებულ წინადადებებსა და პროექტებს.<sup>61</sup>

59 [www.civil.ge/geo/article.php?id=21155](http://www.civil.ge/geo/article.php?id=21155)

60 [www.izvestia.ru/comment/article3135153/](http://www.izvestia.ru/comment/article3135153/)

შეიძლება ითქვას, რომ 2009 წლის მაისის დემარშით მოსკოვმა გარცვეულ ნარმატებას მიაღწია იმ გეგმის განხორცილების გზაზე, რომელიც უნევის მოლაპარაკებების დაწყებამდე ლაფროვმა განაცხადა (საუბარია, სოხუმისა და ცხინვალისათვის თანასწორუნარიანი პარტნიორების სტატუსის შექმნა). შეიძლება თამამად ითქვას, რომ 2010 წლის ივნისში გამართულ მოლაპარაკებათა 11-ე რაუნდზე აფხაზეთის ნარმომადგენელთა დემარში<sup>61</sup> ისევ იგივე მოტივაციით აიხსნება – უნევის ფორმატში დარჩენის სანაცვლოდ სოხუმი დამატებით მოთხოვნებს ნამოაყენებს და ამ საკითხში მოსკოვის ყველანაირი მხარდაჭერით (მათ შორის დემარშის ჩათვლით) ისარგებლებს. სოხუმის პრეტენზის ძირითად მიზანზად ისევ ძალის გამოუყენებლობის თაობაზე შეთანხმება სახელდება, რომელსაც საქართველო ხელს არ აწერს. ამ საკითხით სპეციულირება უნევის ფორმატში აღბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

უნევის მოლაპარაკებათა ფორმატი ითვალისწინებს ორი სამუშაო ჯგუფის არსებობას: ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლევილთა საკითხებთან დაკავშირებით მომუშავე ჯგუფი. აქედან შედარებითი პროდუქტიულობით გამოირჩევა პირველი – ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის ძირითად ტაქტიკას ნარმოადგენს დროის გაჭიანურება და პასუხისმგებლობის სხვაზე გადატანა (მაგალითად აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის ნარმომადგენელთა ხელით მოლაპარაკებების ჩაშლა ან საფუძველშივე პრინციპულად მიუღებელი მოთხოვნის ან წინაპირობის დაყენება, რაზედაც ქართული მხარის უარყოფითი დამოკიდებულება წინდანინ ცნობილია).

რუსეთის ფედერაციის მხრიდან უნევის მოლაპარაკებების აშკარა ობსტრუქციის მიუხედავად, ქართული მხარის ძალისხმევა მიმართულია ამ სამშეიდობო პროცესის გაგრძელებისა და არსებული პრობლემების მოლაპარაკებების გზით გადასაჭრელად.

---

61 <http://www.newsru.com/world/24jun2010/genievend.html>

# რუსეთის პოლიტიკა ევროკავშირში

თორნიავ შარაშენიძე

ევროკავშირთან რუსეთის ურთიერთობა საერთოდ ვრცელი თემაა, თუმცა საქართველოსთან კონფლიქტის კონტექსტში აյ სულ რამდენიმე საკითხია განსახილველი. არ წარმოადგენს რა ევროკავშირის წევრ-ქვეყანას, რუსეთს არ ჰქონდა არანაირი ხმა ამ ორგანიზაციის ფორუმებზე და მასზე მხოლოდ გარედან შეეძლო დიპლომატიური ზენოლის განხორციელება. 2008 წლის 2 სექტემბერს მოსკოვი კმაყოფილებით გამოეხმაურა ევროკავშირის საგანგებო სამიტს, რომელზეც საქართველო-რუსეთის ომის საკითხი განიხილეს და რომელზეც საბოლოო ჯამში რუსეთის წინააღმდეგ არანაირი კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „ევროკავშირის წევრთა უმრავლესობა პასუხისმგებლობით მიუდგა საკითხს... გაიაზრო რა ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობა.“<sup>62</sup> სამინისტრო არ დაეთანხმა რუსეთის დადანაშაულებას ძალის არაპროპორციულ გამოყენებაში და გაკვირვება გამოთქვა, რომ თბილისის ქმედებებს არანაირი შეფასება არ მიეცა.

ალბათ, იმთავითვე ცხადი იყო, რომ ევროკავშირი რადგიკალურად არ და ვერ დაუპირისპირდებოდა რუსეთს. როცა უკვე 2008 წლის ნოემბერში თავად სარკოზიმ ისიც განაცხადა, რომ მოსკოვმა სარკოზი-მედვედევის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა, ნათელი გახდა რომ ევროკავშირი რუსეთთან შერიგებაზე მიღიოდა.

რაც შექება ევროკავშირის სადამცვირებლო მისიის ბედს საქართველოში, რუსეთმა თავიდანვე ღიად დააფიქსირა პოზიცია, რომ ამგვარი მისიის

62 [http://www.mid.ru/bpr\\_4.nsf/0/C3A6AA0BD1F6A15AC32574B800327206](http://www.mid.ru/bpr_4.nsf/0/C3A6AA0BD1F6A15AC32574B800327206)

არსებობას საერთოდ არ ჰქონდა აზრი გამომდინარე იქიდან, რომ „საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციები საკმარისად იყვნენ წარმოდგენილი“.<sup>63</sup> როცა შემდგომში ცხადი გახდა, რომ ევროკავშირს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სადამკვირვებლო მისიის გამზადა, რუსეთმა უკან დაიხია (თუმცა, საკითხავია რას მოიმოქმედებდა რუსეთი, ევროკავშირში ვეტოს უფლება რომ ჰქონდა).

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) განხორციელება დაიწყო ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების და მისი შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ 8 სექტემბრის შეთანხმების შედეგად. მისია 200 დამკვირვებელთან ერთად, მანდატის შესრულებას 2008 წლის 1 ოქტომბერს შეუდგა. მისი მანდატი ოთხ მნიშვნელოვან კომისიერენტს მოიცავს, კერძოდ, სტაბილიზაციას, ნორმალიზაციას და ნდობის აღდგენას, ასევე, ბრიუსელთან ანგარიშებას რათა ევროკავშირის პოლიტიკის განმხორციელებლებს ჰქონდეთ ინფორმაცია ადგილზე არსებული სიტუაციის შესახებ.

ნორმალიზაცია პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, რომელიც მისიის წინაშე იდგა. თავისი საქმიანობის დასაწყიში მისიის მცდელობები იქით იყო მიმართული, რომ აფხაზეთან და სამხრეთ ისეთთან ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის და საომარი მოქმედებების შედეგად გადაადგილებულთა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დაბრუნებულიყო.

მაშინ როცა მისიის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიას ფარავს საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების ფარგლებში, და ფაქტობრივი სურათი სამხრეთ ისეთსა და აფხაზეთში შეშვებზე ხელს უშლის მისიის ნორმალიზაციის და სტაბილიზაციის მცდელობებს.<sup>64</sup>

EUMM-მა დღემდე ვერ მოახერხა ოუპირებული ტერიტორიებზე შეღწევა. მაგრამ ამის მიზნად მხოლოდ სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმების „ურჩო-

63 euobserver.com/9/26706

64 <http://civil.ge/geo/article.php?id=23032>

ბას“ ვერ დავასახელებთ. აქაც პრობლემების ძირითადი მიზნით ისევ და ისევ მოსკოვის ხისტი პოზიციაა, რის შესახებაც რუსი დიპლომატები დაუფარავად საუბრობენ. ასე მაგალითად, 2009 წლის 27 ივნისს გაიმართა ევროკავშირის ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობების საბჭოს (GAERC) სხდომა, სადაც მიღებული იქნა დასკვნითი დოკუმენტი საქართველოს შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია: „საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდგომ, საქართველოში ევროკავშირის მიერ მონიტორინგის მისიის სწრაფი განთავსება მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობისაკენ მიმართული მოქმედებების განხორციელებისთვის ევროკავშირის მზადყოფნას ადასტურებს. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე ევროკავშირის მონიტორების განთავსებამ ხელი შეუწყო 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმებების იმპლიმენტაციისათვის აუცილებელი პირობების შექმნას.

აღნიშნულ კონტექსტში, საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მხარეებს მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისაკენ, რომელიც, ამასთანავე, გულისხმობს ყველა სამხედრო ძალის დაპირისპირების დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნებას.

საბჭო კიდევ ერთხელ ახმოვანებს, რომ EUMM-ის მანდატი ითვალისწინებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებას და კვლავაც აკეთებს მოწოდებას იმის შესახებ, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისია შეშვებულ იქნას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, რაც, ჯერჯერობით განხორციელებული არ არის.<sup>65</sup>

აღნიშნული დოკუმენტის მიღებას მოჰყვა კრიტიკა ოფიციალური მოსკოვის მხრიდან. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგეი კარასინის ოფიციალურ კომენტარში ნათელად არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებაში უხვადაა ტერმინები და ფრაზები, რომლებიც მიგვანიშნებს პოლიტიკური თამაშების გაგრძელების სურვილზე და უგულვებელყოფს 2008 წლის ტრაგედიის შემდეგ რეგიონში ჩამოყალიბებულ ახალ რეალობას. კერძოდ, მიგვითითებს სუვერენული აფხაზეთისა და სამხრეთ

65 [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=10670](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=10670)

ოსეთის ტერიტორიაზე შეღწევის სურვილზე იმის მიუხედავად, რომ თავად მისის დასახელება გულისხმობს, რომ მისი საქმიანობა ვრცელდება მხოლოდ საქართველოზე. სოხუმსა და ცხინვალში ნებატოურად უყურებენ ევროკავშირის მცდელობებს, რომ შეაღწიონ ამ ტერიტორიებზე.<sup>66</sup>

თუნდაც ამ განცხადებიდან ნათელია მოსკოვის განზრახვა, თავი აარიდოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასა და ხელი შუმალის EUMM-ის მისის სრულფასოვან ფუნქციონირებას.

---

66 [http://www.mid.ru/brp\\_4.nsf/0/C3A6AA0BD1F6A15AC32574B800327206](http://www.mid.ru/brp_4.nsf/0/C3A6AA0BD1F6A15AC32574B800327206)

თავი ॥

რუსეთის ფედერაციის  
„თანამემამულეთა  
დაცვის“ პოლიტიკა და  
საკონსულო პოლიტიკა  
საქართველოსთან  
მიმართებაში

# **რუსეთის ფედერაციის „თანამემამულეთა დაცვის“ პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში**

თენიაზ ფხალაძე

საქართველოს ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში ტრადიციულად ცხოვრობდნენ არაერთი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში სხვა ეროვნებისა და რელიგიის მიმართ ჩამოყალიბებული ტოლერანტობის ტრადიციები განაპირობებენ საქართველოში, როგორც მრავალეროვან სახელმწიფოში, სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლების ერთობლივ თანაცხოვრებას. მიუხედავად არსებული კონფლიქტური ზონებისა (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დღესაც ცხოვრობენ რუსები, აფხაზები და ოსები, რომლებიც არანაირ დისკომფორტს და მითუმეტეს დევნასა და შევიწროებას არ განიცდიან.

რუსული დიასპორა საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. მისი არსებობა არასოდეს ყოფილა საფრთხე საქართველოს სახელმწიფოსათვის. რაც შეეხება თანამედროვე რუსული პოლიტიკის ერთერთ ძირითად მიმართულებას – „თანამემამულეთა ინტერესების დაცვა“, საქართველოსთან მიმართებაში ეს გულისხმობს მოსახლეობის ფართო სპექტრს: თავად რუსულ დიასპორასა და რუსულენოვან მოსახლეობას, ასევე საქართველოს არაქართულენოვანი და ქართულენოვანი მოსახლეობის ნაწილსა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის იმ მოსახლეობას, რომლებიც რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით განხორციელებული მასობრივი პასპორტისაციის შედეგად რუსეთის მოქალაქეებად იქცნენ.

წინამდებარე კვლევაშეეხებარუსეთის ფედერაციის იმ ქმედებებს, რომელიც მან „თანამემამულეთა და ცვის“ მოტივით საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთისა და სამხრეთი განახორციელა. ამთავითვე აღსანიშნავია, რომ რუსეთის ნებისმიერი არაკანონიერი და საქართველოს სახელმწიფოს საზიანოდ მიმართული ქმედება აფხაზეთისა და სამხრეთის ტერიტორიაზე მცხოვრები „თანამემამულების ინტერესების დაცვის“ მოტივით ინილბებოდა, თუმცა ამ ქმედებების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, უპირველეს ყოვლისა სწორედ აფხაზები, ოსები და ის ეთნიკური ჯაჭვები ზიანდებოდნენ და ზარალდებოდნენ, რომელთა ბეჭედი ზრუნვასაც მოსკოვი საკუთარ „წმიდათაწმიდა მოვალეობად“ ასალებდა.

უპირველეს ყოვლისა, განესაზღვროთ რას გულისხმობს სიტყვა „თანამემამულე“ ან „თანამოქალაქე“, რადგან ამ ცნებების კრემლისეული ინტერპრეტაცია განსხვავდება ზოგადად საერთაშორისო სამართალში მიღებული დეფინიციისაგან.

„ვინ არიან ჩვენი თანამოქალაქეები“, „შეიძლება თუ არა საბოლოოდ გამოვყოთ „ჩვენიანი“ „თითქმის ჩვენიანისაგან“ და „არა ჩვენიანისაგან“, რუსი და რუსული კულტურის მატარებლები – რუსულენოვანისა და რუსეთზე ორიგნტირებულისაგან“?<sup>67</sup> ასეთ, ვითომდა რიტორიკულ შეკითხვებს სვამენ, „რუსული სამყაროს“ ერთ-ერთი ქსელური პროექტის „archipelag.ru“-ს შემწენელები და პასუხსაც თავადვე „პოულობენ“: არ შეიძლება ერთი მსხვილი ხაზის გავლება, რომელიც რუსეთს გაყოფს იმისაგან, რაც არ არის რუსეთი და არასოდეს ყოფილა რუსეთი.<sup>68</sup>

ამ ლოგიკითა და იდეოლოგით არის გაჯერებული ოფიციალური კანონმდებლობაც. მაგალითად, „საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან მიმართუებაში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ“ კანონის უკანასკნელ, 2010 წლის ივლისში მიღებული შესწორებების გათვალისწინებით, რედაქციაში ვკითხულობთ, რომ უცხოეთში მცხოვრები

67 [http://www.archipelag.ru/about\\_project/](http://www.archipelag.ru/about_project/)

68 [http://www.archipelag.ru/about\\_project/](http://www.archipelag.ru/about_project/)

„თანამემამულები“, გარდა საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისა, არიან:

- ის პირები და მათი შთამომავლებიც, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ეკუთვნიან რუსეთის ტერიტორიიზე ისტორიულად მცხოვრებ ხალხებს;
- პირები, რომლებმაც გააკეთეს თავისუფალი არჩევანი რუსეთის ფედერაციასთან სულიერი, კულტურული და სამრთლებრივი კავშირების სასარგებლოდ და რომელთა პირდაპირი აღმაგალი ხაზით ნათესავები ადრე ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიიზე, მათ შორის:
  - სსრკ-ს მოქალაქეები, მცხოვრები ქვენებში, რომლებიც ადრე შედიოდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში და რომლებმაც მიიღეს ამ ქვეყნების მოქალაქეობა ან იქცნენ მოქალაქეობის არმქონე პირებად;
  - ემიგრანტები რუსული სახელმწიფოდან, რუსეთის რესპუბლიკიდან, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკიდან, საბჭოთა კავშირიდან და რუსეთის ფედერაციიდან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი მოქალაქეობრივი კუთვნილება და გახდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები.<sup>69</sup>

ერთი სიტყვით, რუსი მომლერლის ოლეგ გაზმანოვის ერთ-ერთი პოპულარული ჰიტის ენით რომ ვთქვათ: „Я рожден в Советском Союзе, сделан я в СССР“ და ამიტომაც ციმბირი, ვოლგისპირეთი, კავკასია და ბალტიის-პირეთი და ბევრი სხვა რამ კГБ-სა და „სპეცნაზის“ ჩათვლით, ყველაფერი „ერთი ქვეყანა“ ყოფილა!<sup>70</sup> რომელ ქვეყანაზეა საუბარი, ვფიქრობ, დაუნერეტებას ალარ საჭიროებს.

69 <http://graph.document.kremlin.ru/page.aspx?1;1291765>

70 [http://www.gazeta.ru/comments/2005/01/13\\_a\\_224133.shtml](http://www.gazeta.ru/comments/2005/01/13_a_224133.shtml)

აქვე აღვნიშნავთ, რომ „თანამემამულეთა შესახებ“ კანონის 2010 წლის ივლისამდე მოქმედი რედაქცია კიდევ უფრო მეტად იყო საბჭოური იდენტურობით გაულენთილი და არ მოითხოვდა რუსეთის ფედერაციასთან სულიერი, კულტურული და სამართლებრივი კავშირების სასარგებლოდ „თავისუფალი არჩევანის“ გაკეთებას. კანონმდებლობის „გაპროგრესულების“ ეს პატარა მცდელობაც კი მძაფრი კრიტიკისა და იდეოლოგიური „მამების“ აღწეოთების საგნად გადაიქცა. „თანამემამულეთა პოლიტიკის“ ერთ-ერთმა მთავარმა შემოქმედმა, მოდესტ კოლეროვმა, თავად პრეზიდენტი მედვედევი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა და თანამემამულეთა ინტერესების უარყოფაში დაადანაშაულა: „უტვინო ოფიციოზი გვამცნობს რა პრეზიდენტის მიერ თანამემამულეთა შესახებ კანონის ხელმოწერაზე, ჩქარობს დააკცინას, რომ დას-ს მცხოვრებლები ავტომატურად ველარ ჩაითვლებიან თანამემამულეებად“.<sup>71</sup>

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა იდენტურობაზე აპელირება შემთხვევითი მოვლენა არაა რუსი კანონმდებლებისა და, მით უმეტეს, იდეოლოგებისათვის. ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებული სახელმწიფოები“, „პოსტსაბჭოთა ქვეყნები“, „ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები“ (არსებობს კიდევ სხვა ვარიანტებიც, სადაც მთავარი აქცენტი საბჭოურობაზე და საბჭოთა კავშირზე კეთდება) ხშირად იხმარება რუსეთის ოფიციალური პირებისა და მაღალჩინოსნების მიერ. ეს არის ის დეფინიცია, რომელიც სრულიად მჟაფონდ ეხმაურება რუსული პოლიტიკის შინაარსს და მას აბსოლუტურად მკვეთრად განსაზღვრული დატვირთვა და ფუნქცია აქცს, კერძოდ:

1. ამ ტერმინით რუსეთი ხახს უსვამს რომ ამ ქვეყნების რაობის ძირითადი განმასზღვრული ფაქტორია ის, რომ ისინი იყვნენ სსრკ-ს შემადგენელი ნაწილი და აღმოცენდნენ სსრკ-ს დაშლის შეფეგად, და არა ის, რომ ამ ქვეყნებს აქვთ საკუთარი ისტორია, სახელმწიფოებრიობა და ტრადიციები. ამიტომაც, ყოფილი სსრკ-ს მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე „არ არიან ვალდებული მიიღონ ამ ქვეყნების მოქალაქეობა“.

---

67 <http://www.regnum.ru/news/1308005.html>

2. ტერმინი „ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებული სახელმწიფოები“ ათანაბრებს ამ სახელმწიფოებს ისეთ სეპარატისტულ რეგიონებთან, როგორებიცაა აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ყარაბაღი, დნესტრისპირეთი და ა.შ. ისინიც წარმოადგენებ ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიის ნაწილს და განსხვავება „მხოლოდ ისაა“, რომ ამ სეპარატისტულმა რეგიონებმა „ჯერ ვერ მიაღწიეს“ საკუთარი დამოუკიდებლობის აღიარებას. ქედან დაიბადა ტერმინი – არაღიარებული რესპუბლიკები (Непризнанные республики). სწორედ ამ ლოგიკითა და მოსკოველი იდეოლოგების შთაგონებით 2000 წელს „დაფუძნებულ იქნა“ დსტ-2 (СНГ-2), ანუ „არაღიარებულ სახელმწიფოთა კავშირი“.<sup>72</sup>
3. რუსეთს, როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრეს, ვალდებულება აკისრია სსრკ-ს ყოფილ მოქალაქეთა მიმართ და ამიტომ „ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებში“ მცხოვრები ადამიანები არიან „თანამემამულები“, რომელთა ინტერესების დაცვა რუსეთის სახელმწიფოს „წმიდათაწმინდა მოვალეობაა“.

ახლა კი მთავარი საკითხი – საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილი შეიძლება ჩათვალოს კრემლმა საკუთარ თანამემამულედ ან თანამოქალაქედ? თუკი ვიმსჯელებთ იმ კანონმდებლობით, რომელიც რუსეთში 2010 წლის ივლისამდე მოქმედებდა, კრემლის ლოგიკით „თანამემამულის“ კატეგორიაში საქართველოს ნებისმიერი მაცხოვრებელი შეიძლება მოხვდეს. თუკი რეალურ სურათს შევხედავთ, საქართველოს მოსახლეობის სოლიდურ ნაწილს აქვს მჭიდრო კავშირები რუსეთის ფედერაციასთან. რაც შეეხება უშუალოდ რუსეთის მოქალაქეებს, მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია, რადგან მათი უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტის ზონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს.

---

72 <http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%9D%D0%93-2>

მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც „თანამემამულედ“ შეიძლება იყოს განხილული, პირობითად სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

1. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ძირითადად მოღვაწეობენ რუსეთში, მაგრამ არ გაუწყვეტიათ კავშირი საქართველოსთან. საქართველოს ტერიტორიაზე მათ აქვთ უძრავი ქონება, საცხოვრებელი ადგილი, ჰყავთ ახლო ნათესავები. ეს ხალხი რუსეთში ძირითადად სამუშაოს საშოვნელად და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო აღმოჩნდა.
2. 90-იან წლებში საქართველოდან უამრავი ადამიანი წავიდა რუსეთში სამუშაოდ. დღეისათვის რუსეთის ტერიტორიაზე, სხვადასხვა მონაცემებით 600 000 – 900 000 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. მათ უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობაც აქვთ;
3. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, რომელთაგანაც აპსოლუტურ უმრავლესობას, ზოგს ნებით და ზოგს იძულებით, მიღებული აქვს რუსეთის მოქალაქეობა.

ჩამოთვლილი კატეგორიებიდან სწორედ მესამე წარმოადგენს კრემლისებური "Soft Power"-ის გამოვლინების ფრიად საინტერესო მაგალითს. რომლის ტექნოლოგიებიც აპსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის როგორც საერთაშორისო სამართალთან, ასევე თავად რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან. ეს გახდავთ რუსული ე. წ. „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა, რაც გულისხმობს რუსეთის მოქალაქეობის მასიურად მინიჭებას და შემდგომ პასპორტების გაცემას იმ პირებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ. ამჯამად, ამ ტერიტორიაზე მოსახლე-

ობის უმრავლესობა რუსული პასპორტების მფლობელია. როგორც „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისისი“ (ე.წ. ტალიავინის კომისია) დასკვნაშია აღნიშნული, მოქალაქეობის შესახებ ახალი რუსული კანონმდებლობით (ძალაში შევიდა 2003 წლს), მოქალაქეობის მინიჭება რეგულირდება მე-13 და მე-14 მუხლებით, რაც რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებულ პროცედურებს წარმოადგენს. ამით ფართოდ გაეხსნა კარი ათასობით განაცხადის შემტანს სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა სხვა სახელმწიფოებისთვის ვალდებულება აიღოს მოქალაქეობის მინიჭებაზე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, არის ადეკვატური ფაქტობრივი კავშირის არსებობის აუცილებლობა განაცხადის წარმდგენსა და მიმღებ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში კი რუსეთს შორის, თუმცადა, გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს თვითნებური. ფაქტობრივი კავშირის ასეთ შემთხვევებს წარმოადგენს ოჯახის გაერთიანება, ხანგრძლივი პერიოდით სხვა ქვეყანაში ცხოვრება, გრძელვადიანი საჯარო ან სამხედრო სამსახური. დამატებით, აუცილებელია მშობლიური ქვეყნის ცალსახად გამოხატული თანხმობა, თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც საკმარისი საფუძველი, რადგან საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის სტატუსი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს მოქალაქეობის სტატუსით შეიცვალა. ამ მოთხოვნების შესაბამისად, მინიჭებული მოქალაქეობის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა შეიძლება მიჩნეული იყოს კანონიერად საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. საერთაშორისო სამართლის თანახმად, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ნატურალიზებული მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსული მოქალაქეობის აღიარება არ არის. ამ გზით მინიჭებული რუსული მოქალაქეობის აღიარება არ არის სავალდებული არც საქართველოსთვის და არც რომელიმე მესამე ქვეყნისთვის. შესაბამისად ის პირები, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ და რომლებიც საქართველოს მოქალაქეები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდნენ, „პასპორტისაციის“ პოლიტიკის მიუხედავად საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან. 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ისინი ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და, სამართლებრივი თვალსაზრისით, დღემდე საქართველოს მოქალაქეებად

რჩებიან, თუ მათ უარი არ უთქვამო მოქალაქეობაზე ან არ დაუკარგავთ საქართველოს მოქალაქეობა დადგენილი პროცედურების დაცვით. რუსეთის მოქალაქეობის მასიური მინიჭება საქართველოს მოქალაქეებისთვის და პასპორტების მასიური გაცემა საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის სეპარატისტული რეგიონების ჩათვლით, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, ეწინააღმდეგება კეთილმეზობლური პოლიტიკის პრინციპებს, რაც საქართველოს სუვერენიტეტს აშენად უქმნის სირთულეებს და საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას წარმოადგენს.<sup>73</sup>

მიუხედავად კატეგორიული და მეცნისა, ტალიავინის კომისიის დასკვნა მაინც მთლიანად ვერ ასახავს პასპორტიზაციის მთელ არსა და დანაშაულებრივ ბუნებას. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება დაინტყო ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებრივი ორგანიზაციის „რუსული თემთა კონგრესის“ მეშვეობით, რომლებიც შუამდომლობას უწევდა აღნიშნულ პირებს რუსეთის შესაბამის უწყებებთან.

„რუსულ თემთა კონგრესი“<sup>74</sup> ნაციონალისტურ-იმპერიული პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელსაც ხელმძღვანელობს დიმიტრი როგორინი – რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი მუდმივი წარმომადგენელი ნატოში. როგორინის მოსაზრებებსა და შეფასებებში კარგად და სრულიად ნათლად ჩანს „თანამოქალაქეთა და თანამემამულეთა შეხარდაჭერის“ და რუსეთის „ჰუმანიტარული პოლიტიკის“ ჭეშმარიტი არსი, სულისკვეთება და მიზნები. როგორინის შეფასებით, ის რომ „თანამემამულები“ ცხოვრობენ „ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე“, სულაც „არ ნიშნავს, რომ მათ უნდა მიიღონ ამ ქვეყნების მოქალაქეობა“!<sup>75</sup> ამიტომაც, რუსეთის პოლიტიკა მთლიანად ჯდება თანამემამულეთა მსარდასაჭერად მიმართულ ჰუმანიტარული ქმედებების ოფიკაში, „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები არიან, რომლებმაც არ მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა.

73 [http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG\\_Volume\\_I.pdf](http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_I.pdf)

74 <http://www.rodina.ru>

75 <http://www.rodina.ru/news/more/?id=494>

სწორედ ამიტომ, რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ვალდებული იყო მიეცა ამ ხალხისათვის მოქალაქეობა და უფლებები, რაც გამომდინარეობს რუსეთის კონსტიტუციიდან“<sup>76</sup> ამ არგუმენტების სიმართლეში რუსეთი აბსოლუტურად დარწმუნებულია და, ამიტომ, არც მუქარას ერიდება: „თუ თმის ერთი ლერი მაინც ჩამოვარდება რუსეთის მოქალაქეების თავიდან, რუსეთის ვალდებული იქნება გამოიყენოს საშუალებათა მთელი არსენალი საკუთარი მოქალაქეების დასაცავად“.

სავულისხმოა, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შემოჭრის უმთავრეს მიზეზად რუსეთი სწორედ საკუთარი მოქალაქეების დაცვას ასახელებდა. ამიტომაც, პასპორტიზაციის პროცესი ნამდვილად უნდა იქცეს ფართო შესწავლისა და საერთაშორისო განხილვის საგნად, რადგან სწორედ საქართველოში აპრობირებილი ტექნიკოლოგია იქნა შემდგომ გამოყენებული მოლდოვასა (დნესტრისპირეთი) და უკრაინაში (ყირიმი).

პასპორტიზაციის პროცესი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც გაგრძელდა რუსეთის მიერ ანექსირებულ ტერიტორიებზე. ამის ერთ-ერთ და არა ერთადერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ოსური საინფორმაციო სააგენტოს მიერ 2009 წლის 11 ივნისს გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „სამხრეთ ოსეთში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტით საკონსულო პუნქტში მიმდინარეობს დოკუმენტების მიღება რუსული საზღვარგარეთის პასპორტების გასაფორმებლად“.<sup>77</sup>

განსაკუთრებითი ძალატანება და იძულების ფაქტები დაფიქსირებულია გალისა და ახალგორის რაიონებში, სადაც რუსულ პასპორტებთან ერთად მოსახლეობას აიძულებენ აიღონ აფხაზური (გალში) და ოსური (ახალგორში) პასპორტები.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უაღრესად მძიმეა. ადგილზე ნორმალური სამუშაოს შოვნა უაღრესად რთულია და მოსახლეობას უკიდურეს

76 <http://www.rodina.ru/news/more/?id=494>

77 <http://osinform.ru/14205-v-juzhnojj-osetii-prodolzhaetsja-process.html>

გაჭირვებაში უწევს ცხოვრება. ამიტომაც, ამ რეგიონის მოსახლეობისათვის ერთადერთ ხსნას წარმოადგენს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან, განსაკუთრებით კი მის საზღვრისპირა რეგიონებთან. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის ლოიალურობის „წასახალისებლად“ რუსეთის მიერ გამოყენებულ იქნა 3 ინსტრუმენტი:

1. გამარტივებული მიმოსვლის საშუალება – ორივე რეგიონში არალეგალური სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გახსნის მეშვეობით;
2. რუსეთის პასპორტების გაცემა;
3. პენსიებისა და სოციალური დახმარებების დანიშვნა, იმ პირებისათვის ვინც მიიღო რუსეთის მოქალაქეობა.

ფაქტიურად, სწორედ უვიზო მიმოსვლა და ზოგ შემთხვევაში ფულადი დახმარების გაცემა წარმოადგენდა პასპორტიზაციის რეალურ ხელშესახებ მოტივაციას უბრალო მოსახლეობისათვის, რადგანაც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამგვარი გზით მოპოვებული მოქალაქეობა რუსულ რეალობაში მრავალ პრობლემას უკავშირდება და არ იძლევა მოქალაქისათვის ჩვეული მრავალი უფლების რეალიზაციის საფუძველს. საქმე ისაა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე პასპორტის გაცემა, და, შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, ხდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური საკონსულო დაწესებულების მიერ. ამგვარი დაწესებულებისა თუ წარმომადგენლობების არსებობა ცალკე შესწავლის საგანია, რადგანაც არანაირი დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიის ამ წანილში მათი არსებობისა და ფუნქციონირების შესახებ არ შექმნილა. მაშასადამე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გახსნილი განცხადების მიმღები პუნქტები და ადგილზე გამსვლელი ბრიგადები წარმოადგენდა არალეგალურ ჯგუფებს და, შესაბამისად, არც საბუთების განხილვის და მით უმეტეს პასპორტის გაცემის უფლებაც არ ჰქონდათ.<sup>78</sup>

---

78 <http://www.rodina.ru>

ასეთი საქმიანობა სხვა არაფერია, თუ არა ყალბი დოკუმენტების დამზადება, რაც ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად როგორც საქართველოში, ასევე თავად რუსეთის ფედერაციაში.

ამგვარი არალეგალური საკონსულოების მიერ გაცემულ მოქალაქეობას რუსეთის შსს ორგანოები უპრობლემოდ აღიარებს და ახდენებ ამ მოქალაქეთა რეგისტრაციას ჩასვლის ადგილის მიხედვით, მაგრამ არ არეგისტრირებენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და არ აძლევენ რუსეთის ფედერაციის შიდა პასპორტს. შედეგად, ამ მოქალაქებს არ შეუძლიათ რუსეთის ტერიტორიის უძრავი ქონების შექნა, რადგან ამგვარი გარიგების დამოწმება შეუძლებელია საზღვარგარეთის პასპორტით. აქედან გამომდინარე, ამ გზით მიღებული მოქალაქეობა, რომელიც თავად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის შეზღუდულ უფლებებს წარმოშობს, თავისთავად იურიდიული კაზუსია, რომელიც სამართლებრივ აბსურდამდეც კი მიდის და საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ მისი მიღების კანონიერება ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაციაში კანონის ცვლილება ხდება მმართველი ელიტის ინტერესებიდან და არა მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ პასპორტისაციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე რუსეთის მოქალაქეთა რიცხვის ხელოვნური ზრდა, რათა შემდგომში მოსკოვს საშუალება მისცემოდა განეხორციელებინა ქმედებები „საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად“. მთავარია, შემნილიყო კონფლიქტებში რუსეთის ღიად მონაწილეობის საბაბი, რითაც შეიძლებოდა სხვა ქვეყნის ტერიტორიის ოუპაციისა და ანქასის გამართლება. რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რომელთაოვისაც ასეთი სიუხვით რიგდებოდა მოქალაქეობა, ის მხოლოდ მოსკოვის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ იმსტრუმენტს წარმოადგენდა და რეალურად მისი ინტერესების დაცვა, თუნდაც „უფლებაშეზღუდული მოქალაქეობის“ მინიჭების შემდეგ, კრემლის მესუეურებს შერჩდაც არ მოსვლიათ.

## **„თანამედროვებული თანამედროვებული საქართველოს კულტურული ფესტივალი“**

2008 წლის აგვისტოს შემდეგ „თანამედროვებული“ მუშაობამ იუპირებულ ტერიტორიებზე ახალი იმპულსი და კიდევ უფრო ფართო ფორმები მიიღო. 2009 წლის 28 იანვარს რუსეთის ფედერაციის დსთ-ს, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამედროვების საქმეთა და საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობის ფედერალური ბიუროს („როსსოტრუდნიჩესტვოს“) ხელმძღვანელმა, რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა ნარმომადგენელმა დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობებში ფარიტ მუხამეტშინმა მოსკოვში სამხრეთ ოსეთის „ელჩი“ მიიღო. ოფიციალური ინფორმაციით, განხილულ იქნა თანამშრომლობის საკითხების ფართო სპექტრი, მათ მორის ქ. ცხინვალში „როსსატრუდნიჩესტვოს“ წარმომადგენლობის „განათლებისა და კულტურის რუსული სახლის“ სახით გახსნის საკითხიც.<sup>79</sup> როგორც შემდგომში აღმოჩნდა, „მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ხელი შეუშალა ჩანაფიქრის დროულად განხორციელებას“, მაგრამ 2010-2011 წ.წ. ასეთი პროექტები აუცილებლად განხორციელდება.<sup>80</sup>

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვნა, რომ ამ საკითხში მოსკოვმა უპირატესობა აფხაზეთს „მიანიჭა“ და 2009 წლის 18 დეკემბერს სოხუმში „როსსოტრუდნიჩესტვოს“ წარმომადგენლობა გაიხსნა. ცერემონიას ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელი ფ. მუხამეტშინი, „აფხაზეთის პრეზიდენტის“ სერვე ბალაფში და სხვა „ოფიციალური პირები“ ესწრებოდნენ. მუხამეტშინმა განაცხადა, რომ ეს „მხოლოდ დასახისია“ და სამომავლოდ უფრო მასშტაბური პროექტების რეალიზაცია იგეგმება.<sup>81</sup>

ამ მოვლენამდე რამდენიმე კვირით ადრე, 2009 წლის 26 ნოემბერს აფხაზეთში „თანამედროვებული რესპუბლიკური კონფერენცია“ ჩატარდა (რა თქმა უნდა, საუბარია არა აფხაზეთის, არამედ „რუსეთის თანამედროვების“). მოსკოველმა სტუმრებმა, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის

79 <http://rs.gov.ru/node/981>

80 <http://osradio.ru/culture/28748-culture.html>

81 <http://rs.gov.ru/node/7134>

ჩინოვნიკებმა, მოისმინეს ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები და „თანამემამულებს“ დაუსახეს სამომავლო გეგმები და ამოცანები.<sup>82</sup>

2008-2010 წ.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არაერთი ღონისძიება გაიმართა, რომელიც თანამემამულეთა მუშაობას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სათვისტომოქების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. ყოველი ასეთი შეხვედრა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ღონისძიების რანგში იყო აუვანილი, სადაც განსაკუთრებული მადლობები გამოითქმებოდა მოსკოვის მიმართ თანამემამულებზე და, მაშასადამე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ზრუნვისათვის (როგორც ჩანს ადგილობრივი დეფაქტო მმართველებისათვის ეს მართლაც ერთი და იგივე ცნებაა!). ისეთი „დღესასწაულები“, როგორიცაა რუსეთის ნაციონალური დღე, რუსული ენის დღე, რუსეთის არმიის დღე და ა.შ. ფაქტიურად ეროვნულ დღესასწაულებად არის გამოცხადებული და მათი აღნიშვნა უდიდესი პომპეზურობით ხდება.<sup>83</sup>

2010 წლის 5 მარტს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის თანამემამულების შეხვედრა უკვე ქ. სოჭში გაიმართა. მონაწილეებმა განიხილეს თანამემამულეთა ორგანიზაციების საგანმანათლებლო საქმიანობაში თანამშრომლობის საკითხები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქ. სოჭში საერთაშორისო კონფერენციის „მასწავლებელი და მისი როლი პიროვნების ჩამოყალიბებასა და მოსწავლეთა პროფესიულ არჩევაში“. რუსეთის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გამოცდილება “ჩატარების შესახებ და ასევე დიდი სამამულო ომის ისტორიისადმი მიძღვნილი გამოფენის ორგანიზების შესახებ”.<sup>84</sup>

---

82 <http://rs.gov.ru/node/6504>

83 ასეთი ღონისძიებების შესახებ დამატებით იხ: <http://rs.gov.ru/search/node/%D1%8E%D0%86%D0%BD%D0%8B%D1%8F%D0%BE%D1%81%D0%B5%D1%82%D0%82%D0%8B%D1%8F>

და <http://rs.gov.ru/search/node/%D0%80%D0%8B%D1%81%D0%85%D0%BD%D0%80%D0%8B%D7%D0%80%D8%D1%8F>

84 <http://rs.gov.ru/node/9912>

როგორც ჩანს, ასეთმა ერთობლივმა ღონისძიებებმა თავის შედეგი გამოიღო და სამხრეთ-ოსეთის „იდეოლოგიურ-პოლიტიკური მომზადების“ დონეც სათანადოდ ამაღლდა. ამიტომაც, 2010 წლის 8 სექტემბერს ქ. ცხინვალში როგორც იქნა გაიმართა „რუსეთის თანამემამულეთა პირველი კონფერენცია“.<sup>85</sup> ღონისძიებაზე აღინიშნა ორგანიზაციების „როსსი“ (Россы) და „სამხრეთ ოსეთის რუსეთის მოქალაქეთა კავშირის“ (Союз российских граждан Южной Осетии) განსაკუთრებული წვლილი რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებების დაახლოების და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. აღინიშნა, რომ „დამოუკიდებლობის“ მოპოვებამდე ეს ორი ორგანიზაცია „სამხრეთ ოსეთის ხმის“ ფუნქციას ასრულებდა და სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა იმ იდეების გახმოვანება, რის მიტანასაც რუსეთის ხელისუფლებამდე ცდილობდა სამხრეთ ოსეთი.<sup>86</sup>

ერთობსაინტერესოდა მრავალმნიშვნელოვანი იყო რუსეთის „ელჩის“ ელბრუს კარგევის გამოსვლა. მან ამცნო შეერქბილებს „თანამემამულეთა შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებების შესახებ და განუმარტა, რომ „თანამემამულის სტატუსს“ გაფრთხილება და საქმით დამტკიცება სჭირდება და, თუკი სათანადოდ იშრომებენ, „რუსეთი მზად არის ფულში ჩაიკრას ასეთი თანამემამულები“. კარგევმა კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ რუსული ენა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ორგანოების ოფიციალურ ენად ითვლება. აღნიშნულის პასუხად სამხრეთ ოსეთის „საგარეო საქმეთა მინისტრმა“ მურატ ჯოიევმა განაცხადა, რომ ყველას, ვინც ცხოვრობს სამხრეთ ოსეთში, სიამაყით შეუძლიათ უწოდონ საკუთარ თავს „თანამემამულები“ და რომ ყველა მაცხოვრებელი თავს სლავად თვლის და სლავური კულტურის დღესასწაულებსაც როგორც საკუთარს, ისე აღიქვამს!<sup>87</sup>

მსგავსი ღონისძიებები უკვე რეგულარულ სახეს ღებულობს როგორც სამხრეთ ოსეთში, ისევე აფხაზეთშიც. მათში საზოგადოების, მით უმეტეს კი ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილია ჩართული. ფაქტობრივად ოკუპირებულ ტერიტორიებზე „თანამემამულებთან მუშაობის“ ეგიდით რუსიფიკა-

85 <http://rs.gov.ru/node/16108>

86 <http://cominf.org/node/1166484464>

87 <http://cominf.org/node/1166484464>

ციის პროცესი მიმდინარეობს, რასაც ამ რეგიონების მოსახლობისათვის მეტად სავალალო და შეიძლება საბედინერო შედეგიც ჰქონდეს.

„თანამემამულეებზე ზრუნვის“ თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის ბიუროკრატული მანქანის დამოკიდებულება იმ ხალხის მიმართ, რომელიც რეალურად საჭიროებს დახმარებას და იძულებით შეაფარა რუსეთის ტერიტორიას თავი. საუბარია აფხაზეთის ტერიტორიიდან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ლტოლვილად ქცეულ მოსახლეობაზე.

1992-93 წ.წ. საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში არსებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად (რომელის მონაწილე მხარეც სწორედ რუსეთის ფედერაცია იყო) აღნიშნული ტერიტორია მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იძულებით დატოვა, რომელთაგანაც ნაწილის საქართველოს სხვა რევინებში გადასახლდა, ნაწილმა კი რუსეთს შეაფარა თავი. იმ პერიოდისათვის უკიძო მიმოსვლის რეზუმი არსებობდა, ჯერ კიდევ მოქმედებდა სსრკ-ს პასპორტი და, ამდენად, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთში გადასვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. იმ პერიოდიდან მოყოლებული აღნიშნული ლტოლვილები ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო მათმა დიდმა ნაწილმა ლტოლვილის სტატუსი ვერ მიიღო. ლტოლვილების ნაწილმა სცადა გამოეყენებინა ის გარემოება, რომ რუსეთმა აფხაზეთის მაცხოვერბლებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებული რეზუმი აამოქმედა. იმ პერიოდში რუსეთის მოქალაქეობის საკითხებს მოგვარებით, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, დაკავებული იყო „რუსულ თემთა კონგრესი“. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოქალაქეობის მინიჭების გამარტივებული პროცედურა სრულიადაც არ გულისხმობდა აფხაზეთიდან ლტოლვილებს. პირდაპირი უარის თქმა შეუძლებელი იყო, რადგან ლტოლვილებს საბუთებში აფხაზეთში რეგისტრაციის აღნიშვნა ჰქონდათ, ამიტომაც უარის სხვა მექანიზმი იქნა მოფიქრებული. „რუსულ თემთა კონგრესი“ იბარებდა საბუთებს, მაგრამ ამის შესახებ ოფიციალურ ცნობას ვერ გასცემდა, რადგანაც საზოგადოებრივი ორგანიზაციის სტატუსი ჰქონდა. ასეთი ცნობის (СПРАВКА) გარეშე კი რამის დამტკიცება ან გასაჩივრება შეუძლებელია (ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება რუსულ ბიურაკრატიასთან, არასოდეს დაავანედება ამ ცნობის ანუ „სპრავკის“ ფასი). შესაბამისად ლტოლვილები წლობით ელო-

დებოდნენ რეაგირებას ჩაბარებულ საბუთებზე, მაგრამ უმეტესობა დღემდე ვერ ეღირსა პასუხს. ბოლო წლებში კი ეთნიკური ქართველების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. გახშირდა მათი საბუთების „შემთხვევით“ დაკარგვისა და გაქრობის ფაქტები რუსეთის საემიგრაციო სამსახურის „შემთხვევით“ რაც არ ქრებოდა, რუსეთის საემიგრაციო სამსახურის მიერ იგზავნებოდა მუდმივი ჩანერის ანუ რეგისტრაციის მისამართზე შესამოწმებლად. ასეთი მისამართი კი ლტოლვილებს რუსეთის ტერიტორიაზე არ გააჩნიათ. საბოლოოდ, მათი საბუთები რუსეთის საკონსულო დეპარტამენტმა აფხაზეთის „საგარეო საქმეთა სამინისტროს“ გადასცა, ანუ იმ რეჟიმს ჩაუგდო ხელში, რომელმაც ეს ხალხი ლტოლვილად აქცია!<sup>88</sup> ეს არ გახდავთ ერთეული შემთხვევა, რუსეთის ტერიტორიაზე 50 000-მდე აფხაზეთიდან ლტოლვილი ცხოვრობს და მათი დიდი ნაწილი ასეთ სავალალო დღეში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, საბჭოთა ქავერი სული ჯერ კიდევ ღრმად არის ჩაბუდებული თანამედროვე რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საემიგრაციო სამსახურის ჩინოვნიკებში! თანამედროვე მსოფლიოში ათასობით ადამიანის მსგავსი დამცირებისა და არარაობად მიჩნევის ფაქტის არსებობაც კი ძნელად ნარმოსადგენია, მით უმეტეს იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც საკუთარი თანამემამულეების ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე სხვა ქვეყნებს უყენებს პრეტეზიას!

ამ მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია რუსეთის ფადერაციაში არსებული ქართული დიასპორის მდგომარეობა, ანუ კრემლის ზრუნვა იმ „თანამემამულეებზე“, რომლებიც უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

---

88 [http://www.refugee.ru/publ/dokumenty/polozhenie\\_bezhencev\\_iz\\_abkhazii\\_v\\_rossijskoy\\_federacii/9-1-0-9](http://www.refugee.ru/publ/dokumenty/polozhenie_bezhencev_iz_abkhazii_v_rossijskoy_federacii/9-1-0-9)

# ქართველები რუსეთში

თემატიკური ქართული ციფრი, თემატიკური ფინანსები

საქართველოს გააჩნია არა ერთი საფუძვლიანი პრეტენზია რუსეთის მიმართ, მათ შორის ქართულ დიასპორასთან დაკავშირებით, მოუხედავად იმისა, რომ რუსი პოლიტიკოსები ამაოდ ცდილობენ საკუთარი თავის უდანაშაულოდ წარმოჩენას მსოფლიო საზოგადოების წინაშე.

ქართველების ემიგრაცია რუსეთში შეიძლება ოთხ ისტორიულ ეტაპად დაიყოს: მეფის რუსეთი 1491-1918 წწ., საბჭოთა პერიოდი 1921-1991 წ.,

თანამედროვე დამოუკიდებლობის პერიოდი 1991-2008 წწ., რუსეთის 2008 წ. ოუბაციის შემდგომი პერიოდი. ყველა ისტორიულ ეტაპზე ქართველებმა შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი რუსული სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ამჟამად, დაუზუსტებელი მონაცემებით, რუსეთში ცხოვრობს მილიონამდე ქართველი. ყველაზე მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ იძულებითი მიგრანტები საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიდან, რომელთათვისაც ჩამოყალიბებული რეალობის გამო რუსეთის საემიგრაციო სამსახური არ ახდენს მათი ლეგიტიმაციის გაფორმებას, რის გამოც ისინი კანონგარეშე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებული არიან, აიღონ იუგბირებულ ტერიტორიებზე მოქმედი საბუთები.

დამოუკიდებელი საქართველოს ფუნდამენტური სიძნელეები დაკავშირებულია რუსეთის ფარისევლურ პოლიტიკასთან. ე.წ. მშვიდობისმყოფელმა სამხედრო კონტიგენტმა განახორციელა „შეპარვითი ანექსია“, შემდგომში კი რუსეთმა აისრულა თავისი სანუკარი ოცნება და მოახდინა საქართ-

ველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, ჩატარა მასიური ეთნონენდა, აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების „დამოუკიდებლობა“. ამან გამოიწვია ერთიანი სახელმწიფოს დეფრაგმენტაცია, დევნილთა და ლტოლვილთა დიდი ნაკადის (500 000) და მათთან დაკავშირებული ჰუმანიტარული და სოციალური პრობლემების წარმოქმნა, რასაც მოჰყვა მიგრაციის ახალი ტალღა რუსეთში.

მსოფლიოს კარგად ახსოვს 2006 წელს რუსეთში მყოფი ქართველების მასობრივი დეპორტაცია. ამას თან სდევდა ფართო პროპაგანდისტული აქციები. ადმინისტრაციული სტრუქტურები ანარმობდნენ ქართველების ტოტალურ დევნას: ქუჩაში, სამსახურში, საცხოვრებელ ადგილზე, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, ეკლესიაში. განწირულებს დეპორტაციისათვის გაუსაძლის პირობებში ამყოფებდნენ სპეციალურად შექმნილ იზოლატორებში და სატვირთო თვითმფრინავებით აძევებდნენ რუსეთიდან. ხელისუფლებამ ქართული რესტორნების დახურვაც კი დაიწყო. როდესაც ამდაგვარმა ქმედებებმა მიიღო ქსენოფონის მანიფესტირებული ხასიათი, რუსეთს დაუპირისპირდა საერთაშორისო საზოგადოება, რამაც შესაძლებელი გხადა ამ ბარბაროსული აქციის შეწყვეტა.<sup>89</sup>

წლების განმავლობაში რუსეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის კულტურის მოღვაწეებმა ო. ბასილაშვილმა, ზ. წერეთელმა, ბ. აკუნინმა ეთნოკური ნიშნით რუსეთის რეპრესიების შსხვერპლად იგრძნეს თავი და მიმართეს ხელისუფლებას ღია წერილი „რუსეთი განიცდის სირცხვილის დღეებს“.<sup>90</sup>

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ არაერთხელ ცინიკურად განაცხადა, „ერთმორჩმუნებული ერისადმი“ პატივისცემისა და სიყვარულის შესახებ, იგი მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად აგრძელებს იმპერიულ, ისტორიულად აპრობირებულ, აგრესიულ ეროვნულ პოლიტიკას „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპით.

89 აღნიშნულის თაობაშე დამატებითი ინფორმაციისათვის იხ:  
“Humanitarian dimension” of Russian foreign Policy Toward Georgia, Moldova, Ukraine  
and The Baltic States  
[www.icgs.ge](http://www.icgs.ge)

90 <http://www.svobodanews.ru/content/article/268422.html>

ჯერ კიდევ მეტის რუსეთის დროინდელი მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, მოსახლეობის აღწერის ჩათვლით, აჩვენებენ, რომ რუსეთის მმართველთა მოქმედებები საქართველოში ყოველთვის მიმართული იყო მოსახლეობის გონიერაში ეთნიკური და რელიგიური განსხვავებების ფიქსაციაზე იქაც კი, სადაც ისინი არ არსებობდნენ და სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით უწყობდნენ ხელს ამ პროცესის მომწიფებას სეპარატისტულ განწყობამდე. ეს ტაქტიკა ახლაც ასევე აქტიურად გამოიყენება ქართულ დიასპორასთან მიმართებაში.

აღმამფოთებელი მაგალითია, თუ როგორ არის ნარმოდგენილი „ქართველის“ ცნება 2010 წლის რუსეთის ფედერაციის საყოველთაო აღწერისთვის ოფიციალურ დოკუმენტებში. ეროვნების გრაფში ქართველები დაყოფილი არიან ქართველებად, მეგრელებად, რაჭველებად, აჭარლებად, სვანებად და ა.შ.<sup>91</sup> (მეგრელები, რაჭველები, აჭარლები, სვანები – ქართველი ერის სუბეთნიკური ჯგუფებია). რუსი იდეოლოგების მიერ აღნიშნულ დოკუმენტში ქართველები 12 (!) ეროვნებად არიან ნარმოდგენილნი.<sup>92</sup> მსგავსი რამ მხოლოდ რომელიმე „ექსპერტის“ ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი რომ იყოს, კიდევ ნაკლებად გაგვიკვირდებოდა, მაგრამ როდესაც ასეთი მიდგომა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტშია დაფიქსირებული, იგი მხოლოდ და მხოლოდ მიზანმიმართულ ანტიქართულ სახელმწიფო პოლიტიკად შეიძლება შეფასდეს.

---

91 იხ.: Приложение № 1 к приказу №74 “Алфавитный перечень возможных вариантов ответов населения для кодирования ответа на вопрос 7 Переписного листа формы Л Всероссийской переписи населения 2010 года”  
<http://www.perepis-2010.ru/documents/acts/>

92 <http://www.apsny.ge/interview/1272566326.php>

# **საკონსულო საქმიანობა, როგორც რუსეთის „რპილი ძალის“ პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტი**

თანამდებობა ფასაზე

2008 წლის 2 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის საელჩოს გადასცა ორი ნოტა, რომელთაგანაც პირველში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ნინააღმდევ რუსეთის ფედერაციის მტრულ ქმედებებთან დაკავშირებით, რაც გამოიხატა საქართველოს ნინააღმდევ სამხედრო აგრესიასა და ქვეყნის ნაწილის ოკუპაციაში, საქართველოს ტერიტორიის საერთაშორისოდ აღიარებულ ნაწილებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ეთნიკურ წმენდასა და მათი ე.წ. დამოუკიდებლობის უკანონო აღიარებაში, გამომდინარე საქართველოს

პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს № 243-რს დადგენილებიდან, საქართველო წყვეტს 1992 წლის 2 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ“ ოქმის მოქმედებას.<sup>93</sup>

ხოლო მეორე ნოტით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცნობებდა რუსეთის მხარეს, რომ „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“ ვენის 1963 წლის 24 აპრილის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის

---

93 [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=7852](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=7852)

საფუძველზე, საქართველოს მხარე ინარჩუნებდა საკონსულო ურთიერთობებს რუსეთის ფედერაციასთან.<sup>94</sup>

გარდა ამისა, 2008 წლის 4 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 3 სექტემბრის №426 ბრძანებით, ოფიციალურმა თბილისმა რუსეთის ფედერაციასთან სავიზო რეჟიმი გაამარტივა და რუსეთის მოქალაქეებს უფლება მიეცათ მიეღოთ საქართველოს ვიზა საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ ყველა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში.<sup>95</sup>

საპასუხოდ რუსეთის ფედერაციამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, შეაჩერა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე.<sup>96</sup> „დასჯის“ ეს ფორმა უკვე ტრადიციად იქცა საქართველოსთან მიმართებაში ჯერ კიდევ 2000 წლის მიწურულიდან, როდესაც მოსკოვის ინიციატივით საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმი იქნა შემოღებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად რუსეთში არ დაწყებულა ის ქსენოფობიური ისტერია, რასაც ადგილი ჰქონდა 2006 წლის მეორე ნახევარში, როდესაც მთელ რუსეთში მიმდინარეობდა საქართველოს მოქალაქეებისა და ეთნოკური ქართველების დევნა, დაპატიმრება და დეპორტაცია. იმდროინდელი რეპრესიების შედეგად, ათასობით საქართველოს მოქალაქე და ეთნიკური ქართველი იქნა სრულიად უმიზებოდ დაკავებული, შეურაცხყოფილი და დეპორტირებული. ყოველგვარი მიზნისა და ახსნა – განმარტების გარეშე მოქალაქეებმა დაკარგეს სამსახური, ბავშვები გამოაგდეს სკოლიდან, არა-ადამიანური მოპყრობის შედეგად გარდაიცვალა რამდენიმე მოქალაქე.<sup>97</sup>

ამჟამად რუსეთმა განსხვავებული მიდგომა აირჩია. დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტისთანავე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა

94 [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=7852](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=7852)

95 [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=7852](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=7852)

96 <http://www.newsru.com/russia/03sep2008/poslali.html>

97 დაწვრილებით აღნიშნული რეპრესიების შესახებ იხ: "The "Humanitarian Dimension" of Russian foreign policy toward Georgia, Moldova, Ukraine and the Baltic States" – [www.icgs.ge](http://www.icgs.ge)

სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ „რუსეთი არ აპირებს შურისძიებას საქართველოს მოქალაქეებზე“.<sup>98</sup> 2009 წლის მარტში საქართველოში ამოქმედდა შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექცია, ხოლო მოსკოვში შვეიცარიის საელჩოში – საქართველოს ინტერესების სექცია. აქედან მოყოლებული, რუსეთის მხარემ განაახლა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე. ვიზები გაიცემა მხოლოდ საკონსულო წარმომადგენლობაში და მხოლოდ შემდეგი შემთხვევებისათვის: სატრანზიტო, კერძო მოწვევა, სასწავლო და გაუთვალისწინებელი შემთხვევები (გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ნათესავის გარდაცვალება და ა.შ.).<sup>99</sup> ვიზის გაცემის ვადები დამოკიდებულია როგორც კონსულის პირად შეხედულებებზე, ასევე მოწვევი მხარის გავლენიანობის ხარისხზე და შეიძლება მერყეობდეს ვადებში: რამდენიმე დღიდან რამდენიმე თვემდე შუალედში.

ამის პარალელურად 2009 წელს რუსეთის ფედერაციამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სოხუმსა და ცხინვალში საელჩოები გახსნა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საკონსულო განყოფილებებისა და სამსახურების აქტიურ მუშაობას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ 2008 წლიდან უკვე ვადა გასდიოდა რუსეთის ფედერაციის მიერ 2002-2006 წ.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მასობრივად დარიგებულ პასპორტებს და ფაქტიურად ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის თითქმის 90% ხელახალ პასპორტიზაციას საჭიროებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოქალაქეთა ხელახალი პასპორტიზაციის პერიოდში რუსეთის ფედერაციამ მაქსიმალურად გააჭიანურა უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებზე მოლაპარაკებები ცხინვალისა და სოხუმის მარიონეტულ მთავრობებთან,<sup>100</sup> რათა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის „დამატებითი სტიმული“ მისცემოდა რუსეთის ფედერაციის პასპორტის დროულად მისაღებად.

98 [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=7852](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=7852)

99 <http://www.georgia.mid.ru/>

100 შესაბამისი „ხელშეკრულებები“ მოსკოვმა სოხუმთან 2009 წლი 2 ოქტომბერს, ხოლო ცხინვალთან 2010 წლის 1 თებერვალს მოწერა ხელი. ორივე „ხელშეკრულება“ რეალურად 2010 წლის გამაფუნქციდან ამოქმედდა

სრულიად ნათელია, რომ საკონსულო სამსახური წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთ ძლავრ და სერიოზულ ინსტრუმენტს, რომელიც მთლიანად არის მოქცეული იდეოლოგიურ ჩარჩოებში.

თავი III.

# რუსეთის მედია და საქართველო

მარიამ ცაცანაშვილი

სასაცილოა, როცა კალია ურემს შეახტება:  
ყველა დარწმუნებულია, რომ კალია ჩამოვარდება.  
არავინ ფიქრობს – ურემი გადაბრუნდება.

ჩინური ანდაზა

## **მედია საშუალებები „მორის ხატის“ შესაძლებად**

„მორის ხატი“ და „მეგობრის ხატი“ ორივე პოლიტიკური ინსტრუმენტებია ადამიანური რესურსების მოპილიზაციისთვის პოლიტიკური ელიტის ხელში. ერთი უარყოფითი ზეგავლენის პროვოცირებით, მეორე დადებითი ეფექტის ილუზით ხელისუფლებისათვის სასურველ (და არა ნამდვილ) მონაცემებს ქმნის გავლენის შენარჩუნებისა და მისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მისაღებად.

არავისთვისაა უცხო, რომ რეალური ცხოვრება უფრო დრამატულია, ვიდრე ტრაგიული ან კომიკური. პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მტრები ან მუდმივი მეგობრები, არსებობენ მხოლოდ მუდმივი ინტერესები. კეთილი განზრახვებით ზოგჯერ საშინელი შედეგი შეიძლება დადგეს, ან პირიქით. ცხოვრების დრამატულობა ის კი არაა, რომ ერთმანეთს ბოროტი და კეთილი ებრძვის, არამედ – სხვადასხვა ნარმოდგენები სიკეთესა და ბოროტებაზე. შესაძლებელია ბოროტებაც რაიმე კონკრეტული სიკეთის ჰიპერტროფიაა, ან სიკეთეა ბოროტებაში ამოკრეფილი მარცვლები? უმნიშვნელობაში ასეთი კითხვები არ ჩნდება ცხოვრებისეულ აქსიომებზე, უბრალოდ ვინც ჩვენი მშობლების გვერდითაა – კარგი ადამიანები არიან, ვინც მონინალმდეგე – ცუდები.

დღეს ხშირად მედია, მტრის ან მეგობრის ხატის შექმნით, უარყოფს თავის მთავარ ფუნქციას: იყოს მედიტორი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. აქ უკვე დიქტატორული კლასიკა იწყებს მუშაობას: თუ რეალურად მტრი ან მეგობარი არ არსებობს, ისინი უნდა გამოვიგონოთ.

პირველი მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული პრესაში ხშირად ნახავთ ჯარისკაცთა წამების, ძარცვის და სხვა ძალადობის სურათებს. ამას ემატება წარწერები ცრუ ბრალდებებით. ეს ტექნოლოგია დროთა განმავლობაში დაიხვენა, ახალი შეფერილობები შეიძინა. ასეთი ინფორმაციის მიღება საზოგადოებაში რისხვას იწვევს. მკითხველი თვლის, რომ საქმე აქვს ჭეშმარიტ, ობიექტურ ინფორმაციათან. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ამ ფუნქციებს სინამდვილესთან კავშირი არ ჰქონია. საზოგადოებრივი აზრის

წინასწარგანზრახული ფაბრიკია დღევანდელ მედიაში არნახულ მასშტაბებს აღწევს. საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკა დღეს მთლიანად მტრისა და მეცნიერის ხატის პრინციპით იმართება. მედიატექნოლოგიების განვითარების ფონზე ინფორმაციის მავნე ზეგავლენისაგან ადამიანი უფრო და უფრო დაუცველი ხდება.

## რუსეთის ინფორმაციული რასუაში საქართველოში

საქართველოში რუსულენოვანი მედიის როლი ბოლო 10 წლის განმავლობაში საყმაოდ შემცირდა, ამის მიზეზად სახელდება დაბალი მსყიდველობით-უნარიანობა, შეზღუდული სარეკლამო პაზარი, სახელმწიფო მხარდაჭერის არარსებობა. რუსულენოვანი გამზეთების „ზარია ვოსტოკას“, „ვეჩერნი ტბილისის“ და „მოლოდიოზ გრუზიის“ -ს საერთო ტირაჟი ნახევარ მილიონს უტოლდებოდა საბჭოთა პერიოდში, ამჟამად რუსულენოვანი პრესის მთელი ტირაჟი მხოლოდ რამდენიმე ათასს შეადგენს. როგორც გამზე „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი, ტატო ლასხიშვილი აღნიშნავს: რუსულენოვან გამზეთებს პერსპექტივა არ ექნება, თუ ისინი მხოლოდ ეთნიკურ რუსებზე იქნება ორიენტირებული. მთელ რუსულენოვან მოსახლეობაზე გათვლის შემთხვევაში პოტენციური აუდიტორია 700 ათასამდე იქნება. – განაცხადა ტ. ლასხიშვილმა „რია ნოვოსტის“ პრესცენტრში 2007 წელს გამართულ მრგვალი მაგიდის მონაბილეებთან შეხვედრზე.<sup>101</sup> 2009-10 წლებში „ინფორმაცია და საზოგადოების“ მიერ ინტერნეტ გამოყითხვით: საქართველოში პრესას რუსულ ენაზე კითხულობს მოსახლეობის 16% (ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის გარდა). ისიც აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაზე პრესა საქართველოს ბევრ რეგიონში არ ვრცელდება. ბუნებრივია, ტელეგადაცემები უფრო გავრცელებულია. ამავე ინტერნეტ გამოყითხვის მიხედვით: საინფორმაციო გადაცემებს საზოგადოებრივ მაუწყებელზე დათმობილი აქვთ გარკვეული დრო ეროვნული უმცირესობების ენებზე, აგრეთვე რუსულ ენაზე. მოსახლეობის 1/4 სისტემატურად უყურებს რუსულ გადაცემებს, ხოლო 12-17% – ხანდახან. ისიც უნდა

101 იხ: საქართველოს რუსულენოვანი პრესა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა <http://www.media.ge/ka/node/22928>

ითქვას, რომ რუსულ ენაზე ტელეგადაცემების მიღება ბევრ დასახლებულ პუნქტში არ ხდება. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც ჩართულია რუსულნოვან მედიასივრცეში.<sup>102</sup>

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში საფრანგელოში დაეცა რუსულენოვანი ინფორმაციული სივრცისა და კულტურის გავრცელება. OPT, PTP-ის და სხვა რუსული არხების ტრანსლირება მხოლოდ საკაბელო არხებითა შესაძლებელი. შენყვეტილია რუსეთის რადიო გადაცემები (გარდა „გოლოს რასის“ ცალკეული გადაცემებისა, რომელთა ტრანსლირება ხდება ტალღაზე რადიო XIT FM).

## რუსული გედიასივრცე რაზაირებულ ტარიტორიებზე

ოუზპირებულ ტერიტორიებზე რუსული მედიის გავრცელების მდგომარეობა ასეთია: აფხაზეთში სავალდებულო გახდა 7 რუსული ტელეარხის ტრანსლირება. როგორც საინფორმაციო სააგენტო „აფსინ პრესი“ იუწყება, ასეთ განკარგულებას ხელი სერგეი ბალაფშმა მოაწერა. განკარგულებაში დასახელებული ტელეარხები მაყურებლისათვის უფასოდ უნდა გავრცელდეს. ესენია: აფხაზეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანია, რუსული ტელეარხი „კულტურა“, რუსეთის საინფორმაციო არხი, რუსეთის ტელევიზიის პირველი არხი, ტელეარხი „HTK“, ტელერადიოკომპანია „ყუბანის ახალი ტელევიზია“, ტელეარხი „HTB“ და ტელეარხი „პეტერბურგი მე-5 არხი“. რუსულ მედიასაშუალებებს ასევე სრულად აქვთ ათვისებული სამხრეთოების სივრცეც.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მედიის გავრცელება ლიცენზირებადი საქმიანობაა. ამიტომ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ დააჯარიმა რუსული ტელეკომპანიები „HTB“, „ТВ-Центр“, „Россия“ და „Культура“ ოუზპირებულ-ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების ნებათვის გარეშე მაუწყებლობისათვის. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის აგვისტოში ეს ტელეკომპანიები ერთხელ

102 [www.infoformsoc.org](http://www.infoformsoc.org)

უკვე იყვნენ დაჯარიმებულნი.<sup>103</sup> მაშინ კომისიამ მათგან მაუწყებლობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა. კომისიის გადაწყვეტილება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ აღსარულებულა. ამჯერად ტელეკომპანიები “Первый канал”, “НТВ”, “ТВ-Центр”, “Россия” და “Культура” საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ლიცენზიის გარეშე მაუწყებლობის დარღვევისა (სასად მუხლი: 144-ე მუხლი) და „ოჯუბირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოჯუბირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური მოღვაწეობის შეზღუდვის დარღვევისათვის (მუხლი: 6) დაჯარიმდნენ 500 ათასი ლარით (დაახლოებით: 300 ათასი დოლარი).

კრემლის მთავარი სტრატეგის ვლადიმერ სურკოვის მიერ შექმნილი ინგლისურ ენაზე მაუწყებელი “Russia Today”-ს მსგავსად, საქართველოში შეიქმნა „პირველი კავკასიური“, რომელიც გაითიშა ფრანგული თანამგზავრიდან, როგორც ამას ბი-ბი-სის კორესონდენტთან საუბარში არხის გენერალური დირექტორი ზურაბ დვალი აცხადებს. არის მოსაზრებაც, რომ ამ არხის მაუწყებლობის შეწყვეტა რუსეთის ზენოლით ხდება.<sup>104</sup> ამ პოზიციასთან დაკავშირებით, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ არკადი ედელევამა არხს „ანგირუსული პროპაგანდის ნაწილი“ უწოდა და ჩრდილოეთ კავკასიაში „ექსტრემიზმის იდეოლოგიის დანერგვის მცდელობად შეაფასა.“<sup>105</sup> საინტერესოა ის, რომ საქართველოში ახალი ფეხადგმული მედიის საქმიანობა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კომენტირებულია, როგორც: ანტირუსული, ანტისახელმიწიფოებრივი პოზიციის და ექსტრემიზმის იდეოლოგიის დანერგვისაკენ“ მიმართული არხი. არგუმენტად მოყვანილია ის, რომ საქართველო მებრძოლთა ჯგუფებს მფარველობს. „პირველ კავკასიურმა“ გადასცა ეს ინტერვიუ და თავის მხრივ „აბსურ-

103 <http://www.ghn.ge/news-3903.html>;  
[http://www.gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=110&info\\_id=7747](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=7747)

104 “ForeignPress”  
<http://www.maestro.ge/?address=news1&id=3215&page=1>

105 Грузинский канал “Первый кавказский” убежден, что его заставила замолчать Москва  
<http://www.newsru.com/world/01feb2010/sputnik.html>

დული“ უწოდა ედილევის შეფასებას, რომელიც რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დაძაბულობას აღვივებს. „პირველ კავკასიურთან“ დაკავ-შირებით რუსულ პრესაში ასეთი შეფასებებიც არის: პოლოს და ბოლოს, საქართველო გვადანაშაულებს, რომ ჩვენ მას აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „ჩამოვაშორეთ“, წერს გაზეთი „ვრცმია ნოვოსტეი“. პოლიტოლოგ სერგეი მარკედონოვისათვის ყველაფერი ცხადია: თბილისის იმის დემონსტრირება სურს, რომ ბრძოლა არ შეუწყვეტია და აგრძელებს ინფორმაციულ ომს.<sup>106</sup>

შედეგი მიღწეულია: „პირველი კავკასიურისაგან“ შეიქმნა „მტრის ხატი“. „ეუტელსატან“ სატელიცური მაუწყებლობის დაწყების თაობაზე საქართველოს „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ხელი 2010 წლის დასაწყისში მოაწერა. რუსულენოვანი ტელეარხი „პირველი კავკასიური“ თანამგზავრის მეშვეობით მილიონობით მაყურებლისათვის გახდა ხელმისაწვდომი, როგორც ევროპის, ასევე აზიის კონტინენტზე. თუმცა, 28 იანვარს არხი სატელიტიდან გამოირთო და ახლა იგი მხოლოდ საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობს. თანამგზავრიდან ტელეარხის გათიშვას საქართველოს პრეზიდენტმა „საერთა-შორისო პოლიტიკური ცენტურის“ საშიში პრეცედენტი უწოდა.

2010 წლისათვის სახელმწიფო რადიომაუწყებელმა კომპანიამ „Голос России“, რომელიც საზღვარგარეთ 1929 წლიდან მაუწყებლობს 38 ენაზე, საქართველოშიც გაზარდა მაუწყებლობა რუსულ ენაზე, დღელამები 14 საათამდე მოკლეტალდური და საშუალოტალდური გადაცემების ზრდის საშუალებით. ჩართულია „Голос России“-ს შვიდი გადაცემის გადამცემი სიმძლავრები, რომლებიც განლაგებულია სანკტ-პეტერბურგში, კრასნოდარსა და სამარაში. გარდა ამისა „Голос России“-ის რუსულ-ენოვანი პროგრამები რეტრანსლირდება აფხაზეთში FM 107,9 მგჸ ტალღიზე. ამჟამად მათი მოცულობა გაზრდილია დღე-ლამის განმავლობაში 6-დან 10 საათამდე. ასანიშნავია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოდან მოყოლებული რადიოარხი „თანამეგობრობა“ (Содружество) – რომელიც არის „Голос России“-ს მაუწყებელი სამსახურის საერთო ბრენდი რუსულ ენაზე დსტ-სა და ბალტის ქვეყნებში კარგა ხნის განმავლობაში მუშაობდა საგანგებო

106 <http://www.ambebi.ge/masmedia/14074-qpirveli-kavkasiuri-arkhiq-rusethis-televiziebis-sapirtsone.html#ixzz0shiZNc6W>

რეჟიმში და ეთერში უშვებდა რუსული საინფორმაციო სააგენტოების სასწრაფო შეტყობინებებს რეალური დროის რეჟიმში და მაუწყებლობდა ინტერნეტის საშუალებით.

## ზოგადი შეჯასებები რუსეთის ფედერაციაში მაღის შესახებ

რუსეთის ფედერაციაში მედიის როლსა და მნიშვნელობაზე საერთაშორისო და ქართველ ექსპერტთა შეფასებების დიდი ნაწილი ასეთია: რუსეთის ფედერაციაში მედიიზე დაწესებულია ტოტალური სახელმწიფო კონტროლი. ის წმინდანყლის ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ომის წარმოების იარაღია. შევი პროპაგანდისტული ფორმის ნაცვლად, მან რუსი ფერი შეიძინა, ანუ დეზინფორმაციის ნაცვლად, ინფორმაცია სიმართლის მარცვლებით, რაც ობიექტურობის ილუზიას ქმნის. ის გახდა ხელისუფლების დანამატი, არა ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების საშუალება, არამედ ისეთი, როგორიც სჭირდება რუსეთის ხელისუფლებას.

რატომ უჭერს მხარს საქართველოს ექსპერტთა უდიდესი ნაწილი ამ პოზიციას? საქართველოში მიმდინარე მოვლენები ან მთლიანად იგნორი-რებულია ან მონაცემები გადაიცემა დამახანჯებით, რაც ხშირად ეთნოკონ-ფლიქტების გაღვივებას იწვევს და არაეთიკური გამონათქვამებით ორივე ქვეყნის პოლიტიკურ იმიჯს ავრინებს. რუსეთისათვის ამ შემთხვევაში „დიდი და პატარა“ ქვეყნის სინდრომი მუშაობს. დიდი სახელმწიფოების მიმართ რუსეთის მხრიდან ანალოგიური დამოკიდებულება გამორიცხულია. საქართველოს პოლიტელიტა კი დარწმუნებულია, რომ ასეთი გამონათქვამებით „ახალ იმიჯს“ იქმნის საერთაშორისო არენაზე. პოლიტიკურ ლექსიკონში სუბიექტის უარყოფითი დახასიათებისას აქცენტი კეთდება ეროვნულობაზე: „ქართველი პრეზიდენტი“, „ქართველი საგარეო საქმეთა მინისტრი“, „ქართული პარლამენტის თავმჯდომარე“, „ქართული მთავრობის თავმჯდომარე“ და ა.შ. რუსეთის ხელისუფლება თავის მხრივ, „ერთმორწმუნება და ძმურ ხალხთან“ ურთიერთობის მოწიდებების ფონზე ქმნის ფუვდოსტორებს ქართველებზე, ცდილობს შეცვალოს საქართველოს ისტორია და ქართველი ერის შემადგენლობა „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით.

ინტერნეტ სივრცე კიდევ უფრო ამძაფრებს ამგვარ მოვლენებს. თუ გადავხედავთ ისეთ საიტებს, როგორიცაა:

<http://cominf.org/>;  
<http://ossetia.ru/index.php>;  
<http://osradio.ru/index.html>;  
<http://presidentrso.ru> (Сайт Президента РЮО);  
<http://cominf.org> (ИА РЕС);  
<http://osinform.ru> (ИА Осинформ);  
[www.radioir.org](http://www.radioir.org) (Радио "ИР");  
<http://ugo-osetia.ru> (Саმხრეთ ოსეთის გაზეთი);  
<http://minmol.org> (ტურქმენის მართვა "Южная Осетия");  
<http://mkuor.ru> (Саმხრეთ ოსეთის კულტურის სამინისტრო საიტი);  
<http://mfa-rso.su> (Саმხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტი);  
<http://osembassy.ru> (რუსეთში სამხრეთ ოსეთის საელჩოს საიტი);  
<http://cik.ruo.su> (Саმხრეთ ოსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების საიტი);  
<http://alloneparxi.ru> (ალანიის ეპარქია);  
<http://www.osgenocide.ru> (ოსეთის გენოციდი).

აგრეთვე არასამთავრობო, საზოგადოებრივ საიტებს:

<http://osradio.ru> (ოსეთის რადიო);  
[iriston.info](http://iriston.info) (დამოუკიდებელი ინტერნეტგამოცემა);  
[www.npruo.ru](http://www.npruo.ru) (Саმხრეთ ოსეთის სახალხო პარტიის საიტი);  
<http://www.liveosetia.ru> (Саმხრეთ ოსეთი „სამშობლო მმვენიერია“);  
<http://yugfm.ru> (რადიო „სამხრეთის ქალაქი“);  
<http://valo-press.narod.ru/apollon.html> (კლუბი „აპოლონი“);  
<http://nfossetia.ru> (სახალხო ფორუმი „ოსეთი ბრალს სდებს“);  
<http://www.osetinfo.ru> (Саმხრეთ ოსეთში სამხედრო დანაშაულებების გამომზეურების საზოგადოებრივი კომისია);  
<http://rupor-naroda.livejournal.com/>; (ბლოგი „სულის ხმა“);  
<http://zarava.livejournal.com/> (ზარა ვალიევას ბლოგი);  
<http://e-osetia.ru> (ოსეთის ცნობარი);

აფხაზეთის საიტებს:

<http://www.abkhaziya.org/>;

<http://abkhazia.com/>;

<http://www.abkhaziagov.org/ru/>;

<http://www.abkhazia.narod.ru/>;

<http://www.abkhazia.ru/>;

ან ისეთ საიტებს, რომლებიც აღარ ახლდება ან დამუშავებაშია:

<http://www.hurzarin.osetia.su/>;

<http://www.respublika90.ru/>,

დავინახავთ, რომ აქტუალურია ცრუ ინფორმაციის, დეზინფორმაციის, „ახალი ისტორიის დაწევიდრების“ და საქართველოს სიძელვილის გამომხატველი მასალები. მაგალითად: „Яндекс. Карты“-ს სერვისს ცვლილებები შეაქვს აფხაზეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრებში და გამყოფ ხაზს ავლებს საქართველოსთან. როგორც საინფორმაციო სააგენტო „Осинфорმ“ აცხადებს: იანდექსის სერვისმა ეს ცვლილებები სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის არაერთგზის მიმართვის შემდეგ შეიტანა. ИА REGNUM – იუნიებოდა, რომ „როსკარტოგრაფიამ“ გამოსცა მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რეუკა, სადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები გამოხატულია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დედაქალაქებად აღნიშნულია სოხუმი და ცხინვალი.

ИА REGNUM – პირველია როგორც რუსეთის, ასევე მსოფლიო პრესაში, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მას შემდეგ, რაც ამ რესპუბლიკებიდან დამოკიდებელი გადაცემების გაურცელება დაიწყო 2003-2005 წლებში.

საზოგადოებაში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსული სოციალური ქსელი „Одноклассники.ру“, რომელმაც 2009 წლის თებერვალში შესაძლებლობა მისცა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ცალკე სახელმწიფოდ დარეგისტრირებულიყვნენ.

ყალბი ინფორმაციის გავრცელების ფაქტები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბვაზე მაგ: გავლენიანია რუსულმა გაშეოთმა „Независимая газета“-მ თავის საიტზე განათავსა ფოტოგალერეა „ომი სამხრეთ ოსეთში. მეორე დღე.“ დანგრეული ქართული ქალაქის – გორის ფოტოებს აქვს კომენტარი: „ქალაქი ცხინვალი აღარ არსებობს“. დავაზუსტებთ, რომ „Независимая газета“-ს საიტზე წარმოდგენილი ათი ფოტოდან ხუთი ასახავს ცეცხლში გახვეული ქალაქ გორის ფოტოებს. ამზე ისიც მეტყველებს, რომ ფოტოებზე თანდართული ტექსტი არსებობს ბრიტანული საინფორმაციო სააგრენტოს საიტზე. სხვათაშორის აღნიშნულ ფოტოებზე საავტორო უფლება ეკუთვნის Reuters-ს.

ასეთი ცრუინფორმაციული ცნობები გვხვდება რელიგიის სფეროშიც. მაგალითად ალანური ეპარქიის საიტზე გავრცელებულია ჩეხეთის პატრიარქის სიტყვები ალანური ეპარქიის ადგილმდებარეობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ გაყალბებულია ფაქტები, მოვლენები და ტოპონიმები. ალანური ეპარქია ისტორიულად მართლაც არსებობდა, რომელიც კონსტანტინეპოლმა სცნო, მაგრამ ყარაჩაი-ჩერქეზთის ტერიტორიაზე, ზელენჩუკის ხეობაში და არა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საომარი კამპანია რუსეთის პრესაში კრიტიკულადაც გაშუქდა, თუმცა ამას რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების შერიდან მასმედიაზე სერიოზული ზენოლა მოჰყვა. მნიშვნელოვნად გაძლიერდა ადმინისტრაციული ზეგავლენა ცალკეული რედაქციების ინფორმაციულ პოლიტიკაზე. ასეთ ფაქტებს უფლებათა დამკველები და უურნალისტები სიტყვის თავისუფლებაზე ზენოლად აფასებენ. მაგალითად: 2008 წლის სექტემბერში ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ფედერაციის პრემიერ მინისტრი ვ. პუტინი შეხვდა რუსეთის წამყვანი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს. მათ შორის იყო რადიოსადაგურ „Эхо Москвы“ – რედაქტორი ალექსი ვენედიტოვი. მან ამერიკული გაზეთის „The Washington Post“-ზე დაყრდნობით მიუთითა საქართველოსთან სამხედრო კონფლიქტის გაშუქებისას არსებულ უზუსტობებზე.

2008 წლის 19 აგვისტოს „გავეთა“-მ დაბეჭდა პროფესორ გ.სოეოლოვის სტატია, რომელშიც ავტორმა გამოხატა პოზიცია, რომ რუსეთ-საქართველოს ომი თავისი ელვისებური სისწრაფითა და წარმოადგენს მოსკოვის საომარ-პოლიტიკურ და დიპლომატიურ მარცხს. სოკოლოვის მტკიცებით, ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოთხოვნით, ის იძულებული იყო დაეტოვებინა რუსეთის სახელმწიფო სოციალური უნივერსიტეტი, ხოლო მისი თანამშრომლობა რედაქციასთან შენყდა. სტატია „წაავო თუ არა სააკშილმა“ წაიშალა გაზეთის საიტიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ამის პასუხად ქართულ მედიაში რუსეთი მთლიანად „უჭირნობი“ თემა ხდება. თვით „ანტისახელისუფლებო“ ფლანგი-დანაც ხშირად გვესმის: „რუსეთი საქართველოს მტერია“ – ვკითხულობთ Geurazia.org-ის რედაქციის განცხადებაში.<sup>107</sup>

როდესაც „მტრის ხატის“ შექმნის პოლიტიკაშე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რომ მეტოქის უარყოფითი იმიჯის შექმნის გარდა, ამ პოლიტიკას სხვა მიზანიც აქვს, რაც მეორე მხარის მუდმივი ფსიქოლოგიური დაძაბულობისა და სტრესის ვითარებაში ჩაყვინება. ასეთ ვითარებაში მოწინააღმდეგე ზედმეტად ნერვიულობს, კარგავს საღი ანალიზის უნარს, ახდენს საფრთხის ჰიპერპოლიზაციას და საბოლოო ჯამში აზიანებს საჯუთარ თავს. აღნიშნული თვალსაჩინო გამოხატულებაა საინფორმაციო მირაჟის შექმნა 2010 წლის 13 მარტის „მოდელირებული ქრონიკის“ სახით, რასაც მკაცრი შეფასებები მოჰყვა საერთაშორისო დონეზე. აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა ასეთ გადაცემას უპასუხისმგებლობა უწოდა, რადგან მან ქვეყანაში პანკა გამოიწვია. საინფორმაციო გადაცემა მთლიანად ეძლვნებოდა არარსებულ საომარ სცენებს რუსეთის მხრიდან, საქართველოში აურზაურის დაწყებას და სახელმწიფო გადატრიალებას, რომელსაც ოპოზიტის ლიდერი ედგა სათავეში. მხოლოდ ნახევარსათიანი გადაცემის დასასრულს იყო მინიშნება, რომ ეს არის სცენარის სავარაუდო განვითარება საქართველოში. ეს იყო პირდაპირ ფსიქოლოგირი ოპერატორი, შტურმი ადამიანთა გონიერებები.

107 <http://www.ghn.ge/news-3903.html>;  
[http://www.gncc.ge/index.php?lang\\_id=GE0&sec\\_id=110&info\\_id=7747](http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GE0&sec_id=110&info_id=7747)

რუსეთში მედია საშუალებები გამოყენებულია ფსიქოლოგიური ოპერა-ციებისათვის როგორც საერთაშორისო ზენტოლის მიზნით, ასევე საკუთარ ხალხზე ზეგავლენის მოსახდენად. ეს არის ინფორმაციის უარყოფითი გავლენა საზოგადოებაზე. ამ შემთხვევაში უსაფრთხოების მექანიზმები ან არ არსებობს, ან არ მუშაობს. ასეთი ვითარება საშუალებას არ აძლევს ხალხს და პოლიტიკოსებს (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ) მიიღონ ზუსტი ინფორმაცია ქვეყნის განვითარებასა, შესაძლებლობებსა და მიზნებზე. შესაბამისად, დასკვნებიც არააღეკატურია.

თავი IV.

# **2008-2009 ნლების კიბერომი საქართველოში**

მარტინ გადანაშვილი

## **კიბერსივრცე, როგორც “SOFT POWER”-ის განხორციელების გარემო**

კიბერსივრცე პოლო ათი წლის განმავლობაში პოლიტიკური აქტოურობის და პოლიტიკურ სიტუაციებზე გავლენის საშუალებად იქცა. კიბერსივრცეში დემოკრატიული ღირებულებების მანიპულირებით სრულიად ახალი რეალობები იქმნება. ამ რეალობის შეფასების კრიტერიუმები ჯერ-ჯერობით არ არსებობს, მაგრამ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას: კიბერომები ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია, რომელსაც დიდი სახელმწიფოები ახორციელებენ. ზოგჯერ ეს პატარა სახელმწიფოების გამოყენებით ხდება. ამიტომ, კიბერდაცვის ნაციონალური და საერთაშორისო სისტემების სრულყოფის საკითხი დღეს საერთაშორისო პოლიტიკის უპირველესი პრობლემაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი თვით საფრთხის სრულფასოვანი და მრავალმხრივი ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

სადაო აღარაა, რომ კიბერსივრცეს დადებით ეფექტებთან ერთად უარყოფითი შედეგების გამოწვევაც შეუძლია. დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკა ამ შედეგების სისტემურ პროფილაქტიკაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რადგან მოსალოდნელი კიბერკატასტროფა იქნა თავიდან აცილებული. პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას კიბერსივრცეში ზემოქმედების ხარისხების განსაზღვრა წარმოადგენს, რათა დადგინდეს დაცვის შესაბამისი ორგანიზაციულ, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები. მე ასეთ იერარქიას გთავაზობთ:

1. კიბერშეტევა, რომლის მიზანი შესაძლებელია არ იყოს გარცვეული და მისი შედეგი ნაკლებად ზიანის მომტანი იყოს;
2. კიბერდანაშაული, რომლის მიზანი კონკრეტული სუბიექტიდან ინფორმაციის მოპარვა, კონკრეტული მონაცემთა ბაზების განადგურება ან დაზიანება (რაიმე მიზნით, ან მიზნის გარეშე);
3. კიბერტერორიზმი, რომლის მიზანი სასიცოცხლო მნიშვნელობის კრიტიკული ინფრასტრუქტურის განადვურებაა;

4. უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება გეოპოლიტიკური ინტერესების მისაღწევად, რომელიც ინტერესის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს მმართველობის პარალიზებას და ამ პროცესში სოციალური ქსელებით ადამიანთა ჩართვას იწვევს – ეს უკვე კიბერომია.

საქართველოში 2008-2009 წლებში განხორციელებულ კიბერშეტევებს კიბერომის კვალიფიკიცია უნდა მიეცეს. ეს არის კარგი პრეცედენტი იმისა, თუ როგორ იქნა კიბერსივრცე გამოყენებული გეოპოლიტიკური ინტერესებისათვის პოლიტიკური ძალადობის იარაღად საქართველოში.

## **პირებულებების ხასიათი და დინამიკა საქართველოში**

დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს წინ უსწრებდა კიბერშეტევები, რაც მოგვიანებით, კიბერკონფლიქტში გადაიზარდა. დაიბომბა საქართველოს სამთავრობო საიტები. შემდეგ მედიასაიტები ([news.ge](http://news.ge); [ტენგიზ](http://tengiz.com) „რუსთავი 2“), საბაზო და სხვა მნიშვნელოვანი საიტები.

ერთ-ერთი საერთაშორისო ანალიტიკური ფონდის (ShadowServer) მონაცემებით DDoS (Distributed denial of Service) -შეტევა ჯერ კიდევ 20 ივლისს დაფიქსირდა.<sup>108</sup> ხოლო 8 აგვისტოდან ფართომასშტაბიანი ინტერნეტშეტევები განხორციელდა სამხრეთ ოსეთის სახელისუფლო და მედია საიტებზე, ერთ-ერთი შეტევის შედეგად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზე ჰაკერების მიერ დაკიდებული იქნა ადოლფ ჰიტლერისა და მიხეილ სააკაშვილის სურათები. მოვლენების სიმძლავის გადაფარვა პორნოსაიტებით ხდებოდა. აღარ მუშაობდა სამთავრობო, საპარლამენტო, სასამართლოების საიტები. 9-10 აგვისტოდან პრაქტიკულად არ მუშაობდა არც ერთი ქართული დომეინი ([ge](http://www.nsc.gov.ge) – [www.government.gov.ge](http://www.government.gov.ge), [www.parliament.ge](http://www.parliament.ge), [www.gncc.ge](http://www.gncc.ge), [www.internews.ge](http://www.internews.ge), [www.acnet.ge](http://www.acnet.ge)). ყველა ეს საიტი ჰაკერებმა იმსხვერპლეს.

108 Andre M. DiMino, An In-Depth Look at the Georgia-Russia Cyber Conflict of 2008, [http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8\\_RU\\_GE\\_DDOS.pdf](http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8_RU_GE_DDOS.pdf)

როგორც ShadowServer-ის მოხსენებებიდან ჩანს,<sup>109</sup> ამ კიბერშეტევების უკან „პატრიოტი“ რუსი ოპერატორები იდგნენ, რომლებიც წინასწარ ფორუმებზე და უცხოურ საიტებზე იძლეოდნენ მითითებებს მომავალი დაბომბვის შესახებ: გაიმარჯვე + მიყვარხარ + რუსეთი (1 win+love+in+Russia 80 7), დამკავირვებლების მონაცემებით საქართველოს საიტები “Bizus kokovs” სერვერიდან იბომბებოდა, ეს საიტი მოგვიანებით “July” (ალბათ ივლისის მოვლენების აღსანიშნავად) სერვერმა ჩაანაცვლა. დადგინდა ისიც, რომ ეს სერვერი რეგისტრირებულია ნიუ-იორკში, მაგრამ რეგისტრაცია განხორციელდა მოსკოვის ოლქიდან ნომრით – 22 00 20.


მოგვიანებით კიბერშეტევებში სხვა მხარეებიც ჩაერთვნენ. ამ ურთიერთობებში გამოყენებული იქნა სოციალური მედია. მაგალითად: მას შემდეგ, რაც “botnet” თავდასხმა დაიწყო და სხვა თავდამსმელებმა ეს შეამჩნიეს, სხვადასხვა ფორუმებიდან, მათ შორის “Twitter” და “Facebook”-დან ისინი შეტევას შეუერთდნენ (იხ. სურ. № 1).

Turkeyonline.name; ad.yanlexshit.com-დან შეტევები ხორციელდებოდა როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მიმართულებით. ძნელი სათქმელია ეს ორმაგი დარტყმები ვის მიერაა მომზადებული, მაგრამ ფაქტი ერთია: შეტევებმა მასობრივი ხსინათი მიიღო და მსოფლიო კიბერომის საფრთხე შექმნა. როგორც U.S Cyber-Consequences Unit – კვლევითი ინსტიტუტის დამოუკიდებელი ექსპერტები იტყობინებიან: ქართულ საიტებზე თავდასხმი მონაბილუ კიბერჯგუფებმა განახორციელეს ტიპიური “bothen” – თავდასხმა. თავდასხმის შესახებ განკარგულება ათი ვებ-გვერდის მეშვეობით გაიცა. გარდა ამისა, მაიკროსოფტის ჩვეულებრივი პროგრამები და ისეთი სოციალური ვებ-ქსელები, Twitter და Facebook Inc, კიბერიარაღად იქნა გამოყენებული.<sup>110</sup> ჰაკერებმა საზოგადოებრივ საიტებზე გაავრცელეს საფარაუდო სამიზნების მისამართები და ინფორმაცია თავდასხმის ისეთი

109 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ShadowServer-ის მონიტორინგის ჯგუფმა 4 მცგარიში გამოაქვეყნა, იხ: [http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8\\_RU\\_GE\\_DDOS.pdf](http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8_RU_GE_DDOS.pdf)

110 Richard Weitz, Russia Refines Cyber Warfare Strategies 25 Aug 2009 <http://www.worldpoliticsreview.com/article.aspx?id=4218> (25.08.09)

# C&C Activity (.ge & .ru)



**ARBOR**  
NETWORKS



BTF8: An In-Depth Look at the Georgia-Russia Cyber Conflict of 2008

## სურ. №1.

ნაჩვენებია საქართველოსა და რუსეთს შორის საიტებზე შეტევის მიმართულებები<sup>111</sup>


საშუალებების შესახებ, რომელსაც ამ სფეროში მცირეკვალიფიკირების ადამიანიც კი გამოიყენებდა. საზოგადოებრივი ქსელები (Facebook და Twitter) როგორც წესი, თავის საიტებზე არ აკონტროლებენ კომუნიკაციის პროცესს, თუ, რა თქმა უნდა მომხმარებლისაგან არ მიიღეს საჩივარი.

დასტურდება ის ფაქტიც, რომ საპასუხო დარტყმები საქართველოს მხრი-დანაც ფიქსირდებოდა, თუმცა ეს შეტევები საკმაოდ სუსტად გამოიყურება. საერთოდ შეტევის დონე ძნელი დასადგენია, მაგრამ როგორ გადადიოდა კიბერბომბები ბლოგიდან ბლოგში, ფორუმიდან ფორუმზე, საიტიდან საიტზე

111 Andre M. DiMino, An In-Depth Look at the Georgia-Russia Cyber Conflict of 2008, [http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8\\_RU\\_GE\\_DDOS.pdf](http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8_RU_GE_DDOS.pdf), slide page N16. 2008 oct. (15.08.09)

დამკვირვებელთა მიერ გარკვეული სიჩუსტითაა აღრიცხული.<sup>112</sup> კიბერშეტევები ქართულ საიტებზე ქართულ-რუსულ კიბერკონფლიქტში გადაიხარდა და მისახლეობის ფართო ფენები ჩაითვის. 17 აგვისტოდან ქართულ ფორუმებზე ჩნდება მისამართები, საიდანაც „დაპინგვის“ IP მისამართის გადმოწერა უნდა მომზდარიყო, რომლის პარალელურად ვრცელდებოდა მოწოდებები: „აპა თქვენ იცით ბიჭებო, ერთად დაუბომბოთ Ru“.....

## კიბერშეტევის საერთაშორისო გაფარგები ერთი ლის შემდეგ



BTFB: An In-Depth Look at the Georgia-Russia Cyber Conflict of 2008

ერთი წლის შემდეგ, 2009 წელს ქვეყნება ShadowServer-ის ექსპერტების ხოსე ნასარიოსა და ანდრე მ. დიმინოს ანგარიში ინტერნეტში კიბერშეტევების ფაქტებთან დაკავშირებით, სადაც საქართველოს წინააღმდეგ

112 [www.shadowserver.org](http://www.shadowserver.org), <http://www.usccu.us/>

კიბერშეტევებში ეჭვმიტანილია რუსეთი.<sup>113</sup> საიდენტიფიკაციო მონაცემების მიტაცება, სოციალური ქსელების და მოდიფიცირებული კომერციული კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, თავდასხმის ჩვეული იარაღია, მაგრამ მათ კომპინაციას თავდასხმის მეთოდიკა ახალ ხარისხში აჰყავს – აცხადებს ემიტ იორანი, აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების ყოფილი ხელმძღვანელი.<sup>114</sup>, „შეტევის სტარტზე საკომუნიკაციო სისტემის განადგურება სტანდარტული სამხედრო პრაქტიკაა.“ – ამბობს ჯონ ბამგარნეი, მთავარი ტექნიკური ოფიცერი და ნაციონალური უსაფრთხოებისა და ცენტრალური სადაზვერვო სააგნიტოს ყოფილი კიბერ-დეტექტივი.<sup>115</sup>

ამ ბრალდებას ისევ რუსეთის პატრიოტები პასუხობენ ფორუმებზე: ჩვენ არ ვართ ჰავერ-დამამავეები. ჩვენ წინ ალვუდგებით საქართველოსა და დასავლეთის საიტების დაბომბვას. არსებობს მხოლოდ stopgeorgia.ru – სადაც განთავსებულია როგორ ვეპრძიოთ ქართველებსო.<sup>116</sup>

## 2009 წლის პირველი ვერსიის საქართველოს საიტები

2009 წლის აპრილში კვლავ მძლავრი კიბერშეტევა განხორციელდა ქართულ საიტებზე. გაითიშა სასამართლოებისა და მედია საიტები. ტექნოლოგია, რომელიც ამჯერად თავდასხმისათვის იქნა გამოყენებული საჯაროდ ხელმისაწვდომი კომერციული პროგრამა იყო, რომელსაც კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორები იყენებენ. თავდასხმების ეს პროგრამა დასტრუქტურულ განზრახვებს მოარეცხს და განახორციელეს მისი მოდიფიცირება. მათ გააძლიერეს ე.წ. „სტრუქტული ტესტების“ გარკვეული რაოდენობა. ეს ტესტები

113 Andre M. DiMino, An In-Depth Look at the Georgia-Russia Cyber Conflict of 2008, [http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8\\_RU\\_GE\\_DDOS.pdf](http://www.shadowserver.org/wiki/uploads/Shadowserver/BTF8_RU_GE_DDOS.pdf),

114 SIOBHAN GORMAN, Hackers Stole IDs for Attacks AUGUST 17, 2009 <http://online.wsj.com/article/SB125046431841935299.html> (20.08.09)

115 ეს მონაცემები აღებულია სიობან გორმანის The Wall Street Journal-ში გამოცემულ სტატიიდან: Hackers Stole IDs for Attacks, By SIOBHAN GORMAN <http://online.wsj.com/article/SB125046431841935299.html>

116 ამ საიტის გერმანულ სერვერზე განთავსებაზე გერმანულებმა უარი თქვეს.

ჩვეულებრივ სერვერების მოცულობის შესაფასებლად გამოიყენება, რათა შესაძლებელი იყოს [http-პაკეტების ტალღის გამკლავება](http://პაკეტების ტალღის გამკლავება). მოდიფიცირებული იქნა კიდევ ერთი პროგრამა. ამ პროგრამის მეშვეობით დაზიანებული ვებ-საიტები შემთხვევით შერჩეულ არარსებულ მისამართებს მიმართავდნენ.

საინტერესო პრეცენდენტია 2009 წლის საქართველოს საპატრიარქოს საიტზე განხორციელებული კიბერშეღწევა, რომელსაც გარკვეული მიზანი ჰქონდა. საქართველოს საპატრიარქოს ინგლისურენოვან საიტზე გაჩნდა ფრაზა, რის გამოც აზერბაიჯანის პრესამ საქართველოს პატრიარქი აზერბაიჯანების შეურაცხმყოფელ გამონათქვამში დაადანაშაულა. (ამ შემთხვევაში საპატრიარქოს საიტმა დარტყმა ბელგიდან მიიღო). რამდენიმე დღეში ეს ფაქტი აზერბაიჯანისა და საქართველოს სასულიერო ლიდერებმა და ურნალისტებმა რელიგიური შუღლის გამოწვევისათვის გამიზნულ ქმედებად შეაფასეს და კონფლიქტს გაღვივების საშუალება არ მიეცა.

ამ პერიოდს ემთხვევა ქართულ დომეინზე რეგისტრირებული (ge) ელექტრონული ფოსტების გათიშვაც.

## 2008-2009 წლის პიგარშეტევის შეჯასერები საქართველოში

შეფასდება თუ არა ეს კიბერშეტევები როგორც კიბერტერორიზმი, მტკიცების სფეროა. ამ შემთხვევაში ექსპერტებსა და სპეციალისტებს მტკიცებულებათა სერიოზული მოვროვება მოუწევთ. ერთი ცხადია, კიბერშეტევებს საქართველოში სხვადასხვა მიზანი ჰქონდა და შედეგიც ესტონეთისაგან განსხვავებული, უფრო მძაფრი აღმოჩნდა: როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომისიუტერული ტექნოლოგიების და ინფორმაციული უმრუნველყოფის სამსახურის უფროსი დავით ტალიაშვილი ამბობს: შეტევების რაოდენობა წამში 64 000 პაკეტს უტოლდებოდა და თავდასხმები ორგანიზებულად ხორციელდებოდა. საქართველოს პარლამენტის ვებ-პორტალის განვითარების უფროსი მაცა გიგაური აცხადებს, რომ ინტერნეტრესურსები შეტევა ჯერ კიდევ აგვისტოს მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ინტერნეტით მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა: ყველა განცხადებას რომელსაც

პარლამენტის ვებ-გვერდზე ვკიდებდით, ვხედავდით ლოკალურად მხოლოდ ჩვენი უწყების სერვერზე. ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა შეიარაღებული კონფლიქტის დროს – აცხადებს გაგური. <sup>117</sup>

პრობლემის მოსავარებლად ქართული სამთავრობო საიტები აშშ-ში, ატლანტაში განთავსებულ სერვერზე ვადავიდა კომპანია Tulip systems-ის დახმარებით. თუმცა როგორც ქართული მხარე აცხადებს გადატანიდან 15 წუთში ქართულ საიტებზე შეღწევა ისევ განხორციელდა. ქართული საინფორმაციო სივრცის სერვერი ამერიკაში კვლავ შეიცვალა.

ტექნოლოგია, რომელიც კიბერთავდამსხმელებმა საქართველოში გამოიყენეს იმის ვარაუდს აჩენს, რომ კამპანიის დეტალური გეგმა მათ კონფლიქტამდე კარგა ხნით ადრე შეიმუშავეს. თავდამსხმელებს არ განუხორციელებიათ სამიზნე საიტების სასინჯი კვლევა ან დაზვერვა. მათ ამის სანაცვლოდ თავიდანვე მიმართეს შეტევისათვის სპეციალურად მომზადებულ პროგრამას. მაგალითად, ერთი ქართული საიტის დასახიანებლად გამოყენებული იქნა გრაფიკული პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ 2006 წელს შეიქმნა და 2008 წლის საქართველოს მოვლენებამდე არავის გამოუყენებია. თავდამსხმელებმა ახალი დომეინები დაარეგისტრირეს და ახალი ვებ-გვერდები შექმნეს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ მათ უკვე ჰქონდათ განსაზღვრული სამიზნები, თავდასხმის სცენარი და, შესაძლოა, წინასწარ ჩატარებული საცდელი საინფორმაციო თავდასხმა.

## პირარშათების შედეგები

იყო თუ არა ჰაკერების მოქმედება რუსეთის სამხედრო ძალებთან შეთანხმებული? – ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არც ერთ საჯაროდ გამოქვეყნებულ დასკვნაში არ ჩანს, თუმცა ამზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ ეს კამპანია დაიწყო მანამ, ვიდრე მედია საქართველოზე რუსეთის თავდასხმის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას დაიწყებდა.

117 ტექნოლოგური გამჭველეული ნაციფატორი: STOP CYBERRUSSIA  
[http://navigator.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=12&info\\_id=3630](http://navigator.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12&info_id=3630)

ამ ქმედებათა შედეგად:

- შეუძლებელი იყო ინფორმაციის ოპერატორლად გაშუქება სამთავრობო საიტების მეშვეობით;
- სამხედრო კონფლიქტი სამხრეთ ოსუთსა და აფხაზეთში გარკვეულნილად კაბერშეტევების გაგრძელება იყო, რის შედეგადაც საქართველომ თავისი ტერიტორიის 1/5 დაუარგა, მიიღო დავინილები, დაიხოცა მშვიდობი-ანი მოსახლეობა, განადგურდა იქ მცხოვრებთა პირადი საკუთრება;
- ჩვენი ინიციტივებით ჩატარებული ბლიც-გამოკითხვებით: 200 გამოკითხულიდან, ვინც კიბერშეტევების დროს ინტერნეტით სარგებლობდა აცხადებქ – დავკარგე ბიზნეს და სამეცნიერო ინფორმაცია – 45%, ინფორმაციის დავკარგვასთან ერთად დამზიანდა კომპიუტერი – 55%.

## მიზან - გენეგობრივი კავშირები ვიზუალურ გენერაცია და პოლიტიკას გორის

კიბერსივრცის უსაფრთხოების ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ერთი მხრივ, შეიძლება ჰაკერების პოლიტიზაცია, ხოლო მეორეს შერივ, კიბერსივრცემი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოძრაობის გადატანა. კიბერშეტევების დინამიკა აჩვენებს, რომ კიბერისატრუმენტების გამოყენებამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ეროვნული ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსაყვანად ვირტუალურ სამყაროში პოლიტიკზე ზემოქმედების რეალური საფრთხეები შექმნა. ამ პროცესზე დამკარგვებელნი დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადასტურებლად არსაკმარისი მტკიცებულებების გამო დაბეჭიოთებით ვერ ამტკიცებენ რა იყო ჰაკერების მიზანი თავდასხმის დროს. ერთი ცხადია, რომ ჰაკერებს შეუძლიათ მტრულად განწყობილი სახელმწიფოს სახელით იმოქმედონ ან იმოქმედონ რომელიმე ქვეყნის ზეგავლენით. აღიარებულია ისიც, რომ DDoS-შეტევები სახელმწიფოს მიერაა კონტროლირებული, ამიტომ, ვეთანხმებით პოზიციას, რომ კიბერკონფლიქტს საქართველოში კიბერომის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ჩვენ ამ კვლევაში გვინდა დაგაზისუსტოთ მასმედიასა და პოლიტიკურ ლექსიკონში სისტემატიკურად გამოყენებადი ერთი ფრაზა: „კიბერომი საქართველოსა და რუსეთს შორის“. დადასტურებულია, რომ საქართველოში გამოყენებული იქნა ისეთი კიბერიარაღი, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება აკონტროლებდეს და არა ცალკეული ჰაკერი. სტრატეგიულმა პარტნიორებმა ვერ უზრუნველყეს მისი თავიდან აცილება, პირიქით, მათი ჩარევა კონფლიქტის ახალ კერძებს აჩენდა. სრულიად ნათელია, რომ რუსეთი კონფლიქტის მეორე სუბიექტად განიხილავდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოში სწორედ აშშ-ს უპირისპირებდა საკუთარ კიბერიარაღს.

თავდამსხმელები შეტევას სხვადასხვა ქვეყნებიდან ახორციელებდნენ და იყენებდნენ ისეთ უახლეს ტექნოლოგიებს, რომლებიც მანამ არ ყოფილა დაფიქსირებული სადამცვირვებლო ორგანიზაციების მიერ. ყოველგვარი შელამაზების გარეშე აშკარაა, რომ 2008 და 2009 წლებში აშშ-სთან გეოპოლიტიკური ინტერესები დაპირისპირების გამო რუსეთმა საქართველო და მისი მოსახლეობა უახლესი იარაღის გამოცდისა და გამოყენების პოლიგონად აქცია. კიბერსივრცე საქართველოში პირდაპირ ბრძოლის ველს დაემგვანა. ერთმანეთის წინააღმდეგ კიბერბრძოლისათვის მოწოდებები იყო სოციალურ ქსელებში როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. მწყობრიდან გამოვიდა მოქალაქეთა პერსონალური მონაცემთა ბაზები და კომპიუტერული ტექნიკა. ასე, რომ ეს იყო კიბერომი საქართველოში!

პრესაში ხშირად გაიგებდით, რომ საქართველომ მოიგო ინფორმაციული ომი რუსეთთან. მცდარი თემაა, მოგება-წაგება შედეგებით იზომება. საქართველომ საკმაოდ დიდი დანაკარგვი გაიღო: დაუარგვული ტერიტორიები, ინფორმაციული ვაჯუუმი და მოსახლეობაზე ფსიქოლოგური ზენოლის მწვავე შედეგები.

ამავე დროს, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ცენტრალური ოპერატორი, როგორც ჩანს, თავდამსხმელებს სთხოვდა შეზღუდათ მათ მიერ მიყენებული ზარალის მასშტაბები. შეტევის მონაწილეთა მიერ ვებ-საიტები მწყობრიდან ისე უნდა გამოსულიყო, მხოლოდ მომსახურებაზე ეთქვა უარი და დარღვეულიყო მისი გარეგნული სახე. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს სრულიად შესაძლებელი იყო, თუ სამიზნე კომპიუტერებს საკვანძო მონაცემების წაშლის, დამცავი მექანიზმების განადგურების,

ენერგომიწოდებისა და ტრანსპორტირების სისტემის მოშლის განკარგულებას მისცემდნენ. ფაქტია ისიც, რომ ბოლომდე კიბერსივრცეში ასეთი პროცესის კონტროლი შეუძლებელია და ადგილი ჰქონდა უფრო მეტად მძიმე შედეგებს, ვიდრე ეს თავდამსხმელების განზრახვას წარმოადგენდა. შესაძლოა რუსეთს ამ „თავშეკავებული“ ქმედებით იმის დემონსტრირება სურდა, რომ მისი პროგო-ცირკების შემთხვევაში საქართველოს უმნიშვნლოვნესი სამოქალაქო ინფრა-სტრუქტურის სრული განადგურება შეუძლია. ისიც შესაძლებელია, რუსეთის ჯარს იფიციური მიზანი ჰქონდა ბაქო-ჯეიპანის მახლობელი სივრცეების დაბომბვის დროს, როცა მას უშესლოდ მიღლადებზე შეტევა არ მიუტანია. კიბერ და სამ-ხედრო ზონებში თავისი დომინირების დემონსტრირებით რუსეთმა ხაზი გუშება არა მარტო საქართველოზე, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის არსებობას. ეს იყო კარგი მაგალითი სხვა ქვეყნებისათვის, რათა მათ მომავალში თავი შეიტანონ ისეთი ქმედებებისაგან, რომელიც რუსეთის ინტერესებს დაუმუქრება.

ალსანიშნავია ისიც, რომ კიბერშეტევის შედეგები უფრო მძიმე იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამზე მეტყველებს ჩვენი ემპირიული გამოკითხვებიც, როცა სოციალურ ქსელებში შეტევის დროს მყოფი პირები აცხადებენ, რომ მათ კომპიუტერი დაუზიანდათ ან დაკარგეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ასეთი მონაცემები კი საერთაშორისო დასკვნებში მითითებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ კონტროლდებოდა კიბერიარაღის გამოყენების შედეგები, ზოგიერთმა თავდამსხმელმა მაინც მოახერხა მსგავსი დესტრუქციული ქმედების განხორციელება. თავდამსხმელებს მნიშვნელოვანი ობიექტების კიბერშეტევის მეშვეობით დაზიანების უნარი რომ შესწევდათ, ფაქტია. ეს საჯაროდ გამოქვეყნებულ ყველა დასკვნაში კარგად იკითხება. ამასვე ადასტურებენ ის ექსპურტებიც, რომელთაც შეტევების პროცესში კომპიუტერული ქსელების ტექნიკურ მხარესთან მიუწვდებოდათ ხელი. თუ ამ სიტუაციას სხვა კუთხით შევხედავთ, არ გამოირიცხება ის ვერსია, რომ საქართველო უფრო დიდ ტრაგულ შედეგებს გადარჩა. კიბერშეტევის ობიექტები ყუმბარებითა და რაკეტებით განადგურებას გადაურჩა და ამით არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასია ერაყისა და სერბეთის მსგავსი მოვლენების სცანარს ასცდა.

ამიტომ, ვამბობთ, რომ ეს იყო კიბერომი საქართველოში. ამ ოშემდებარების გამოცდა და მასიურად მოსახლეობის ჩართვა.

პრესაში და სამეცნიერო კვლევებში ხშირად ნახავთ ასეთ შეფასებას: პატარა ქვეყანა (საქართველო) კიბერშეტევის ობიექტი გახდა. ვფიქრობ, ეს ნაწილობრივ სწორი ფორმულირებაა. რადგან კიბერომის შედეგი უფრო დიდია და იგი ნაკლებად ექვემდებარება ტერიტორიულობის პრინციპს. ამ კიბერშეტევით მხოლოდ საქართველო არ დაზარალებულა. საქართველოს აშშ-სთან 40-მდე ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან თავდაცვის საკითხებზე, აღმოჩნდა, რომ კიბერსივრცეში, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვა, საქართველო სრულიად დაუცველი იყო. მონაცემების გადატანა ამერიკულ სერვერებზე, როგორც ამას აცხადებენ, ან არ განხორციელდა, ან ეს იმდენად დაგვიანებული იყო, რომ შედეგი საკმაოდ მძიმე მივიღეთ. საქართველოს რუსეთთანაც აქვს დადებული 34-მდე ხელშეკრულება განათლების, კულტურის, მეცნიერების საკითხებზე. როგორ ახდენს მოსკოვი ამ მიმართულებით ხელშეკრულებების რეალიზაციას 2008-09 წლებში სრულიად ნათლად დავინახეთ. კიბერსივრცეში გამარჯვების მიუხედავად რუსეთი საკმაოდ სწარაფად კარგავს პარტნიორული ურთიერობების უნარს და თავისი ინტერესების ძალადობრივი გატარებით საშიში ხდება მსოფლიოსათვის.

## რა უდა დაუკირისაირდეს გიგანტი სახელმიწოდების კიბერისათვის?

ამ საკითხზე ევროკავშირის მიერ პოლიტიკური მექანიზმების შექმნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ევროპამ უნდა დასვას საკითხი კიბერიარალის გამოყენების აკრძალვის. როცა ევროპა სამხედრო თვალსაზრისით აშშ-ზეა დამოკიდებული, ენერგოთვალსაზრისით – რუსეთზე, სწორედ იგი უნდა გამოვიდეს მედიატორის როლში, მას ამისი ინტელექტუალური პოტენციალიც აქვს და ბერცეტიც. ვფიქრობ, ევროპის შესაძლებლობები კიბერუსაფრთხოების სფეროში ჯერ არ ამოწურულა.

რა მოიმუშედა საქართველომ კიბერშეტევის შეტერებისათვის? – დაცვის უზრუნველსაყოფად კიბერსივრცის მოხმარების შეზღუდვა აირჩია. პროვაიდერებმა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თავიანთი მომხმარებლებისათვის აკრძალუს რუსეთის ინფორმაციულ ვებ-საიტებთან დაშვება.

ეს ლოკალური ხასიათის ღონისძიება იყო და შესაძლებელია, ოპერატორი მიზანშეწონილობა ჰქონდა, თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიები, მიუხედა- ვად ასეთი აკრძალვებისა, საიტებზე შეღწევის სხვა საშუალებებსაც იცნობენ.

საქართველომ კიბერდაცვის პირველი დახმარება ესტონეთისაგან მიიღო. როგორც ესტონეთის პრეზიდენტმა, ტომას ხენდრი ილვესმა გაეროს გენერალური ასამბლეის მონაწილეებს განუცხადა: ვიდრე საქართველო შეიარაღებულ ომში ჩაერთვებოდა, იგი მასობრივი კიბერშეტევების ობი- ექტი გახდა.<sup>118</sup> მათ, ვინც ეს შეტევა განახორციელა, სამიზნედ სამთავრობო საიტებთან ერთად საინფორმციო სააგენტოებისა და ბანკების ვებ-საიტები აირჩიეს. კიბერომის შემდეგ, ეს ქვეყანა კიბერდაცვის სფეროში კომპლექ- სური ხასიათის ახალ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ნაბიჯებს დგამს. მაგ: ტალინში 2010 წლიდან ამოქმედდა კიბერსამსახურის ოპერატორიული ცენტრი. თავის მხრივ, აშშ-ს ამჟამად 24 ასეთი ცენტრი აქვს, მსგავსი ცენტ- რები შეიქმნა დასავლეთ ევროპასა და მოსკოვშიც.

საქართველოს მიერ გატარებული ღონისძიებები არ იყო საკმარისად ეფექტური, რადგან პრობლემა გლობალურია და მსოფლიო გიგანტი სახელ- მწიფოები კიბერიარალის დახვენტზე გამალებით მუშაობენ. ამიტომ, მათ ამ სფეროში უდიდესი უპირატესობა აქვთ.

უახლესი კიბერიარალი და ტექნოლოგიები ჩინეთშიც სწრაფად ვითარდება. ექსპერტებმა მიაგნეს მტკიცებულებებს, რომ ჩინელმა პაკერებმა უკვე ჩაატარეს წინასწარი დაზვერვა აშშ-ს ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქ- ტურისა, როგორიცაა კომუნიკაციული ელექტრონული ქსელები. რაც ყველაზე შემაშვილობელია, ისინი უკვე ფლობენ პროგრამას, რომლის გამოყენებაც ამ ქსელების გასანადგურებლადაა შესაძლებელი. ევროკავშირმა როგორც იქნა მოიწვია პირველი მინისტერიალი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის კიბერუსაფრთხოების საკითხებზე. აშშ-მ შექმნა კიბერ-შენაერთი, კიბერ- შეტევისა და კიბერ-დანაშაულების გამოძიებისათვის. მიუხედავად ამისა,

---

118 Президент Эстонии предупредил об опасности конфронтации в киберпространстве  
<http://www.org.ru/2008/09/25/ilves-anons.html>

ჩანს, რომ თეთრი სახლი განიცდის სირთულეებს ამერიკის კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ფედერალური, შტატის და კერძო სექტორის კომპიუტერული ქსელების კოორდინირებაში. ამ სიტუაციაში ევროპის როლი კიბერგანიარაღების თაობაზე უდიდესია ახალი მსოფლიოს უსაფრთხოებისათვის.

ევროპის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის ფორმირების საკითხი ჯერ კიდევ საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ფონზე დავაყენეთ რამდენიმე ევროპულ ფორუმზე და ეს იმიტომ, რომ ევროპა არა მარტო დემოკრატიული ღირებულებების, არამედ დემოკრატიული პროცედურების დამკვიდრების და მათი დაცვის გარანტი უნდა გახდეს.

მაშინ, როდესაც რუსეთს 2000 წელს მიღებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინა, ხოლო ამერიკას 2002 და 2007 წლის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიები, ევროპის კიბერდანაშაულთა ევროპული კონცეფციის (Convention on Cybercrime) იმპლიმენტაციის დონე საკმაოდ დაბალია. საქართველო ამ კონცეფციას 2008 წლის აპრილში შეუერთდა, მაგრამ კიბერშეტევები შემცირების ნაცვლად კიდევ უფრო გაიზარდა. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ამ საკითხს მხოლოდ ერთი მუხლი აქვს დათმობილი (5.10),<sup>119</sup> რომელშიც აღნიშნულია: „საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს ... საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობის და სახელმწიფოს კრიტიკული საინფორმაციო სისტემების დაცვის საკითხებს. საგანგებო სიტუაციების დროს სანდო და დაცული ინფორმაციის ფლობა აუცილებელი წინაპირობაა კრიზისების ეფექტისანი პრევენციისა და მართვისათვის. საქართველო ქმნის შესაბამის საკანონმდებლო ბაზას და ინფრასტრუქტურას, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად და ინფორმაციის დაცულობის უზრუნველსაყოფად.“ მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ერთ-ერთი პირველია კიბერტერორიზმის საკანონმდებლო

119 იხ. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია:  
[http://www.parliament.ge/index.php?sec\\_id=470&info\\_id=4662&lang\\_id=GEO](http://www.parliament.ge/index.php?sec_id=470&info_id=4662&lang_id=GEO)

ფორმალიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ საკანონმდებლო ბაზა კიბერდა-რლევენების პროფილაქტიკის მხრივ საკამაოდ მნირია: სამი მუხლი სისხლის სამართალის კოდექსში, რამდენიმე მუხლი ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, კანონი „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“, ნამდვილად ვერ ჩაითვლება უსაფრთხოების კონცეფციის უზრუნველყოფის სამართლებრივ მექანიზმებად. საქართველოში კიბერდანაშაულების სტატიისტიკას თუ გადავხედავთ, 2006 წლიდან 6 შემთხვევაა აღმოჩენილი და მათგან მხოლოდ ერთი გამოძიებული. ეს მონაცემები ვერ ასახავს კიბერსაფრთხეებით გამოწვეული შედეგების სამართლებრივი დაცვის დონეს და ვერც პოლიტიკურ ნებას ახალი გამოწვევისა და უსაფრთხოების პრობლემებით დაინტერესებისათვის.

ამ ფონზე, ჰავიერ სოლანას სიტყვები, რომ ევროკავშირი საქართველო-რუსეთის კონფლიქტის გამო გადახედავს ევროპის უსაფრთხოების კონცეფციის სტრატეგიულ დებულებებს,<sup>120</sup> საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ: ერთი გაკვეთილი, რომელიც საქართველოს ომიდან გამომდინარეობს, ისიცაა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დააჩქარონ კიბერ-უსაფრთხოებისაკენ მიმართული ძალისხმევა.

## ესთონეთი, საქართველო, ლათვია – 2006 გაცდება პიგეროვის შემდეგი მსევრალი?

2006 წლის 26 აპრილს განხორციელდა კიბერშეტევა ესტონეთის სამთავრობო ვებ-გვერდებზე. ამ შეტევის კულმინაცია იყო ინტერნეტ-მომსახურების შეჩერება (DDoS). არის მოსახრება, რომ ესტონეთის ფაქტი პირველი კიბერ-ომია კონკრეტული ხელისუფლების წინააღმდეგ. რუსეთი ეჭვმიტანილი იყო ესტონეთზე ციფრული თავდასხმების წაქტებაში. რა თქმა უნდა, რუსეთი თავის მხრივ უარყოფს ამ ომში მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, თუ ვისი ინიციორებულია ესტონეთის კიბერსივრცებზე თავდასხმა, ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ რესურსებითა და კოორდინაციის გათვალისწინებით ეს იყო კიბერომი.

120 <http://top.rbc.ru/politics/06/09/2008/237693.shtml>

The U.S. Cyber-Consequences Unit-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, თუ როგორ გამოიყენა 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საომარი მოქმედებების პარალელურად საქართველოს ინტერნეტ-სტრუქტურების წინააღმდეგ მასიური, კარგად ინტეგრირებული, წინასწარდაგეგმილი საინფორმაციო საომარი კამპანია. 2009 წლის ანგარიშებში შეტყვა საქართველოზე „რუსული ბიზნეს-ქსელის“ სახელით ცნობილ ორგანიზაციას მიენერება. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფის უშუალო კავშირიც კიბერშეტევებთან საჯარო ინფორმაციებით არ დასტურდება. ექსპერტები ვერ თანხმდებინა იმაზეც, კიდევ არსებობს თუ არა ეს ჯგუფი.

დასტურდება სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურებზე კიბერშეტევისაგან თავისმეტყველაც. მაგრამ, კიბერომის წარმოების ტექნოლოგიები იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ორგანიზაციამ ანგარიშის სრული ვერსია მხოლოდ აშშ-ს მთავრობას და ინტერნეტის უსაფრთხოების რამდენიმე სხვა პროფესიონალს გადასცა. ჩვენ ვიყენებთ ამ ანგარიშის მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომ დებულებებს.<sup>121</sup> ამიტომ საჯარო ინფორმაციას ვუმატებთ ჩვენს დაკვირვების მონაცემებს და მათი შეჯერებით გამოვთქვამთ ვარაუდს:

კიბერომის შემდეგად მსხვერპლი გახდება ყველა სახელმწიფო, ვინც რუსეთ-დასავლეთის გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახების სფეროში მოხვდება და ვერ უზრუნველყოფს ინტერესთა აღვეულყურ დაბალაშებას. კიბერუნფლიტები პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად მომავალ მსოფლიოში გარდაუვალია.

გამოსავალი ერთია: ევროპის როლი კიბერუსაფრთხოების სფეროში გადაუდებელი ამოცანაა.

121 U.S. Cyber-Consequences Unit ჯგუფი დამოუკიდებელი არაუომერციული კვლევითი იმსტრუმენტია, რომელიც ტაფეტის უნივერსიტეტის ფლოტბერის სამართლისა და დაპლომატის სკოლასთან თანამშრომლობს. ორგანიზაციის კვლევებს ძაგლის მთავარი უფორული ჯირ ბაზგრნერი წარმართავს. ის და მისი ჯგუფი, სხვადასხვა რესურსების გამოყენებით – ინტერნეტ-ტრუფეის მონიტორინგის, ვებ-საიტებზე <http://www.worldpoliticsreview.com/articles/4218/global-insights-russia-refines-cyber-warfare-strategies>

კიბერიარალმა ბოლო ორი წლის განმავლობაში უდიდესი პროგრესი განიცადა და დიდი მასშტაბებით გაუსწორ საერთაშორისო შეთანხმებებს (თუნდაც სამხედრო სფეროში შეთანხმებებს), რომლებშიც არ არის გათვალისწინებული ინტერნეტ რესურსების და სამოქალაქო ტექნოლოგიების საპრძოლო იარაღად გამოიყენების აკრძალვის მექანიზმები.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები:

- საქართველოს ტერიტორიების 1/4 ოკუპირებულია – ასე მიიჩნევს საერთაშორისო თანამეგობრობა. რუსეთის ოფიციალური წრეების შეფასებით – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორია განთავისუფლებულია. დახოცილია ასობით ადამიანი, ათასობით ადამიანი იქცა დევნილად და ლტოლვილად, მათ შორის აფხაზები და ოსებიც;
- გამოყენებული იყო ახალი კიბერიარაღი. კიბერშეტევა კონკრეტულ შედეგზე იყო გათვლილი – აშშ-ს ელიარებინა რუსეთის უპირატესობა რეგიონში. 2008 წლის კიბერ-შეტევამ მნიშვნელოვნად დააზიანა საქართველოს საკომუნიკაციო შესაძლებლობები და კვირაშე მეტი ხნით მწყობრიდან გამოიყვანა 20-ზე მეტი ვებ-საიტი. საქართველოში შეტევა რუსული ჰაკერული ჯგუფების მიერავ მომზადებული, რომელთა აშკარა კავშირი რუსეთის მთავრობასთან არ დასტურდება. მაგრამ კიბერშეტევებისა და საოშარი მოქმედებების დროში თანმიმდევრული განვითარება იმის ვარაუდს აჩენს, რომ რუსეთის მთავრობა და კიბერთავდამსახმელები ირიბად მაინც კოორდინირებულად მოქმედებდნენ;
- საქართველოს მოვლენებმა აჩვენა, რომ რუსეთის კიბერშეტევითი ოპერაციები ესტონეთის 2007 წლის კონფლიქტის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რუსები მიღებული გამოცდილების ბაზაზე, ალბათ კიდევ უფრო განამტკიცებენ კიბერიარაღს;
- პოტენციურმა სამიზნეებმა კიდევ ერთი გაფრთხილება მიიღეს – მათ უნდა განამტკიცონ საკუთარი კიბერუსაფრთხოება.

თავი V.

**რელიგიის ფაქტორის  
გამოყენება რუსეთის  
მიერ „რბილი ძალის“  
კონტექსტში**

თემაზ ფხალაძე, გიორგი გვიმრაძე

„საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 80% არის მართლმადიდებელი, რუსეთის საპატრიიარქოსთან მჭიდრო კავშირებით. რუსეთის მართლმა-დიდებელი ეკლესია ფორმალურად არ განაგებს საქართველოს მართლმა-დიდებელ ეკლესიას, როგორც ეს ხდება უკრაინასა და ბელორუსიაში, თუმცა მათ შორის არსებული კავშირები დიდად ეხმარება რუსეთს საქართველოს საზოგადოებაზე ზეგავლენისათვის“. <sup>122</sup> ეს არის ამონარიდი ამერიკული ანალი-ტიკური ცენტრის „Starfor“-ის ბოლო დროს გავრცელებული ერთ-ერთი საინტერესო სტატიიდან, რუსეთის თანამედროვე მზარდი ინტერესების შესახებ ე.ნ. სპეციალურ გავლენის სფეროსთან მიმართებაში. საინტერე-სოა, რატომ თვლის ავტორი, რომ ეკლესია არის საშუალება რუსეთისათვის ზეგავლენა მოახდინოს ქართულ საზოგადოებაზე და რეალურად როგორ იყენებს რუსეთი რელიგიის ფაქტორს საქართველოსთან მიმართებაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მცირე ისტორიულ ექსკურსს მოითხოვს, რათა ნათლად წარმოვაჩინოთ დღევანდელობის რეალური სურათი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვა თავისუფლებებთან ერთად, პოსტსაბჭოთა ადამიანებმა მიიღეს აღმსარებლობის თავისუფლებაც. რელიგიური წყურვილი არის ადამიანის შინაგან მოთხოვნილებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სწრაფვა. ამდრენად ყველა საზოგადოებაში საქმიანდ დიდი ნაწილი ამა თუ იმ სარწმუნოების მიმდევარია. საქართ-ველოში მართლმადიდებლობა ტრადიციული რელიგიაა (ისევე როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში, მათ შორის რუსეთში). ამდენად, რელიგიური წყურვილის მეონე ადამიანები 90-იანი წლების დასაწყისში სწორედ მართლმადიდებლობისაკენ, დიდწილად ტრადიციულობის გამო და არა ქრისტიანულ დეთისმეტყველებაში განსწავლულობის მიზნით. დიდი ნაწილისათვის მართლმადიდებლობა – ქართველობასთან იდენტი-ფიცირდა და ამის დასამტკიცებლად საუკუნეთა გამოცდილებას იშველი-ებენ. უკანასკნელი ორიათწლულის განმავლობაში საქართველოში მართლ-მადიდებლობამ ეროვნულ-პოლიტიკური ნიშა დაიკავა. მოსახლეობის 80% მართლმადიდებელია და დაახლოებით იგივე რაოდენობა ნდობას უცხადებს ეკლესიას. თუმცა აღსანიშნავია, რომ თავად ამგვარი გამოკვლევის

122 Russia's Expanding Influence (Part 1): The Necessities

[http://www.stratfor.com/memberships/156075/analysis/20100304\\_russia\\_0](http://www.stratfor.com/memberships/156075/analysis/20100304_russia_0)

ჩატარება თავისთავად შეცდომაა. ამ კვლევაში, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ ვის უცხადებს ხალხი ნდობას, ხაზგასასმელია, რომ ეკლესია და მისი მწყემსმთავარი პოლიტიკურ ინსტიტუტად და პოლიტიკურ ფიგურად არიან წარმოჩენილნი და სხვა მსგავსი ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტების გვერდით არიან დასახელებულნი.

ბუნებრივია, რომ მართლმადიდებლური რელიგიისადმი ასეთი პოზიტიური დამოუკიდებულება კარგად არის ცნობილი რუსთის ფედერაციის პოლიტიკური ტექნოლოგებისათვის. ამიტომაც, ლოგიკურად ვიგარაუდოთ, რომ ისნი შეცდებიან აღნიშნული ფაქტორის საკუთარ ინტერესებში გამოყენებას.

## მართლმადიდებლოგა და კრემლის იდეოლოგია

რუსთმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად X საუკუნეში (988 წელს) გამოაცხადა. მას შემდეგ, რუსთის მეფეები, ხოლო მოგვიანებით კი იმპერატორები აქტიურად იღებდნენ მონანილეობას საეკლესიო ცხოვრების წარმართვაში, თუმცა ეკლესია მაინც ახერხებდა გარკვეული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

პეტრე პირველის დროს რუსთის ეკლესიამ იქამდე არსებული დამოუკიდებლობაც დაკარგა. იმპერატორმა რუსთის ეკლესიაში პატრიარქობა გააუქმა და სინოდალურ მმართველობაზე გადაიყვანა. სინოდის წევრები სახელმწიფო მოხელეების ფუნქციებსაც ითავსებდნენ და ამდენად საერო მოღვაწეთა პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. ამ მოვლენამ ეკლესია მთლიანად სახელმწიფოს დაქვემდებარებაში შეიყვანა.

რუსეთში ეკლესის ავტონომიურობის აღდგენა მოხერხდა მხოლოდ მონარქიული წყობილების რღვევის შემდეგ 1917 წ. თუმცა, ამჯერად, სხვა პრობლემამ იჩინა თავი, მმართველობის სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ და ზოგადად რელიგიას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. დაიწყო რეპრესიები. რელიგიური დენომინაციების წინააღმდეგ მიზანმიმართული იდეოლოგიური მანქანა ამუშავდა, რასაც მრავალი სასულიერო მოღვაწე შეეწირა თითქმის მთელი საჭიროა კვშირის მაშტაბით. ამ ვითარებაში საკმაოდ საინტერესოდ

განვითარდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბედი. 40-იან წლებამდე რეპრესირებული ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება 1943 წ. შეიცვალა, რასაც თანამედროვე „რუსული ღვთისმეტყველება“ ღვთისმშობლის სასწაულს მიაწერს. ყზანის ღვთისმშობლის ხატის სასწაულებში ვკითხულობთ, რომ სტალინს ეახლა ერთ-ერთი მონაზონი და აუწყა ღვთისმშობლის გამოცხადების შესახებ, რომელიც რუსეთის გადასარჩევად ფაშიზმისაგან ითხოვდა მოსკოვისა და პეტერბურვის გარშემო ზემოხსენებული ხატის შემოტარებას. „დიდმა ბელადმა“ ამ იდეაში სათავისოდ რაციონალური წინადადება დაინახა და ბრძანა აღნიშნულის განხორციელება. ამას მოჰყვა ეკლესიების გახსნა და პატრიარქობის აღდგენა (1925 წ. გარდაიცვალა რუსეთის პატრიარქი ტიხონი, რომლის გარდაცვალებიდან 1943 წლამდე რუსეთს პატრიარქი აღარ ჰყოლია). საბჭოთა სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სკუმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა საეკლესიო საზოგადოების გარკვეულ ნაწილს და ამ ფაქტს სტალინის მიერ მართლმადიდებლობის იდეოლოგიად გამოყენების სურვილს მიაწერენ. რაც, უნდა აღინიშნოს, სტალინს გამოუვიდა კიდეც. იმ პერიოდში კომუნისტური ხელისუფლების ბავებიდან გაიყდერა მესამე რომის, ახალი კომსაზანგინებოლის იდეებმა: „1943 წ. ყოფილმა თბილისელმა სემინარისტმა, იოსებ სტალინმა, გადაწყვიტა პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინა საზღვარგარეთ მყოფი ათობით მილიონი რუსი და ამასთანავე ეცადა შეეკავშირებინა პოსტბიზანტიური სივრცის ქვეყნები (აღმოსავლეთ ევროპა და ბალკანეთი) რუსეთის, როგორც მესამე რომის ფრთხებქვეშ და გაეთამაშებინა ეთნოგრანჯების „კარტი“. <sup>123</sup> აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აღდგენილ ეკლესიას ამჯერად „რუსული მართლმადიდებლური ეკლესია“ ეწოდა, ნაცვლად იმპერიის დროინდელი „რუსეთის ეკლესიას“, რაც კიდევ ერთხელ უსვასს ხმს „დიდი ბელადის“ მიერ ეთნიკური იდეების გამოყენების სურვილს. თავის მხრივ, მესამე რომის იდეას არც რუსეთის საპატრიარქო ენისაალმდეგებოდა: „1947-48 წლებში სტალინურ მართლმადიდებლურ ეკლესიას იმედი ჰქონდა, რომ ჩაატარებდა სრულიად მართლმადიდებლურ კრებას, რომელშეც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უხილავი დახმარებით მოსკოვის პატრიარქი, პატრიარქთა იერარქიაში, ამჟამინდელი მეხუთე ადგილიდან, აუგანილი იქნებოდა პირველ ადგილზე, ანუ

123 Священник Глеб Якунин: ИСТОРИЧЕСКИЙ ПУТЬ ПРАВОСЛАВНОГО ТАЛИБАНСТВА. Москва 2002. <http://www.vehi.net/politika/yakunin.html>

მსოფლიო პატრიარქი გახდებოდა. მაშინ მოსკოვი კვლავ გამოცხადდებოდა მესამე რომად, ხოლო იოსებ სტალინი ახალ კონსტანტინე დიდად<sup>124</sup> გარკვეული მიზტების გამო, ამ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო რეპრესიების მეორე ეტაპი, მაინც მოხერხდა კომპრომისების გამოძებნა სასულიერო მოღვაწეებთან და 40-იანი წლებიდან მოყოლებული კოლაბორაციონიზმის ღირსშესანიშნავი მაგალითებია შემონახული. თანამშრომლობაზე მეტყველებს რუსეთის ეკლესიის ორარქების ჯილდოები, რომლებიც მათ მიღებული აქვთ საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებებისათვის. რუსეთის საპატრიარქოს მუზეუმში დღესაც დიდი სიამაყით ინახავენ პატრიარქ ალექსი პირველის სოციალისტური შრომის გმირის ოთხ ორდენს. გამონაცლისა არც სხვა სასულიერო პირები წარმოადგენდნენ.

ამგვარი ურთიერთობა დიდზილად გამოწვეული იყო ეკლესიის რესურსის გამოსაყენებლად და საიდუმლო სამსახურების საქმიანობისათვის და ასევე იდეოლოგიური ზეგავლენისათვის სხვადასხვა ტრადიციულად დართლმადიდებლურ საზოგადოებებზე, ძირითადად მაინც საბჭოურ სახელმწიფოებში.

ამჟამად რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებაში საკმაოდ აქტუალურად დგას „რუსული სამყაროს“ საკითხი. რუსეთის საპატრიარქო შეიძლება ითქვას ამ იდეის გატარების საუკეთესო საშუალებაა. ამ შემთხვევაში ზემოხსენებულ იდეას „ნმინდა რუსეთსაც“ უნდოებენ, რომელიც რუსეთის პატრიარქის განცხადებით, მაღლა დგას ყოველგვარ გეოგრაფიულ და მატერიალურ განზომილებაზე და უფრო ცივილიზებური იდეის მატარებელია, ხოლო თუ მაინც გადავიტანთ გეოგრაფიულ კატეგორიაში, მოიცავს უკრაინას, რუსეთს და ბელორუსს, ხოლო ნაწილობრივ მოლდოვასაც, რადგანაც ამ სალხის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსულმა მართლმადიდებლობამ. რუსეთის ეკლესიის მამამთავრის თქმით, უკრაინაში ვიზიტისას მან კარგად შეიგრძნო ზემოხსენებული „ნმინდა რუსეთის“ იდეა.

124 Священник Глеб Якунин: ИСТОРИЧЕСКИЙ ПУТЬ ПРАВОСЛАВНОГО ТАЛИБАНСТВА. Москва 2002. <http://www.vehi.net/politika/yakunin.html>

ეს შეუძლებელია გაიზრო და მოათავსო თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალიებში, ანდა მიუსადაფო ამა თუ იმ სუვერენულ სახელმწიფოს.<sup>125</sup>

გარდა გარე იდეოლოგიური ფუნქციისა, რუსეთის ეკლესიას შიდა პოლიტიკური გამოყენებაც აქვს. ხელისუფლების მხრიდან ხდება მისი ავტორიტეტის გამოყენება საჯუთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. საქართველოს მსგავსად, რუსეთშიც დაახლოებით 70% თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, თუმცა რეალურად მხოლოდ 20% შეიძლება იყოს ეკლესიის მრევლი.

ამჟამად მიიჩნევენ, რომ ეკლესია კარგას საჯუთარ ავტორიტეტს და მიმართავს სხვადასხვა ხერხს მის შესანარჩუნებლად. ამით უნდა იყოს გამოწვეული რუსეთის სასულიერო პირების მიერ ქვეყნის საჯურე თუ საშინაო პოლიტიკის პერმანენტული შეფასებები. ქვეყნის პირველ პირებთან მეგობრული ურთიერთობების დემონსტრირება და სხვ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „ნებავისიმაია გზე-ტას“ მიერ რუსეთის პატრიარქის მოღვაწობის პირველი ერთი წლის შეფასება, სადაც მას „ტელემქადაგებელიც“ კი უწოდეს. სტატიაში ხაზგასმულია, რომ თითქმის არ დარჩენილა თემა, რომელსაც საქეომისურობელი არ შეხებია, თვით ისეთიც კი, რომელიც შეიძლება ამონურულად ითვლებოდა.<sup>126</sup> ბოლო პერიოდში, ავტორიტეტის მოხვეჭის ერთ-ერთ ფორმად იქცა ნებატოური დამოკიდებულებების გამოხატვა სხვა კონფესიების მიმართ და სხვადასხვა საპროტესტო აქციები კონკრეტული სახელმწიფო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.<sup>127</sup>

ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ რუსეთის ეკლესიის შეხედულებები თანამედროვეობის გამოწვევებსა და საქართველოსთან ურთიერთობებშე.

- 
- 125 Интервью Святейшего Патриарха Кирилла для программы "Национальный интерес" (телеканал "Россия"). 26 ноября 2009 г.  
<http://www.patriarchia.ru/db/print/950675.html>
- 126 "Год Патриарха Кирилла"-За прошедший год глава Русской Церкви стал заметно популярнее. 2010-02-03.  
[http://www.ng.ru/editorial/2010-02-03/2\\_red.html](http://www.ng.ru/editorial/2010-02-03/2_red.html)
- 127 ალექსანდრე ზაჩერცო: ეკლესიის ავტორიტეტი – როგორც ძალუფლების პოლიტიკური რესურსი. უკრნალი „არჩევნი“ №2, მაისი, 2006 წ. ალექსანდრე ზაჩერცო: ეკლესიის ავტორიტეტი – როგორც ძალუფლების პოლიტიკური რესურსი. უკრნალი „არჩევნი“ №2, მაისი, 2006 წ.

## ერთორნიშვნეობის ისტორია

„ვერავინ იმდენი ვერ გვავნო, ვერც მუსულმანურმა სამყარომ, ვერც მონღოლებმა, სპარსელებმა, არაბებმა თუ თურქებმა, რამდენიც „ნათესაურმა“, ერთმორწმუნეობრივმა კავშირმა რუსულ კულტურასთან და ეკლესიასთან“.<sup>128</sup>

მერაბ მამარდაშვილი

მართლაც, ერთმორწმუნეობა გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. რუსული ისტორიოგრაფია დღესაც ცდილობს საქართველოს ანექსია და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება წებაყოფლობით აქტად ნარმოაჩინოს. რუსი და სამხურაოდ ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი თუ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკლესია, ისევე, როგორც ზოგადად ქართული სახელმწიფო, XIX ს-ში რუსეთთან შეერთებამ გადაარჩინა. რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა საქართველოს ისტორია გეორგიეგვის ტრაქტატით აღმული ვალდებულებები რომ შესრულებულიყო ან, პირიქით, ბოლომდე მივეტოვებინეთ „დიდ რუს იმპერატორს“. მიუხედავად ამისა, ამაზე უარესი შედეგი რთული წარმოსადგენია. როგორც რუსი მეცნიერი ნიკოლოზ დურნოვი წერს: „ვინმეს ქართველთაგანს რომ გადაწყვიტა, დაეწერა ნამდვილი ისტორია რუსი ეგზარქოსების ქმედებაზე, განითლება მოგვიხდებოდა, მოვისმენდით რა მათ საქმეებს, იმდენად არცვენდნენ ისინი რუს მღვდელმთავრობას. რუსი ეგზარქოსები ჩამოდიოდნენ საქართველოში არა მათზე მინდობილი ეკლესიების სამწყემსად, არამედ ძველი ივერიის საეკლესიო ქონების გაძარცვად და გასაპარტახტლად, ქართული ენის შესარყენელად... მათ საშინელი ბოროტებისა და ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ ქართული ეკლესიისთვის. მათთვის ეს მხოლოდ პარბარისთა ქვეყნა იყო. მათ მდინარე მტკვარში გადაყარეს ყველა კანონი და საეკლესიო დადგენილება, რომელნიც საქართველოს ეკლესიას ეხებოდა, ცეცხლს მისცეს მრავალი საეკლესიო დოკუმენტი, მათი ნაწილი პეტერბურგში წაიღის, დახურეს 25 ეპარქია, 860 ეკლესია-მონასტერი“.<sup>129</sup>

128 <http://gandaba.livejournal.com/198837.html>

129 სერგო გარდოსანიძე: „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციულო ეკლესია

1801 წ. აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ჯერი დასავლეთზე და საქართველოს ეკლესიაზე მიდგა.

1811 წლის 21 ივნისს, მთავარმართებელმა ტორმასოვმა, მთავარეპისკოპოს ვარლამ ერისთავის მოხსენების საფუძველზე, იმპერატორ ალექსანდრე I ხელმოსაწერად წარუდგინა დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც უქმდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კატოლიკოს-პატრიარქის იმსტიტუტი. საქართველოს ეკლესიის მეთაურს კი „ეჭიარქოს“ ეწოდა. ეს უკანასკნელი რუსეთის სინოდის მუდმივ წევრად დაინიშნა.<sup>130</sup> ვარლამ ერისთავს განეული „ლვანლი“ დაუფასდა და იგი იყო საქართველოს პირველი და უკანასკნელი ქართველი ეჭიარქოსი. მას შემდეგ, ვიდრე ავტოკეფალიის აღდგენამდე, ეჭიარქოსებად მხოლოდ რუსები ინიშნებოდნენ.

ტრაგიული იყო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის ბედი. იგი მოსკოვში გაიწვიეს და გამოუცხადეს მისი ტიტულის გაუქმების გადაწყვეტილება. მას საქართველოში დაბრუნება აღარ ეღირსა. იგი 1828 წელს ნიუნი ნოვგოროდში გარდაიცვალა.

1820 წ. დააპატიმრეს ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი და გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, რომლებიც ხელს უშლიდნენ რუსეთს ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოსოს შემოერთებაში: „ორივეს ჩამოაცვეს თავიდან წელამდის ტომრები, შეუკრეს ხელები, ხოლო ქუთათელს სცემეს ფრიად და ესრეთ წაიყვანეს... სურამთან ტომარაში დაიხრჩო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი, მევდარი წაიღეს და დამარხეს ანანურს. ხოლო გაენათელი ექვთიმე პეტერბურგს წარუდგინეს იმპერატორ ალექსანდრე I-ს.“ იმპერატორთან აუდიენციამდე მიტროპოლიტ ექვთიმეს მოახსენეს, რომ, თუ იგი პატიებას ითხოვდა, იმპერატორი შეიწყალებდა მას. სულით გაუტეხელმა მღვდელმთავარმა ამაყად განაცხადა, რომ მას საპატიებელი არაფერი ჰქონდა და იმპერატორს „ახალი დროის ნერონი“ უწოდა. განრისხებულმა ალექსანდრე I-მა

---

XIX-XX საუკუნეებში“. თბილისი 2007 წ.

130 სურგო ვარდოსანიძე: „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XIX-XX საუკუნეებში“. თბილისი 2007 წ.

იგი დააპატიმრა, ხოლო შემდეგ გაგზავნა სვირის მონასტერში, სადაც 1822 წლის 21 აპრილს აღესრულა კიდევ „<sup>131</sup> შედეგად ზემოხსენებული ეპარქიაც რუსეთის დაქვემდებარებაში გადავიდა.

XIX ს-ის დასაწყისიდან, საქართველოში გაიხსნა რუსულენოვანი სასულიერო სემინარია, რომელსაც უნდა მოემზადებინა კადრები ქართველი სასულიერო პირების ჩასანაცვლებლად. ტაძრებში აივნალა ქართულ ენაზე გალობა და წირვა-ლოცვა. კირით შეთეთრდა ქართული ტაძრის კედლები და განადგურდა უნიკალური ფრესკები. გაიძარცვა ეკლესიის ქონება, მათ შორის ხახულის კარედი ათეული წლების მანძილზე დაკარგულად ითვლებოდა. დღესაც მისი სრული ფორმით აღდგენა ვერ ხერხდება. საქართველოდან გაიტანეს და გაყიდეს საეკლესიო დანიშნულების ძვირფასი ნივთები და რაც მთავარია, ამას თავად ეგზარქოსები უწყობდნენ ხელს. ეგზარქოსთა უმეტესობა ქართველების მიმართ ქსენოფობიურად იყვნენ განწყობილი. ბევრი მათგან შეურაცხყოფდა ყოველივე ქართულს და ქართველებს ველურებად თვლიდა.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში საქართველოში გააქტიურდნენ ავტოკეფალისტები, რომელთა მიმართაც რუსეთის ეკლესიის განწყობა გასაგები მიჩებების გამო საკმაოდ ნეგატიური იყო. საქართველოს ავტოკეფალისათვის გამორჩეულ მებრძოლს ეპისკოპოს კირიონს (საძაგლიშვილი) რამდენჯერმე შეუცვალეს ეპარქია, საბოლოოდ კი 1905 წ. რუსეთში გაიწვიეს, საიდანაც იგი მხოლოდ ავტოკეფალის აღდგენის შემდეგ, 1917 წ. დაბრუნდა.

ავტოკეფალის აღდგენა რუსეთში, თებერვალში დროებითი მთავრობის დანიშვნას მოყვა. 1917 წლის 12 (25) მარტს სვეტიცხოველში ქართველი სამღვდელოება შეიკრიბა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა. ხოლო იმავე წლის სექტემბერში მეუფე კირიონი (საძაგლიშვილი) საქართველოს აღდგენილი ავტოკეფალიის პირველ საჭეთმცურობლად აირჩიეს.

131 სურგო ვარდოსანიძე: „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XIX-XX საუკუნეებში“. თბილისი 2007 წ.

ამ ფაქტმა რუსეთში არაერთაზროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. დროებითი მთავრობა ცდილობდა საქართველო დაერნმუნებინა, რომ დამოუკიდებლობა თავად ეკლესიისათვის იქნებოდა საზიანო, მაგრამ, საბოლოოდ ამ ფაქტის აღიარება მოუწია, თუმცა გარკვეული შესწორებით. დროებითმა მთავრობამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ეროვნული ავტოკეფალია და არა ტერიტორიული. ხელისუფლებისაგან განსხვაებით, რუსეთის ეკლესია სრულიად დაუპირისპირდა ქართველ სასულიერო პირთა გადაწყვეტილებას. ისარგებლა რა თებერვლის რევოლუციით, ისევე როგორც თავის მხრივ საქართველომ ავტოკეფალიის აღდგენისას, რუსეთის ეკლესიამ აღადგინა პატრიარქის ტიტული. რუსეთის, ახლა უკვე პირველმა პატრიარქმა, ტიხონმა, ქართველ სასულიერო პირებს ოფიციალური მიმართვა გამოუგზავნა, რომელიც მეტად გააკრიტიკა მათი საქციელი. რუსეთის ეკლესიის საჭერმპყრობელმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა არავანონიურ საქციელად შეაფასა და ქართველ სამღვდელოებას მის დაქვემდებარებაში დაბრუნებისაკენ მოუწოდა.<sup>132</sup> სამწუხაროდ, პატრიარქ ტიხონს არ გახსნებია, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმება XIX ს-ის დასაწყისში საეკლესიო კანონიერი უხეში დარღვევით განხორციელდა, რაც ქართველ იერარქებს ავტოკეფალიის აღდგენის ლეგიტიმაციას ანიჭებდა.

საინტერესოა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და ათეისტურმა რეპრესიებმა, არ შეცვალა რუსეთის ეკლესიის დამოუკიდებულება. ნაცვლად ძმური ქრისტიანული ურთიერთობის აღდგენისა ერთმორწმუნე ეკლესიას-თან, რომელიც მსგავსადვე განიცდიდა შევიწროებას და ამდენად საერთო ინტერესები ჰქონდა, მოსკოვის საპატრიარქო არ აპირებდა ქართველ სამღვდელოებასთან ევქარისტიული კაშშირის აღდგენას.

ვითარება მხოლოდ სტალინის ზემოხსენებულმა გადაწყვეტილებამ შეცვალა. 1943 წელს რუსეთის პატრიარქმა სერგიმ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია აღიარა. სამწუხაროდ, საერთაშორისო აღიარების მოპოვება 1989 წლამდე ვერ მოხერხდა.

132 მოსკოვის პატრიარქ ტიხონის ეპისტოლუ ქართველ ეპისკოპოსებს. უურნალი „არჩევანი“. №7-8, ოქტომბერი, 2006 წ.

საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიები, ორი დამოუკიდებელი სახლმწიფოს დამოუკიდებელ ეკლესიებად აქცია, რამაც მათი ურთიერთობები საკუთხით ახალ სიპროტონის გადაიყვნა. ეს კონტაქტები და ურთიერთდამოუკიდებულება მჭიდრო კავშირში იყო და დღესაც რჩება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან, თუმცა ამ მოვლენებს ჩვენ ოდნავ ქვეით განვიხილავთ.

## „რუსული დათისხათყვალების“ გავრცელების გვდებობა საქართველოში

ამ თავის სათაურში განვიხილავ მოვაქციეთ სიტყვა „რუსული“ ბრჭყალებში, რადგანაც ამგვარი მოვლენა რეალობაში არ არსებობს, უფრო სწორად არ უნდა არსებობდეს. მართლმადიდებლური სამყარო იცნობს და აღიარებს მხოლოდ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას და არ ყოფს მას რუსულ, ქართულ, ბერძნულ, სერბულ და ა. შ. თეოლოგიებად. კიდევ ერთხელ უნდა დავკავნებოთ, არ უნდა ყოფდეს მათ ასეთებად. თუმცა, სამწუხაოდ, ზემოთ ნახსენები იდეოლოგიზმირება გვთავაზობს ამგვარ ფენომენს. აქვე უნდა აღვიჩინოთ, რასაც ქვევით განვიხილავთ, ღვთისმეტყველებაზე უფრო მეტად „მითოლოგია“ შეიძლება ვუწოდოთ. ამ მიზნით, სიტყვა „ღვთისმეტყველებაც“ ბრჭყალებშია მოქცეული.

საქართველო დღეისათვის, ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში, განიცდის ორიგინალური ქართული სასულიერო ლიტერატურის ნაკლებობას. არსებული წიგნების უმეტესობა ან რუსულენოვანია და რუსეთშია გამოცემული, ან რუსულიდან არის ნათარგმნი. თავისითავად, არც რუსული ლიტერატურის სანინააღმდეგო გვაქვს რამე და არც მთარგმნელობით საქმიანობას ვაკინებთ. პირიქით, თუ იმპზე ვსაუბრობთ, რომ არსებობს ქრისტიანული ღვთისმეტყველება, ეს თავის მხრივ გულისხმობს როგორც რუსული ორიგინალური ტექსტების გაცნობის აუცილებლობას, ასევე მთარგმნელობით საქმიანობასაც, თუმცა არა მხოლოდ რუსული და არც მხოლოდ თარგმნას.

ასევე იშვიათად შეხვდებით თანამედროვე მართლმადიდებელი ე.წ. პრო-გრესულად, სინამდვილეში კი ჭეშმარიტად ქრისტიანულად მოაზროვნე ავტორთა (ანტონ სუროველის, ალექსანდრე შემებანის და სხვ.) შრომებს. სამაგიეროდ, საკმარისზე მეტია ზემოთ ნახსენები მითოლოგია.

მითოლოგიის სფეროს განეკუთხება გლობალისტების სატანისტებად მოხ-სენიება, პლასტიკური ბარათების და სხვა „ჩიპიანი“ ნივთების ეშმაკის ბეჭდად შერაცხვა, ახალი მსოფლიო წესრიგის ანტიქრისტიანული ხასიათის წარმო-ჩენა და ა.შ. აქვე ხაზი უნდა გაჯევსვათ, რომ ამგვარ შეხედულებებს დასავლელ ავტორებთანაც შეხვდებით, თუმცა რუსეთის მასშტაბები შეუდარებელია, როგორც რაოდენობის, ისე მისი გავრცელების არეალის გამო.

ფაქტია, რომ ეს აგრესია დასავლური ღირებულებებისა და ტექნოლოგიური პროგრესის წინააღმდეგ არის მიმართული. რა დასამალია, რომ რუსეთი არც ტექნოლოგიური პროგრესით და არც დასავლური ღირებულებები-სადმი ღირებულებით არ გამოირჩევა. ამდენად, შესაძლოა, ეს ყოველივე თავის გამართლების ერთ-ერთი საშუალება იყოს. აშკარაა, რომ რუსეთი დასავ-ლეთს ერთ პოლუსად განიხილავს, ხოლო საკუთარი თავი – მეორედ სურს წარმოაჩინოს, ამდენად, როგორც თავის დროშე საბჭოთა კავშირი, ახლაც, რუსეთი ცდილობს დასავლურ ფასეულობებს დაუპირისპირდეს.

იმ საზოგადოებებში, რომლებიც ტრადიციულად მართლმადიდებლურ სოცი-უმებს განეკუთხება და მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელია, კრემლისმაგვარი რეჟიმები, რა თქმა უნდა, ზემოქ-მედების ერთ-ერთ საშუალებად ქრისტიანობას ირჩევენ, უფრო სწორად კი – მის დამახილებებასა და ინტერპრეტირებას. ამდენად, დასავლური ღირე-ბულებების ანტიქრისტიანულად წარმოჩენა მიზანმიმართული იდეოლოგიის ნაწილი უფროა, ვიდრე გულუბრყვილო გაუთვითცნობირებლობა.

ფაქტია, რომ რელიგიური წყვილი მხოლოდ რიტუალებში მონაწილეო-ბით არ სრულდება და საესტილო ლეგიტიმურად აჩენს ცოდნის გაღრმავების სურვილს. იმის გამო, რომ საქართველოში საღვთისმეტყველო მუშაობის ტრადიცია, გასაგები მიზეზების გამო, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე შეწყვე-ტილი იყო და შეიძლება ითქვას, არც დღეს არის ამ მხრივ სახარბიერ

ვითარება, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ნიშა, როგორც კარგი, ისე დიდწილად ცუდი თვალსაზრისით, რუსულმა სასულიერო ლიტერატურაში დაიყვა. რაც შეეხება თავად რუსეთს, რა თქმა უნდა, იქაც იყო გარკვეული წყვეტა, რომელმაც შესაძლოა კიდეც გამოიწვია ამგვარი დამახინჯება (თუმცა მანამდეც საკმაოდ იდეოლოგიზირებული იყო რუსე-თის ეკლესია), მაგრამ მისი მასშტაბების გათვალისწინებით ამ დეფიციტის შევსება მაღლევე მოხერხდა. ამდენად, დაინყო თავისებურად ინტერპრე-ტირებული ქრისტიანობის ექსპორტი პოსტ-საბჭოთა სიცრცეში.

კიდევ ერთი მიზეზი ამ იდეოლოგის გავრცელებისა გახლავთ ადამია-ნის საინტერესო ბუნება, საკუთარი წარუმატებლობა როგორმე ვინმეს გადააბრალოს.

„გლობალისტების გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენ აღმოვჩნდებით ისეთ გარემოში, სადაც სიკეთე და ბოროტება ერთმანეთს ადგილს შეუცვლიან, ტრადიციული ფასულობების მიმდევარი ადამიანები ჩაითვლებიან „ჩამორ-ჩენილებად“ და გამოცხადდებიან დამნაშავეებად, ფუნდამენტალისტებად, ფაშისტებად, იზოლაციონისტებად და ა.შ. აღზევდება სატანური „ფასულო-ბები“ –პედოფილია,პომუსექსუალიზმი,მოხდებანარკოტიკებისადაპროსტი-ტუციის ლეგალიზაცია; მოხუცების, ავადმყოფებისა და არასასურველი – „ზედმეტი ადამიანების“ მკვლელობა ევთანაზის მეშვეობით; გაბატონდება სადწმი, სისასტიკე, ჯადოქრობა, განუყითხაობა..... ექსპერტების ჰზრით, გლობალისტური პროექტის შედეგები იქნება არნაულად საშინელი, მათ შორის – მისი შემქმნელებისთვისაც...“.<sup>133</sup> ამ შემზარავ სიტყვებს ვკითხუ-ლობთ საქართველოში გამოცემულ „რუსული ლეთისმეტყველებს“ ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითში, რომლის ავტორების ვინაობას მთარგმნელი არ ასახელებს, თუმცა მიუთითებს, რომ ისინი რუსები არიან. ავტორები რუსები არიან და ბუნებრივია, პრობლემას რუსეთის ფონზე და მაგალითშე განიხილავენ, მაგრამ თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დავინ-ახოთ ერთიანი მსოფლიო სახელმწიფო პრობლემის სიმწვავე ისევე ეხება ჩვენს ქვეყანას, როგორც ყველა ძველ და ტრადიციულ სახელმწიფოს“.

133 გლობალიზაცია – რას გვიქადის ის? – სამყაროს ალსახულისა და ანტიქრისტეს შესახებ. თბილის 2008 წ.

ამგვარი და უფრო საშინელი სურათების ამსახველი ციტატების მოყვანა დაუსრულებლად არის შესაძლებელი, თუმცა ვეცდებით აქ მათი მიზანი განვიხილოთ, რომელიც ჩვენი აზრით დიდნილად პოლიტიკური უფროა ვიდრე წმინდა რელიგიური. კიდევ ერთი ამავე სტილის ნაშრომის ავტორი, ბერდიავონი აბელი (სიმიონოვი), ვერ მაღავს საჯუთარ „სახელმწიფოებრივ“ აზროვნებას: „ცხადია, რომ ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომრის მეშვეობით წარმოებული გლობალური კონტროლი, ასევე ნიშნავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დაკარგვასაც. რა საიდუმლოებაზე შეიძლება იყოს საუბარი, თუკი სამხედროთა და ტექნიკის ყოველი გადაადგილების შესახებ მყისიერად ცუნობება ცენტრალური კომპიუტერს?... ეს სხვა არაფერია, თუ არა შეთქმულება რუსეთის, ეკლესიის, მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ“.<sup>134</sup> ჩვენ ხმას კუსკამთ სიტყვას „რუსეთის“, რადგანაც ავტორს მძიმე ამ კონკრეტული სიტყვის შემდეგ აქვს დასმული, რაც მეტად განამტკიცებს მისსავე ოდნავ ზემოთ ნათქვამ „სახელმწიფოებრივ“ წუხილს.

მსგავსი შეხედულებები რუსეთის ეკლესიაში, მაღალ იერარქთა დონეზეც გვხვდება და რაც მთავარია მეტი პოლიტიზირებით.

„დასავლეთის აგრესიამ „წმინდა რუსეთი“ სამ სლავურ სახელწიფოდ დაგლოვა. ... დასავლური აგრესის ყველა შხამიანი ელემენტი დახვეწილი მზაურობითაა გათვლილი მონდიალისტური სტრუქტურების მიერ, რომ-ლებიც არც კი მალავენ თავიანთ მიზანს: გენოციდი, რუსი ერის სრული მოკვდინება... დღემდე არც სახელმწიფო, არც პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები არანაირ ზომებს არ დებულობენ გენოციდისაგან სამშობლოს დასაცავად, მხოლოდ გაძარცული და სისხლისაგან დაცლილი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, რაც ძალი და ღონე აქვს, იბრძვის დმიტ-შემოსილი რუსი ხალხის სულიერი ზნეობრივი და ფიზიკური გადარჩენი-სათვის“ – შეუაჩინის მთავარებისკოპოსი ვლადიმირ ივიმი.<sup>135</sup>

134 ბერდიავონი აბელი (სიმიონოვი): „გლობალიზაციის ანტიქრისტიანული არსი – როგორ გადავიტანთ ღვთის რისხვას“. თბილისი 2008 წ.

135 <http://www.pravoslavie.uz/Izdat/vostok2/01.htm>

„რუსეთის საგარეო პოლიტიკა მთლიანად უნდა იყოს მიმართული მსოფლიო მასონობის წინააღმდეგ. საჭიროა შეიქმნას რუსეთის ეგიდის ქვეშ მყოფი საერთაშორისო აღტერნატიული შემაცავებელი სტრუქტურები. ამისათვის აუცილებელია გადაიხედოს რუსეთის საგარეო კავშირები. მოკავშირები უნდა მოიქმებოს იმ სახელმწიფო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის, რომლებიც მზად იქნებიან მხარი დაუჭირონ რუსეთის ახალ პოლიტიკას“ – ოდესის მიტროპოლიტი აგათანგელ სავინი.<sup>136</sup>

უკანასკნელ ციტატაში გაუდერებული იდეები განსაჯუთრებით გამოხატავს რუსეთის ეკლესიის პოლიტიკურ განზომილებას. ზემოხსენებული გასატარებელი აქტივობები ძალზე წააგავს ჯერ რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტარტეგიაში, ხოლო მოგვიანებით თავად პრეზიდენტ მედვედევის მიერ გაუდერებულ აღტერნატიულ საერთაშორისო ორგანიზაციათა გაძლიერებისა (მაგ: კოლექტური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია „ОДКБ“) და ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის მოსკოვურ კონცეფციებს.

ზემოხსენებული ციტატები თავის შინაარსისა და პათოსის გამო გვაფიქრებინებს, რომ რუსეთი ხსენებული იდეოლოგიზებული მითოლოგია-ლვთის-მეტყველების ექსპორტს მიზანმიმართულად ახორციელებს და, რაც მეტად საყურადღებოა, პოლიტიკური მიზნებისათვის. სავარაუდოდ კი, პირველ რიგში ერთმორნმუნე სახელმწიფოებში.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ექსპორტის წარმოება შეუძლებელია შიდა ექსპორტიორების გარეშე. ძნელია თქმა, თუ რა საშუალებებით, მაგრამ რამდენიმე ასეთმა „იდეოლოგიურმა გზავნილმა“ საქართველომდეც მოაღნია. რუსეთისადმი პოზიტიური განწყობილებებით შეიძლება გამოვარჩიოთ ჟურნალი „ქვაუთხედი“, რომლის პრორუსულობამ აგვისტოს ომის დროს, შეიძლება ითქვას, პექს მიაღწია სტატიით „განა ახლა კი დაუშვებს უფალი დასავლეთთან დაახლოებას?!“. <sup>137</sup> სტატია საქმაოდ საინტერესო ფორმული-

136 ნეკლოზ მიტროხინი: „კისრის ცდუნება: რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც პოლიტიკური პარტია“. ფურნალი „არჩევანი“ №3-4, ივნისი-ივლისი, 2006 წ.

137 ეროვნულ-სარმატულოებრივი ჟურნალი „ქვაუთხედი“ №8 (27), სექტემბერი

რებას გვთავზოშს. ავტორის მოსაზრებით, რუსული აგრესია იყო მათრახი დფთის ხელში დასავლეთთან დაახლოებისათვის და იმედს გამოთქვამს, რომ რაც საუკუნეთა მიღმა არ დაუშვა უფალმა, ჯერ კიდევ ჯვაროსნებთან ურთიერთობიდან მოყოლებული, ხოლო შემდეგ სულხან-საბას დროს, როცა დასავლეთმა უარი თქვა ჩვენს მხარდაჭერაზე, არც ახლა დაუშვებს. „იქნებ საქართველოში აქა-იქ აღმოცენებული რუსული ბლოკ-პოსტები სწორედ ის მარნუხებია, რომელიც ზეციდან დაუშვა დაუძლეველ ბარიკადებად ამ ინტევრაციის გზაზე?! ყველა გონიერი ხელისუფლება აცნობიერებს იმ პრაგ-მატულ რეალობას, რომ რუსეთი ლვთაებრივი განგებულებით არის მათი ძლიერი მქონებელი და ამას სათანადო ანგარიშს უწევენ“.<sup>138</sup>

ამდენად, მხოლოდ რუსული მხარის დადანაშაულება პრორუსული იდეოლოგიზებული რელიგიის ექსპორტირებაში არასწორი იქნება. სამართლიანობა მოითხოვს, რომ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ქართულმა საზოგადოებამაც აიღოს.

## რუსეთის ეპლეიი და საქართველოს ოპუსირეპული რეგიონები

ოფიციალური მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ჯერი რუსეთის ეკლესიაზე მიდგა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიები ინარჩუნებენ კარგ ურთიერთობას. რუსეთის საპატრიარქოს არაერთხელ განუცხადებია, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად რუსეთის ეკლესია აღიარებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის საზღვრების ურღვევობას.

---

2008წ. გვ. 4-5; რედაქტორის გვერდი „განა ახლა კი დაუშვებს უფალი დასავლეთთან დაახლოებას?!”

138 ეროვნულ-სარწმუნოებრივი უურნალი „ქვაჯუთხედი“ №8 (27), სექტემბერი 2008წ. გვ. 4-5; რედაქტორის გვერდი „განა ახლა კი დაუშვებს უფალი დასავლეთთან დაახლოებას?!”

თუმცა რუსეთის ეკლესიის ოფიცილურად დეკლარირებულ პოზიციას თავის ახსნა აქვს. ცხინვალის „ეპარქია“ და მისი „მღვდელმთავარის“ არ აღიარება სრულიადაც არ არის „საქართველოშე ზრუნვითა“ და სამართლიანობის დაცვით განპირობებული ნაბიჯი. ამის ერთ-ერთი მიზებს წარმოადგენს ამ „ეპარქიის“ ურთიერთობა განკვეთილებაში მყოფ საბერძნეთის ქველი სტილის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.<sup>139</sup> რომელმაც ე.წ. ალანიის ეპისკოპოსი გიორგი მიიღო და 2005 წელს ეპისკოპოსად „აკურთხა“. მანამდე, ეს უკანასკნელი იმყოფებოდა რუსეთის საჩლვარგარეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაში, რომელიც სულ ახლახანს შეურიგდა მოსკოვის საპატრიარქოს.

ცოტაოდენ განსხვავებული დამოკიდებულებაა აფხაზთა „სასულიერო ლიდერის მიმართ“. ბესარიონ აპლია ხშირად მასპინძლობს მოსკოველ სტუმრებს. ერთ-ერთი უკანასკნელი ვიზიტით 2010 წ. სოხუმს რუსული ეკლესიის ავტორიტეტი, პროტოდიაკვანი ანდრეი კურაევი ესტუმრა. ვიზიტის შესახებ „24 საათი“ იტყობინებოდა, თუმცა საინტერესოა, რომ ქართველ უურნალისტს არ გასჩენია კითხვა რა სტატუსით ჩავიდა კურაევი სოხუმში, რას ემსახურება მისი ვიზიტი რუსეთის საპატრიარქოს მიერ

არაღიარებული ეკლესიის ლიდერთან და ა. შ. (არაღიარების შესახებ ოდნავ ქვევით). თავად ვიზიტი საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოდგა. კურაევის პროვოკაციული კითხვა, რომელიც მან სტუდენტებს დაუსვა, აღიარებს თუ არა აპლიას საკუთარ სულიერ მამად, პასუხიდან გამომდინარე შესაძლოა აპლიას ავტორიტეტის და შემდეგ ამ ავტორიტეტის გამოყენების შესაძლებლობის დასადგენად იყო გამინიჭებული. როგორც სტატიის ავტორი იუნიკება, სტუდენტთა რეაქცია აფხაზი სასულიერო პირისა და ამდენად შესაძლოა რუსი დიაკვანისთვისაც, არც თუ სახარბიელო აღმოჩნდა.<sup>140</sup>

139 საბერძნეთის ქველი სტილის მართლმადიდებლური ეკლესია მართლმადიდებელთა ერთ-ერთი განყოფია, რომელმაც არ მიიღო ბერძნული ეკლესის გრიგორიანულ კალუნდარშე გადასცელა 1923 წელს.

140 გზეთი „24 საათი“ 18.05.2010  
<http://24saati.ge/index.php/category/news/2010-05-18/6677.html>

ახლა კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს დავუბრუნდეთ. ცნობილია, რომ ამ რეგიონების რუსეთის სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად აღიარების შემდეგ, ორივე რეგიონულმა ეკლესიამ რუსეთის საპატრიარქოს მიმართა საეკლესიო დამოუკიდებლობის მისაღებად (აღსანიშნავია, რომ ეს ტერიტორიები საეკლესიო კანონიკით საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შედის). თუმცა, რუსეთის სინოდმა ამგვარი ნაბიჯი არ გადადგა და საქართველოს ეკლესიის კანონიკური სიმრთელე არ დაარღვია.<sup>141</sup>

კრემლთან დაახლოებული ინსტიტუტის ამგვარი გადაწყვეტილება, თავად რუსი სასულიერო პირებისთვისაც კი გასაკვირი იყო და ამ ფაქტს ბევრმა ხაზიც კი გაუსვა. თუმცა, თავად მათ შორისაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ხსენებული გადაწყვეტილების პოლიტიკური მოტივაცია ახსნება. მათ შორის არის თავად ანდრეი კურაევი. საგულისხმოა, რომ ხსენებული დიაკონის განცხადებით, რუსეთის მიერ ამ რეგიონების აღიარება, მოსკოვის საპატრიარქოს თითქმის ერთადერთ პარტნიორს დააკარგვინებდა, რომლის დახმარებაც ესოდენ სჭირდება უკრაინისა და ესტონეთის ეკლესიებთან მიმართებაში. იმავდროულად, კურაევი აღნიშნავს, რომ მოსკოვის საპატრიარქო საკუთარი გადაწყვეტილებით არ დაპირისპირებია კრემლს, რადგანაც ეს უკანასკნელი არ განსჯის ხელისუფლების გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით.<sup>142</sup>

ამდენად, როგორც უკვე ვახსენეთ, არაღიარების პოლიტიკა საქართველოს ეკლესიის სიყვარულით ნაკარნახევი ნაბიჯი კი არა, არამედ მისი მხარდაჭერის მოპოვების მცდელობა იყო.<sup>143</sup>

---

141 РПЦ поддержала целостность Грузинской церкви. 07.10.08.  
<http://www.nr2.ru/society/199623.html>

142 Диакон Кураев расскажет крымчанам, почему РПЦ не поддержит расчленение Грузинского патриархата. 29.09.08.  
<http://pda.nr2.ru/crimea/198381.html>

143 <http://www.nr2.ru/society/199623.html>

გარდა ამისა, მიიჩნევენ, რომ რუსეთის საპატრიარქომ წახალისა კიდეც აფხაზეთის მთავარ იერარქი გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. ასეთი ეჭვების სერიოზულ საფუძველს იძლევა რუსეთის ეკლესიის საქმიანობა, რომელსაც იგი 90-იანი წლებიდან მოყოლებული ახორციელებს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს საპატრიარქოს გვერდის ავლით.

რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის განცხადებაში, ცხინვალის რეგიონში სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით, არ არის განმარტებული, რომ კონფლიქტური სიტუაცია შექმნილია საქართველოს სუვერენული სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს კანონიური იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, განცხადება გამიზნულია იმი-სათვის, რომ შენარჩუნდეს შექმნილი ვითარება და არ მოხდეს რუსეთის მიერ ინსპირირებული და ორგანიზებული კონფლიქტის სამართლიანი გადაწყვეტა.

სრულიად გაუგებარია მღვდელი ბესარიონ ფილიას (იგივე ბესარიონ აპლია), რომელიც არ ემორჩილება კანონიერ საეკლესიო ხელისუფლებას და თავს „სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის“ მმართველად აცხადებს, მხარდაჭერა და წახლისება რუსეთის საპატრიიქეროს მხრიდან. პატრიარქმა ალექსი II-მ იგი დააჯილდოვა კიდეც „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ორდენით“.<sup>144</sup> ერთი პერიოდი ფილია ცდილობდა, მიეღნია მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში გადასვლისათვის, მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. სამაგიეროდ, მან თანადგომა მიიღო რუსეთის მართმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი პირებისაგან. მოუხედავად იმისა, რომ მათ კარგად იცოდნენ ბ. ფილიას საკუთარი წმინდა სამღვდელოები-საგან განდგომის შესახებ, იგი არა მარტო მიღებულ იქნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის, ალექსი II-ის მიერ სინოდა-ლურ რქიდენციაში, არამედ კრემლის მიძინების საპატრიარქო ტაძარში მღვდელმთსახურებაზეც კი დაუშვეს. მას განსაკუთრებული სტუმართ-მოყვარეობით ხვდებიან მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებაშიც.

---

144 <http://abhazy.com/news/cultura16.html>

90-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთის ეკლესიას ცხინვალისა და სოხუმის ქართული ეკლესიების კურატორებად დანიშნული ჰყავს ამ რეგიონების მოსაზღვრე რუსული ეპარქიების მღვდელმთავრები. ერთ-ერთმა მათგანმა, სტავროპოლისა და ვლადიკავკაზის ეპისკოპოსმა ოქონებმ, 2005 წ. ცხინვალში ვიზიტისას, ცხინვალი საკუთარი იურისდიქციის ქვეშ შემავალ ტერიტორიად გამოაცხადა და ცხინვალელ სასულიერო პირებს იქ მოღვაწეობა აუკრძალა. ამას მუზე გიორგის წერილი მოჰყვა მოსკოვის საპატრიარქოს მიმართ, სადაც პროტესტი იყო გამოთქმული აღნიშნული იერარქის განცხადებასთან დაკავშირებით. წერილს მოსკოვმა დუმილით უპასუხა.<sup>145</sup> რუსი მღვდელმთავრის ამგვარი დამოკიდებულების მიზნებად, ე.წ. აღანის ეპისკოპოსის საბერძნეთის ძველი სტილის ეკლესიას-თან შეერთება უნდა მივიჩნიოთ.

ასევე, აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკლესია, კონკრეტულად კი ხსენებული დიაკონი, ანდრეი კურაევი, ვერ ხედავს საქართველოს ეკლესის პოტენ-ციალს სულიერად გამოკვებოს აფხაზეთი, რადგანაც, მისი აზრით, აფხაზმა

ხალხმა, ამ დროის მანძილზე, გამოიმუშავა დამოუკიდებელი სულიერი გზა. აფხაზები ვერ მივლენ აღსარებაზე ქართველ სასულიერო პირებთან.<sup>146</sup>

ეს ფაქტი აღსანიშნავია ასევე რუსეთის იერარქთა განწყობილების გასა-გებად, როგორც სრულიად საქართველოს, ისე აღნიშნული არაკანონიური ეკლესიების მიმართ.

ბოლო პერიოდში საქართველო-რუსეთის ეკლესიების ურთიერთო-ბები ახალ ფაზაში გადავიდა. საქართველოში რუსეთის საპატრიარქომ გამოაგზავნა ოფიციალური წარმომადგენელი არქიმანდრიტი რომანოში (ლუკი), რომელიც იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში იმსახურებს. აღსა-

145 Епископ Феофан в Южной Осетии: "Я, русский архиерей, здесь хозяин! Эти храмы все мои!"

<http://www.elib.ru/News/NewsPrint.shtml?QUERY=PN&ID=8086>

146 Сухумо-Абхазская епархия переименована в Абхазскую Православную Церковь с Сухумским и Пицундским Патриархатами.

<http://kavkaz.forum2x2.ru/forum-f3/tema-t207.htm>

ნიშნავია, რომ ეს პირველი ფაქტია რუსულენოვანი მღვდლის მოსკოვიდან ჩამოსვლისა. აქამდე, მუდმივად ადგილობრივი კადრებიდან ხდებოდა ხელდასხმა და ბუნებრივია, ისინი მოუხდავად იმისა, რომ რუსულენოვან მრევლთან უწევდათ ურთიერთობა და თავადაც ხშირ შემთხვევაში ეთნიკური რესები არიან, მაინც საქართველოს საპატრიარქოს ემორჩილებიან. ამ შემთხვევაში მოსკოვიდან ჩიმოსული მღვდელმსახური მოსკოვის პატრიარქის დაქვემდებარებაში იქნება.

ამ ფაქტმა საკმაოდ არაერთაზროვანი შეხედულებები წარმოშვა. გაჩნდა კითხვა – რატომ მოხდა მღვდლის რესეტიდან გამოგზავნა, როცა შესაძლებელი იყო ადგილობრივი რესურსის გამოყენება და ა.შ. თუმცა იქვე აღინიშნა, რომ ეს შესაძლოა ჩვეულებრივი მოვლენა იყოს, მით უმტეს, რომ საქართველომაც გაუშვა მოსკოვში საჯუთარი წარმომადგენელი, რომელიც მოსკოვში წმ. გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში იმსახურებს. ყველაზე საინტერესო ამ ფაქტში კი ის არის, რომ არც ერთ სხვა მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოში საჯუთარი წარმომადგენელი არ ჰყავს. ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ როგორც განცხადებაში იყო ნათევამი, იგი (არქიმანდრიოტი რომანოზი) მხოლოდ და მხოლოდ შეასრულებს წარგზავნილის ფუნქციებს, ხოლო მისი მთავარი მოვალეობა რუსულენოვან მრევლთან ურთიერთობა იქნება. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის მიერ რუსეთში სასულიერო პირის მიელინებას, ეს პირველად არ მომზდარა და ძირითადად ადგილზე ქართულენოვანი კადრის არარსებობით არის გამოწვეული.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი რუსეთის საპატრიარქოს საკმაოდ თბილი ურთიერთობებზე საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებზე არსებულ კრემლისაგან კონტროლირებად დე ფაქტო რუსეთში არსებულ კრემლისაგან აღვნიშნოთ, რომ ხშირია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის იერაქებისა და სასულიერო პირების მიერ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ტერიტორიული იურისდიქციის მიმართ საეკლესიო კანონების დარღვევის ფაქტები: რუსული სამღვდელოების მუდმივი ვიზიტები აფხაზეთში, მათი მღვდელთმსახურება ადგილობრივი ეკლესიის ტერიტორიზე და სხვა. ასეთი ფაქტები წინამდებარე ნაშრომის სხვა თავებშიცაა წარმოდგენილი.

2010 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა რუსეთის პატრიარქ კირილის

მიღოცვა „სამხრეთ ოსეთის ეროვნული სუვერენიტეტის დეკლარაციის“ მიღებასთან დაკავშირებით,<sup>147</sup> რომელშიაც აღნიშნულია: „ბოლო წლების განმავლობაში (სამხრეთ ოსეთის) ხელისუფლებასა და მოსახლეობას სახელმწიფოს მშენებლობის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების რთული გზის გავლა მოუწია“. რუსეთის პატრიარქი ხახს უსვამს რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობების მნიშვნელობას, „რომელიც მიმართულია რეგიონში სტაბილურობისა და ქვეყნების ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ“.

ამ ფაქტს გამოიხმაურა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელიც რუსეთის პატრიარქის მიმართ გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „მეტად სამწუხარო და სრულიად გაუგებარია ასეთი ქმედება, რადგან ეს ნიშნავს საქართველოს ამ უძველეს მინშე (რასაც მთელი მსოფლიო აღიარებს) ძალადობრივად არსებული რეჟიმის თქვენი მხრიდან მხარდაჭერას და უკანონოდ გამოცხადებული „დამოუკიდებლობის“ აღიარებას“.<sup>148</sup>

ზემოხსენებული მაგალითები სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ კრემლი ცდილობს მასებზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად გამოიყენოს სარწმუნოება და ეკლესია. სამწუხაროა, რომ რუსული მართლმადიდებელი ეკლესის იერარქთა გარკვეული ნაწილი მმართველი პოლიტიკური რეჟიმის იმპერიულ ამბიციებს ემსრობა, რითაც არსებული კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებას უწყობს ხელს.

---

147 <http://www.patriarchia.ru/db/text/1281205.html>

148 იხ. საპატრიარქოს უწყებაზე №31 (559); 30 სექტემბერი-6 ოქტომბერი 2010 წ.

თავი VI.

კულტურა, განათლება,  
მეცნიერება და  
საზოგადოებასთან  
ურთიერთობა როგორც  
რუსეთის “Soft Power”-ის  
განხორციელების  
ინსტრუმენტი

# კულტურა რუსეთის „რბილი ძალის“ კონტექსტში

ნატო გაჩიაშვილი

2005 წელს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეიქმნა ახალი სამსახური – რეგიონთამორისი და საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული თანამშრომლობის განყოფილება, რომელსაც სათავეში ცნობილი იდეოლოგი მოდესტ კოლეროვი ჩაუდგა. მის ამოცანას წარმოადგენდა მოსკოვის ძალისხმევის ეფექტურობის გზრდა პოსტსაბჭოთა სივრცეში ზეგავლენის შესანარჩუნებლად და გასაძლერებლად. ამ ნაბიჯით შეირჩა ის ინსტრუმენტი, რომლითაც რუსეთს საშუალება მიეცემოდა ზემოქმედება მოქადინა მექობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე.

რუსული კულტურა მართლაც წარმოადგენს იმ ეფექტურ ინსტრუმენტს, რომელიც მოსკოვს პოსტსაბჭოთა სივრცეში ზეგავლენის საშუალებას აძლევს და მინიმალურად ან საერთოდ არ ინვევს ადგილობრივი საზოგადოების გაღიზიანებას. საბჭოთა კავშირის დაშლიდან არც ისე დიდი დროა გასული, გარდა ამისა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საკმაო რაოდენობითაა რუსულოვანი დიასპორა, ამიტომაც პოსტსაბჭოთა სივრცის ინტელექტუალური და შემოქმედებითი ელიტა ჯერ კიდევ მერძნობიარება რუსული კულტურის მიმართ.

მოქადაცება ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსულმა „Soft Power“-მა მყარი დასაყრდენი საქართველოში ჯერ-ჯერობით ვერ ჰპოვა. ცალკეული კულტურული ღონისძიებები არ გამხდარა საზოგადოების ფართო ფენების დიდი ინტერესისა საგანი. მათ არ ჰქონიათ ისეთი გამოხმაურება, როგორიც აქვს სხვა სახელმწიფოებში „Новая волна“, „Славянский Базар“ და სხვა მსგავს ღონისძიებებს. გარდა ამისა, რუსული ორგანიზაციების აქტივობა საქართველოში საკმაოდ დაბალია, რაც გამოწვეულია რუსული მოსახლე-

ობის საქართველოს საზოგადოებაში ინტეგრაციის მაღალი ხარისხით. ამდენად, კრემლის "Soft Power"-ის პოლიტიკამ საქართველოში იმ ეტაპზე ფეხი ვერ მოიკიდა. თუმცა ბოლო პერიოდში მოსკოვი ძალისხმებას არ იშურებდა და მისი „რბილი ძალის“ გამოვლინებამ საქართველოში უფრო და უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კრემლის პოლიტიკა ფოკუსირებულია კულტურული ექსპანსიის გზით საქართველოს მოსახლეობის გულის მოგებასა და იმ მეგობრის იმიჯის შექმნაზე, რომელსაც ქართველ ხალხთან „გასაყოფი არაფერი აქვს“ და მხოლოდ ცალკეული ქართველი პოლიტიკოსების უპასუხისმგებლო ნაბიჯების გამო წარმოიშვა ორ სახელმწიფოს შორის შეიარაღებული დაპირისპირება.<sup>149</sup>

საინტერესოა, რომ კულტურის, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოყენებისას დღევანდები მოსკოვი კვლავაც საბჭოთა კავშირის დროინდები იდეური კლიმებითა და სტერეოტიპებით მოქმედებს. კრემლის მიერ დაკვეთილ და დაფინანსებულ ღონისძიებებში ძირითადი აქცენტი ერთიან საბჭოთა წარსულზე, რუსეთის, როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრის სტატუსზე და ერთიან „რუსულ სივრცეზე“ კეთდება. „ოდეს-ლაც ეს იყო ერთი ქვეყანა, ბალტისპირეთი და ამიერკავკასია, რუსეთი და უკრაინა...“ გვამცნობს NTV Plus-ის ერთ-ერთი არხი „კინოსოიუზი“ (КИНОСОЮЗ), რომელიც „საერთო საბჭოთა“ კინოხელოვნების პოპულარიზაციას ეწევა.<sup>150</sup> ამ არხის სარეკლამო რეკლამი არაერთი ქართული ფილმის კადრებია მოხვედრილი (მაგ.: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ჭრიჭინა“, „ჯარისკაცის მამა“).

2009 წლის 19 დეკემბერს ქ.ქუთაისში ტრაგედია დატრიალდა. „დიდების მემორიალის“ დემონტაჟის დროს უსაფრთხოების ნების დარღვევას ორი ადამიანის (დედა-შვილის) სიცოცხლე შეეწირა. მემორიალის აფეთქებამ ქართული საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია, ხოლო ტრაგედიამ კი უდიდესი გულისწყობა გამოიწვია. რუსეთის მთავრობას არ გუშვია შანსი, რომ ეს ფაქტი საჯუთარი მიჩნებისათვის გამოეყენებინა, უმაღვე დაგმო დიდების მემორია-

149 პრეზიდენტი მედვედევის გამოსვლა  
<http://www.vesti.ru/doc.html?id=270950>

150 <http://ntvplus.ru/channels/channel.xls?id=3406>

ლის დემონტაჟის ფაქტი და შეფასდა, როგორც ქართველი და რუსი მეომრების ფაშიჩმზე გამარჯვებისა და ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობისა და დიადი საბჭოთა ნარჩელის უგულებელყოფის მცდელობა. რუსეთის ნამყალნია ტელეარხებმა სპეციალური სიუჟეტებიც კი მიუძღვნეს ამ მოვლენას, თუმცა, იმავე დროს, საერთოდ არავის გახსენებია ის ფაქტი რომ სულ ერთი წლის უკან, 2008 წლის აგვისტოში, „მეგობარი ქართველი ხალხის“ ასობით ნარმომადგენელი სწორედ „მოძმე რუსეთის არმიის“ მიერ იქნა ფიზიკურად განადგურებული, ხოლო ათასობით კი დევნილად იქცა. რუსეთის პრემიერმა, ვლადიმერ პუტინმა, პირადად განაცხადა, რომ დიდების მემორიალი მოსკოვში „პოკლონნაია გორჩე“ აღდგებოდა. თავდაპირველად საუბარი იყო ქუთაისის მემორიალის ზუსტი ასლის შექმნაზე. თუმცა შემდგომ გადაწყდა, რომ ამ მოვლენას უფრო დიდი პომპეულრობა სჭირდებოდა და ამიტომაც გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო პროექტზე. მისი ორგანიზება ითავა მოსკოვის არქიტექტურისა და საქალაქო მშენებლობის კომიტეტმა. კონკურსი 2010 წლის 5 აპრილიდან 25 მაისამდე მიმდინარეობდა, რუსმა მოქანდაკებმა ნარმოადგინეს 25-ზე მეტი ნამუშევარი, რომელთაგანაც ექსპერტებმა ექვსი შეარჩიეს. ამ პროექტების მაკეტები განთავსებული იყო „პოკლონნაია გორჩე“ დიდი სამამულო ომის ცენტრალური მუზეუმის დიდების დარბაზში. ექსპონატები 2010 წლის 7 ივლისს მოინახულეს რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა, პარტია „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერმა ზურაბ ნოლაიდელმა და რუსეთში ქართველთა კავშირის თავმჯდომარე მიხეილ ხუბუტიამ. მანამდე ქანდაკების საფარულო ადგილი 9 მაისის დღესასანულებზე მოინახულეს დემორატიული მოძრაობის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ და „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერმა ზურაბ ნოლაიდელმა ასევე რუსეთის პრემიერ პუტინთან და მოსკოვის მერ იური ლუჟკოვთან ერთად.

საუკეთესო პროექტის გამოსავლენად ხმის მიცემა მიმდინარეობდა როგორც უშუალოდ მუზეუმში, ასევე ინტერნეტის საშუალებითაც. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 65 ათასმა ადამიანმა. აქედან 20 000-მა ხმა მისცა ქანდაკებას სავარაუდო დასახელებით „დროშის აღმართვა რაიხსატაზე“. პროექტი დამტკიცდა ფონდ „ისტორიული მემკვიდრეობის“ სამეურვეო და საზოგადოებრივი საბჭოების ერთობლივ სხდომებზე.<sup>151</sup>

151 <http://www.interfax-russia.ru/Moscow/exclusives.asp?id=142174>

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულ პროექტს, „დროშის აღმართვა რაიხსტატაზე“, უდიდესი იდეოლოგიური და ისტორიულ-პოლიტიკური დატვირთვა მოეწყოს. მონუმენტზე გამოსახულნი იქნებიან მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია, რომლებიც რაიხსტატები აღმართავენ საბჭოთა დროშას. ქანდაკების ქვედა ნაწილზე ასევე გამოსახულები იქნებიან „დიდ სამამულო ომში“ მონაწილე საბჭოთა მეომარ-განმათავისუფლებლები საბჭოთა კავშირის თხუთმეტივე რესპუბლიკიდან, მონუმენტის უკანა მხარეს წარმოადგენილი იქნება ქ. ქუთაისში ადრე არსებული „დიდების მემორიალის“ ასლი, ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სამამულო ომის თემაზე აგებული მონუმენტების ამსახველი 15 მარტარი კუბი. ერთ-ერთ ასეთ კუბზე გამოსახული იქნება ქ. ტალინში „ადგილნაცვალი“, „ბრინჯაოს ჯარისკაცის“<sup>152</sup> გამოსახულება. მემორიალის გახსნა დაგეგმილია 2010 წლის 19 დეკემბერს, ქუთაისის მემორიალის დემონტაჟის წლისთავზე. იგეგმება მელიტონ ქანთარიასა და მიხეილ ეგოროვის შთამომავლების ჩაყვანა მოსკოვში, მემორიალის გახსნაზე.<sup>153</sup>

საკითხავია, დაიმსახურებდა თუ არა კრემლის ესოდენ დიდ ყურადღებას „დიდების მემორიალი“, რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული საბჭოურ სიმბოლიკასთან?! მაგალითისათვის ვიტყვით, რომ ქ. მოსკოვის ცენტრში, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე მდებარეობს 1750 წელს დაარსებული წმინდა გოორგის სახელობის ქართული ეკლესია.<sup>154</sup> ქართულ და რუსულ მართლმადიდელურ ეკლესიათა შორის შეთანხმების საფუძველზე ეკლესია-სიაში წირვა-ლოცვა ორ ენაზე, ქართულად და რუსულად მიმდინარეობს. ეკლესიასთან დაარსებულია ქართული ენის საკვირაო სკოლა, საეკლესიო დღესასწაულებზე იგი წარმოადგენს ქართული დიასპორისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ქართველთა შეკრების ერთ-ერთ ადგილს. აღნიშნული ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა მართლაც რომ სავალალოა. მაგრამ არც იმ მოსკოველ ჩინოვინიებსა და არც იმ ქართველთა შორის, რომლებიც ერთობ გულშემატკიცრობენ დიდების მემორიალის მოსკოვში დადგმას და მზად არიან თავიანთი თანხები გამოყონ მისი დაჩქა-

152 [http://en.wikipedia.org/wiki/Bronze\\_Soldier\\_of\\_Tallinn](http://en.wikipedia.org/wiki/Bronze_Soldier_of_Tallinn)

153 <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/171527/?print=true>

154 <http://www.dzalisa.org/archiv/opisanie-pamatnika>

რებული წესით გახსნისათვეს, აზრადაც არ მოსვლიათ ქართველთათვის ამ უმნიშვნელოვნესი სუსეტის სახლის გადასარჩენაზე ზრუნვა. ერთადერთი „მოწოდება“ ტაძრის გადასარჩენად იყო „რუსეთში ქართველთა კავშირის“ საიტზე გამოაქვეყნებული საპანკო ანგარიში, სადაც სურვილის შემთხვევაში მოქალაქებს შეუძლიათ გადარიცხონ გარკვეული შემოსაწირი ტაძრის აღსადგენად.<sup>155</sup>

ქართულ კულტურაზე „ჭეშმარიტი ზრუნვის“ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს რუსეთის ქმედებები 2008 წლის აგვისტოს ომის ჰერიოდში, როდესაც რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და ცხინვალის სეპარატისტების მიერ განხორციელებული საპაერო დაბომბვების, სახმელეთო შეტევების, ძეგლების განზრახ გადაწვისა და ძარცვის შედეგად დაზიანდა კულტურული მემკვიდრეობის არაერთი ძეგლი. ოფიციალურ მოსკოვს ერთხელაც არ უგრძვნია თუნდაც მორალური პასუხისმგებლობა აღნიშნული ვანდალური ქმედებებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშად დარღვევაზე, კერძოდ კი „შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ 1954 წლის პააგის კონვენციითა და „კულტურული მემკვიდრეობის გამზინული განადგურების შესახებ“ 2003 წლის იუნესკოს დეკლარაციით გათვალისწინებული ვალდებულებების უგულებელყოფაზე.<sup>156</sup>

## ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება

პირველი ომისშემდგომი ე.წ. „კულტურული ღონისძიება“ აფხაზეთის ტერიტორიიზე 2008 წლის 17 აგვისტოს რუსული სამშვიდობოების მონაწილეობით გაიმართა. ქ. სოხუმში მოეწყო რუსეთის არმიის მიერ მოპოვებული ქართული სამხედრო ტექნიკის გამოფენა. წართმეული იარაღისა და

155 <http://www.georgians.ru/article.asp?idarticle=1034>

156 რუსეთის სამხედრო აგრესის შედეგად დაზიანებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების შესახებ იხ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=535&info\\_id=10187](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=535&info_id=10187)

სამხედრო ტექნიკის დემონსტრირება თვით სამშვიდობო ძალებმა მოახდინეს. ამ გამოფენას დიდი „პოლიტიკურ-იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა“. მას თვალნათლივ უნდა დაენახებინა როგორი იარაღით შეიძლება გასწორებოდა ქართული ჯარი აფხაზ ხალხს. „გამოფენას“ უურნალისტები და სოხუმში მყოფი „დამსვენებლებიც“ ესწრებოდნენ.

იარაღი ძირითადად მოპოვებლი იყო სპეციალურაციის შედეგად, რომელიც ქართული მხარის „მშვიდობისაკენ იძულების“ სახელით არის ცნობილი. საქართველოს/აფხაზეთის ტერიტორიზმე არსებული კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო შეიარაღებული ძალების სარდლის, გენერალ სერგეი ჩაბანის განცხადებით, ოპერაციის მთავარი მიზანი იყო დასავლეთ საქართველოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა და სხვა ძალოვანი სტრუქტურების ობიექტების დამილიტარიზაცია. ოპერაცია რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ იქნა განხორციელებული.<sup>157</sup>

2008 წლის 21 აგვისტოს ქ. ცხინვალში სანვ-პეტერბურგის მარინის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი გაიმართა ვალერი გერგიევის დირიჟორობით. კონცერტზე გაიუდერა ჩაიკოვსკის მე-5 და მე-6 სიფონიებმა, ასევე შოთა შაროვიჩის მე-7 სიმფონიამ, რომელიც ცნობილია როგორც „ლენინგრადსკაია“ და ეძღვნება ლენინგრადის ბლოკადას. კონცერტს ერქვა „თქვენ, ცოცხლებსა და დალუპულებს! შენ, სამხრეთ ოსეთო!“ (“Вам, живиши и погибшим! Тебе, Южная Осетия!”). ამავე კონცერტზე მაქსტრომ ცხინვალი 1941-45 წელიდი სამამულო ომის გმირ ქალაქ სტალინგრადს შეადარა (ფაშისტებად სავარაუდოდ ქართველი ჯარისკაცები იგულის-ხმებოდნენ) ჩატარებული კონცერტისათვის ვალერი გერგიევს იმავე წლის ოქტომბერში არტიომ ბოროვიკის სახელობის საქველმოქმედო ფონდის პრემია გადაეცა.<sup>158</sup>

საქართველო-რუსეთის ომის შემდგომ, კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების აღსანიშნავი პირველი საზეიმო კონცერტი 2008 წლის 16 სექტემბერს სოხუმში, თავისუფლების

157 <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/140566/>

158 <http://www.pravda.ru/culture/music/classical/28-10-2008/289573-gerg-0/>;

მოედანზე, იოსიფ კოშხონისა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის მონაწილეობით ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ კონცერტი დიდი სამაშულო ომისადმი მიძღვნილი სიმღერების სიუჟეტით გაისხნა, რის შემდეგაც სიტყვებით „აფხაზეთო, ჩვენ შენთან ვართ“ სცენზე ამ ღონისძიების მთავარი ინიციატორი იოსიფ კოშხონი გამოჩნდა.<sup>159</sup>

კონცერტებისა და წარმოდგენების სერიის შემდეგ მოსკოვმა კულტურის სფეროში სამართლებრივი პაზის გამყარებასაც მოჰკიდა ხელი. 2009-2010 წლებში მომზადდა და ხელი მოწერა რუსეთისა და აფხაზეთის (11 ნოემბერი 2009 წ.)<sup>160</sup> ხოლო შემდგომ (6 ივნისი 2010 წ.) რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის კულტურის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებებს,<sup>161</sup> გაიწერა 2012 წლამდე კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამები.

2010 წელს აფხაზეთში დიდი პომპეზურობით აღინიშნა რუსეთის დღე (12 ივნისი). ღონისძიებებში მონაწილეობდნენ რუსეთის ანსამბლები – აკადემიური გუნდი „გუნდური სიმღერის ოსტატები“ („Мастера хорового пения“) და ფოლკლორული ანსამბლი „როსსიანოჩკა“. ღონისძიება რუსეთ-აფხაზეთის კულტურული თანმშრომლობით გათვალისწინებული პროექტის „გაცვლითი კულტურული სეზონი „რუსეთი-აფხაზეთი 2010“-ის ფარგლებში განხორციელდა. პროექტი 2010 წლის 9 მაისს დაიწყო და ნოემბრამდე გრძელდება. პროექტის ფარგლებში იგეგმება აფხაზეთში ფოლკლორული კოლექტივების, კამერული ორკესტრების, მსახიობებისა და კულტურის სხვა მოღვაწეთა ჩასვლა.<sup>162</sup>

ამ და სხვა პროექტებით რუსეთმა ერთგვარი შეფობა აიღო აფხაზეთში კულტურული ღონისძიებების დაგეგმვასა და კულტურის „აღორძინებაზე“. შესაბამისად, დაგეგმილი ღონისძიებების სულისკვეთება თანხვედრაში უნდა იყოს კრემლის ოფიციალურ იდეოლოგიასთან. 2010 წლის 28 მაისს

159 <http://www.caucasustimes.com/article.asp?id=16680>

160 [http://mkrf.ru/video/detail.php?ID=80148&phrase\\_id=105627](http://mkrf.ru/video/detail.php?ID=80148&phrase_id=105627)

161 [http://mkrf.ru/documentation/584/detail.php?ID=94505&phrase\\_id=105627](http://mkrf.ru/documentation/584/detail.php?ID=94505&phrase_id=105627)

162 <http://apsnypress.info/news/951.html>

აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტს სერგეი ბალაბშვილი წარედგინა პროექტი, რომ ქ. სოხუმში აღიმართოს 66 მეტრიანი მონუმენტური სკულპტურა „მშვიდობის კეთილი ანგელიზი“. პროექტის განხორციელების ინიციატორები არიან პროექტის ერთ-ერთი ავტორი, საქველმოქმედო პროგრამა „კეთილი საქმეების საერთაშორისო ფესტივალის“<sup>163</sup> პრეზიდენტი ოლეგ ოლეინიშვილი და რუსთი მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საჭენების მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და პოპულარული ტელეწამყვანი ნიკოლაი დროშიდოვი. მონუმენტის აღმართვა 2014 წლისათვის იგეგმება. ასევე შეთავმებულ იქნა აფხაზეთში „კეთილი საქმეების საერთაშორისო საზოგადო ფესტივალი 2010“-ის ჩატარება და ასევე რინის ეროვნულ პარკში საერთაშორისო ეკოლოგიური ფორუმი „ცოცხალი პლანეტის“ გამართვა. ალბათ ცხადია, რომ ორივე ამ საერთაშორისო ღონისძიების ძირითადი მონაწილეები რუსეთიდან ჩამოსული ექსპერტები იქნებიან.<sup>164</sup> საფულისმოა ისიც, რომ 2010 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბიოსფერული პოლიგონის შექმნის შესახებ, რომელიც ერთ ტერიტორიაში გააერთიანებს კავკასიურ ნაკრძალებს, მათ შორის აფხაზეთის განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების ჩათვლით.<sup>165</sup>

2010 წელს სოხუმში ჩატარდა აქცია „გეორგიევსკის ლენტა“. ეს ღონისძიება რუსეთში ორგანიზაცია „ნაში“-ს ინიციატივით ყოველ წელს ტარდება დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად. სოხუმში 9 მაისისათვის მზადება მე-2 რუსული სკოლიდან დაიწყო. ღონისძიებას ესწრებოდა რუსეთის ფედერაციის ელჩი აფხაზეთში სემიონ გრიგორიევი, რომელმაც ვეტერანებს სამახსოვრო საიუბილეო საჩუქრები გადასცა და სოხუმის მერი აღიას ლაბაზუა, რომელმაც ფულადი პრემიები გადასცა ვეტერანებს (აღსანიშნავია, რომ პრემიები გაცემულ იქნა რუსულ რებლში, რადგან აფხაზეთის ტერიტორიაზე იგი „ოფიციალური“ ვალუტაა). სკოლის მოსწავლეები გეორგიევსკის ლენტებითა და ყვავილებით შეხვდნენ ვეტერანებს.<sup>166</sup>

163 <http://www.world-kindness.ru/program/fdd>

164 <http://www.rian.ru/world/20100528/239690914.html>

165 <http://abkhazeti.info/abkhazia/2010/1266257356.php>  
<http://abkhazeti.info/abkhazia/2010/1266257356.php>

166 [http://www.rian.ru/victory\\_news/20100429/228278065.html](http://www.rian.ru/victory_news/20100429/228278065.html)

საინტერესოა თავად გეორგიესკის ლენტის სიმბოლიკა. საბჭოთა სიმბოლიკაში, ოდნავი სახეცვლილებით, იყო მოხსენიებული იყო როგორც „გვარ-დოული ლენტი“<sup>167</sup>. ესაა რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და თანამედროვე რუსეთის საბრძოლო ჯილდოების დამახასიათებელი ატრიბუტი.<sup>168</sup> მათ შორის იმ ჯილდოების, რომლებთაც რუსეთის იმპერია და საბჭოთა კავშირი აფხაზეთის ტერიტორიაზე კავკასიური ომის,<sup>169</sup> მუჰაჯირობისა<sup>170</sup> და კომუნისტური რეპრესიების<sup>171</sup> განხორციელებაში „წარჩინებულ“ ოფიცირებს აჯილდოვებდა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულია უძველესი ქრისტიანული კულტურის უნიკალური ძეგლები. სწორედ აფხაზეთის სანაპიროდან შემოვიდნენ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებლები ანდრია პირველწმიდებული და სვემონ კანანელი. აფხაზეთში 300-ზე მეტი ქრისტიანული ისტორიულ-კულტურული ძეგლია შემორჩენილი, რომელთა დიდი ნაწილიც რესტავრაციას და აღდგენას საჭიროებს. 2008 წლის სამხედრო აგრძესის შემდგომ რუსეთმა ერთპიროვნულად გადაწყვიტა თავის თავზე აეღო კულტურული მემკვიდრეობის „გადარჩენაც“.

2008 წლის 21 სექტემბერს ტელეარხმა „სპას“ -მა (СПАС), რომელიც რუსეთის პირველი საზოგადოებრივი მართლმადიდებლური არხია, გამოაცხადა კონკურსი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტაძრის საუკეთესო არქიტექტურული პროექტების გამოსავლებად.<sup>171</sup> რაც გამართლებული იქნა იმ მიზნით, რომ თითქოსდა ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ძალიან ბევრი რუსი მართლმადიდებელი ცხოვრობს, ხოლო ახლო მომავალში კი განლაგდება რუსული არმიის მუდმივი გარნიზონები. ამიტომაც, თითოეულ ამ რესპუბლიკაში თითო ეკლესიის ამენება „სრულიად ლოგიკურია“ – განმარტებულია ტელეარხის საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში. აღსანიშნავია, რომ

167 <http://www.za-lentu.ru/>

168 [http://en.wikipedia.org/wiki/Caucasian\\_War](http://en.wikipedia.org/wiki/Caucasian_War)

169 [http://en.wikipedia.org/wiki/Muhajir\\_\(Caucasus\)](http://en.wikipedia.org/wiki/Muhajir_(Caucasus))

170 [http://en.wikipedia.org/wiki/Soviet\\_repressions](http://en.wikipedia.org/wiki/Soviet_repressions)

171 <http://www.patriarchia.ru/db/text/477079.html>

2008 წლის 18 აგვისტოს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიების იუპირებისთანავე, არხის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბატანოვმა გაავრცელა მოწოდება, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მიღებულ იქნას რუსეთის ეპარქიის მფარველობის ქვეშ. ეს როგორი პროცესია – აღნიშნავს ბატანოვი – და გამოცხადებული კონკურსიც პირველი ნაბიჯი უნდა გახდეს ამ მიმართულებით.<sup>172</sup>

რამდენიმე წელია, რაც ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მისი დასრულება 2008 წლის ბოლოს იყო ნავარაუდევი. სარესტავრაციო სამუშაოებს ახორციელებდა ჩელიაბინსკის „მორიონი“, რომელიც დაკავებულია ეკლესიათა მშენებლობისა და აღდგენა-რესტავრაციის საქმიანობით. სარესტავრაციო სამუშაოებს საფუძვლად დაედო აფხაზეთის მთავრობასა და ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულება სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ. სარესტავრაციო სამუშაოები სამ ეტაპად მიმდინარეობდა. რესტავრაციის დროს მთლიანად შეიცვალა ტაძრის გუმბათი და ცენტრალური ჯვარი, ასევე სამრეკლო. მეორე ეტაპზე შეიცვალა დანარჩენი 16 გუმბათი. სარესტავრაციო სამუშაოები დროს პირველად იქნა გამოყენებული ნიტრიტ-ტიტანის დუღაბი, რომელიც აქამდე მხოლოდ რაკეტებისა და ორბიტალური სადგურების მშენებლობაში გამოიყენებოდა. მანამდე, პეტერბურგის არქიტექტორები მონაწილეობდნენ ანაკოფიის ნაკრძალში IV-VI საუკუნეების ციხის აღდგენაში.

მოსკოვის არქიტექტორ-რესტავრატორი ნიკოლაი სოფოლოვი 2009 წელს სპეციალურად ენვია აფხაზეთს ექსპედიციასთან ერთად, სადაც მათ შეისწავლეს დაახლოებით 35 ობიექტი, რომელიც რუსი სპეციალისტების გაკვირვებას იწვევს. ეს ძეგლები აძლევთ მათ საშუალებას გაეცნონ უძველეს ზოგჯერ ნინაურისტიანული პერიოდის კულტურას. მათი ამრით, აქ შეიძლება დიდი სამეცნიერო სამუშაოების დაწყება და შემდგომ ამ ტერიტორიაზე რუსი ტურისტებისათვის საინტერესო ადგილების შექმნა.<sup>173</sup>

172 <http://www.patriarchia.ru/db/text/477079.html>

173 [http://www.kavkaz-news.info/portal/cnid\\_5419/alias\\_Caucasus-Info/lang\\_en/tabid\\_2434/default.aspx](http://www.kavkaz-news.info/portal/cnid_5419/alias_Caucasus-Info/lang_en/tabid_2434/default.aspx)

2010 წლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისათვის სოხუმის ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარს ჯუმბათი შეუცვალა. გუმბათის დამზადება ისევ ჩელიაბინსკის ფირმა „მარიონმა“ შეასრულა, რომელიც ამ ფირმის მიერ შეცვლილი გუმბათების რიცხვში რიგით მეოცეა. არსებული გუმბათი შეიცვალა სპეციალური შენადნობით როგორც აქამდე ახალი ათონის მონასტრის დროს, ხოლო ზემოდან მოოქროვილია.

„აფხაზეთის მნიშვნელოვან ძეგლთა აღდგენა ეს აბსოლუტურად რუსეთის ამოცანაა“ - განაცხადა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სრულიად რუსეთის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ პაველ პოუიგაილომ. აფხაზეთში ჩასულ დელეგაციის შემადგენლობაში შედიან არქეოლოგები, ხელოვნებათმცოდნები და რესტავრატორები რუსეთის ფედერაციიდან.

ბუნებრივია, არაფერი შეიძლება გვქონდეს კულტურულ-ისტორიული ძეგლების გადარჩენისა და აღდგენის საწინააღმდევო. მაგრამ, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ასეთი ე.წ. „რესტავრაციისას“ ყურადღება არ ექცევა ძეგლების პირვანდელი სახის შენარჩუნებას. ფაქტობრივად ხდება არსებული ისტორიული სტილის რუსული სტილით ჩანაცვლება, რაც ზემო-სენიებულ კულტურის საგანძურებელ უდიდეს საფრთხეს უქმნის.

აღნიშნულთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე უმცირესობიდან, პაატა დავითაიამ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს სპეციალური მიმართვაც კი გაუგზავნა, რომელშიც აფხაზეთის ქართული ეკლესია-მონასტრების დაცვისაკენ მოუწოდებს.

პარლამენტის წევრი რუსეთის პარტიარქს სთხოვს, ყურადღება მიაპყროს საქართველოს ოჯახირებულ ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების, რომელიც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის რელიგიურ-ისტორიული მემკვიდრეობაა, ე.წ. რესტავრაციის პროცესს. დავითაიას თქმით, ე.წ. აღდგენითი სამუშაოები ეკლესია-მონასტრების თავდაპირველი სახის შენარჩუნებას არ ისახავს მიზნად. კერძოდ, ეს ქმედებები „ღრმა და დამთრგუნველი“ აზრის შემცველია და მისი შედეგებიც არ დააყოვნებს. მით უმეტეს დამაფიქრებელია ამ მიმართულებით კერძო

ბიზნესმენების მონაწილეობა, რომელთა მეურ ჩატარებული „რესტავრაციაც“ ძირითადად ინდივიდუალური გემოვნების მიხედვით ხორციელდება. „მიმდინარე რესტავრაციით რუსი ბიზნესმენების დაინტერესებამ და ამ პროცესში მათმა მონაწილეობამ მაიძულა თქვენთვის მომემართა, რამდენადაც აღნიშნული ქმედებები სრულად ენინაალმდეგება რუსეთის საპატრიარქოს პოზიციას, რომელიც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საზღვრებისა და მთლიანად მართლმადიდებლური მემკვიდრეობის სელშეუხებლობის საკითხს ეხება. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ, მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რათა ყველა ჩვენგანისათვის გამანადგურებელი პროცესი შეაჩეროთ“, – ნათქვამია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისადმი მიმართულ წერილში.<sup>174</sup>

---

174 <http://www.internet.ge/index.php?action=news&category=home&news=83490>

# **კულტმასობრივი იდეოლოგიური ლონისძიებები და "Soft Power"-ის სხვა გამოვლინებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე**

ნატო პარიაშვილი

კულტმასობრივ და სხვადასხვა იდეოლოგიურ ლონისძიებებს რუსეთისა და ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენ-ლები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. განსაზღვრება „იდეოლოგიური“ აქ შემთხვევით არ გვიხმარია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ ამგვარ პროექტებს თავად მოსკოვი აძლევს ისეთი იდეოლოგიურ დატვირთვას, რომელიც თავისი შინაარსით საბჭოთა კავშირის დროინდელი მასობრივი აქციების სულისკვეთებას შეესაბამება და კრემლის დღევანდელი რეჟიმის მიერ შექმნილი „სულიერი საჩრდოს“ თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს. გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

სამხრეთ ოსეთში 2010 წლის 11 ივნისს, რუსეთის ფედერაციის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, განხორციელდა აქცია „მე – რუსეთის მოქალაქე“.<sup>175</sup> აქციის ორგანიზატორები იყვნენ სამხრეთ ოსეთის ახალგაზრ-დული პოლიტიკის სამმართველო და ახალგაზრდული ორგანიზაცია „Новые люди“. 2010 წლის 10-18 ივნისს ჩატარდა რუსეთის კვირეული. ცხინვალში გაიმართა საჯარო ლექცია-მოხსენებები თემაზე: „ოსები რუსულ არმიაში“.<sup>176</sup> ასევე მოეწყო მრგვალი მაგიდა „რუსეთის როლი ოსეთის სახელ-მწიფოებრიობის აღდგენაში“. 12 ივნისს ცხინვალში გაიხსნა „რუსული სახლი“ და ჩატარდა მრგვალი მაგიდა „რუსეთი და სამხეთ ოსეთი 21-ე საუკენეში“.<sup>177</sup>

175 <http://cominf.org/node/1166483517>

176 <http://cominf.org/node/1166483505>

177 <http://cominf.org/node/1166483535>

2008 წლის 12-16 ნოემბერს სოხუმში ჩატარდა პატრიოტულ - კულტურული აქცია „აფხაზეთი – მეგობრების ქვეყანა“. ღონისძიების ამოცანა იყო რუსი ტელემაციურებლებისათვის თანამედროვე აფხაზეთის მიმზიდველობის წარმოჩენა და მათში აფხაზეთისადმი ინტერესის გაზრდა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა რუსული ტელეარხი „ტვ ცენტრი“.

რაც შექება აქციის ჭეშმარიტ მიზანს, იგი თავადვე განმარტეს ორგანიზაციონებმა. მათი აზრით, ეს პროექტი „უდავოდ ნარმოადგენს 2008 წლის აპრილის თვეში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსეთის მთავრობის მიმართ მოცემული დავალების შესრულებისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს, რაც მიზნად ისახავდა აფხაზეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერ-ტექნიკურ დარგებში, ინფორმაციის, კულტურისა და განათლების სფეროებში ურთიერთობის მონესრიგებას, მათ შორის რუსეთის რეგიონების ჩართულობით ამ პროცესებში.“<sup>178</sup>

პროექტის ერთ-ერთ ღონისძიებად დაგეგმილი იყო გასვლითი ტელე-გადაცემის მომზადება სახელწოდებით „შენი ბედის ქუჩა“ (Улица твоей судьбы), რომლის ორგანიზებაც თვით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კათალიკოს-პატრიარქის ალექსეი II კურთხევით იყო განხორციელებული. ტელეგადაცემის შექმნა ხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციის რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ფონდ „რუსსკი მირის“ ფინანსური მხარდაჭერით.

აქციის ორგანიზატორები: რეგიონული საზოგადოებივი ორგანიზაცია „ვოინი დუხა“ – რუსული ნაციონალისტურ-პატრიოტული გაერთიანება, ტელეკომპანია ტე ცენტრის (TV центр) პროგრამა „შენი ბედის ქუჩა“, მართლმადიდებლურისაქველმოქმედო ფონდი „ბერესვეტი“, ფონდი „ევრაზიის კვლევების ცენტრი“- ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც „რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის რეპუბლიკებს შორის კულტურული, ჰუმანიტარული და საგანმანათლებლო კავშირების განვითარება წარმოადგენს“<sup>179</sup> და

178 [http://www.abkhaziya.org/news\\_detail.html?nid=21063](http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=21063)

179 <http://www.ea-studies.ru/about/>

რომელიც კრემლის ერთ-ერთ იდეურ ლაბორატორიდ და „რბილი ძალის“ განმახორციელებელ სტრუქტურად მოიაზრება. კომპანია „ა მობაილ“, „აფხაზეთის სამოგადოებრივი ოლიმპიური მოძრაობა“ და სხვ.

აფხაზეთში „ფართო მასების“ ყურადღების მისაპყრობად სპორტული ღონისძიებებიც იმართება. 2009 წლის 3 აგვისტოს სოხუმში გაიმართა მე-6 „საერთაშორისო“ ფესტივალი ჭადრაკში, სახელმისამართის მიერ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთისა და აფხაზეთის 200-მდე მოჭადრაკე. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო კრასნოდარის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრ საპფიროვი. ამავე წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ქ. გაგრაში გაიმართა „საერთაშორისო“ ტურნირი ჩიოგბურთში, რომელიც მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდები მოსკოვიდან, სანკტ-პეტერბურგიდან, ვლადიკავკაზიდან, სოჭიდან, ნალჩიკიდან, ადლერიდან, ტაგანროგიდან და ივანოვოდან.

2009 წლის ივლისში სოხუმში მოეწყო რუსეთისა და აფხაზეთის ვეტერან ფეხბურთელთა შეხვედრა მინი ფეხბურთში. რუსეთის მხარეს ამ შეხვედრაზე წარმოადგენდნენ რუსეთის ნაკრების ყოფილი წევრები სერგეი კირიაკოვი, დიმიტრი ანანურ, ახრიც ცვეიბა და ა.შ.

იმავე წლის ოქტომბერში სოხუმში ჩატარდა რუსულ-აფხაზური ერთობლივი აქცია „მოსკოვის სპორტი აფხაზეთში“. ძირითადი ღონისძიებები ჩატარდა მუჰაჯირების სანაპიროზე. ღონისძიების ფარგლებში აფხაზეთისა და მოსკოვის მთავრობების მიერ დაგეგმილი იყო ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში, მასტერ-კლასები და საჩვენებელი გამოსვლები ძიუდოში, სამბოში, სუმოში, ჭადრაკში, მოტოფრისთაილში და ა.შ. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის სახალხო არტისტი ნადეჟდა ბაბკინა და მისი ანსამბლი „რუსებია პესინი“, ასევე მუსიკისა და ხელოფერის სხვა წარმომადგენლები რუსეთიდან და აფხაზეთიდან.

19 ოქტომბერს შედგა რუსეთისა და აფხაზეთის შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალი.

აფხაზი სპორტსმენები საერთაშორის ტურნირებზე რუსეთის ფედერაციის სახელით მონაწილეობენ. 2009 წლის 23 სექტემბერ აფხაზმა მოჭიდავემ დღნის ცარგუშმა რუსეთის მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა.<sup>180</sup>

რუსეთი მცდელობას არ აკლებს მოიზიდოს ტურისტები აფხაზეთის კურორტებზე, რაც მიზნად ისახავს აფხაზეთის მიმართ რუსეთისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მოქალაქეთა დაინტერესების გაზრდას. რეკლამა ძირითადად ტურისტული ფირმების საიტებზე თავსდება. აღსანიშვია რომ ასეთი ფირმები, როგორც წესი, რუსეთში განლაგებული. აფხაზეთში მოქმედ ძირითად ტურისტულ კომპანიად ითვლება „რუსალტური“, რომლის ოფისი მოსკოვის ცენტრში მდებარეობს. საინტერესოა, რომ ოფისში მოქმედი საშვების სისტემა რუსული სახელმწიფო დაწესებულების ჩინოვნიკებსაც კი შეშურდებათ.<sup>181</sup>

სავაჭრო ნიშანი „რუსალტური“ დაარსებულია 1996 წელს. შპს „აპსინ-ტური“ არის „რუსალტურის“ მარკის მფლობელი და წარმოადგენს რუსული ბაზრის დასვენების ორგანიზების ლიდერს აფხაზეთის რესპუბლიკაში. რუსეთში ამ კომპანიასთან თანამშრომლობს 2000-მდე ტურისტული სააგენტო, ამიტომ აფხაზეთში ტურის ყიდვა თითქმის ყველა მსურველს შეუძლია. კომპანიას აქვს ყველაზე დიდი კვოტები აფხაზეთს სასტუმროებსა და პანიონატებში და ტურისტებს სთავაზობს დასვენებას აფხაზეთის კურორტებზე: გაგრა, ბიჭვინთა, სოხუმი, ახალი ათონი, გუდაუთა, მიუსერა და ა.შ. კომპანია ემსახურება როგორც კურძო, ისე კოპორატიულ კლიენტებს.

იგივე რუსალტურს შემდეგ გვერდზე დეტალურად აქვს აღნერილი, რომ რუსეთის მოქალაქეებსა და დსთ-ს მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ გადალახონ რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი, საერთო საბაზო და სასაზღვრო შემოწმების შემდგომ. რუსეთის მოქალაქეებს, ასევე დსთ-ს მოქალაქეებს (უკრაინისა და ტაჯიკეთის გარდა) შეუძლიათ საზღვარგარეთის პასპორტებთან ერთად ასევე რუსეთის ფედერაციის მოქალაქის შიდა პასპორტებიც

180 <http://www.allsportinfo.ru/index.php?id=32220>

181 <http://www.abkhazia.ru/tours/>

გამოიყენონ. 2009 წლის აპრილიდან უკრაინისა და ტაჯიკეთის მოქალაქე-ებისათვის აუცილებელია საზღვარგარეთის პასპორტების ქონა. უცხოეთის მოქალაქეებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ რუსეთის ფედერაციაში შესვლისა და გასვლის) და აფხაზეთის ვიზები.

აფხაზეთის რესპუბლიკის საკურორტო მოსაკრებელის შესახებ 2006 წლის 25 ივნისის კანონის თანახმად საზღვარგარეთის მოქალაქეები აფხაზეთში ჩასვლისა და ქვეყანაში დასვენების მიზნით 3 დღე-ლამით დარჩენის შემთხვევაში იხდიან საკურორტო მოსაკრებელს 30 რუბლის ოდენობით დასასვენებელი ადგილის მიხედვით.<sup>182</sup>

საიტზე ასევე დაწვრილებითაა მოცემული აფხაზეთის საკურორტო ადგილებში დასვენების ფასები.

აფხაზეთის ძირითად საკურორტო ქალაქებში ივნისი-აგვისტოს პერიოდში სასტუმროს საშუალო დღიური ფასი საშუალოდ 1000-2600 რუსულ რუბლამდე მერყეობდა (50-100\$), ბავშვი – საშუალოდ 600-1300 რუბლი (დაახლოებით 25-50\$), უფრო ძვირი ღირდა ოთახი კონდიციონერით, ტელევიზორით, მაცივრითა და აივნით 2500-6000 რუბლამდე (100-220\$). კერძო სექტორში ფასები შედარებით უფრო დაბალიც იყო.

მიუხედავად არც თუ ისე მაღალი ფასებისა, აფხაზეთში 2010 წელს საკურორტო სეზონი ჩავარდა. თუ 2009 წელს აფხაზეთში 5000-მდე ტურისტი ჩაეიდა,<sup>183</sup> 2010 წელს ეს რიცხვი ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს ცნობით 200-ს არ აღემატებოდა. ტურისტული სეზონის ჩავარდნის ძირითად მიზეზად რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე გაჭიანურებული ფორმალური პროცედურები, აფხაზეთში რთული კრიმინოგენური სიტუაცია და საშედრო ტექნიკის მოზღვავებული რაოდენობაა, რაც არც თუ ისე დადებითად მოქმედებს დამსვენებლის განწყობაზე, ასევე დამსვენებლები უჩიოდნენ მომსახურებისა და კვებით უზრუნველყოფის დაბალ დონეს. ყველაზე

182 <http://abkhazia.ru/useful/>

183 <http://www.rosbalt.ru/2010/07/21/755403.html>

დიდი საყვედურები კი აფხაზეთის სახელმწიფო სადაზღვევო უწყებაზე ნამოვიდა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, თუ პიროვნება აფხაზეთში 3 დღით ჩადის, იგი იხდის დაზღვევის გადასახადს 30 რუბლის ოდენობით, ხოლო თუ სამ დღეზე მეტს ჩერდება მაშინ – 250 რუბლს, ოჯახთან ერთად დას-ვენების შემთხვევაში კი ეს თანხა საკმაოდ იზრდება. თუმცა აფხაზეთის ოფიციალური სტრუქტურები საგულდაგულოდ ცდილობენ ტურისტების რაოდენობის გაზვიადებას. მათი მტკიცებით მარტო 2009 წელს აფხაზეთში მილიონამდე ტურისტი ჩასულა,<sup>184</sup> რაც აფხაზეთში არსებული დღევანდელი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით ყოველგვარი ფანტაზის ზღვარზე მეტია.

აფხაზეთის დამოუკიდებლობის პოპულარიზაციის მიზნით, 2009 წელს რუსეთის ფედერაციაში „დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის“ საფოსტომარკების პირველი სერია გამოიცა. სახელმწიფო კომპანია „აფხაზ-კავშირის“ (“ახახაცხავის”) გენერალური დირექტორის ედუარდ ფილიას სიტყვებზე დაყრდნობით საინფორმაციო საგენტო იუწყება, რომ გამო-ცემულთა შორის არის მარკები მე-8 საუკუნეში აფხაზთა სახელმწიფოს გამოსახულებით, რომლის დედაქალაქიც თურმე „ქუთაისი – დღევანდელი სამეგრელო“ ყოფილა!<sup>185</sup> ასევე დაიბეჭდა აფხაზ-აბაზთა ხალხების მეხუთე მსოფლიო კონგრესის, აფხაზეთის გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის 15 წლისადმი მიძღვნილი მარკები.

ერთ-ერთი მარკა მიძღვნილია რუსეთის სამშვიდობო ძალებისადმი. ფილიას განცხადებით, მართალია აფხაზური მარკები ჯერჯერობით მარტო აფხა-ზეთის ტერიტორიაზე მოძრაობს, მაგრამ იგეგმება რუსეთის ფედერაციის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმება, რის შედეგადაც აფხაზური მარკების საზღვარგარეთ მიმოქცევისა და აფხა-ზეთში წერილების მიმოსვლის პრიბლება ერთიანად მოიხსნება. ამჟამად ეს პრიბლება, ფილიას განმარტებით, გვარდება ისევ რუსეთის დახმარე-ბით: აფხაზეთის მოქალაქეებისათვის განკუთვნილი საფოსტო გზავნილები ჩადის ქ. სოჭში, სადაც გახსნილია სპეციალური საფოსტო ყუთი № 1455.

184 <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/164334/>;

185 [http://www.kavkaz-uzel.ru/articles/stamps\\_abkhazia](http://www.kavkaz-uzel.ru/articles/stamps_abkhazia)

კვირაში ორვერ აფხაზეთის კავშირგაბმულობის თანამშრომელი მიემზავ-რება სოჭში და იქიდან ჩააქვს წერილები აფხაზეთში.<sup>186</sup>

ოკუპირებული ტერიტორიის „ათვისებაში“ რუსეთის კავშირგაბმულობის წელილი მხოლოდ საფოსტო მარკებითა და წერილების მიმოსვლით არ შემოიფარგლება. 2009 წლის ნოემბრიდან დაიწყო აფხაზეთის გადაყვანა რუსეთის სატელეფონო კოდებზე + 7 940 მობილური კავშირისათვის და + 7 840 სტაციონარული ტელეფონებისათვის. სატელეფონო ნუმერაციაც, როგორც რუსეთის ტერიტორიიზე, შვიდციფრიანი გახდა.

2010 წლის იანვრისათვის აღნიშნული პროცესი დასრულდა და აფხაზეთი მთლიანად ჩაეწერა რუსეთის სატელეფონო კოდების სისტემაში.<sup>187</sup>

---

186 [http://www.kavkaz-uzel.ru/articles/stamps\\_abkhazia](http://www.kavkaz-uzel.ru/articles/stamps_abkhazia)

187 <http://www.interfax.ru/society/txt.asp?id=117518&sw=interfax&bd=17&bm=12&by=2009&ed=17&em=1&ey=2010&secid=0&mp=0&p=46>

# **განათლება და მეცნიერება, როგორც „რუსეთის რპილი ძალის“ ინსტრუმენტი**

თემაზე ფასაკე, ნატო პარიაშვილი

მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პერიოდში განათლებისა და მეცნიერების სფეროში მოსკოვზე დამოკიდებულების სისტემა პატონობდა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ამ სისტემამ რღვევა დაიწყო. სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია ცდილობს დაიმკვიდროს პოსტსაბჭოთა სივრცის ძირითადი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრის სტატუსი, მაგრამ მოსკოვის პოლიტიკა ამ მიმართებითაც იდეოლოგიური წნევისა და მოუხეშავი ბიუროკრატიის ჩარჩოებშია მოქცეული, რაც ამ სფეროში გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებებს ძირითადად ფორმალურ ხასიათს ანიჭებს.

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში მოქმედი ხელშეკრულებებია:

1. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ (1994 წლის 3 თებერვალი);
2. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში თანამშრომლობის შესახებ (1994 წლის 3 თებერვალი);
3. შეთანხმება საქართველოს განათლების სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (2004 წლის 11 თებერვალი).

სასწავლო პროცესი საქართველოში (ოუპირებული ტერიტორიების გამოყენებით) მიმდინარეობს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამითა და სახელმძღვანელოებით. რუსულ და ქართულ-რუსულ სკოლებში სწავლებაც ამ პროგრამითა და სახელმძღვანელოებით ხორციელდება. რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა ოუპირებულ ტერიტორიებზე. აფხაზეთა და სამხრეთ ოსეთში სწავლება რუსეთის განათლების სამინისტროს პროგრამითა და სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს, რომლებიც სრულად მიესადაგება ოფიციალური მოსკოვის იდეოლოგიას.

რუსულ ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში საბიუჯეტო დაფინანსებით სწავლობს 600-მდე ქართველი სტუდენტი და ასპირანტი<sup>188</sup> (ამ შემთხვევაშიც აქცენტი ეროვნებზე კეთდება და არა მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე). ეს ძირითადად რუსეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება საქართველოდან ოფიციალურად გაგზავნილ სტუდენტებს, საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემებით<sup>189</sup> 2005 წელს რუსეთის ფედერაციაში სწავლის გასაგრძელებლად 15 ადამიანი გაემგზავრა, რაც 2005 წელს საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად წასულთა საერთო რაოდენობის (სულ 311 სტუდენტი) 4.8%-ს შეადგენს. 2006-2008 წ.წ. რუსეთის ფედერაციაში სწავლის გასაგრძელებლად არც ერთი სტუდენტი არ გაგზავნილა. ეს სტატისტიკა ნათლად მოწმობს, რომ რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ საქართველოს მიმართ თავისი ასახვა განათლების სფეროზეც პიოვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის რამდენიმე პრძანება, რომელთა საშუალებითაც 2008 წლის აგვისტოს მომსახურებული რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ან სასწავლებლად წასული ქართველი ახალგაზრდების დასახმარებლად განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

1. „2008 წლის 7 აგვისტომდე რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს

188 [http://www.georgia.mid.ru/rg/rg\\_05.html](http://www.georgia.mid.ru/rg/rg_05.html)

189 [http://mes.gov.ge/index.php?module=text&link\\_id=68&lang=geo](http://mes.gov.ge/index.php?module=text&link_id=68&lang=geo)

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 06 იანვრის №2 ბრძანება.

მიზანი: 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამა მოქმედებდა 2009 წლის ივლისამდე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლება მიენიჭა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ 43 საქართველოს მოქალაქეს.

2. „საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენის და გამზილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 04 სექტემბრის №725 ბრძანება.

მიზანი: უცხო ქვეყნისა და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტთა ხელშეწყობა და სტუდენტთა მობილურობა.

პროგრამის ფარგლებში, 2008 წლის 7 აგვისტოს შემდეგ საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მიენიჭა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ 100-ზე მეტ ქართველ ახალგაზრდას.

საქართველოს განათლებისა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში ამჟამად 2300 ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 409 არის არაქართულენოვანი (მათ შორის, სკოლები ენობრივი სექტორებით და სკოლები, სადაც სწავლების ენა არის მხოლოდ რუსული/აზერბაი-

ჯანული/სომხური), საქართველოში მოქმედებს 140 სომხურენოვანი, 124 აზერბაიჯანულენოვანი, 142 რუსულენოვანი და 3 ოსურენოვანი სკოლა. ამჟაմად საქართველოში არის 14 სკოლა სადაც სწავლა მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მათ შორის 12 სახელმწიფო და 2 კურძო.

აღნიშნული მონაცემები არ მოიცავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს. სანამ უშუალოდ აღნიშნულ რეგიონებში არსებულ ვითარებას შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად გვესახება წარმოვაჩინოთ ზოგადად საქართველოს განათლების სისტემის მოვლენა ანალიზი და ის შესაძლებლობები, რომელიც გააჩნია არაქართულენოვან მოსახლეობას განათლების მისაღებად.

საქართველოს მრავალეროვანი სახელმწიფოა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2002 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების მიხედვით მუდმივი მოსახლეობის განაწილება, ოკუპირებული ტერიტორიების მონაცემების გარეშე. ცალკეული ეროვნებების მიხედვით შემდეგნაირია:<sup>190</sup>

სულ მოსახლეობა - 437 1535

მათ შორის:

ქართველი	- 366 1173	თათარი	- 455
აზერბაიჯანელი	- 284 761	ბელორუსი	- 542
სომები	- 248 929	თურქი (ოსმანი)	- 441
რუსი	- 67 671	პოლონელი	- 870
ოსი	- 38 028	ქურთი	- 2514
აფხაზი	- 3 527	ჩეჩენი	- 1271
იტიდი	- 1 8329	მოლდოველი	- 864
ბერძენი	- 1 5166	ებრაელი	- 3 772
ქისტი	- 7 110	ბოშა	- 472
უკრაინელი	- 7 039	ასირიელი	- 3 299
გერმანელი	- 651	სხვა	- 4651

190 [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/census/2002/I%20tomi%20-%20saqarTvelos%20mosaxleobis%202002%20wlis%20pirveli%20erovnuli%20sayovelTao%20aRweris%20Sedegebi.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/I%20tomi%20-%20saqarTvelos%20mosaxleobis%202002%20wlis%20pirveli%20erovnuli%20sayovelTao%20aRweris%20Sedegebi.pdf)

წარმოდგენილი ცხრილიდან აშეარად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში, როგორც მრავალუროვან სახელმწიფოში, არაქართულობაზე მოსახლეობის განათლების საკითხებს.

## სპოლამდები განათლება

2009 წლის 31 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 188-ე ბრძანებით დაამტკიცდა ქართული ენის პროგრამა, რომლის ფარგლებშიაც სამინისტრომ 2009 წლიდან დაიწყო ქვეპროგრამის, „სკოლამდელი განათლებისა და ფეხურზე ქართული ენის სწავლის ხელშეწყობა არაქართულენოვან რეგიონებში“ განხორციელება. ქვეპროგრამის მიზანია არაქართულენოვან რეგიონებში ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება სკოლამდელ ასაკში ბავშვებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიწოდების გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში<sup>91</sup> შერჩეული ექვსი საჯარო სკოლის ბაზაზე სკოლამდელი განათლების ცენტრების მოწყობა, ცენტრებისათვის მასწავლებლებისა და ბავშვების სახელმძღვანელოების გამოცემა, სათანადო ინვენტარისა და სასწავლო თვალსაჩინოებების შესყიდვა. გარდა ამისა, განსაზღვრულია მშობელთა განათლების სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც ითარგმნება და გამოიცემა შეირბაიჯანულ და სომხურ ენეზე.

## ზოგადი განათლება

### არაქართულენოვანი სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროცესის ფარგლებში საქართველოში შეიქმნა ახალი სასწავლო გეგმები და მათ საფუძველზე – ახალი სახელმძღვანელოები. ახალ

191 ორივე რეგიონი წარმოადგენს საქართველოს შეირბაიჯანული და სომხური მოსახლეობის კომპაქტურად დასახლების ადგილებს.

სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოებს საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებიც იღებენ (მათ შორის აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2005 წელს პირველად არაქართულენოვანი სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის დაიწყო ქართული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი სახელმძღვანელოების მასშტაბურად შესყიდვა.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტების იმპლიმენტაციისათვის საჭირო გახდა ქართული ენის ახალი ტიპის სახელმძღვანელოების მომზადება, რომელიც მეორე ენის სწავლების მეთოდებისა და საკომუნიკაციო ენის სწავლების პრიციპზე იქნებოდა დაფუძნებული. შესაბამისად, 2005-2006 წლებში შეიქმნა ამ ტიპის სახელმძღვანელოს – „თავთავის“ I და II ნაწილი, რომელიც დაფუძნება ენის ფლობის დონეების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, მომზადებულს ევროპის საბჭოს პროგრამის „ევროპული ენის პორტფოლიოსა“ და „უცხო ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ ფარგლებში. „თავთავის“ I ნაწილი შედგება მოსწავლის წიგნის, სავარჯიშოების წიგნისა და მასწავლებლის წიგნისაგან, ხოლო II ნაწილი – მოსწავლის წიგნის, სავარჯიშოების წიგნის, მასწავლებლის წიგნის და პორტფოლიოსაგან. 2007 წელს განხორციელდა „თავთავის“ III დონის კომპლექტის მომზადება და დანერგვა, რაც მოიცავდა ავტორთა კოლექტივის მიერ სახელმძღვანელოს მომზადებას (მოსწავლის წიგნი, სავარჯიშოების რვეული, მასწავლებლის წიგნი) და დაბეჭდვას. სახელმძღვანელო „თავთავის“ სამივე დონის კომპლექტი უსასყიდლოდ დაურიგდა ყველა არაქართულენოვან (მათ შორის რუსულ-ენოვან) სკოლას.

გარდა ამისა, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები 100%-ით მიიღო ყველა მე-5 კლასელმა. ამავე საგნებში სახელმძღვანელოები მიიღეს არაქართულენოვანი სკოლების VI-XI კლასელებმაც.

2008 წლის განხორციელებული აქტივობების სტატისტიკური მონაცემები ასეთია:

2008 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ქვემო ქართლის 7 რაიონის (ბოლნისი, თეთრიწყარო, ნაღვა, გარდაბანი, მარნეული, დმანისი, რუსთავი) სკოლას დაურიგა 34 438 საკულტო სახელმძღვანელო. ამავე წელს სამცხე-ჯავახეთის 6 რაიონის (ბორჯომი, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა) სკოლებს დაურიგდა 16 883 ერთული სასკოლო სახელმძღვანელო.

2008 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ქვემო ქართლის სკოლებში 7290 სახელმძღვანელო, ხოლო სამცხე-ჯავახეთის სკოლებში 4497 სახელმძღვანელო დარიგდა (ქართული ენა, მათემატიკა, ბიოლოგია, მუსიკა, ხელოვნება და უცხო ენები).

2008 წელს „არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს ყველა არაქართულენოვანი სკოლის მეორეკლასელ მოსწავლეს უფასოდ დაურიგდა მე-2 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო „შევისწავლოთ ქართული ენა“. პროგრამის ფარგლებში სულ შეძნილ ოქნა 7000 წიგნი.

„არაქართულენოვანი სექტორების მოსწავლეთა სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2009 წელს უზრუნველყოფილ ოქნა ყველა არაქართულენოვანი სკოლისა და სექტორის 6025 მე-3 კლასის მოსწავლისათვის (მათ შორის 1888 რუსულენოვანი მოსწავლე) „ქართული, როგორც მეორე ენა“ სახელმძღვანელოს დარიგება.

სასკოლო გრანტების პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა მოამზადა „პროექტის მოსამზადებელი სახელმძღვანელო“ და სკოლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, თუ როგორ უნდა შექმნათ „სკოლის გაუმჯობესების პროექტები“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელდა პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა გადამზადება“. ამ დროისათვის გადამზადებულ ოქნა არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის 250 მასწავლებელი.

2009 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს ორ პროგრამას: 1) „კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“ და, 2) „ვისწავლოთ და ვასწავლოთ ქართული“.

პროგრამა „კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“ არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესიონალ მასწავლებლებს დაწინიშნოთ მაღალი ხელფასი. კონკურსის შედეგად შეირჩევა მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ ადგილობრივი მოსახლეობის ენას და შეუძლიათ მაღალ დონეზე ასწავლონ ქართული ენა და ლიტერატურა. შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივ სპეციალისტებს და უკვე მოქმედ ქართული ენის მასწავლებლებს. კონკურსის წესით შერჩეულ სპეციალისტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ წინასწარ განსაზღვრულ საკუთარო მოთხოვნებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგი და გაუფორმდებათ ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა მოსწავლეების სწავლებისა, მასწავლებლები მოამზადებენ მათი ან/და მიმდებარე სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგის დასრულებისას შეირჩევა 10 საუკეთესო მასწავლებელი, რომლებიც იმუშავებენ ტრენერებად. დანარჩენი შერჩეული 40 მასწავლებლისაგან განსხვავებით, ისინი მოიცავენ რეგიონის ყველა ქართულის შესწავლის მსურველ მასწავლებელს. მასწავლებლების და ტრენერების მოვალეობა იქნება სკოლაში სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, თავიანთ თემში გარემოს გააქტიურება, ქართული ენის კლუბების შექმნა, რომლებშიც მოეწყობა ქართული ენის საღამოები/კონკურსები. ამ ღონისძიებებში ჩართული იქნებიან არა მარტო მასწავლებლები და მოსწავლეები, არამედ მშობლებიც.

პროგრამა „ვისწავლოთ და ვასწავლოთ ქართული“ ითვალისწინებს, ყველა ეთნიკური უმცირესობების ქართული ენის და ლიტერატურის მას-

წავლებლის ტრენინგს და პროფესიულ განვითარებას. იმისათვის, რომ ვირტუალური სივრცე ხელმისაწვდომი იყოს ენობრივ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს. საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთ ასეთ წარმატებულ პროექტად ითვლება საქართველოს სკოლების კომპიუტერზოგის პროგრამა „ირმის ნახტომი“. პროგრამა 4 წლის განმავლობაში საქართველოს ყველა ზოგადსაგან-მანათლებლო სასწავლო დაწესებულებას, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებს, უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტის მომსახურებით, მოახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირე-ბას სასწავლო პროცესში.

## მულტილინგვური განათლება

2008 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ეუთოს მხარდაჭერით, შემუშავებულ იქნა პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა (2009-2014) „ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია მულტილინგვური განათ-ლების საშუალებით“. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2009 წლის 31 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 185 ბრძანებით დამტკიცდა „მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა“.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მულტილინგვური სწავლების პროგრამების პილოტირება 40 არაქართულენოვანი (მათ შორის 15 რუსულ-ენოვანი) სკოლაში. მულტილინგვური პროგრამების განხორციელებაზე ტრენინგები ჩაუტარდათ განათლების სამინისტროს თანამშროლებს, სკოლის დირექტორებს, საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანა-მშრომლებსა და მასწავლებლებს.

ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა მულტილინგვური სწავლების პროგრამების ნიმუშებზე ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის. ამავე ცენტრის მიერ შემუშავდება მულტილინ-გვური განათლების სახელმძღვანელო და დამატებითი სასწავლო მასალები, რომლებიც არაქართულენოვან სკოლებს უსასყიდლოდ დაურიგდებათ.

## **უგაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა**

2008 წლის დასაწყისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ერთობლივი ინიციატივით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვით საქართველოს არაქართულენოვან აბიტურიენტებს მიეცათ ერთიანი ეროვნული გამოცდების მშობლიურ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობა (გარდა სახელმწიფო ენისა).

„სოციალური გრანტების“ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო აფინანსებს იმ სტუდენტებს, ვინც საშუალო განათლება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში მიიღო. თითოეული რეგიონიდან 20 სტუდენტი ფინანსდება.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ განვითარებისა და რეფორმების ფონდი უცხოეთში სწავლების დაფინანსების პროგრამას სთავაზობს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს. ფონდის დაფინანსებით, 2007 წელს ბიზნეს-ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე უნგრეთსა და აშშ-ში ეროვნული უმცირესობის 7 წამომადგენლი გაემზარა. კონკურსის საშუალებით შეირჩა 7 სტუდენტი 2008 წელსაც.

სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების ფონზე მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური ჯგუფებისათვის მშობლიური ენის სწავლების მეთოდების განახლებაც. დაიწყო აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის, მხარდაჭერის პროგრამები ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში, სათანადო სტანდარტების მომზადებითა და პედაგოგების ტრენინგებით. ამ პროგრამის ფარგლებში ტრენინგი 500-მდე პედაგოგმა გაიარა.

2006 წლიდან ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ხდება გაზრი „დიალოგის“ გამოცემა, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლებს, მშობლებს, მოსახლეებს საშუალებას აძლევს შეკითხვებით მიმართონ უშუალოდ ცენტრის ექსპერტებს, გაუზიარონ მათ თავიანთი ხედვები და მიიღონ მათგან პასუხები.

„არაქართულენოვანი სექტორების მოსწავლეთა სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ქვეპროგრამის“ (ბიუჯეტი: 543,600 ლარი) ფარგლებში 2009 წელს საქართველოს არაქართულენოვანი საჯარო სკოლების 6025 მეცხრეკლასელი უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებით თავიანთ მშობლიურ ენზე (მათ შორის 1888 რუსულენოვანი მოსწავლე). 2010 წელს, ზემოაღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი იქნება მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-12 კლასების მოსწავლეებისათვის საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოების დარიგება (სულ: 9440 რუსულენოვანი მოსწავლე).

2009 წელს გამოცდების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ატარებს სასკოლო ოლიმპიადებს ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენეზე. ეროვნული გამოცდების ცენტრი ასევე უზრუნველყოფს ექსტერნატის გამოცდებისას ტესტების თარგმნას აზერბაიჯანულ და სომხურ ენეზე. ასევე, დირექტორობის კანდიდატთა ტესტირებისას გათვალისწინებულია აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენეზე თარგმანის უზრუნველყოფა.

2009 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „უმცირესობათა ენის დაცვის ქვეპროგრამა“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს თბილისის მე-11 საჯარო სკოლაში 2007-2008 სასწავლო წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით გახსნილი ოსური საკვირაო სკოლისათვის დაფინანსების გაფრძელებას. თბილისის მე-11 საჯარო სკოლის ბაზზე არსებული ოსური საკვირაო სკოლა ხელს შეუწყობს ოსური ენის შემსწავლელი საკვირაო სკოლის ტრადიციის დამცვიდრებას, სადაც ოსი ბავშვები (და სხვა ეროვნების დანტერესებული პირები) შეისწავლიან ოსურ ენას, მათ კულტურას, ისტორიას, ფოლკლორს, ქართულ-ოსურ ლიტერატურულ ურთიერთობებს, ქართველ და ხავასიერ ხალხთან კეთილმეტობლურ ურთიერთობებს, მითოლოგიას, ეკოლოგიას, კავკასიურ ცეკვებს და სიმღერას. იგივე პროგრამა 2010 წელსაც გრძელდება.

## რუსული საზოგადოებრივ-საგანგანათლებლო ორგანიზაციების მოღვაწეობა საქართველოში

ამჟამად საქართველოში მრავალი რუსული საზოგადოებრივ-საგანგანათლებლო და კულტურული ორგანიზაცია მოქმედებს. მათი უმრავლესობის მიზანია რუსული ენისა და რუსული კულტურის პოპულარიზაცია. საქართველოში დღემდე აქტიურად მოღვაწეობენ რუსი თანამემულების კავშირი „ოტჩიზნა“, საერთაშორისო კულტურულ-საგანგანათლებლო კავშირი „რუსსკი კლუბი“, ფონდი „რუსსკი მირი“, საქართველოს რუსულენოვანი უურნალისტების ასოციაცია, საქართველოს რუს ქალთა კავშირი „იაროსლავნა“. თითეულ ამ ორგანიზაციას აქვს ფილიალები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ან აერთიანებს რამდენიმე ორგანიზაციას. მაგალითად რუს თანამემამულეთა კავშირ „ოტჩიზნა“-ში თავის მხრივ შედის 25-მდე ორგანიზაცია, რომელთა შორისაც არის: საქართველოში რუსული სათვისტომოსსაქველმოქმედო-კულტურული და სამეცნიერო-საგანგანათლებლო კავშირი „რადუგა“, კავშირი „სლავიანსკი დომ“, პუშკინისტების ლიტერატურულ-პიეტური გაერთიანა „არიონი“, საქართველოში რუს ახალგაზრდათა კავშირი, საერთაშორისო ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო კავშირი „ნადეჟდა“, პედაგოგთა კავშირი „რუსკო სლოვო“ და ა.შ.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ამ ორგანიზაციითაგანი ცდილობს საქართველოში არსებული ვითარების არაობიექტურად ასახვას და ხშირად იმეორებს კრემლის რიტორიკას. მაგალითად ორგანიზაცია „ოტჩიზნას“ 2009 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოში რუსული ენა იდენტება და რომ ხორციელდება რუსული ენის, რუსული კულტურისა და მთლიანად რუსული ფაქტორის მიზანმიმართული გამოდევნა.<sup>192</sup> თუმცა იგივე ორგანიზაცია თავადვე ეწინააღმდეგება აღნიშნულ დებულებას და იგივე ანგარიშში მოუთითებს, რომ იგი აქტიურად მუშაობს და ახორციელებს საკუთარ პროექტებს. ანგარიშის მიხედვით, „ოტჩიზნამ“ 2009 წლის განმავლობაში 100-ზე მეტი სხვადასხვა სახის ღონისძიება და აქტივობა განახორციელა საქართველოში. მისი ძირითადი ძალისხმეული მიმართული იყო რუსეთის ფედერაციის თანამემამულეთა მხარდაჭერის სახელმწიფო

192 <http://www.otchizna.ge/otchet%202009.html>;

პროგრამის შესასრულებლად, ასევე საზღვარგარეთ მაცხოვრებელი თანამემამულების სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნების სახელ-მწიფო პროგრამის შესასრულებლად. აქტივობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ახალგაზრდა თანამემამულებთან მუდმივი კონტაქტები და ერთობლივი ლონისძიებები, როგორებიცაა რუსულენოვან სკოლებს შორის „ბრეინ რინგის მოწყობა“, დიდი სამამულო ომის დღესას-ნაულების დროს სკოლის მოსწავლეებისათვის სამამულო ომის თემაზე შეხ-ვედრებისა და ექსკურსიების მოწყობა, ასევე მეთოდოლოგიური საქმინობა – რუსულენოვანი სკოლებისა და მოსწავლეებისათვის უფასო მეთოდური და სასწავლო ლიტერატურით მომარაგება. ამავე წელს ოქტომბერ-ნოემ-ბერში „ოტჩიჩნამ“ ჩაატარა ოლიმპიადა რუსულ ენასა და ლიტერატურაში, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხერებიდან 600-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. ასევე კონკურსი „საუკეთესო მასწავლებელი“, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის (110 მასწავლებელმა გაიარა კურსები). ასეთი ღონისძიებების დაფინანსებით და განხორცილების მასშტაბებით საქართ-ველოში არსებული ბევრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია ვერ დაიკვეხის, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქვეყანაში სულაც არ ხდება რუსული ან რუსულენოვანი ორგანიზაციების შევიწროება, ან მათ-თვის ხელოვნური ბარიერების შექმნა.

ამასვე მოწმობს რუსულენოვანი კერძო სკოლა „ინტელექტის“ დირექტორის ორესტ პესჩანენკოს პორტალ „სოოტეჩესტვენიკებისათვის“ მიცემული ინტერვიუ.<sup>193</sup> სადაც იგი ურნალისტის დასმულ კითხვაზე აღნიშნავს, რომ მისი სასწავლო დაწესებულება ცნობილი იყო, როგორც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ჯარების სკოლა №9, ხოლო შემდგომ რუსეთის საელჩოსთან არსებული სკოლა, საქართველოდან რუსეთის ჯარების გასვლისა და შემ-დგომ საქართველო-რუსეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის გამო სკოლა დახურვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, თუმცა დახმარების ხელი ამ სკოლას ისევ საქართველოს მხარემ გაუნდა. დღეს იგი ფუნქციონირებს როგორც კერძო სკოლა „ინტელექტი“, მუშაობს საქართველოს განათლების სამინისტროს გაცემული ლიცენზიის საფუძ-

193 <http://www.russechina.ru/articul.php?aid=11389&pid=21>

ველზე. სასწავლო პროგრამაში შედის ყველა საგანი, რაც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ყოველწლიურ ეროვნულ გეგმიშია გათვალისწინებული. თუმცა ინტევრუდან ჩანს, რომ სკოლაში ისწავლება ის პროგრამაც, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციაში სწავლის გაგრძელების მსურველ მოქალაქეებს.

ინტერვიუში სკოლის დირექტორი გამოთქვამს მადლიერებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და ასევე ისანი-სამეცნიერო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის მიმართ, რომლებიც, მისი თქმით, ყურადღებას არ აულებენ სკოლას და მაქსიმალურად ეხმარებიან საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ 2009 წელს სკოლა „ინტელექტუალური რამდენიმე წარმატებულ კურსდამთავრებულს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საჩუქრად გადაეცა კომპიუტერი.<sup>194</sup>

საქართველოში ასევე ფუნქციონირებს რუსული ენის შემსწავლელი ცენტრები და ტარდება ოლიმპიადები რუსულ ენაში მოსწავლეთა შორის. ამდენად, ყოველგვარი საუბრები რუსული ენის დევნასა და შევიწროებაზე მხოლოდ და მხოლოდ არაობიერებული სურათის შექმნელთა, თუ დამატებითი გრანტების მოპოვების მსურველთა ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს და არახაირი კავშირი არსებულ რეალობასთან არ გააჩნია.

## თავათორეპული თერითორიაზი

სრულიად განსხვავებული ვითარებაა საქართველოს ოუბირებულ ტერიტორიებზე. 1992-1993 წლების კონფლიქტების შემდგომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თანამიმდევრულად გადადიოდა განათლების რუსულ სტანდარტებზე.<sup>195</sup> მას შემდგომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყველაფერი კეთდებოდა ამ რეგიონებში რუსული განათლების სისტემის დანერგვისა და

194 <http://www.vestikavkaza.ru/articles/obshestvo/mif/636.html> 10.04.2009

195 <http://ru.wikipedia.org/wiki/>

ადგილობრივი ახალგაზრდობის ამ პროცესებში ჩართვისათვის. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ საგრძნობლად გაატყოურდა. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ახალ-გაზრდობის გაფზავნას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ისინი სპეციალობასთან ერთად შესაბამის იდეურ-პოლიტიკურ „განათლებაც“ მიიღებენ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომზალი ელიტის გამოზრდა რუსეთისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. რუსული „Soft Power“-ის ეს იმსტრუმენტი უზრუნველყოფს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის შემდგომ ლოიალურობას მოსკოვის მიმართ, ამიტომაც, კრემლი არც ძალისხმევას და არც ფინანსებს არ იშურებს აღნიშნული მიმართულებით.

2008 წელს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისათვის რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად 70 ადგილი გამოყო, რის შესახებაც მოხსენება რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე გააკეთა სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვლადისლავ ნიჩკოვმა. ადსანიშნავია, რომ კოლეგიის სხდომის განხილვის თემა იყო „დსთ-ს ქვეყნებში რუსული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის, ასევე რუსული ეროვნული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების ღონისძიებები“. კოლეგიას უძღვებოდა რუსეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ანდრეი ფურსენკო.

ამავე სხდომაზე მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვიქტორ სადოვნიჩი გამოვიდა წინადადებით, შეიქმნას სპეციალური უწყებათშორისი კომისია, რომელიც დაკავებული იქნება რუსეთის საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარებისა და ექსპორტის ხელშეწყობის, ასევე ამ მიმართულებით მკაფიო ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საკითხებით. მისი აზრით, ეს ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით მომუშავე ყველა არსებული უწყების საქმიანობის უკეთ კოორდინირებას, რომელთა შორისაცა ორგანიზაციები „როსტარუტეულურნიტ“ და ფონდი „რუსსკი მირ“. <sup>196</sup>

---

196 <http://www.edu.ru/fasi/mon-site/press/relich/5027/print/C>

2009 წელს უკვე მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებისათვის გამოყოფილი იქნა 100 ადგილი რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის „პრეზიდენტის“ პირად საიტზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით ამ წელს მხოლოდ 70 ადგილი იქნა ათვისებული, აქედან 27 ტექნიკური და ტექნოლოგიების ათვისების სპეციალისტით, 12 – ჯანდაცვის, 12 – ეკონომიკისა და მენეჯმენტის მიმართულებით და სხვ. დანარჩენმა ვერ ჩააბარეს გამოცდები.

2010 წელს აფხაზეთიდან მხოლოდ 57 აბიტურიენტი გახდა რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი. მათგან 14 ისწავლის მოსკოვის, 6 – ვორონეჟის, 6 – როსტოვის, 3 – სანკტ-პეტერბურგის, ასევე ნალჩიკის, რიაზანის და სამარის უმაღლეს სასწავლებლებში. სტუდენტები დაუუფლებიან შემდეგ სპეციალობებს: 18 – სამშენებლო და სატრანსპორტო სპეციალობა, 5 – კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით, 8 – სამედიცინო, 5 – ეკონომიკური სპეციალობით, ხოლო 3 – იურისპრუდენციის მიმართულებით.<sup>197</sup>

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ვიცე-პრემიერის ლეონიდ ლაკურბაიას განცხადებით, ლიმიტის მოპოვება შეუძლია „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ნებისმიერ მოქალაქეს, მთავარი მოთხოვნა კი ის არის, რომ მას აფხაზური პასპორტი უნდა ჰქონდეს. შესაბამისი საბუთების მოგროვების შემდგომ (მათ შორის, ჯანმრთელობის ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება შიდა ტესტის მონაცემები) ლიმიტის მოპოვების მსურველები შესაბამის გამოცდებს ჩააბარებენ. შესაჩინო კომისიას „აფხაზეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო“ ჩამოაყალიბებს. ჩარიცხვისას უპირატესობით აფხაზეთის ომში დაღუპულთა შეილები, სკოლის მედალოსნები და ოლიმპიადებში გამარჯვებულები ისარგებლებენ. სხვა დანარჩენ შემთხვევაში აბიტურიენტები ჩვეულებრივი კონკურსის წესით შეირჩევიან. ჩარიცხულები საერთო საცხოვრებლით იმ შემთხვევაში ისარგებლებენ, თუ ასეთი პირობა უმაღლეს სასწავლებელს გაჩნია. აფხაზი სტუდენტები, გარდა ჩვეულებრივი სტიპენდიისა, ყოველთვიურად სოხუმის ხელისუფლების მიერ 5 ათასი რუბლის ოდენობით დანიშნულ სტიპენდიასაც მიიღებენ.

197 <http://www.abkhaziagov.org/>

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტსა (МГИМО) და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2009 წლის 4 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება „ურთიერთობანამშრომლობისა და აფხაზეთში დიპლომატიური კადრების მომზადების შესახებ“. ამ ხელშეკრულების თანახმად, ყოველთვე სასწავლო წლის განმავლობაში მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორები ლექციებს წაუკითხავენ აფხაზ სტუდენტებს როგორც საერთაშორისო ურთიერთობების, ასევე ოურიდიულ და ეკონომიკურ ფაზულტეტებზე.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, 2009 წელს გამოყოფილი იყო 200 ადგილი, მაგრამ, მხოლოდ 150 აბიტურიენტმა შეიტანა საბუთები რუსეთის უმაღლეს სასწავლებელებში გამოცდების ჩასაბარებლად. 2010 წელს გამოიყო 172 ადგილი, აქედან ათვისებულ იქნა მხოლოდ 117. 2010 წელს ასპირანტურაში წარმატების გასაგრძელებლად გამოიყო 26 ადგილი.<sup>198</sup>

პარალელურად, რუსეთის ფედერაციაში არა ერთი ღონისძიება იმართება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზოგადოებრივ-სამეცნიერო წრეებისა და პოლიტიკოსთა მონაცემებით.

2010 წლის თებერვალში, აფხაზეთის დე ფაქტო არჩევნების შემდგომ, სწორედ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრით დაიწყო სერგეი ბალაფშის „ოფიციალური ვიზიტი“ რუსეთის ფედერაციაში.<sup>199</sup> აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტების წესაში ასევე შედიოდა შეხვედრები რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან, რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან, მის მოადგილუ სერგეი ივანოვთან, ტრანსპორტის მინისტრ იგორ ლევიტინთან. ვიზიტის პროგრამა ითვალისწინებდა რუსეთისა და აფხაზეთის შორის სამხედრო, სატრანსპორტო, საბანკო, ასევე უკანონო მიგრაციასთან ბრძოლისა და საგანგებო სიტუაციათა ლიკვიდაციისა და გარემოს დაცვის საკითხებში სხვადასხვა ხელშეკრულებებზე ხელმოწერას. ვიზიტის ბოლოს სერგეი ბალაფში რუსეთის პატრიარქ კირილსაც შეხვდა.

198 <http://osinform.ru/22778-v-rossijskie-vuzy-v-yetom-godu-postupilo-117.html>

199 <http://www.mgimo.ru/news/guests/document143693.phtml>

მოგვიანებით, უკვე მარტში (16.03.2010), ამავე ვიზიტის გამოძახილი გახდა ისევ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გამართული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც აფხაზეთის რუსეთის იმპერიაში შესვლის 200 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციის თემა იყო: „რუსეთი-აფხაზეთი: მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის 200 წელი“. კონფერენციას ესწრებოდნენ ინსტიტუტის პრორექტორი სერგეი ბაგატუროვი, ინსტიტუტის პროფესორ მასრავლებლები, ასევე მოსკოვში სამუშაო ვიზიტით მყოფი აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი სერგეი შაბა, რომელმაც წაიკითხა მოხსენება: „რუსეთი და აფხაზეთი: ისტორია და თანამედროვეობა“.<sup>200</sup> როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! მეფის რუსეთის მიერ აფხაზეთის, ისევე როგორც მთელი საქართველოს, ტერიტორიის გატარებული რუსიფიკაციის პოლიტიკა, რეპრესიები და აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის იძულებითი გადასახლების ხელშეწყობა (მუჟაჯირობა)<sup>201</sup> ნამდვილად „საჩეიმოდ აღსანიშნავი“ ფაქტია!

ამავე შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს მე-4 დეპარტამენტის დირექტორი ანდრეი კელინი. რომელმაც შეკრებილთ ამცნო, თუ რა ეტაპზეა ამჟამად რუსეთ-აფხაზეთის თანამედროვე ურთიერთობები. მან აღნიშნა, რომ დღევანდელი „სახელმწიფოთშორისი ურთიერთობები“ სწრაფად ვითარდება, უკვე ხელმოწერილია 34 ხელშეკრულება, მალე მათი რიცხვი 50-ს გადააჭარბებს. კელინმა აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს კოორდინირებულ მუშაობას, ასრულებს რა დიმიტრი მედვედევის დავალებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დახმარების პროგრამის ფარგლებში. მისი თქმით, ძირითადი აქცენტი ამჟამად გადატანილია უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებაზე, შემდგომ უკვე დაიწყება ეკონომიკური პროგრამების განხორციელება. ასევე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების მიმართულებით, რაც გრძელვადიანი საკითხია. დირექტორის თქმით „საბჭოთა კავშირის აღიარებასაც მრავალი წელი დასტირდა!“<sup>202</sup> ვერაფერს ვიტყვით, უდავოდ მრავლისმეტყველი შედარებაა!

200 <http://www.mgimo.ru/news/press/document146878.shtml>

201 [http://en.wikipedia.org/wiki/Muhajir\\_\(Caucasus\)](http://en.wikipedia.org/wiki/Muhajir_(Caucasus))

202 <http://www.mgimo.ru/news/press/document146878.shtml>

პლენარულ სხდომას ასევე ესწრებოდნენ „აფხაზეთის ელჩი“ რუსეთის ფედერაციაში იგორ ახბა, „სამხრეთ ოსეთის ელჩი“ რუსეთის ფედერაციაში დიმიტრი მედოვი, რუსეთის საზოგადოებისა და აფხაზეთის დიასპორის წარმომადგენლები. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ რუსი ისტო-რეკონსტრუქციაზე ეთნოგრაფები, პოლიტოლოგები: ალექსანდრ კრილოვი, ანა ბროიტო, ალექსანდრ სკაკოვი, ლუბოვ სოლოვიოვა, ალექსანდრ კადირ-ბაევი. აფხაზეთის პუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ვასილი ავიძა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის კათედრის გამგე ანტონინა ხაშბა, ეთნოლოგი თეიმურაზ აჩულბა, ასევე აფხაზ-აბაზგთა ხაშბის მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი ტარას სამბა, მწერალი დენის ჩაჩხალია. მონანილეთა მოხ-სენებები ცალკე ბროშურად გამოიცა.

ხშირია რუსეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგელობითი ვიზიტები აფხაზეთში და ერთობლივი კონფერენციების მოწყობა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში არაერთი „საერთშორისო კონფერენციად“ და „საერთშორისო სიმპოზიუმად“ შერაცხული ღონისძიება იმართება. აქ პრინციპში გასაკვირი არაფერია, გარდა იმ ერთადერთი გამონაკლისისა, რომ ყველა ასეთი „საერთაშორისო“ ღონისძიების ერთადერთი სტუმარი რუსეთის ფედერაციაა.

2008 წლის 22-26 სექტემბერს 110-ზე მეტმა რუსმა მეცნიერმა მონანილე-ობა მიიღო ბიჭვინთის მე-4 საერთაშორისო კონფერენციაში „საინფორმა-ციონ ტექნოლოგიები მეცნიერებას, ტექნიკასა და განათლებაში“. აღნიშნულ ღონისძიებას ორგანიზებას უწევდნენ რუსეთის ფედერაციის პროხოროვის სახელობის საინჟინრო მეცნიერებათა აკადემია, რუსეთის ფედერაციის ფედერალური კოსმოსური სააგენტო, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტოპოგრაფიული სამმართველო, რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსკოვის ინსტიტუტი, მოსკოვის ელექტრო ტექნიკის ენერგეტიკული ინსტიტუტი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სოხუმის ფიზიკ-ტექნიკური ინსტიტუტი.<sup>203</sup>

203 <http://abkhazia.com/news1-393.html>

ეს ლონისძება კი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. საქმე ისაა რომ 2010 წლის მაისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, დიმიტრი მედვედევს წარუდგინა „საგარეო-პოლიტიკური ფაქტორების სისტემურ საფუძველზე ეფექტური გამოყენების პროგრამა რუსეთის ფედერაციის გრძელვადიანი განვითარებისათვის“ (ПРОГРАММА ЭФФЕКТИВНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ НА СИСТЕМНОЙ ОСНОВЕ ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКИХ ФАКТОРОВ В ЦЕЛЯХ ДОЛГОСРОЧНОГО РАЗВИТИЯ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ). აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტში მითითებულია, რომ საჭიროა ერთობლივი რუსულ-აფხაზური სანარმოს “era-sfti”-ის შექმნის ხელშეწყობა, „როსატომის“ მონაწილეობითა და სოხუმის ფაზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე, 2010 წელს მულტისილიკონური პლასტინების მაღალტექნოლოგიური წარმოების გაშვებისათვის, რომელიც აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წარმოებისათვის.

ვფიქრობთ, აღნიშნული სრულიად ნათელს ხდის კონფერენციის ნამდვილ მიზანს. ასევე ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პროგრამა გამოქვეყნდებული იყო რუსულ ჟურნალში “Newsweek”, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში გაქრა (!) ინტერნეტ-საიტებიდან. ამიტომაც ზემოხსენებული ციფრატის ორიგინალს მეოთხველს ვთავიზობთ ნაბეჭდი სახით: “Оказывать содействие созданному с участием Росатома на базе Сухумского физико-технического института совместному российско-абхазскому предприятию ООО «ЭРА-СФТИ» с целью запуска в 2010 году высокотехнологичного производства мультиремнейевых пластин, необходимых для создания экологически чистых источников энергии.”

რუსეთი ყველანაირად ცდილობს რაც შეიძლება მალე მოახდინოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალკე სახელმწიფოებად წარმოჩენა. ამ მიზნით რუსეთის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ფედერალურმა სააგენტომ გამოსცა რუკები, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გამოხატულია საქართველოსაგან განსხვავებული ფერებით, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ხოლო დედქალაქებად აღნიშნულია „სუხუმ“ (Сухум) და

„ცხინვალ“ (ცხინვალ).<sup>204</sup> ასეთივე რუკების გამოცემა დაგეგმილია მომავალშიაც, სადაც აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიაზე არსებულ ძირძველ ქართულ სოფლებს სახელები ექნებათ შეცვლილი ოსური და აფხაზური შესატყვისებით. ახალ რუკებში ზემოხსენებული „დამოუკიდებელი ქვეყნების“ სახელმწიფო საზღვარი გამოიხატულ იქნება 1991 წლის საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისათვის ამ რესპუბლიკების ადმინისტრაციული საზღვრების მიხედვით.<sup>205</sup>

## ოკუპირებული ტერიტორიებზე არსებულ ზოგადსაგანევათლებულო სკოლები გადამდინარების ვითარება

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საშუალო განათლებასთან დაკავშირებით კრემლს განსხვავებული მიდგომა აქვს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სწავლება რუსეთის განათლების სამინისტროს პროგრამითა და სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს, რაც სრულად მიესადაგება ოფიციალური მოსკოვის იდეოლოგიას. 2008 წლის 18 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებამდე 8 დღით ადრე, რუსეთის პრემიერთან, ვლადიმერ პუტინთან გამართულ თათბირზე განათლების მინისტრმა ფურსენომ განაცხადა, რომ რუსეთს შეუძლია გააუმჯობესოს განათლების ხარისხი სამხრეთ ოსეთში, თუკი მოხდება სამხრეთ ოსეთის ჩართვა რუსეთის ნაციონალურ პროექტებში. რაზედაც ვლადიმერ პუტინმა თანხმობა განაცხადა. ამრიგად, სამხრეთ ოსეთის განათლების სისტემა მთლიანად აღმოჩნდა ჩართული რუსეთის განათლების ნაციონალურ პროექტში.<sup>206</sup>

204 [http://www.rosreestr.ru/upload/rosreest/files/izmeneniya\\_karta.pdf](http://www.rosreestr.ru/upload/rosreest/files/izmeneniya_karta.pdf)

205 [http://www.rosreestr.ru/upload/rosreest/files/izmeneniya\\_karta.pdf](http://www.rosreestr.ru/upload/rosreest/files/izmeneniya_karta.pdf)

206 <http://premier.gov.ru/events/news/1672/>

აფხაზეთში ოფიციალური მონაცემებით, გალის რაიონის გარეშე, აღირიცხება 25 840 მოსახლე. ფუნქციონირებს 63 აფხაზური, 51 რუსული, 39 სომხური და ერთი რუსულ-სომხური სკოლა.<sup>207</sup>

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსულ ენას სახელმწიფო სტატუსი აქვს. აქედან გამომდინარე მისი სწავლა ყველა ზოგადსაგანმანათლებლობაში სავალდებულოა. მედია მაუწყებლობა ორივე რეგიონში ძირითადად რუსულ ენაზე ხორციელდება, რუსულ ტელეარხებს სრულად აქვთ ათვისებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. გარდა ამისა, დღევანდელი მოსწავლეების ძირითად სამომავლო პერსპექტივას რუსეთის ფედერაციაში უმაღლესი განათლების მიღება წარმოადგენს. რაც შეეხება დასაქმებას, აქაც ძირითადად რუსული კომპანიები არიან წარმოდგენილი. შესაბამისად მოთხოვნილება რუსული ენის შესწავლაზე მოსახლეობაში საკმაოდ მაღალია და მოსწავლეთა უმრავლესობა რუსულ განათლებას ეტანება. გარდა ამისა, არ არსებობის სხვადასხვა საგნების აფხაზურ და ოსურ ენებზე სწავლების პროგრამები და რაც ყველაზე მთავარია, არ არსებობენ აფხაზური და ოსურენოვანი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მოსწავლეთა სრულფასოვან აღზრდას. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის განათლების სისტემების რუსული პატრონაჟის ქვეშ მოქცევა მხოლოდ რუსული ენის სწავლებით არ შემოიფარგლება. ყველა საგანი შეისწავლება რუსულ ენაზე და, ძირითადად, რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოებით. ფაქტობრივად არანაირი ყურადღება არ ექცევა აფხაზურ და ოსურ ენებს და მათი სწავლების დონე რეალურად ფაკტურულ გაუტოლდა. მართალია, ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო მთავრობების ხმამაღლა ხახს უსვამენ ზრუნვას ეროვნულ თვითმყოფადობასა და მშობლიური ენის სტატუსზე, მაგრამ არსებული რეალობა რადიკალურად განსხვავდება დეკლარირებული კურსისაგან. მაგალითისათვის აღვნიშნავთ თუნდაც იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის 2009 წლის ბიუჯეტი შეადგენდა – 3 მლრდ. 874 მლნ 44 ათას რუსულ რუბლს. აქედან: სოციალ-კულტურული

207 <http://www.apsny.ru/education/education.php?page=content/uchzav/uchzav.htm>

<http://ru.wikipedia.org/wiki/>

%D0%90%D0%B1%D1%85%D0%B0%D0%B7%D0%B8%

D1%8F#.D0.9E.D0.B1.D1.80.D0.B0.D0.B7.D0.BE.D0.B2.D0.B0.D0.BD.D0.B8.D0.B5

ღონისძიებები (რაშიც ძირითადად რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული სტუმრების მიღება და მათი მონაწილებით კონცერტების გამართვა იგულისხმება) – 743, 263 მლნ რუპლი, განათლება და პროფესიული კადრების მომზადება – 401 მლნ. რუპლი, ხოლო აფხაზური ენის განვითარების პროგრამა – 13,63 მლნ რუპლი.

სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, რომელიც წლების განმავლობაში ღიად მიმართავდა ოფიციალურ მოსკოვს თხოვნით, მიეღო რუსეთის ფედერაციის შემადგენლი ნაწილად, აფხაზეთის მოსახლეობაში თვითმყოფადობის იღეა გაცილებით უფრო ძლიერია. ასევე შედარებით ძლიერია სამოქალაქო საზოგადოებაც, რომელიც დღეს რეალურ პრობლემად თვლის აფხაზეთის რუსეთთან ასიმილაციას და აფხაზების რუსიფიკაციას.<sup>208</sup> აქედან გამომდინარე, აფხაზეთში არსებული დე ფაქტო ხელისუფლება იძულებულია გაითვალისწინოს მოსახლეობის განწყობები და ეროვნულ თვითმყოფადობაზე ზრუნვის ილუზია მაინც შექმნას. მავრამ ეს ყოველივე იმდენად ხელოვნურია, რომ ზოგ შემთხვევაში საუკეთესო კომედიადაც კი გადაიქცეოდა, თავის შინაარსით ტრაგედია რომ არ იყოს. ასე მაგალითად, სერგეი ბალაფშმა 2010 წელი აფხაზური ენის წლად გამოაცხადა და არჩევნების წინ თავადაც დაიწყო აფხაზურში მეცადინეობა, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატად დასარევესტრიირებლად სოხუმის ცესკო-ში ადგილობრივი ლინგვისტური კომისიის დასკვნა უნდა წარედგინა. აფხაზეთის „კონსტიტუციის“ თანახმად, აფხაზეთის პრეზიდენტი თავისუფლად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას. ლინგვისტურმა კომისიამ პრეზიდენტ სერგეი ბალაფშა და ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, რაულ ხაჯიმბას დადებითი დასკვნა შემდეგი ფორმულირებით მისცა: „რადგან წინასაარჩევნო კანკანის დროს სერგეი ბალაფშმა და რაულ ხაჯიმბამ აფხაზური ენის კარგი ცოდნა გამოამჟღვნეს, კომისიამ მათთვის გამოცდის ჩაბარების აუცილებლობა მიზანშეუწონლად მიიჩნია.“ პრეზიდენტობის დანარჩენი კანდიდატებისთვის – ბესლან ბუთბასთვის, ზაურ არძინბასთვის და ვიტალი ბგანბასთვის კი გამოცდის ჩაბარება აუცილებელი, მაგრამ არცთუ ისე როზული აღმოჩნდა. ხუთაციანი ლინგვისტური კომისია კანდიდატებს აფხაზური ტექსტის ხმამაღლა წაკითხვას და წაკითხულის შინაარსის მოყოლას სთხოვდა; ამასთან, უნდა

208 <http://origin.tavisupleba.org/content/article/1750494.html>

ჩართულიყვნენ დიალოგში სხვადასხვა თემებზე და კომისიის წევრთა კითხვებისთვის ეპასუხათ. კომისიის თავმჯდომარე ალექსეი კასლონძიას განცხადებით, „ყველა კანდიდატი თავისუფლად ფლობს სახელმწიფო ენას.“

კიდევ „უფრო „უკეთესი“ ვითარებაა აფხაზეთის პარლამენტში ანუ „ეროვნულ კრებაში“. 2010 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა 2007 წელს მიღებული კანონი, რომლის თანახმადაც პრეზიდენტის ოფიციალური შეხვედრები და პარლამენტის სხდომები აფხაზურ ენაზე უნდა გაიმართოს.<sup>209</sup> ეს ამოცანა ფაქტურად განუხორციელებელი აღმოჩნდა, რადგან არსებული 35 „დეპუტატიდან“ მხოლოდ რამდენიმე თუ ფლობს სალაპარაკო აფხაზურს, რომ არაფერი ვთქვათ ლიტერატურულ აფხაზურზე. მაგრამ ამ დაბრკოლებამ „კანონმდებლები“ არ შეაშინა და მათ საშველად სინქრონისტებს მიმართეს. 2010 წლის აპრილში პირველი „სხდომა“ გაიმართა სინქრონული თარგმანით – რუსულიდან აფხაზურზე და პირიქით. საყმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა თარჯიმანი, რომელმაც ვერ მოახერხა ერთდროულად მოლაპარაკე რამდენიმე დეპუტატის სიტყვის თარგმნა; ხოლო ზოგერთ რეპლიკებს, რომლებსაც სიცილი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ახლდა, თარჯიმანი არ თარგმნიდა, რადგან ეგონა, რომ კანონმდებლობასთან ამ რეპლიკებს კავშირი არ ჰქონდა.<sup>210</sup>

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მიუხედავად ამდენი წვალებისა, საქმის წარმოება იგივე პარლამენტში რუსულ ენაზე მიმდინარეობს და საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ 2015 წელს<sup>211</sup> შეიძლება მოხდეს გადასვლა აფხაზურ ენაზე. თუკი, რა თქმა უნდა, მომავალი ხუთი წლის შემდეგ აფხაზური ენის სპეციალისტების თუნდაც მინიმალური რაოდენობა მაინც იარსებებს აფხაზეთში.

---

209 რესპუბლიკა ახაზია, 08.04.2010, [http://www.abkhaziya.org/news\\_detail.html?nid=25746](http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=25746)

210 იხ. გზეთი 24 საათი 13.05.2010, <http://24saati.ge/index.php/category/news/2010-05-13/6505>

211 [http://www.abkhaziya.org/news\\_detail.html?nid=25746](http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=25746)

## **ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ქართულ საოცენი შემთხვევი ვითარება**

თუკი 2008 წლამდე გალის რაიონის ქართულ სკოლებში მასწავლებელები მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ ქართული წიგნებით სწავლებას, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ, ვითარება გაცილებით დამძიმდა. 2009 წლიდან გალის რაიონის სკოლებში უკვე შეიტანეს ახალი წიგნები – აფხაზეთის გეოგრაფია და ისტორია. ბავშვებს რუსეთის ისტორიასა და გეოგრაფიასაც ასწავლიან იმ სახელმძღვანელოებით, რომლებიც მოსკოვის მერიამ გადასცა საჩუქრად აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას. ამ სახელმძღვანელოებში, იმდროინდელი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განათლების მინისტრის ალექსანდრე აპლაკოვის თქმით, საშინალად არის გაყალბებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობები.<sup>212</sup> პედაგოგებს კი აიძულებენ, რომ სწავლება რუსულ ენაზე ანარმონ. სავალდებულო სასწავლო საგნებია: აფხაზური ენა, ასევე აფხაზეთის ისტორია და გეოგრაფია რომლებიც ისწავლება რუსულ ენაზე.<sup>213</sup> ასევე ისწავლება რუსეთის ისტორია და რუსეთის გეოგრაფიაც.<sup>214</sup> ამაში აფხაზეთის დე ფაქტო განათლების სამინისტრო ვერაფერს ცუდს ვერ ხედავს, რადგან გალი აფხაზეთის ერთ-ერთი რაიონია და იქ განათლება „სახელმწიფო სტანდარტებს“ უნდა შეესაბამებოდეს.

გალის რაიონში 31 ქართული სკოლა ფუნქციონირებს. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ოფიციალურ წყაროებში ეს რიცხვი უკვე თორმეტმდევა დაყვანილი.<sup>215</sup> რა თქმა უნდა, ასე უფრო მოსახერხებლია, რაოდენობის შემცირებით მცირდება ქართული სკოლების დახურვის ბრალდების რისკიც, ამიტომაც 20-მდე სკოლა, თითქოს არც ყოფილა, ისე გაქრა ოფიციალური მონაცემებიდან. აღნიშნული სასწავლო დაწესებულებები მუდმივი დაძაბულობისა და დახურვის მუქარის ქვეშ იმყოფება, სკოლებში რუსიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს. ქართველ მასწავლებლებსა და

212 <http://origin.tavisupleba.org/content/article/1561454.html>

213 <http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php?ID=28054>

214 <http://origin.tavisupleba.org/content/article/1561454.html>

215 <http://www.apsny.ru/education/education.php?page=content/uchzav/uchzav.htm>

მოსწავლეებს ქართულ ენაზე სწავლებასა და საუბარს უკრძალავენ. ხშირია სკოლებზე თავდასხმისა და დაშინების ფაქტებიც. მაგალითად, 2009 წლის 8 სექტემბერს გალის რაიონის სოფელ ნაბაევი არსებულ № 13 სკოლაში, სამხედრო ფორმაში ჩაცმული შეიარაღებული პირები შეიჭრნენ. ინცი-დენტის მიზეზი ქართული ნარჩერა გახდა, რომლითაც სკოლის ადმინის-ტრაცია მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყებას ულოცავდა. პედაგოგებმა სცადეს, აესწათ აგრესორებისათვის, რომ ეს ქართული სკოლა იყო და ჰქონდათ უფლება, ქართულად მისალმებოდნენ მოსწავლეებს, რასაც მათი მხრიდან ყვირილი და მუქარა მოჰყვა. მოგვიანებით, აგრესორებმა ჩამო-გლიჯეს ქართული ნარჩერა და მხოლოდ ამის შემდგომ დატოვეს სკოლის ტერიტორია.<sup>216</sup>

2010 წლის 3 თებერვალს გალის რაიონის ქართული და სომხური სკოლები მოინახულა ეუთოს უმაღლესმა კომისარმა ეროვნული უმცირესობების საკითხებში კნუტ ბოლლებეკმა. მას თან ახლდა აფხაზეთის დე ფაქტო განათლების მინისტრი ინდირა ვარდანია. ამჟამად ქალბატონმა ვარდანიამ გალის რაიონში უკვე 20 სკოლის არსებობა „აღიარა“, საიდანაც ზოგიერთი ქართულიც „ყოფილა“. <sup>217</sup> რაც შეეხება ეუთოს უმაღლეს კომისარს, მან განაცხადა, რომ კმაყოფილია იმ მიღომით, რასაც სომხური სკოლების მიმართ იყენებს აფხაზეთის მთავრობა, მაგრამ იგივეს თქმა არ შეუძლია ქართულ სკოლებთან მიმართებაში. კომისარმა ასევე აღნიშნა, რომ, მას აფიქრებს ამ სკოლებში ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებ-ლობის არარსებობა.<sup>218</sup>

რაც შეეხება ახალგორის რაიონს, აგვისტოს ომამდე ახალგორში სამი საჭარო სკოლა იყო – ორი ქართული და ერთი რუსული. ამჟამად, როგორც ცნობილია, მხოლოდ ერთი ქართული და ერთიც რუსული სკოლა ფუნ-

216 [http://ourtopnews.wordpress.com/2009/09/09/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%99/](http://ourtopnews.wordpress.com/2009/09/09/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%99/)

217 <http://1k-tv.com/forum/index.php?showtopic=103&st=40>

218 <http://1k-tv.com/forum/index.php?showtopic=103&st=40>

ქციონირებს, რომლებიც ერთ შენობაშია განთავსებული;<sup>219</sup> რუსულ სკოლაში სწავლა რუსეთის ფედრაციის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს, ხოლო ქართული ენა და ლიტერატურა 2010-2011 წლების სასწავლო გეგმიდან ამოიღეს. ქართულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ფორმალურად შენარჩუნებულია, თუმცა ამისათვის მშობლებსა და მასწავლებლებს სახელმძღვანელოების თბილისში შექნა და ოკუპირებული ახალგორის რაიონის ტერიტორიზე გადატანა მოუწევთ.<sup>220</sup>

---

219 <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2145300.html>

220 <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2145300.html>

# **„საზოგადოებასთან დიალოგი“ და რუსეთის „რბილი ძალა“**

თემაზის ფხალადა, ნანა ღევდარიანი

2008 წლის სამხედრო აგრესიის შემდეგ კრემლისათვის საქართველოს საზოგადოებასთან დიალოგი მეტად პოპულარულ თემად იქცა. როგორც წინა თავებშიაც ალვნიშნეთ, ვლადიმერ პუტინსა და დიმიტრი მედვედევს არაერთხელ განუცხადებით საჯაროდ ქართველ ხალხთან მეგობრული კავშირების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოში მრავალი რუსული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელთა მიზნებშიც რუსული კულტურის პოპულარიზაცია და რუსული კულტურის კერძოს განვითარება შედის. თბილისში ფუნქციონირებს საერთაშორისო კულტურულ საგანმანათლებლო კავშირი „რუსკი კლუბ“, პრეზიდენტი ნიკოლოზ სვეტნიცკი. ასევე გამოიცემა ყოველთვიური საზოგადოებრივ-კულტურული ჟურნალი „რუსკი კლუბ“. ფუნქციონირებს გრიბოედოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის თბილისის სახელმწიფო აუდიტორი რუსული დრამატული თეატრი, რომლის დირექტორიც იგივე ნიკოლოზ სვეტნიცკია და ნ. დუმიბაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპარმენო თეატრის ბაზაზე არსებული რუსული თოვლინების თეატრი. სხვა აქტივური რუსული საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომლებიც საქართველოში კულტურული პროექტების განხორციელებას ემსახურებიან აღსანიშნავია საქართველოში რუსული სათვისტომოს საქველმოქმედო-კულტურული და სამუნიკირო-საგანმანათლებლო კავშირი „რადუგა“, რუსულენოვანი კულტურის ცენტრი „ისკრა“, საქართველოს რუსულენოვანი ჟურნალისტთა ასოციაცია, რუსულენოვანი კულტურის ცენტრი „შემჩეულინა“, საქართველოს რუს ქალთა კავშირი „იაროსლავნა“ და სხვ. ორგანიზაციათა საქმიანობის ძირითად მიმართულებების წარმოადგენს კულტურისა და ლიტერატურულის სფეროში შეხვედრების, მრგვალი მაგიდების მოწყობა, ლიტერატურული სალამოების, სპექტაკლებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება.

წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ქართული დიასპორის არაერთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. მათი საქმიანობა ძირითადად მიმართულია ეთნოგური თვითმყოფადობის, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და სოციალურ-პუმანიტარული საკითხების გადაჭრისაკენ.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ არსებობს წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირები სამეცნიერო-აკადემიურ წრეებს, ხელოვნების მუშავებს, პროფესიულ წრეებს, საზოგადო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს შორის. ყველა ამ რესურსის გამოყენება მართლაც შესაძლებელია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, „ურთიერთობების“ კრემლისეული ხედვა, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ორიენტირებულია მხოლოდ საკუთარი ამბიციებისა და იმპერიული ზრახვების რეალიზაციისაკენ. ამიტომაც, საზოგადოების კეთილი ნების ძალისხმევა მოსკოვის მხრიდან სხვა იდეოლოგიურ პლატფორმას აწყდება, რაც „ხალხთა შორის ნდობის აღდგენის“ კეთილშობილურ და თავისთავად მისასალმებელ იდეას ჩანასახმივე პრობლემას უქნის და ამახინჯებს.

2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალის შედეგების მიხედვით რუსულენოვანი მწერლების საერთაშორისო ფედერაციამ დააჯილდოვა თავისი ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში – ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსკი კლუბის“ პრეზიდენტი ნიკოლაი სვენტიცკი, პოეტი და მთარგმნელი, ქართული პოეტის ანთოლოგის შემდგენელი – ნათან ბაჩიოვი, „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორი, კრიტიკოსი და მწერალი ზაზა აბიანიძე, პოეტი ლია სტურუა, პოეტი დავით გულუა. ამავე ფედერაციამ იუბილესთან დაკავშირებით და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გამოჩენილი ქართველი მწერალი, სცენარისტი და დრამატურგი – ოტია იოსელიანი დააჯილდოვა ორდენით „კულტურული მემკვიდრეობა“. <sup>221</sup>

---

221 <http://rulit.org/announcements/>

ამ დაჯილდოვებებს დიდი აუიოტაჟი არ მოჰყოლია, განსხვავებით „საქართველოს ხალხთა კონგრესის“ დამფუძნებლის, მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის – ალექსანდრე ეპრალიძის მიერ ქართველი პოეტებისა და კრიტიკოსების დავით აღმაშენებლის პრემიებით დაჯილდოვებისაგან. ეს ჯილდო ეპრალიძემ თავად დაფუძნა 2009 წელს. თუ მის დებულებას<sup>222</sup> შეახედავთ, იგი „ისტორიულ-ლიტერატურული“ პრემიაა და უაღრესად კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება: „საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება საქართველოს ისტორიის და ისტორიულ თემაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებისადმი, ღვანლომისილ მამულიშვილთა ცხოვრების გაშუქება და მათი როლის ნარმოჩენა.“ ერთადერთი, რამაც ვნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თავად დამფუძნებლი, რუსეთის მოქალაქე და „ქართველ ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ პრეზიდენტი ალექსანდრე ეპრალიძეა. რუსულ მედიაში არაერთხელ გასულა ინფორმაცია მისი კრიმინალური ნარსულის შესახებ.<sup>223</sup> საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ეპრალიძე ორიოდე წლის წინ გამოჩნდა, როდე-საც 2009 წელს საჯაროდ განაცხადა პრეტენზია საქართველოს მომავალ პრეზიდენტობაზე.<sup>224</sup> მისი ორგანიზაცია თვალსაჩინო ნარმომადგენელია უკანასკნელ წლებში რუსეთში შექმნილი იმ ე.წ. „საზოგადოებრივი გაერთიანებებისა“, რომლებიც ქართულ-რუსული ურთიერთობების აქტიური განხილვითა და ხმამაღალი პოლიტიკური ხასითის განცხადებებით არიან დაკავებულნი და რომელთა რიტორიკაც სრულ უნისონში ჟღერს კრემლის იდეოლოგთა რიტორიკასთან.

გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების ფონზე მოსკოვი დიდი „გულისხმიერებით“ ეკიდგება ქართველ პოლიტიკოსებთან დაალოგს. ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთში რამდენიმე ქართველი პოლიტიკური ლიდერის ვიზიტი განხორციელდა. ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისა და პირადად საუბრის „განსაკუთრებული პატივი“ მხოლოდ ორ მათგანს, ნინო ბურჯანაძესა და ზურაბ ნოღაიდელს ხვდათ წილად. პოლიტიკურ მოძრაო-

222 <http://premia-davit.congress-georgia.org/award/regulations/>

223 <http://criminalnaya.ru/publ/30-1-0-1360>; <http://www.rospres.com/corruption/2934/>

224 <http://lenta.ru/news/2009/05/15/ebralidze/>

ბასთან „სამართლიანი საქართველოსათვის“<sup>225</sup> რუსეთის სახელისუფლებო პარტიამ „ედინნაია როსსიამ“ თანამშრომლობის ხელშეკრულებაც კი გააფორმა.<sup>226</sup>

იყო დაპირებებიც, „ბორჯომისა“ და ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე შესაძლო დაბრუნების შესახებ, პერიოდულობით იხსნებოდა რუსეთის საპარო სივრცეც და ქართულ ავიაკომპანია „აირზენას“ ეძლეოდა საშუალება შეესრულებინა რამდენიმე ჩარტერული რეისი რუსეთის ტერიტორიაზე, თუმცა ეს ყოველივე ქართული მხარის არაერთი თხოვნისა და მიმართვის შემდეგ განხორციელდა, ხოლო თავად რუსეთის მხრიდან საკითხი იმდენად იქნა პოლიტიზებული, რომ ნაკლებად ჰყავდა ქვეყნების ურთიერთობის გასაუმჯობესებლად გადადგულ რეალურ ნაბიჯებს.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ-ქართული სახალხო დიპლო-მატიის საშუალებები ამჟამად მეტად შემცირდულია. კრემლის მცდელობა, გამოიყენოს საზოგადოების აქტივობა საკუთარი ზეგავლენის გასა-ძლიერებლად დამატებით ეჭვებსა და უნდობლობას ბადებს ოფიციალურ თბილისში. საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებული სიფრთხილით უყურებს ასეთ ინიციატივებს და ამიტომაც შეხვედრები, როგორც წესი, საქართველოს საზღვრებს გარეთ ტარდება.

„საზოგადოებრივ ფორმატში“, ისევე როგორც ოფიციალურ დონეზე, რუსეთი ისევ და ისევ საუბრობს „ახალ რეალობაზე“, 2008 წლის აგვის-ტოს მიზის დამნაშავედ აცხადებს საქართველოს მხარეს და თავად არც კი ცდილობს თუნდაც ოდნავი პასუხისმგებლობის აღებას. საინტერესოა, რა ტიპის ურთიერთობებს გულისხმობს რუსეთის ოფიციოზი და როგორ ესახებათ მათ საქართველოსთან მეგობრული კავშირები „ახალი რეალო-ბების“ კონტექსტში? უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს, კონკრეტულად კი მის სწრაფვას ევროატ-ლანტიკური ინტეგრაციისაკენ. ამ თემაზე რუსი ექსპერტებისა და პოლი-ტოლოგების მოსაზრებები არაერთხელ იქნა გამოქვეყნებული, მაგრამ

225 <http://justiceforgeorgia.ge/>

226 <http://www.edinros.ru/text.shtml?12/1426>

პირველი ღია განცხადება ოფიციალური პირის მიერ 2007 წლის თებერვალში გაკეთდა, როდესაც მოსკოვში კონსულტაციებიდან დაბრუნებულმა რუსეთის ფედერაციის საგნგებო და სრულფლუბიანმა ელჩმა საქართველოში ვაჩესლავ კოვალენკომ ქ.თბილისში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: რუსეთს სურს იხილოს საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ!<sup>227</sup>

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რეპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ ბოლშევიკური მოსკოვი დაუინიბით ითხოვდა თბილისისაგან ნეიტრალიტეტს და მხოლოდ ამის სანაცვლოდ დათანხმდა ხელი მოენერა ხელშეკრულებისათვის, რომლითაც საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდა. ასეთი ხელშეკრულება 1920 წლის 7 მაისს დაიდო.<sup>228</sup> მისი გაფორმებიდან რამდენიმე თვეში (1921 წლის 25 თებერვალს) რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა.

დღეს მოსკოვი აქტიურად საუბრობს ნეიტრალიტეტზე. იქმნება „კონფლიქტების მოგვარებისა“ და „კეთილმშობლური ურთიერთობების ჩამოყალიბების“ სცენარებიც. მოსკოვის კარნევის ცენტრის ხელმძღვანელი დიმიტრი ტრენინი სტატიაში „როგორ შეუკრიგდეთ საქართველოს“ აღნიშნავს: აფხაზეთი არ დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ შეუძლია გაცვალოს ტერიტორიები დამოუკიდებლობის აღიარების გალის რაიონი, თავის ქართული მოსახლეობით, უნდა დაუბრუნდეს საქართველოს, სამაგიეროდ კი თბილისი აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ასეთი დარეგულირების შემთხვევაში რუსეთის სამხედრო ყოფნა აფხაზეთში ნაკლებად აქტუალური გახდება და შესაძლებელი გახდება მისი რაოდენობის შემცირება. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, მას სიცოცხლისუნარიან სახელმწიფოდ

227 <http://top.rbc.ru/politics/06/02/2007/95947.shtml>

228 [http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%BE%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B2%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9\\_%D0%B4%D0%BE%D0%B3%D0%BE%D0%B2%D0%BE%D1%80%D0%A0%D0%A1%D0%A4%D0%A1%D0%A0\\_%E2%80%94\\_%D0%93%D1%80%D1%83%D0%B7%D0%BB%D1%8F\\_\(1920\)](http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%BE%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B2%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D0%B4%D0%BE%D0%B3%D0%BE%D0%B2%D0%BE%D1%80%D0%A0%D0%A1%D0%A4%D0%A1%D0%A0_%E2%80%94_%D0%93%D1%80%D1%83%D0%B7%D0%BB%D1%8F_(1920))

ჩამოყალიბების პერსპექტივა არ გააჩნია. მისი შეერთება ჩრდილოეთ ოსეთ-თან, რუსეთის საზღვრებით თუ მის საზღვრებს გარეთ, იქნება კატასტროფა. ამ პრობლემის გადაჭრა შეგვიძლია ვიპოვოთ ანდორრის მოფელში. სამხრეთ ოსეთი ფორმალურად ინარჩუნებს დამოუკიდებლობის ატრიბუტებს – დაბეჭდავს საკუთარ ფულს, მარცებს, აღმართავს დროშას, მაგრამ საქართველო, კანონიერ საფუძვლიზე, იქნება წარმოდგენილი სამხრეთ ოსეთში, როგორც იქ არსებული და მომავალში დაბრუნებული ქართული მოსახლეობის გარანტი. ასეთი ყოფნა დაიცავს თვით საქართველოს მის საკუთარ დედაქალაქზე სამხედრო თავდასხმის საფრთხისაგან. რუსეთი, ასეთ შემთხვევაში გაიყვანს თავის ჯარებს როგორც გვირაბის იქით, მაგრამ დაიტოვებს ოსების დაცვის უფლებას.<sup>229</sup>

შექმნილია კიდევ სხვა, მსგავსი სცენარებიც. მაგრამ არსებობს ერთი „პატარა პრობლემა“ – რამდენად მიიღებს ყოველივე ამას საქართველოს საზოგადოება? ამიტომაც მოსკოვი ცდილობს შექმნას „სასურველი საზოგადოებრივი ჰირი“ და ამ მიზნით „ხალხთაშორისი დიალოგის“ იდეის გამოყენებას ცდილობს. ასეთ დიალოგს იდეოლოგიური პლატფორმა სჭირდება, რომელიც რუსეთს მიმზიდველ პარტნიორად აქცევს. აქ კი მოსკოვი სერიოზულ პრობლემას აწყდება. რუსი ექსპერტი ვიაჩესლავ ნიკონოვი აღნიშნავს, რომ რუსეთს „რბილის ძალის“ გამოვლენის ერთობ შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. პირველ რიგში, რუსეთს არა აქვს იდეოლოგია, რომელსაც შესთავაზებდა მსოფლიოს. ფინანსური საშუალებანი მას დასავლეთშე ასჯერ, ან ათასჯერ უფრო ნაკლები აქვს. რუსეთს აქვს გარკვეული საშუალებანი გლობალური მედიის გამოსაყენებლად, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადად გლობალური მედია რუსეთის წინააღმდეგ მუშაობს, ეს საკმაოდ რთულია. თავად რუსული გლობალური მედია საშუალებანი კი ჩანასახობრივ მდგომარეობაში იმყოფებიან. მეორეს მხრივ, მხოლოდ გლობალური მედია ვერაფერს გადაწყვეტს – საჭიროა საკუთარი ფასულობითი ორიენტირების ჩამოყალიბების უნარი, რაც რუსულ ბიუროკრატიას არა აქვს. ნიკონოვი ხმს უსვამს იმ უპირატესობას, რაც, მისი აზრით, რუსეთს უდავოდ გააჩნია – დიადი კულტურა.<sup>230</sup>

229 <http://www.carnegie.ru/publications/?fa=41404>

230 <http://www.russ.ru/Mirovaya-povestka/Komponentov-myagkoj-sily-u-Rossii-nemnogo130>

თუ მთელ დანარჩენ მსოფლიოს თავს დაგანებებთ და საქართველოზე მოვახდენთ ფოკუსირებას, საკმაოდ საინტერესო სურათს მივიღებთ; „იდეოლოგიის არქონა“ მეტად ზოგადი დახსასათვებაა. სინამდვილეში, კომუნისტური იდეოლოგიის გარდაცვალების შემდეგ ყველაზე ღრმად ლიბერალიზმში (მისი მახინჯი გამოვლინებების ჩათვლით) სწორედ რუსეთი გადაეშვა. მიუხედავად ამისა, რუსეთში არ წყდება „მეოთხე იდეოლოგიის“ ძიებანი (იქნება ეს შერბილებული კომუნისტური, „ლიბერალური იმპერიის“, თუ ე.წ. „ევრაზიური“ იდეოლოგია). ვერც ერთი მათგანი ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი ქართული საზოგადოებისთვის, ვინაიდან მეტ-ნაკლებობით შეიცავს რუსული იმპერიის აღდგენის მისწრაფებას ადრინდელ საზღვრებში. 2008 წლის ომის შემდეგ ამ საკითხებზე საუბარი თითქმის აბსურდის ხასიათს იძენს. ნარმოუფენებია იმგვარი იდეოლოგიის შექმნა, რომელიც მომზიბლავს გახდის ტერიტორიების 20%-ის წამრთმევს.

თუ მივუბრუნდებით იმ უპირატესობას, რომელზეც ნიკონოვი უთითებს, – რუსულ კულტურას, აქაც საქართველოს შემთხვევაში დიდ შედეგს არ უნდა ველოდეთ; საქართველო სამართლიანად ამაყობს უფრო ძველი და მაღალი კულტურით (რაც სულაც არ ნიშნავს, მაგალითად, პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვისა და სხვათა უგულებელყოფას). ცხადია, საერთო კულტურული ტრადიცია ძალზედ მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე რუსული მას-კულტურა ამერიკულ მოდელზე გადაეწყო, არჩევანი ორიგინალზე გაკეთდება და არა მის ასლზე. რჩება კლასიკური (ან საბჭოთა) კულტურული მემკვიდრეობა, მაგრამ იგი პირთა მცირე წრეს მოიცავს, ხოლო მცირერიცხოვან ჯგუფებს შორის დიალოგს საერთო ვითარებაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია და არც სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფა აქვს.

**დასკვნები და  
რეკომენდაციები**

“Soft Power”-ის რუსული მოდელი ღირებულებებს მოკლებული პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების სფადიაში იმყოფება. თუმცა ეს პროცესი მიმართულია არა ფასეულობათა სისტემის შექმნისაკენ, არამედ არსებული პოლიტიკური ინტერესების შენიდბვის ტექნოლოგიების დახვეწისაკენ. ამისათვის მოსკოვი იყენებს საგარეო პოლიტიკის ე.წ. „ჰუმანიტარულ მიმართულებას“, რომლის შემადგენელ ნაწილებსაც კულტურა, განათლება, მეცნიერება, თანამემამულეთა დაცვის პოლიტიკა, საკონსულო საქმიანობა და მედია წარმოადგენს. მათი გამოყენებით რუსეთი ცდილობს საქართველოში მისთვის სასურველი საზოგადოებრივი ზრის შექმნას, რათა გაადვილოს საკუთარი ჩანაფიქრის რეალიზაცია – გააძლიეროს საკუთარი ზეგავლენა რეგიონში და სამხრეთ კავკასია აქციოს საკუთარი „პრივილეგირებული ინტერესების“ დე ფაქტო ზონად.

საკუთარი მიზნებისათვის მოსკოვი კვლავაც ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას ატარებს. მაგალითად, საუბრობს „ისტორიის გადაწერის“ დაუშვებლობაზე და რეალურად იგივეს ახორციელებს საქართველო-სთან მიმართებაში. კრემლის იდეოლოგები საკუთარი შეხედულებებით „ცვლიან“ საქართველოს ისტორიას, ტოპონიმებას, ოფიციალურ დოკუმენტებში ეჭვეჭეშ აყენებენ ქართველის, როგორც ერის ცნებას და ყოფენ მას თორმეტ სხვადასხვა, არარსებულ ეროვნებად.

მოსკოვი საუბრობს „თანამემამულეთა“ ინტერესების დაცვაზე, როდე-საც საკუთარ ტერიტორიაზე ანყობს რეპრესიებს მათ მიმართ და დევნის მოქალაქეებს ნაციონალური ნიშნის მიხედვით. იგი არიგებს პასპორტებს აფხაზეთში და იმავდროულად 50 000-მდე აფხაზეთიდან ლტოლვილს, რომელიც თითქმის 20 წელია მის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე უარს უუბნება სტატუსისა და საბუთების გაფორმებაზე.

საკუთარი მიზნებისათვის კრემლი მზადაა დაარღვიოს როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმები, ასევე რუსეთის ფედერაციის კანონ-მდებლობა. აფხაზეთისა და სამხრეთ ისეთის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მოქმედი ე.წ. „საკონსულოები“, ისევე როგორც მათ მიერ დარიგებული პასპორტები ამის აშკარა მაგალითია.

რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკა სრულიადაც არ არის უმტკივნეულო. საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებზე ჩატარებულმა ეთნო-წმენდებმა დღეს ადგილი „გამალებული“ რუსიფიკაციის პოლიტიკას დაუთმო, რაც გადაშენებით ემუქრება ამ ტერიტორიების მოსახლეობას, უპირველეს ყოვლისა კი აფხაზებს. პასპორტიზაცია, განათლების სისტემის რუსულ სტანდარტებზე გადაყვანა, ეკლესის კონტროლი, აფხაზური ენის გეგმაზომიერად რუსულით ჩანაცვლება აფხაზური ეთნოსის არსებობას, ფაქტობრივად, უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს.

საგულისხმოა, რომ კრემლი თითქმის უცვლელად ახორციელებს მეფის რუსეთის დროინდელ აფხაზეთის კოლონიზაციის გეგმას. მაშინაც მთავარ სამიზნეს სკოლა და ეკლესია წარმოადგენდა, რომლებიც მოსახლეობაზე ზემოქმედების ყველაზე ძლიერი ღერძია. ორის საუკუნის წინ, თავის ერთ-ერთ მოხსენებაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი გერშელმანი ჩიოდა, რომ მათი შეცდომა იყო, როდესაც დაუშვეს ქართველი მღვდლები აფხაზურ მოსახლეობაში და ქართველ სამღვდელოებას და მასნავლებლებს გადასცეს ხელში სახალხო განათლების საქმე. გენერალი გერშელმანი უპატაკებს ხელმძღვანელობას მის მიერ ამ დაშვებული შეცდო-მის გამოსასწორებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

- 1) წმინდა სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით განისაზღვრა ღვთისმსახურებისა და ყველა ქრისტიანული წესის აფხაზური მოსახლეობის მრევლში სლავურ ენაზე შესრულება;
- 2) საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებით აივრძალა ქართული ენის სწავლება აფხაზეთის და სამურზაყანის სკოლებში;
- 3) გაიხსნას სოცემის მთიელთა სკოლა, უმთავრესად აფხაზ ბაგშეთა აღსაჩრდელად და მათთვის სახელმწიფო სტიპენდიების გადასაცემად, სტავროპოლის გიმნაზიაში;

- 4) დაწესდეს საეპარქიო და ადმინისტრაციული ზედამხედველობა მითითებული განკარგულებების დასაცავად ღვთისმსახურებასა და სასკოლო სწავლებასთან მიმართებაში;
- 5) ქართველებს შეეზღუდოთ ძირითადი მოსახლეობის სოფლის საზოგადოებებში ჩანსრის უფლება, რითიც 1865 წლამდე ჩასახლებულნი სარგებლობენ;
- 6) განხორციელდეს სოხუმის ოლქის კოლონიზაცია რუსი ხალხის მიერ; დაბოლოს –
- 7) შეიდი მეგრელი, რომლებიც მონაწილეობდნენ ქართულ მოძრაობაში წარდგენილი არიან კავკასიიდან გასახლებაშე.“

როგორც ვხედავთ, ამ მიმართებით დღესაც ბევრი არაფერი შეცვლილა. კრემლის თანამედროვე იდეოლოგიური მანქანა იგივე მეთოდებითა და საშუალებების გამოყენებით ცდილობს შეაჩვიოს ოუბირებული ტერიტორიების მოსახლეობა „სწორად აზროვნებას“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსული „რბილი ძალის“ ფორმირება დინამიურად განვითარებადი პროცესია. მუდმივად მიმდინარეობს მისი „გამოცდა“ რუსეთის მეზობელ სახელმწიფოებში. საქართველოში აპრობირებულმა „პასპორტიზაციის“ ტექნოლოგიებმა ოდნავი სახეცვლილებით სხვა რეგიონებში იჩინეს თავი, მაგალითად უკრაინაში (ყირიმში) და მოლდოვაში (დნესტრიპირეთი), ანალოგიურად ხდება ბალტის სახელმწიფოებში გამოცდილი ტექნოლოგიების საქართველოში გადმოტანა. სამწუხაროდ, ვერც საქართველოს ხელისუფლებამ და ვერც საერთაშორისო საზოგადოებამ იმთავითვე ვერ განსაზღვრა, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა რუსეთის მიერ საქართველოში (კერძოდ აფხაზეთისა და სამრეთ ოსეთის ტერიტორიაზე) განხორციელებული პასპორტიზაციის პროცესი და რა საგალალო შედეგებამდე შეეძლო მას ქვეყნის მიყვანა, ისევე როგორც „თანამემამულეების პოლიტიკა“ არ იქნა აღქმული, როგორც ახალი ტიპის საფრთხე რუსეთის მეზობელი ქვეყნებისათვის. ამჟამად შედეგები აშკარაა. სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიაზე

არსებული კონფლიქტის ზონები იქცა კრემლის აგრესიული პოლიტიკის ერთგვარ ლაბორატორიად, სადაც მიმდინარეობს მოსკოვის მიერ მომზადებული „საშინაო დავალებების“ გამოცდა და რეალიზაცია. ამდენად, ეს პროცესი უფრო და უფრო საშიშ ფორმებსა და მასშტაბებს იღებს, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დროული რეაგირება და ადეკვატური ღონისძიებების გატარება სჭირდება.

აქედან გამომდინარე, ავტორებს მიზანშეწონილად ესახებათ შემდეგი რეკომენდაციები:

- რუსეთის „თანამემამულეთა“ თანამედროვე პოლიტიკა იძლევა იმის სერიოზულ საფუძველს, რომ აღნიშნული პრობლემები არაერთხელ იჩინს თავს მომავალში ახალი სიმტვავით. ამიტომაც მიზანშეწონილად გვესახება ამ საკითხებზე თანამშრომლობის გალრმავება იმ ქვეყნებთან, რომლებიც კრემლისუული თანამემამულეთა პოლიტიკის „პირველი რიგის“ სამიზნებს წარმოადგენენ (მაგ.: უკრაინა, მოლდოვა, ბალტიის სახელმწიფოები). გარდა ურთიერთგამოცდილების გაზიარებისა, ერთობლივი ძალისხმევით უფრო ადვილი იქნება აღნიშნული პრობლემატიკის განხილვა საერთოევროპული უსაფრთხოების კუთხით;
- თავის დროზე საქართველომ დაუშვა დიდი შეცდომა, როდესაც საშუალება მისცა რუსეთს „თანამემამულებად“ გამოეცხადებინა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა. საქართველოს მთავრობის სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, „ჩათულობა თანამშრომლობის გზით“ ერთ-ერთი რეალური საშუალებაა ამ შეცდომის გამოსასწორებლად. ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავს საქართველოს და არა რუსეთის „თანამემამულედ“, როდესაც რეალური ნდობა გაუჩნდება საქართველოს საზოგადოების და აქედან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ამიტომაც, საზოგადოების მაქსიმალურად ფართო მონაწილეობა სტრატეგიისა და მისი „სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციაში მათი წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი საწინდარია. ამდენად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საზოგადოებრივი დიალოგის გრძელვადიანი პლატფორმის შექმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა;

- აუცილებელია რუსული იდეოლოგიური ცენტრების მუშაობის მავნე შედევების განერაციალება საქართველოს თანამედროვე ისტორიაზე შექმნილი შრომებისა და ნარკვევების გამოცემის მხარდაჭერითა და წახალისებით, მათ შორის რუსულ ენზე, რადგან ოჯუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობის, უმრავლესობა სწორედ რუსულენოვანია.
- რუსეთს კარგად ესმის, რომ დასავლეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. ამიტომაც, ცდილობს ნაბიჯ-ნაბიჯ შეაგულოს იმ მოსაზრებას, რომ ეს ყველაფერი უკვე შემდგარი ფაქტია და რადგან რუსეთი უკან აღარ დაიხევს, დასავლეთისათვის აჯობებს მომხდარს ჩუმად შეეგულოს. ამის თავიდან ასაცილებლად საქართველომ აქტიურად უნდა იმუშაოს, რათა დასავლეთის საზოგადოებრივმა აზრმა საკუთარ მთავრობებს ამ საკითხის მიჩრებათების საშუალება არ მისცეს. საჭიროა, ჩვენს პარტნიორებს დავანახოთ რუსეთის პილიტიკის რეალური სახე და მისი დანამატებულებრივი ქმედებები იჯუპირებულ ტერიტორიებზე. რუსეთის „ახალი რეალობების“ თეორიების საპასუხოდ და საერთაშორისო ორგანიზაციებში კრემლის იდეოლოგთა რიტორიკის შესასუსტებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ეუთოს ბუქარესტისა და ლისაბორის სამიტებზე მიღებული დადგენილებები, სადაც ლაპარაკია ქართველთა ეთნიკურ ნმენდაზე აფხაზეთში. ამ დადგენილებებს რუსეთმაც დაუჭირა მხარი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ახლა ეთნიკური წმინდის შედეგების დაკანონებასა და ლეგიტიმაციას ცდილობს.
- უდიდესი მნიშვნელობა აქვს კიბერ საფრთხეებისაგან თავდაცვისა და სუფთა საინფორმაციო გარემოზე ზორუნვას. აქაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას ისეთ პარტნიორებთან, როგორიცაა მავალითად ესტონეთი. ამ ქვეყნის გამოცდილების

გზითარება უდავოდ მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. დასავლეთის პარტნიორ სახელმწიფოებთან ერთად შესაძლოა შეიქმნას ერთობლივი წვრთნების მექანიზმი კიბერსაფრთხეების თავიდან ასაცილებლად. გასათვალისწინებელია, რომ კიბერუსაფრთხოების საკითხები მნიშვნელოვან როლს იკავებს NATO-ს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში. ამ მიმართულებით აღიანსთან თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა;

- ინფორმაციული კულტურის დონის მისაღწევად მიზანშენონილად გვესახება ინფორმაციულ საზოგადოებასთან ადაპტაციის ევროპული პროგრამის განხორციელება. სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინფორმაციული კულტურის საკითხებს ეთნიკური და რეგიონული ასპექტების გადასაწყვეტად;
- მნიშვნელოვანია რუსეთის საზოგადოებასთან დიალოგის თემა. ამ იდეაზე ხელალებით უარის თქმა ნამებიანი იქნება საქართველოსათვის. აუცილებელია ვიზუალური ისეთ ფორმატზე, რომელიც მაქსიმა-ლურად შედეგის მომზანი იქნება ქართული მხარისათვის და თუნდაც ერთ კონკრეტულ სფეროში თანამშრომლობის პრეცენდენტს შექმნის (მაგალითად რუსეთის ფედერაციაში არსებულ უფლებათადაცვით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა).
- განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული დიასპორა რუსეთის ფედერაციაში. გასათვალისწინებელია, თუ როგორი ზენოლის ქვეშ უხდებათ მათ საქმიანობა. ქართული დიასპორა, ისევე როგორც რუსეთის მთელი მოსახლეობა, იმყოფება იმ საინფორმაციო-იდეოლოგიურ სიცრკეში, საიდანაც უაღრესად რთულია ობიექტური სურათის დანახვა. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზომილ შეფასებებს დიასპორის მისამართით და სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შექმნას, რომელიც დაეხმარება რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს საჯარო თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღებაში.

დაბოლოს, რუსული "Soft Power"-ის ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში. რისკების შეფასებისას საგულისხმია, რომ ეს ტექნილოგია ითვალისწინებს ისეთი მგრძნობიარე ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორიცაა რელიგია, კულტურა, განათლება, საზოგადოებრივი აქტივობა და ა.შ. ამდენად კარგად უნდა იქნას გამიჯნული რუსული „რბილი ძალა“ და ის კულტურული, საგანმანათლებლო, რელიგიური და სხვა სახის ღონისძიებები, რომლებსაც არავითარი კავშირი რუსეთის პოლიტიკასთან არ გააჩნიათ.

შეუძლებელია „რბილი ძალის“ აკრძალვა, მისი ზემოქმედებისაგან საუკეთესო პრევენცია ობიექტური ინფორმაციის გავრცელება, საკუთარი ისტორიულ-კულტურული ფასეულობებისა და სულიერი ლირებულებების პოპულარიზაცია და განვითარებაა.

გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი  
0105, თბილისი, ლერმონტოვის ქ.№10  
ტელ: +995 32 72 81 47;  
[icgs@icgs.ge](mailto:icgs@icgs.ge); [icgs.geo@gmail.com](mailto:icgs.geo@gmail.com);  
[www.icgs.ge](http://www.icgs.ge)